თინათინ წერეთელი

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი— რევოლუციონერთა და პროგრესულ მოღვაწეთა დამცველი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1976

34(с41)
34(47.922)(092 ანდრონიკაშვილი)
ნ 395

პროფ. თ. წერეთლის წიგნში „ლუარსაბ ანდრონიკაშვილი—რევოლუციონერთა და პროგრესულ მოღვაწეთა დამცველი“ მკითხველი გაეცნობა გამოჩენილი ქართველი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოში იურიდიული განათლების ფუძემდებლის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის საადვოკატო მოღვაწეობას 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე პერიოდში.

წიგნი დაწერილია პოპულარულად და მას ინტერესით გაეცნობა ფართო საზოგადოება.

Ц—$\frac{10161-267}{М601(08)-76}$ 46—76

©გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ — 1976 წ.

ლ. ანდრონიკაშვილი

წინასიტყვაობა

როდესაც ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში იურიდიული განათლების ცენტრის ჩამოყალიბების საკითხი პრაქტიკულად წამოიჭრა, უნივერსიტეტის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით გადაწყდა, ამ მიზნის განსახორციელებლად რუსეთიდან მოეწვიათ ცნობილი ნაფიცი ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. პრაქტიკოს-იურისტის მოწვევას იურიდიული განათლების საქმის ხელმძღვანელობისათვის ივანე ჯავახიშვილი იმით ასაბუთებდა, რომ ანდრონიკაშვილს ფართო ფილოსოფიური და იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული, ვექილად მუშაობის დროსაც თავი არ დაუნებებია არც ფილოსოფიისა და არც იურისპრუდენციისათვის, რუსეთში მან სახელი გაითქვა როგორც თეორეტიკოსმა და კანონების ინტერპრეტატორმა. ამიტომ სასურველი იყო მისი ცოდნისა და ნიჭის გამოყენება ჩვენი უნივერსიტეტისათვის.[1]

ლ. ანდრონიკაშვილი 1921 წელს დაბრუნდა საქართველოში. მისმა მრავალფეროვანმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დასტოვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. იგი იყო საქართველოში იურიდიული განათლების ფუძემდებელი და ორგანიზატორი, შთაგონებული ლექტორი და თავდადებული პედაგოგი. მან აღზარდა საქართველოში მეცნიერი და პრაქტიკოსი საბჭოთა იურისტების პირველი კადრები, ხელი შეუწყო ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებას. იგი იყო უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენტური მრჩეველი იურიდიულ საკითხებზე და არა ერთხელ გა-

---

[1] ივანე ჯავახიშვილის ხელით დაწერილი დოკუმენტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილზე გამოავლინა და გამოაქვეყნა ს. ჯორბენაძემ. იხ. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის". „საბჭოთა სამართალი", 1973, № 4, გვ. 67-68.

უწევია საბჭოთა სახელმწიფოსათვის სამსახური, განსაკუთრებით უცხოეთის მსხვილ საწარმოებთან წამოჭრილი დავების განხილვის დროს. ლ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა საბჭოთა საქართველოს მრავალი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის შემუშავებაში. ოქტომბრის რევოლუციამდე ლ. ანდრონიკაშვილი იყო განთქმული ნაფიცი ვექილი, ქალაქ ბაქოს უცვლელი იურისკონსულტი, ხოლო სხვადასხვა დროს — ქ. პეტერბურგისა და ბათუმის იურისკონსულტიც. ლ. ანდრონიკაშვილის არსებობის ერთადერთი წყარო იყო ის შემოსავალი, რომელსაც იგი იურისკონსულტობისა და სამოქალაქო საქმეებში მონაწილეობისათვის იღებდა და მაინც მისი ძირითადი საქმიანობა, რომელიც მას არათუ არავითარ შემოსავალს არ აძლევდა, არამედ ზოგჯერ თვით მისგან მოითხოვდა გარკვეულ ხარჯს, — ეს იყო გამოსვლა სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებზე. რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში მან სახელი გაითქვა როგორც გამოჩენილმა პოლიტიკურმა დამცველმა. იგი დაუღალავად და ენერგიულად, მაშინდელი ვექილისათვის მისაწვდომი ყველა საშუალებით, ებრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობას და ცდილობდა შეემსუბუქებინა რევოლუციონერთა და პროგრესულ მოღვაწეთა ბედი, რომელთაც მეფის სასამართლოს დამოკლეს მახვილი ემუქრებოდა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეძლებისდაგვარად გააშუქოს ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა პოლიტიკური დაცვის სარბიელზე.

დასასრულ მინდა მადლობა გადავუხადო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს ი. ფუტკარაძეს—ძველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ლ. ანდრონიკაშვილის შესახებ მოთავსებული ცნობების შეკრებისათვის და უმცროს მეცნიერ თანამშრომელს ე. მისკარიანს — ლ. ანდრონიკაშვილის არქივის დამუშავებისათვის, რის გარეშეც ამ წიგნის დაწერა შეუძლებელი იქნებოდა, აგრეთვე ძველი რუსული ჟურნალ-გაზეთებიდან ზოგიერთი ამონაწერის მოწოდებისათვის.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი 1892 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. 1894 წელს იგი ტოვებს პეტერბურგს და ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება გერმანიაში, სადაც ისმენს ფილოსოფიის კურსს ჯერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში კუნო ფიშერთან, ხოლო შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტში — ვინდელბანდთან. იმავე დროს ისმენს გამოჩენილი გერმანელი იურისტების — ელინეკისა და ლაბანდის ლექციებს სახელმწიფო სამართალში. 1897 წლის ბოლოს ლ. ანდრონიკაშვილი უბრუნდება პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, რომელსაც 1899 წელს ამთავრებს.[1]

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილის წინაშე მეცნიერული მუშაობის ბრწყინვალე პერსპექტივა გადაიშალა. ჯერ კიდევ კუნო ფიშერის სემინარში მუშაობის დროს მან დაწერა გამოკვლევა ფიხტეს შესახებ და ამ გამოკვლევის საფუძველზე წინადადება მიიღო დარჩენილიყო საპროფესოროდ მოსამზადებლად ფილოსოფიის დარგში. ასეთივე შესაძლებლობა ჰქონდა მას პეტერბურგის უნივერსიტეტის

---

[1] გაზეთ „ივერიას"-ს 1899 წლის 12 ივნისის ნომერში პირველ გვერდზე „ახალ ამბებში" დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: „პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრა 8 ქართველმა: იურიდიულს ფაკულტეტზედ: ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, თავ. იოსებ ბარათაშვილმა, ვას. ქიქოძემ, ალ. კანდელაკმა, გიორგი კობეშავიძემ, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ — ბიქტორ კანდელაკმა, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზედ—ოქროს მენდლით და 1-ლ ხარისხის დიპლომით თავ. ივ. ჯავახიშვილმა".

დამთავრების შემდეგაც, მაგრამ ძახ ეს ძესაძლებლობები არ გამოიყენა.

ლ. ანდრონიკაშვილს იმ პერიოდში უხდებოდა სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც რუსეთი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „რევოლუციით იყო ფეხ-მძიმე". ფართო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა. მუშებისა და სტუდენტ-ების დემონსტრაციები, გაფიცვები, რომლებიც ხშირად მეფის ხელისუფლებისათვის საშიშ ფორმას იღებდნენ, ხელისუფლ-ებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, აჯანყებები არმიაში, გლეხთა აჯანყებები და სხვ. წინ უსწრებდნენ „ქა-რიშხლისა და შეტევის" სამწლეულს. მეფის ხელისუფლება ულმობლად უსწორდებოდა რევოლუციური მოძრაობის მო-ნაწილეებს, მიმართავდა მასობრივ რეპრესიებს, გადასახლ-ებებს და სხვ. მრავალ რევოლუციონერს მეფის სასამართლოს წინაშე უხდებოდა წარდგომა.

თავისი პოლიტიკური შეხედულებებისა და მგზნებარე ტემ-პერამენტის გამო, ლ. ანდრონიკაშვილი გულგრილი ვერ დარ-ჩებოდა ამ განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. სამართლის პროფესორის მშვიდ და საპატიო კარიერას მან პოლიტიკური დამცველის მღელვარე პროფესია არჩია[1]. 1899 წელს იგი ჩა-ეწერა ქ. პეტერბურგის ნაფიც ვექილთა კორპორაციაში, რათა რევოლუციონერთა დაცვით თავისი წვლილი შეეტანა თვით-მპყრობელობასთან ბრძოლაში. თავდაპირველად იგი მუშაობ-და ნაფიცი ვექილის თანაშემწედ ადვოკატ ვატსონთან, შემდეგ ლ. ვ. განტოვერთან და, ბოლოს, მ. მ. ვინავერთან. ამავე დროს

---

[1] საინტერესოა, რომ ჟურნალი „კლდის" 1912 წლის 14 ოქტომბრის მე-5 ნომერში უცნობი ავტორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილისათვის მიძ-ღვნილ წერილში წერდა: „გერმანიაში მან დაჰყო სულ ორწელიწად ნახე-ვარი და ეს დრო გაატარა დიდს შრომასა და მეცადინეობაში. მერე ისევ პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა, რომლის გათავების შემდეგ საუნი-ვერსიტეტო კათედრაზედ აპირებდა დარჩენას, მაგრამ წყნარი სამეცნიერო ასპარეზი მას გასცვალა უფრო მოძრავ პროფესიაზედ — ადვოკატობაზე. ამის მიზეზი იყო, — ერთის მხრით ნიშნები ხალხის მოძრაობის მოახლოვე-ბისა, რომელიც ჰსაჭიროებდა უფრო ფიცხელ მუშაობას, ვიდრე მეცნიერის დინჯ მოღვაწეობას, და მეორეს მხრით, — ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ენერგიით სავსე და მხურვალე ტემპერამენტიანი არსება".

მონაწილეობას იღებდა ნაფიც ვექილთა თანაშემწეების თეორიულ კონფერენციებში, რომელთაც გამოჩენილი ადვოკატი ე. ი. პასოვერი ხელმძღვანელობდა. ნაფიც ვექილის თანაშემწის ხუთწლიანი სტაჟის გავლის შემდეგ, ანდრონიკაშვილის გვარი შეიტანეს პეტერბურგის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც ვექილთა სიაში. როგორც ჟურნალ „კლდეში“ დაბეჭდილი ხელმოუწერავი წერილის ავტორი გვამცნობს, „მალე მან მოიხვეჭა სახელი ნიჭიერის და დიდად განათლებულის ადვოკატისა. თითქმის არც ერთი პროცესი, რომელიც კი წარმოშვა რეაქციის მძვინვარებამ, უიმისოდ არ წარმოებულა და ყოველთვის იგი იღებდა თვალსაჩინო მონაწილეობას“.[1]

ადვოკატურაში შესვლისთანავე, ლ. ანდრონიკაშვილი მიემხრო ახალგაზრდა ნაფიც ვექილთა თანაშემწეების ეგრეთ წოდებულ „მემარცხენე ჯგუფს“, რომლის ინიციატივითაც 1900 წელს პეტერბურგში შლისელბურგის ტრაქტზე და ვასილიევის კუნძულზე შეიქმნა პირველი უფასო კონსულტაციები პეტერბურგის მუშებისა და უღარიბესი მოსახლეობისათვის. ამ „კონსულტაციების“ ორგანიზატორთა შორის ლ. ანდრონიკაშვილიც იყო. მოგონებებში ალექსანდრე ზარუდნის შესახებ ლ. ანდრონიკაშვილი წერდა: „ამ კონსულტაციების ინიციატორმა ვლადიმერ ბერენშტამმა ასე ჩამოაყალიბა კონსულტაციების ამოცანები და მიზანი: „ვაჭართა სამართალი საკმარისად არის დამუშავებული და სულაც არ არის საჭირო, რომ დემოკრატიულად განწყობილმა ახალგაზრდა ძალებმა თავისი ძალღონე მის შემდგომ განვითარებას მოახმარონ. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მუშას, შინამოსამსახურეს... და საერთოდ დაქირავებულთ მათ ბრძოლაში იმ პირებთან, ვიზედაც ისინი არიან დამოკიდებული“.[2] თვით ანდრონიკაშვილი ხშირად იმეორებდა, რომ კონსულტაციები არ ამოიწურებოდა მხოლოდ იურიდიული დახმარებით. მათი ამოცანა იყო აგრეთვე რევოლუციური იდეების პროპაგანდაც უკეთესი სოციალური წყობილების დასამყარებლად.

---

[1] ჟურნ. „კლდე“, 1912 წ., 14 ღვინობის თვე, № 5, გვ. 2.

[2] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, დ-II (შემდგომ მივუთითებთ — „ანდრონიკაშვილის ფონდი“).

საკვირველი არ არის, რომ ახალგაზრდა ნაფიც ვექილთა თანაშემწეების „მემარცხენე ჯგუფი“ თავისი საქმიანობის იდეალად სწორედ პოლიტიკურ საქმეებზე გამოსვლას სახავდა. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ გამოჩენილ უფროს ვექილთა გარშემო და ისმენდნენ მოგონებებს 70-იანი და 80-იანი წლების ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი საუბარი 193 ბრალდებულის პროცესის[1] თაობაზე აღწერილი აქვს თვით ანდრონიკაშვილს:

„სმირნოვკაში“ (ასე ერქვა პეტერბურგის ადვოკატების სასაუზმეს) გრძელ და განიერ რბილ სავარძელზე წამოწოლილი საუბრობს ორი პირი: მცხოვანი ნაფიცი ვექილი გრაციანსკი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე, ლ. ანდრონიკაშვილის ტოლი და მეგობარი ბ. გ. ვინბერგი. ვინბერგი წარუდგენს გრაციანსკის ახალგაზრდა ლუარსაბს და თხოვს მას: „ნება მიეცით მასაც, მოისმინოს თქვენი საუბარი“, შემდეგ ამბობს: „ს. ხ. (გრაციანსკის ინიციალები—თ. წ.) ხშირად გვიამბობს ძველ პოლიტიკურ პროცესებზე. აი, მოისმინეთ“. გრაციანსკი განაგრძობს: „პ. ა. პოტიოხინი[2] უეჭველად გაბედული და საზოგადოებრივი ალღოს მქონე პიროვნება იყო. მახსოვს მისი გამოსვლა 193-ის პროცესზე. თავისი სიტყვის დასასრულს, როდესაც სასტიკად გააკრიტიკა ბრალდება და გადავიდა სასჯელის მკაცრ ზომაზე, რომელსაც პროკურორი მოითხოვდა, პოტიოხინმა ასე მიმართა მოსამართლეებს: — „აბა, რა უნდა ვთქვა ამ საზარელ სასჯელზე? როდესაც მეფე იოანე მრისხანე ნოვგოროდს უახლოვდებოდა, მას შეეგება ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი და ასე მიმართა: — მეფევ, შენმა ოპრიჩნიკებმა ბევრი სისხლი დაღვარეს. კმარა! გაფიცებ ამ ჯვარს, ბრძანე — შეწყდეს სისხლის ღვრა! ეს იყო 1477 წელს. და ახლა 1877 წელს, 400 წლის შემდეგ, დაცვა ეუბნება სასამართლოს: „კმარა! მეფის ოპრიჩნიკე-

---

[1] „193-ის პროცესი“ — ნაროდოვოლცების ერთ-ერთი მეტად გახმაურებული პოლიტიკური პროცესია, რომელიც ჩატარდა 1877 წლის შემოდგომაზე. იგი აღწერილი აქვს კონის თავის მოგონებაში ვერა ზასულიჩის შესახებ (იხ. А. Ф. Кони, Избранные произведения, т. II, М., 1959, стр. 42—50).

[2] პ. ა. პოტიოხინი, გამოჩენილი რევოლუციამდელი პოლიტიკური დამცველი, მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ბი მეტად ბევრ სისხლს ღვრიან“... მაგრამ სენატის საგანგებო საკრებულოს თავმჯდომარემ შესაძლებლობა არ მისცა პოტიოხინს სიტყვა დაემთავრებია. აღელვებულმა და დაბნეულმა თავმჯდომარემ იმის მაგივრად, რომ ეთქვა „სიტყვას გიკრძალავთო“ (я вам запрещаю), იყვირა „წყეულიმც იყავით“ (я вас проклинаю). აღშფოთებულმა განსასჯელებმა პროტესტის ნიშნად საშინელი ყვირილი ატეხეს. შეშინებულმა სენატორებმა სასამართლო დარბაზი მიატოვეს და გაიქცნენ. არ დაიბნა მხოლოდ სასამართლოს ბოქაული ბალახანოვი. იგი მოულოდნელად სკამზე შეხტა და დაიღრიალა: „სასამართლოს სხდომას შეწყვეტილად ვაცხადებ“.[1]

ასეთი იყო ის გარემო, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილი იმთავითვე მოხვდა და სულ ცოტა ხნის განმავლობაში საპატიო ადგილი დაიჭირა.

ვიდრე ლ. ანდრონიკაშვილის ნაფიც ვექილად მოღვაწეობას შევეხებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა ვითარებაში უხდებოდა მოღვაწეობა იმდროინდელ პოლიტიკურ ადვოკატს, რა სიძნელეები ეღობებოდა მას მეფის სასამართლოში.

1904 წლამდე სახელმწიფო დანაშაულთა სასამართლო წესით განხილვა რუსეთში არსებითად გაუქმებული იყო. პოლიტიკურ საქმეთა დიდი უმრავლესობა ადმინისტრაციული წესით წყდებოდა. ასეთი წესი მე-19 საუკუნის 70-იანი წლების განმავლობაში თანდათანობით დამკვიდრდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც სენატის საკრებულოში ნაროდოვოლცების[2] დიდი პროცესები ჩატარდა („50-ის საქმე,“ „193-ის პროცესი“, ვ. ზასულიჩის პროცესი და ა. შ.). ამ პროცესებმა, თუმცა პირველი ორი კარდახშულში მომდინარეობდა, მაინც ხელი შეუწყო მეფის ხელისუფლების სამარცხვინო მოქმედე-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, დ-11.

[2] ნაროდოვოლცების ცნობილი პროცესი ჩატარდა 1877 წლის თებერვალში (იხ. ა. კონი, დასახ. ნაშრ., გვ. 14-15); როგორც ცნობილია, ამ პროცესის მთავარი მონაწილენი ქართველი ნაროდოვოლცები: ჯაბადარი, ციციშვილი, გამყრელიძე, ზდანოვიჩი და სხვ. იყვნენ (იხ. აკაკი სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973, გვ. 378).

ბათა გამომზეურებას. მეფის ხელისუფლებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო პოლიტიკური საქმეების ადმინისტრაციული განხილვა, რადგან ასეთ შემთხვევაში საქმეს, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, მეფის ერთგული მსახურნი საიდუმლოდ წყვეტდნენ. ადმინისტრაციული წესი არ ვრცელდებოდა მხოლოდ იმ დანაშაულზე, რომლისთვისაც კანონი სიკვდილით დასჯას და კატორღას ითვალისწინებდა.

ასეთი წესი 1904 წლამდე გრძელდებოდა. 1904 წლის ივნისში გამოვიდა კანონი, რომელიც ორ მნიშვნელოვან მომენტს შეიცავდა:

ჯერ ერთი, მან გააუქმა 1845 წლის სასჯელთა სჯულდების ის თავი, რომელიც სახელმწიფო დანაშაულს შეეხებოდა და მის მაგივრად სამოქმედოდ შემოიღო 1903 წლის სისხლის სჯულდების შესაბამისი ნორმები.[1]

მეორე, ამ ახალმა კანონმა აღადგინა სახელმწიფო დანაშაულის საქმეთა განხილვის სასამართლო წესი. სახელდობრ, ამ საქმეთა განხილვა მან დაავალა სასამართლო პალატების განსაკუთრებულ საკრებულოებს წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პალატებთან 1904 წელს სასწრაფოდ იქმნებოდა განსაკუთრებული საკრებულოები პოლიტიკურ საქმეთა განსახილველად.

ადმინისტრაციული განხილვის შეცვლა სასამართლოს განხილვით თითქოსდა ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო პოლიტიკური დამნაშავეებისათვის, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ახალმა წესმა ოდნავაც არ გამოასწორა განსასჯელთა მდგომარეობა. საქმის წინასწარი გამოძიების განსაკუთრებული წესები, რომლებიც შემოღებული იყო პოლიტიკური დანაშაულისათვის,

---

[1] 1904 წლამდე რუსეთის იმპერიაში 1845 წლის სასჯელთა სჯულდება მოქმედებდა. მისი არქაული დებულებანი სახელმწიფო დანაშაულთა შესახებ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში შემუშავდა და, როგორც პროფ. ნ. პოლიანსკი აღნიშნავს, ფორმითაც და შინაარსითაც მოძველებული იყო. „მისგან განსხვავებით, 1903 წლის სისხლის სჯულდება სავსებით მისაღები იყო ფორმით, და ამავე დროს იგი არა თუ არ ჩამოუვარდებოდა ძველ სასჯელთა სჯულდებას, არამედ მასზე შორსაც მიდიოდა იმ მხრივ, რომ ფართოდ ითვალისწინებდა მთავრობის საწინააღმდეგო განწყობის გამომჟღავნების ყოველგვარი ფორმის დასაჯადობას“ (Н. Н. Полянский. Царские военные суды в борьбе с революцией 1905—1907 гг., М., 1958, стр. 5).

სავსებით აბათილებდნენ იმ უპირატესობას, რომელიც უნდა ჰქონოდა სასამართლო განსჯას ადმინისტრაციულთან შედარებით. ეს წესები სრულიად არ უზრუნველყოფდნენ პოლიტიკური დამნაშავის უფლებებსა და ინტერესებს.

პოლიტიკურ დანაშაულთა მიმართ, სისხლის სამართლის დანაშაულისაგან განსხვავებით, არსებითად გაუქმებული იყო წინასწარი გამოძიების სტადია. თუ პროკურორი მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური პოლიციის (ჟანდარმერიის) მიერ ჩატარებული მოკვლევით საქმე საკმაოდ ნათელია, მას უფლება ჰქონდა მოკვლევის სტადიიდან საქმე პირდაპირ სასამართლოში გადაეგზავნა.[1] ცნობილია, რომ ჟანდარმერიის მოკვლევა თითქმის ყოველთვის სიყალბეზე იყო აგებული. როგორც შემდგომ, კონკრეტული პროცესების განხილვისას, დავრწმუნდებით, ჟანდარმერია ფართოდ იყენებდა პრისტავების, გოროდოვოების, პროვოკატორების ცრუ ჩვენებებს, თხზავდა ყალბ წერილობით დოკუმენტებს, მიმართავდა წამებას, თაღლითობას და სხვა დაუშვებელ ხერხებს. პროკურორები კი ასეთი მეთოდებით შეთითხნილ მასალას თითქმის ყოველთვის საკმარისად თვლიდნენ, მოკვლევის მიღებისთანავე საბრალდებო დასკვნას ადგენდნენ და საქმეს სასამართლოში გზავნიდნენ.

სახელმწიფო დანაშაულის მიმართ გაუქმებული იყო აგრეთვე სამართალში მიცემის სტადიაც. საქმე განსახილველად ინიშნებოდა განმწესრიგებელი სხდომის გარეშე.[2]

---

[1] მოკვლევა საქმის დასაწყის სტადიას წარმოადგენდა და წინ უსწრებდა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრას. როგორც რევოლუციამდელი პროცესუალისტი როზინი აღნიშნავდა, მას ყველგან ცნობების მოპოვების ხასიათი ჰქონდა. ამასთან დაკავშირებული იყო მოკვლევის ორგანოების მიერ შეკრებილი ცნობების ზერელე ხასიათი, რის გამოც სასამართლო ამ ცნობებს ეკვის თვალით უყურებდა (იხ. Н. Н. Розин, Угловное судопроизводство. Петроград, 1916, стр. 461). იგივე როზინი მიუთითებს, რომ, თუ სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევას ეკვის თვალით უყურებდნენ, ასეთივე არ იყო მისი მნიშვნელობა სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებზე, სადაც იგი გათანაბრებული იყო წინასწარ გამოძიებასთან (იქვე, გვ. 461, შენიშვნა მე-11).

[2] მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორს საბრალდებო დასკვნა უნდა წარედგინა სასამართლო პალატისათვის, ხოლო სასამართლო პალატას საქმის საბოლოო განხილვამდე ეგრეთწოდებულ გან-

კიდევ უფრო მძიმე იყო პოლიტიკურ დამნაშავეთა მდგომარეობა სამხედრო სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ 1905 წლის რევოლუციისა და მომდევნო რეაქციის პერიოდში პოლიტიკურ საქმეთა დიდ უმრავლესობას სამხედრო სასამართლოები იხილავდნენ. სამხედრო სასამართლოებს უფლება ჰქონდათ განესაჯათ არა მარტო სამხედრო პირების, არამედ აგრეთვე სამოქალაქო პირთა საქმეებიც. სამხედრო სასამართლოებისათვის პოლიტიკურ დანაშაულთა საქმეების გადაცემა ემყარებოდა 1881 წლის 14 აგვისტოს დებულებას „გაძლიერებული და განსაკუთრებული დაცვის შესახებ". თუმცა ეს დებულება თავდაპირველად 3 წლით გამოიცა, მაგრამ ყოველი 3 წლის გასვლისთანავე მის ვადას ისევ 3 წლით აგრძელებდნენ და ასე დაუსრულებლად. რა საქმეები შეიძლებოდა გადასცემოდა სამხედრო სასამართლოს 1881 წ. 14 აგვისტოს დებულების თანახმად? დებულება განასხვავებდა ისეთ ადგილებს, სადაც არ იყო გამოცხადებული განსაკუთრებული მდგომარეობა, და ადგილებს, სადაც გამოცხადებული იყო განსაკუთრებული მდგომარეობა. პირველ შემთხვევაში შინაგან საქმეთა მინისტრს, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, შეეძლო გადაეცა სამხედრო სასამართლოსათვის იმ სამოქალაქო პირის საქმე, ვისაც ბრალდებოდა: 1) სახელმწიფო დანაშაული და 2) ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა ან თავდასხმა ჯარის ან პოლიციის მოხელეზე ან საერთოდ ყოველ თანამდებობის პირზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან შესრულებასთან დაკავშირებით, თუ ამ დანაშაულს თან ახლდა მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება, დაშავება, ძლიერად ცემა ან ცეცხლის წაკიდება.[1] ამ დანაშაულთა სია კიდევ უფრო ფართოვდებოდა როდესაც ესა თუ ის ადგილი გადაყვანილი იყო განსაკუთრე-

---

მწესრიგებელ სხდომაზე უნდა გამოეტანა საბოლოო დადგენილება დამნაშავის სამართალში მიცემის შესახებ. სასამართლო პალატას შეეძლო ამ სტადიაზე გამოეტანა აგრეთვე დადგენილება საქმის შეწყვეტის ან დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნის შესახებ (იხ. ზემოთ დასახ. შრომა, გვ. 477).

[1] იხ. В. М. Гессен, Исключительное положение, С.—П., 1908, стр. 255-256.

ბულ მდგომარეობაზე. აქ გენერალ-გუბერნატორს შეეძლო გადაეცა სამხედრო სასამართლოსათვის არა მარტო ცალკეული საქმეები, არამედ საქმეთა მთელი კატეგორიები თავისი შეხედულებისამებრ.

თუ საქმე სამხედრო სასამართლოს 1881 წლის დებულების საფუძველზე გადაეცემოდა, მას უფლება ჰქონდა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის საქმეებზე სიკვდილით დასჯა გამოეტანა.[1]

სამოქალაქო პირთა საქმე შეიძლებოდა გადასცემოდა სამხედრო სასამართლოებს აგრეთვე „სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანილი ადგილების შესახებ“ 1892 წ. წესდების საფუძველზე. ეს წესდება მოითხოვდა განსასჯელების მიმართ სამხედრო დროის კანონების გამოყენებას. ამ შემთხვევაში საქმეთა გადაცემა დამოკიდებული იყო გენერალ-გუბერნატორზე ან სამხედრო უფროსზე, რომელთა უფლებამოსილება ამ მხრივ მეტად ფართო იყო. მათ შეეძლოთ გადაეცათ სამხედრო სასამართლოსათვის არა მარტო სახელმწიფო და სხვა მძიმე დანაშაულის საქმეები, არამედ ყოველი სისხლის სამართლის საქმე.

მეტად მძიმე იყო სამხედრო სასამართლოებში საქმეთა განხილვის პროცესუალური წესებიც. რა თქმა უნდა, სამხედრო სასამართლოებიც სჯერდებოდნენ მოკვლევის მასალებს, წინასწარი გამოძიების მაგივრად, მაგრამ ამასთან ერთად ყველა პროცესუალური ვადა აქ შემცირებული იყო. ასე, მაგალითად, თუ ჩვეულებრივ სასამართლოში ბრალდებულს, მისთვის საბრალდებო დასკვნის ჩაბარების შემდეგ 7 დღის განმავლობაში შეეძლო აერჩია დამცველი და განეცხადებინა შუამდგომლობა მოწმეთა გამოძახების შესახებ, სამხედრო სასამართლოში მას საამისოდ მხოლოდ 24 საათი ეძლეოდა. ასევე, თუ მშვიდობიანობის დროს მსჯავრდებულს სამხედრო სასამართლოშიც შვიდი დღე ჰქონდა მიცემული საკასაციო საჩივრის შესატანად, სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანის შემთხვევაში ეს ვადა

---

[1] 1881 წ. დებულება ტერმინს „სიკვდილით დასჯა“ არ ხმარობდა, მაგრამ მიუთითებდა, რომ სასამართლომ განსასჯელებს უნდა მიუსაჯოს სასჯელთა სამხედრო წესდების 279-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი; ეს მუხლი კი სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

48 საათს უდრიდა, თანაც გენერალ-გუბერნატორს, რომლისთვისაც უნდა წარედგინათ საკასაციო საჩივარი მთავარ სამხედრო სასამართლოში გადასაცემად, უფლება მიეცა არ მიეღო ეს საჩივარი, თუკი მიიჩნევდა, რომ არმიის, სამხედრო დისციპლინის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად აუცილებელია განაჩენის დაუყოვნებლივ აღსრულება. რაღა თქმა უნდა, გენერალ-გუბერნატორები ამ უფლებას ფართოდ იყენებდნენ.

კიდევ უფრო შეიზღუდა ბრალდებულის პროცესიალური უფლებები 1907 წლის 27 ივნისის კანონით. ამ კანონის თანახმად, საქმე განსახილველად უნდა გადასცემოდა სამხედრო სასამართლოს დაუყოვნებლივ, როგორც კი ბრალდებულს საბრალდებო დასკვნა ჩაბარდებოდა, ხოლო საკასაციო საჩივრის ვადა 24 საათამდე შემცირდა. თუ წინათ, სამხედრო დროის კანონების მიხედვით, მთელი საქმის მოძრაობისათვის ორი კვირის ვადა არსებობდა, ეხლა ამის მაგივრად 4 დღე იქნა დაწესებული. გაზეთი „პრავო“ ასე წერდა აღნიშნული კანონის თაობაზე: „ვფიქრობთ, საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ თუ წინანდელი ვადებიც ძლივს-ძლივობით იძლეოდნენ საგამოძიებო და სასამართლო მასალის კეთილსინდისიერად და გულდასმით შესწავლის შესაძლებლობას, ახლანდელი ვადები, რომლებიც ენერგიული და ეფექტისადმი მისწრაფებული საქმიანობის შემთხვევაში 1-2 დღემდეც შეიძლება შემოკლდეს, იმის საფრთხეს ქმნიან, რომ სამხედრო-საოლქო სასამართლოები სამართალწარმოების სისწრაფით სამხედრო-საველე სასამართლოებს დაეწევიან და სასამართლო შეცდომებისა და უსამართლო განაჩენების ისეთსავე პროცენტს მოგვცემენ, როგორსაც სამხედრო-საველე სასამართლოები იძლევიან“.[1] წერილის ავტორი თვლის, რომ „1907 წლის 27 ივნისის კანონი ჩვენს ეპოქაში სამართლისა და მართლმსაჯულების დაცემის მაუწყებელი ერთ-ერთი უაღრესად სავალალო საკანონმდებლო ძეგლია[2].

---

[1] Ник. Ставрогин, Закон 27 июня 1907 г., «Право», 1907 г., № 28, стб. 1931.

[2] იქვე, სვ. 1932.

ეს კანონი, რომელიც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორების მიზნით მიიღეს, მთელი თავისი სიმძიმით ბრალდებულს აწვებოდა. სამართლის საკითხებში გამოუწვრთნელი ბრალდებული მარტოდ-მარტო უმწეოდ იდგა მძიმე ბრალდების წინაშე, რომელიც ხშირად მის სიცოცხლეს ემუქრებოდა. მას რამდენიმე საათში, ზოგჯერ კი რამდენიმე წუთში უნდა დაესახელებინა მოწმეები, ექსპერტები, დამცველი. ყოველი დაგვიანება, ყოველი შეცდომა მისთვის შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო.

ასეთ პირობებში მისი ერთადერთი მხარდამჭერი, მისი ინტერესების ერთადერთი დამცველი ადვოკატი იყო. პოლიტიკური დამცველი გრუზენბერგი ასე აგვიწერს ადვოკატის მდგომარეობას რეაქციის მძვინვარების პერიოდში: „უკვე 6 წელია, რაც რუსეთის ადვოკატურას ნება დაერთო მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესებში პოლიტიკურ საქმეებზე. მძიმე, აუტანელია ეს წლები. ძალთა უკიდურესი დაძაბვით, საკუთარ ინტერესთა დავიწყებით ჩვენი ამხანაგები უზარმაზარი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ასრულებდნენ თავის ხშირად უჩინარ, მაგრამ დიად საქმეს — იცავდნენ პიროვნებას სახელმწიფოს თავდასხმისაგან, ბრალდების შეცდომებისა და უსამართლობისაგან. ამ სამუშაოს ისინი ასრულებდნენ უმთავრესად მათთვის აქამდე უცნობ სამხედრო სასამართლოებში, ხშირად კარდახშულში, მოკლებულნი ახლობლებისა და ძვირფასი ადამიანების გამამხნევებელ მხარდაჭერას... ცივი კედლები და შენ მარტო ხარ კლიენტთან უცხო და გულგრილ ადამიანთა შორის“.[1]

ასეთ ვითარებაში უხდებოდა მოღვაწეობა პოლიტიკურ დამცველს იმ პერიოდში, როცა ლ. ანდრონიკაშვილი სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა. უფრო ნათელი სურათი გვექნება, როცა შევეხებით პოლიტიკურ პროცესებს, რომლებშიც მას მონაწილეობა მოუხდა.

1904 წლიდან, როგორც კი პოლიტიკური საქმეები მეფის კანცელარიის მე-3 (საიდუმლო) განყოფილებიდან ამოღებულ

---

[1] იხ. გრუზენბერგის გამოსვლა ნაფიცი ვექილის გილერსონის საქმეზე, გაზეთი «Право», 1909 წ., 15 ნოემბერი, № 46, სვ. 2503-2504.

იქნა და სასამართლოებს გადაეცა, მემარცხენე ნაფიც ვექილთა წინაშე დადგა საკითხი: როგორი უნდა იყოს მათი პოზიცია ამ პროცესებში მონაწილეობის მიმართ. იგივე პირები, რომელთა ინიციატივითაც პეტერბურგის უსასყიდლო საკონსულტაციო ბიუროები შეიქმნა, შეიკრიბნენ ამ საკითხის გადასაწყვეტად, როგორც ლ. ანდრონიკაშვილი იგონებდა, კერძო პირის ბინაზე. კრების მონაწილენი დაცვის პოზიციის საკითხის გაგაწყვეტისას ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთი ნაწილი მოუწოდებდა მემარცხენე ადვოკატებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ სასამართლოსათვის, თანაც თავის აზრს ასე ასაბუთებდა: სინამდვილეში სასამართლო პროცესი მხოლოდ თვალთმაქცობა იქნება. „მემარცხენე ადვოკატებს“, რომლებიც თავის თავს პოლიტიკურ ჯგუფად თვლიან, ზნეობრივი უფლება არა აქვთ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობით სანქცია მისცენ ამ თვალთმაქცობას.

მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელსაც ლუარსაბ ანდრონიკაშვილიც ეკუთვნოდა, საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ჯერ ერთი, ამბობდნენ ამ ჯგუფის წარმომადგენლები, პოლიტიკურმა დამნაშავემ შესაძლებელია თვით მიმართოს დასახმარებლად ადვოკატს. ექნება თუ არა ადვოკატს ზნეობრივი უფლება უარი უთხრას რევოლუციონერებს ასეთი დახმარების აღმოჩენაზე. მეორე, რაც მთავარია, პოლიტიკური დაცვა მიზნად არ უნდა ისახავდეს მხოლოდ ვიწრო პროფესიულ ამოცანას — განსასჯელის გამართლებას ან მისი ბედის შემსუბუქებას. იგი საზოგადოებრივ სამსახურამდე უნდა ამაღლდეს. დამცველის სკამი გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ტრიბუნა რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის, საზოგადოებრივი აზრის გაღვიძებისა და გააქტიურებისათვის. ამისათვის კი საჭიროა დაცვის იდეური სოლიდარობა განსასჯელებთან, დაცვის ფუნქციის ისეთი განაწილება, რომ საქმის პოლიტიკური მნიშვნელობა ამომწურავად იქნეს გაშუქებული პროცესის მსვლელობაში; დაბოლოს, დაცვა უნდა წარმოადგენდეს იმ წყაროს, რომლის მეშვეობით თავისუფლებას მოკლებული განსასჯელები იღებენ ინფორმაციას საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, ხოლო საზოგადოების ფართო წრეები — პროცესის პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და მისი

მიმდინარეობის შესახებ. დაცვა ამ ფუნქციის შესრულებას მაშინაც შეძლებს, როდესაც სასამართლო პროცესი კარდახშულში მიმდინარეობს. ზოგჯერ დამცველი შეიძლება ერთადერთი პირი აღმოჩნდეს, ვინც შეძლებს საზოგადოებას ჭეშმარიტი სიტყვა მიაწოდოს. თავისთავად ცხადია, დაცვა უფასო უნდა ყოფილიყო.

გაიმარჯვა მეორე თვალსაზრისმა. პეტერბურგის ადვოკატურაში დაარსდა მემარცხენე პოლიტიკურ დამცველთა ჯგუფი. მისი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ ა. ს. ზარუდინი, ო. ო. გრუზენბერგი, ნ. დ. სოკოლოვი, ძმები მ. ვ. და ვლ. ვ. ბერენშტამები, ლ. ნ. ანდრონიკაშვილი და სხვ. ასეთივე ჯგუფი ნ. კ. მურავიოვისა და ტესლენკოს ინიციატივით მოსკოვშიც შეიქმნა.

როგორც ლ. ანდრონიკაშვილი წერს, მემარცხენე ადვოკატთა კრებაზე გადაწყდა: „მემარცხენე ადვოკატურას მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა პოლიტიკურ პროცესში, მაგრამ დაცვას ის მიზანი უნდა ჰქონოდა, რომ სასამართლოში გაგრძელებულიყო საქმე, რომელიც პოლიტიკურმა დამნაშავეებმა სასამართლოს გარეთ დაიწყეს. დაცვის კათედრა უნდა ქცეულიყო საბრალდებო კათედრად მთავრობის წინააღმდეგ, დაცვას მორალურად და იურიდიულად მხარი უნდა დაეჭირა განსასჯელთა პოლიტიკური გამოსვლებისა და საქმიანობისათვის, სასამართლო უნდა გადაქცეულიყო არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის არენად. პოლიტიკური შინაარსის სიტყვებს გარდა, ჩვენმა ჯგუფმა პირველმა დააკანონა ობსტრუქცია სასამართლოს უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, სასამართლოს სხდომის დემონსტრაციულად მიტოვება განსასჯელებთან ერთად, ხოლო ხელისუფლებასთან ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში — გაფიცვაც, რომელიც ჩვენმა მემარცხენე ადვოკატურამ 1905 წელს განახორციელა.“[1]

პოლიტიკური დამცველის მოვალეობათა პირნათლად შეს-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, დ-2ა. საინტერესოა, რომ ანალოგიურად განსაზღვრავდა პოლიტიკური დაცვის ამოცანებს და მეთოდებს მოსკოვის ადვოკატურის გამოჩენილი წარმომადგენელი ნ. კ. მურავიოვი (იხ. Н. Н. Полянский, Царские военные суды в борьбе с революцией 1905—1907 гг., М., 1958, стр. 221—222).

რულება, ცხადია, მხოლოდ ისეთ ადვოკატებს შეეძლოთ, რომლებიც თითონაც რევოლუციურად იყვნენ განწყობილი. მემარჯვენე მიმართულების ადვოკატებს ამ ჯგუფში ადგილი არ ჰქონდათ. ცნობილია, რომ როდესაც კადეტთა პარტიის წევრმა ადვოკატებმა მოისურვეს მონაწილეობა მიეღოთ მუშათა დეპუტატების პირველი საბჭოს პროცესში, განსასჯელებმა და აგრეთვე დამცველთა უკვე ჩამოყალიბებულმა ჯგუფმა, რომელშიც ანდრონიკაშვილიც შედიოდა, უარი უთხრეს ამ ადვოკატებს მათ თხოვნაზე.[1]

[1] И. Мошинский (Конарский), Политическая защита в дореволюционных судах. «Девятый вал» (К десятилетию освобождения из царской каторги и ссылки), М., 1927, стр. 55.

თავი პირველი

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი როგორც დამცველი პოლიტიკურ საქმეებზე

ლ. ანდრონიკაშვილის დაცვითი სიტყვების სტენოგრაფიული ჩანაწერები არ არსებობს. მის არქივში არ გვხვდება წინასწარ დაწერილი სიტყვები სწორედ იმ სახით, როგორც ისინი სასამართლოში იყო წარმოთქმული. ლ. ანდრონიკაშვილის მიმართ ზედგამოჭრილია ის სიტყვები, რაც თვითონ მას ზ. ჩარუდნის შესახებ აქვს ნათქვამი: „იგი არ ეკუთვნოდა იმ პირთა რიცხვს, ვინც სასამართლოში წინასწარი გამოძიების დოკუმენტების საფუძველზე შედგენილი სიტყვით მოდიოდა და ვისაც მეტად უხაროდა, თუ სამსჯავრო ძიება სრულიად არ შეცვლიდა წინასწარი გამოძიების მიერ მოხაზულ სურათს, ვინც არტისტულად, ზოგჯერ თეატრალურადაც კი წარმოთქვამდა მრავალჯერ გადაწერილ და დაზეპირებულ სიტყვას".[1] ხშირად, განსაკუთრებით სამხედრო სასამართლოში, დაცვითი სიტყვის წინასწარი მომზადება შეუძლებელიც იყო. მოვუსმინოთ თვით ანდრონიკაშვილს: „პოლიტიკური დაცვა სხვაგვარ მებრძოლს მოითხოვდა: საქმის წინასწარი მოკვლევის, გამოძიებისა და შესწავლისათვის მიცემული უაღრესად მოკლე ვადები ხშირად არავითარ შესაძლებლობას არ იძლეოდნენ არათუ მთელი დაცვითი სიტყვის, არამედ მისი ცალკეული დეტალების წინასწარ მომზადებისათვის. პოლიტიკურ დამცველთა სიტყვები უმრავლეს შემთხვევაში ექსპრომტები იყო".[2]

ასეთი იყო ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვებიც პოლიტი-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, დ-11.

[2] იქვე.

კურ პროცესებზე. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ლ. ანდრონიკაშვილი სასამართლო პროცესისათვის გულდასმით არ ემზადებოდა და დაცვის პოზიციას წინასწარ არ აყალიბებდა. როდესაც მის არქივს ვეცნობით, გაოცებული ვრჩებით, როგორ ახერხებდა ანდრონიკაშვილი ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში საქმის ასე ღრმად, ყოველმხრივად და დეტალურად შესწავლას. აქაა მრავალი შენიშვნა საბრალდებო დასკვნის პირის ფურცლებზე, ნაჩქარევად დაწერილი, მაგრამ ზედმიწევნით მოფიქრებული სურათი მომავალი სამსჯავრო სხდომის მსვლელობისა და ჩამოყალიბება იმ საკითხებისა, რომლებიც პროცესზე უნდა იქნეს გაშუქებული. არაფერი არ რჩებოდა მისი ყურადღების გარეშე: არც საქმის ფაქტობრივი მხარე და არც მტკიცებულებანი, არც იურიდიული ანალიზი და კვალიფიკაცია, არც შემამსუბუქებელი გარემოებანი და, რა თქმა უნდა, საქმის პოლიტიკური მნიშვნელობა. ანდრონიკაშვილის არქივის შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდი გულმოდგინებით და იშვიათი გამჭრიახობით ეძებს იგი საბრალდებო დასკვნის სუსტ მხარეებს და იყენებს ყოველ, ზერელე თვალისათვის შეუმჩნეველ, დეტალს ბრალდების გასაქარწყლებლად. ყოველივე ეს შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანს, ვის პიროვნებაშიც შერწყმული იყო დიდი ბუნებრივი ტალანტი, ფართო და ყოველმხრივი განათლება, ფანტასტიკური შრომისუნარიანობა და რევოლუციური, მებრძოლი სული. ამას ემატებოდა შეუდარებელი ორატორული ნიჭი.

ლ. ანდრონიკაშვილის დაცვითი სიტყვები ჩვენ არ მოგვისმენია. აქა-იქ, ძველ ჟურნალ-გაზეთებში, ვხვდებით მისი სიტყვის მოკლე გადმოცემას საქმის თაობაზე მოთავსებულ ანგარიშთან დაკავშირებით. მის არქივში შემონახული ჩანაწერები ძირითადად სიტყვის აზრის გადმოცემაა და არა მისი ფორმისა. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: მას არასოდეს არ შეეძლო ერთხელ წარმოთქმული სიტყვის განმეორება იმავე ფორმით. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორ მაგალითს. არსებობს რამდენიმე მოგონება იმის თაობაზე, რომ ლ. ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ლ. ანდრონიკაშვილს ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს ადვოკატთა სხდომაზე. აი, რას გვიამბობს ამ სიტყვის თაობაზე ირაკლი ანდრონიკაშვილი:

„პეტერბურგში, როგორც კი ლევ ტოლსტოის გარდაცვალების ამბავი გაიგო, მან მაშინვე ადვოკატურას მიაშურა, სადაც თითქმის ყველა პეტერბურგელი ადვოკატი შეიკრიბა და მათ წინაშე სიტყვა წარმოუთქვამს. ამ სიტყვაზე მთელი პეტერბურგი ლაპარაკობდა. რამდენიმე დღის შემდეგ მამას ეწვია რუსეთის ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი ფ. დ. ბატიუშკოვი და სთხოვა გაემეორებინა თავისი სიტყვა მათ საზოგადოებაში. მამამ უარი უთხრა. შთაგონების განმეორება მას არ შეეძლო".[1]

მეორე ანალოგიური ამბავი გამიგონია პატივცემულ პავლე ინგოროყვას მეუღლის ქ-ნ ქეთო ბაქრაძე-ინგოროყვასაგან. ლ. ანდრონიკაშვილს, თუ არა ვცდები 1922 წელს (თარიღი ზუსტად არ მახსოვს), ქართულ თეატრში მარჯანიშვილის თხოვნით წაუკითხავს ლექცია ჰამლეტის შესახებ (თეატრი ემზადებოდა „ჰამლეტის" დასადგმელად).

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ლექციას მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და ამიტომ მწერლებს გადაუწყვეტიათ ეთხოვათ ანდრონიკაშვილისათვის ამ ლექციის ჩაწერა. რადგან ლ. ანდრონიკაშვილმა ამაზე უარი უთხრა, მათ გადაწყვიტეს მოეწვიათ ანდრონიკაშვილი პავლე ინგოროყვასთან, იქ ეთხოვათ ლექციის განმეორება და ეს ლექცია სტენოგრაფიულად ჩაეწერათ. ეს განხრახვა განუხორციელებელი დარჩა. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ეწვია ინგოროყვას, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ მისგან ლექციის განმეორებას მოითხოვენ, თანაც ამ ლექციას სტენოგრაფისტი ჩაიწერს, იგი მეტად განრისხებულა და ვახშამი მიუტოვებია.

ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ ლუარსაბ ანდრონიკაშვილზე, როგორც სასამართლო ორატორზე, ჩვენს ხელთ არსებული მცირე წერილობითი ცნობები უნდა შევავსოთ პირადი შთაბეჭდილებებით, რასაც ვიღებდით მისი ლექციების, მოხსენებების, მისალოცი სიტყვებისა და ა. შ. მოსმენით. ცხადია, ის, რასაც ამ გზით მივაღწევთ, ფინამდვილის მხოლოდ მკრთალი ანარეკლი იქნება.

---

[1] ეს ამბავი აღწერილია ირაკლი ანდრონიკაშვილის მოგონებებში მამის შესახებ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს არ ახასიათებდა იაფფასიანი მჭევრმეტყველება, მსუბუქი აზრის გარეგნულად შეკაზმვა, რაც ზოგიერთს ორატორის მთავარ ღირსებად მიაჩნია. ასეთ ორატორზე ანდრონიკაშვილი იტყოდა ხოლმე — „ფიზიოლოგიური ორატორია"-ო. არ უყვარდა აგრეთვე სანტიმენტალური და გულამაჩუყებელი სცენების გათამაშება და მსმენელთა გრძნობებზე ზემოქმედება.

ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის ძალა, უპირველეს ყოვლისა, აზრის სიღრმეში, ორიგინალობასა და მკაცრი ლოგიკური მსჯელობის უნარში იყო. აზრის ლოგიკურად განვითარებას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ მოთხოვნას თავის თავსაც უყენებდა და მოსაუბრესაც. ხშირად გაიგონებდით მისგან: „არისტოტელეს წინაშე ყველა თანასწორია"-ო.

ლ. ანდრონიკაშვილის ვაჟი ირაკლი ანდრონიკაშვილი ლოგიკური აზროვნების სიძლიერეს მისი გამოსვლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად თვლის. „იგი, — იგონებს ირ. ანდრონიკაშვილი, — ჩვენც გვამოწმებდა, თუ რამდენად ლოგიკური იყო ჩვენი მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე. თუ აღმოჩენდა შეცდომას მსჯელობაში და თანაც ცუდ გუნებაზე იყო— გვეტყოდა ხოლმე — „სისულელეა"! თუ კარგ გუნებაზე იყო, მშვიდად გვიხსნიდა, სად არის დარღვეული მსჯელობის ლოგიკური მსვლელობა".[1]

აზრის სიღრმეს, სინათლეს და ლოგიკურობას ავსებდა მისი იშვიათი ერუდიცია. ლ. ანდრონიკაშვილი უნივერსალურად განათლებული ადამიანი იყო. მას ღრმად (და არა დილეტანტურად) შესწავლილი ჰქონდა არა მარტო სამართლის მეცნიერების ყველა დარგი (სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართალი, სამართლის ფილოსოფია, პროცესი და სხვ.), არამედ აგრეთვე ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ზოგადი ისტორია, რელიგიის ისტორია, ლიტერატურა და ხელოვნება. ასეთი მრავალმხრივი განათლება და საოცარი მეხსიერება მას შესაძლებლობას აძლევდა ყოველ კონკრეტულ საქმეში ზოგადი კანონზომიერება დაენახა და ეჩვენებინა; ამავე დროს, საჭირო შემ-

---

[1] ირ. ანდრონიკაშვილის მოგონებები ლ. ანდრონიკაშვილზე.

თხვევაში, მოხდენილად მოეტანა საინტერესო შედარება ან მოეშველებინა რაიმე ისტორიული მაგალითი.

როგორც იურისტს, მას ახასიათებდა იურიდიული ანალიზისა და იურიდიული კონსტრუქციის ჩამოყალიბების აბსოლუტურად ორიგინალური უნარი და უნარი კანონმდებლობის ოსტატური განმარტებისა. ამის ნათელ დადასტურებას ვხვდებით იმ დაცვითი სიტყვების მონახაზებში, რომლებიც მის არქივშია შემონახული. სწორედ ამ უნარის გამო შესძლო ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა ზემოქმედება მოეხდინა სენატის პრაქტიკაზე ზოგიერთ საკითხში.

ლ. ანდრონიკაშვილის, როგორც მოაზროვნის, მეცნიერი იურისტის აღნიშნულ თვისებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პერიოდში, როცა მას პოლიტიკურ პროცესებზე უხდებოდა გამოსვლა, და აი რატომ.

თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დამცველები უმთავრესად არასპეციალისტ მსაჯულთა გრძნობებს მიმართავდნენ და ამიტომ მათი დაცვა უფრო ყოფაცხოვრებითსა და ფსიქოლოგიურ მომენტებზე იყო აგებული. ახლა კი, როდესაც პოლიტიკური საქმეები სასამართლო პალატის განსაკუთრებულ საკრებულოებს და სამხედრო სასამართლოებს გადაეცა, ადვოკატებს უფრო პროფესიული ენით უხდებოდათ საუბარი. ამას კიდევ ერთი გარემოება ემატებოდა. 1904 წელს, ახალი სისხლის სჯულდების შემოღებასთან დაკავშირებით, ძალა დაჰკარგეს სენატის მრავალრიცხოვანმა განმარტებებმა, რომლებიც აბლაბუდასავით გარს ეხვია ძველი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყოველ მუხლს და საშუალებას არ აძლევდა დამცველს ამ შემბორკველი განმარტებებისათვის თავი დაეღწია და კანონის გაგებაში რაიმე ცოცხალი აზრი შეეტანა. ახლა კი, ყოველ შემთხვევაში 1903 წლის სჯულდების შემოღების პირველ პერიოდში, დამცველს ცოტაოდენი გასაქანი მიეცა, რითაც ყველაზე განსწავლული და მოაზროვნე დამცველები ფართოდ სარგებლობდნენ და ცდილობდნენ კანონის დადგენილებები ისე განემარტათ, როგორც ეს განსასჯელთათვის იქნებოდა ხელსაყრელი. პროფ. ნ. ნ. პოლიანსკი აღნიშნავს: „ასე დაყენებული იურიდიული დაცვა წარმოადგენდა ბრძოლას იმისათვის, რომ ნებისმიერი კანონის ნაცვლად

სათანადო კანონი ყოფილიყო გამოყენებული, ბრძოლას სამართლისათვის — სამართლებრივი ფორმით შემოსილი ძალის წინააღმდეგ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრძოლას სამართლებრივი წესრიგისათვის. ხოლო იმ დროისათვის ეს იყო იმავდროულად ბრძოლა თვითმპყრობელობასთან როგორც თვითნებობისა და მიხედულების რეჟიმთან"[1].

რუსეთის მოწინავე ადვოკატურის შესახებ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მუშაობის უმძიმესი პირობებისა, მისი ბრძოლა ზოგჯერ წარმატებით გვირგვინდებოდა. ამ ადვოკატურაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ლ. ანდრონიკაშვილს ეჭირა. პოლიტიკურ და რელიგიურ დანაშაულთა საქმეებზე ახალი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში მან დიდი როლი შეასრულა. გამოჩენილი მეცნიერი იურისტი იური გამბაროვი, როდესაც ლ. ანდრონიკაშვილის პრაქტიკული საქმიანობის ამ მხარეს ახასიათებდა, წერდა, რომ „ანდრონიკაშვილის მიერ წარმოთქმულმა დასაცავმა სიტყვებმა და ძლიერად მოტივირებულმა დასკვნებმა ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ და რელიგიურ დანაშაულთა შესახებ საფუძველი ჩაუყარეს შემდგომ სასამართლო პრაქტიკას ამ დანაშაულთა განხილვის თაობაზე".[2]

მაგრამ ლ. ანდრონიკაშვილის, როგორც ადვოკატის, ძალა არ ამოიწურებოდა მხოლოდ აზრის სიძლიერითა და სიღრმით, მისი გადმოცემის ლოგიკური თანამიმდევრულობით. ადვოკატი როგორც პროფესიული ძალა — სასამართლო ორატორია, რომელსაც შესწევს უნარი აზრის მეშვეობით დაარწმუნოს მოსამართლე თავისი სიტყვის სისწორეში. რა თქმა უნდა, ყოველ მოაზროვნე ადამიანს შეუძლია დიდი შრომისა და გამოცდილების შედეგად შეიმუშავოს თავისი აზრის ნათლად და ლამაზად გადაცემის უნარი, მაგრამ ის ჭეშმარიტ ორატორად ვერ გადაიქცევა. ორატორული ნიჭი ისეთივე ბუნებრივი და თანდაყოლილია, როგორც პოეტური ნიჭი.

ორატორის სიტყვა შემოქმედებითი აზროვნების ნაყოფია, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება დაწერილი სიტყვი-

---

[1] Н. Н. Полянский, Царские военные суды в борьбе с революцией 1905—1907 гг., М., 1958, стр. 226-227.

[2] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, დ—8.

საგან. ორატორის შემოქმედებითი პროცესი უშუალოდ აუდიტორიის წინაშე მიმდინარეობს და ამ აუდიტორიის დარწმუნების ამოცანას ემსახურება. აი სწორედ ეს ბუნებით მომადლებული ნიჭი დარწმუნებისა, ადამიანზე ზემოქმედებისა ახასიათებდა ანდრონიკაშვილს როგორც ორატორს. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მძაფრად გრძნობდა აუდიტორიას და მას ჰქონდა აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების იშვიათი უნარი. აზრის სიღრმეს, მისი ლოგიკური თანამიმდევრობით გადმოცემის უნარს ემატებოდა გადმოცემის არაჩვეულებრივი ექსპრესიულობა, მიმიკისა და ჟესტიკულაციის დინამიურობა, შინაგანი შთამაგონებლობა. ყოველივე ეს მის სიტყვას საოცარი ზემოქმედების ძალას ანიჭებდა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სიტყვაში იგრძნობოდა უკიდურესი გულწრფელობა, უშუალობა, განსაკუთრებული ზნეობრივი სიფაქიზე და, რაც მთავარია, ღრმა რწმენა იმ საქმის სამართლიანობაში, რომელსაც იგი იცავდა. ასეთი შერწყმა აზრისა და სიტყვის ექსპრესიისა, ასეთი გულწრფელი და ღრმა დაჯერებულება იმის ჭეშმარიტებაში, რასაც ამტკიცებდა, ასეთი დაუოკებელი ტემპერამენტი მსმენელებზე მომაჯადოებელ ზეგავლენას ახდენდა. და სწორედ ამაში იყო მისი ძალა როგორც სასამართლო ორატორისა. ტყუილად კი არ დაიმსახურა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა პეტერბურგის ადვოკატურაში „ბობოქარი ლუარსაბის" სახელი («неистовый Луарсаб»), ბელინსკის მსგავსად, რომელსაც «неистовый Виссарион"-ს უწოდებდნენ.

ვიქტორ სტეფანეს ძე ოგოლევიცი, რომელსაც ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მიხეილ ბერენშტამის ოჯახში გაუცვნია, თავის მოგონებებში ასე გადმოგვცემს ამ უკანასკნელის სიტყვებს: „მიხეილ ვილიამის ძე ბერენშტამისაგან გამიგონია, რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი განუმეორებელი იყო, როდესაც იგი, ფრაკში გამოწყობილი და ადვოკატის ნიშნით მკერდზე, სასამართლოში განსასჯელის ინტერესებს იცავდა. იგი აღსავსე იყო ენერგიით, ვნებით, შეუპოვარი ტემპერამენტით. მისი მხურვალე, ლამაზად და ლოგიკურად აწყობილი სიტყვა ისეთ ზემოქმედებას ახდენდა, რომ მოსამართლეებს ხშირად გამა-

მართლებელი განაჩენი გამოჰქონდათ ისეთ საქმეებზეც კი, რომლებსაც ყველა უიმედოდ თვლიდა“.[1]

ერთი თავისებურება ახასიათებდა კიდევ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, როგორც დამცველს პოლიტიკურ საქმეებზე. როგორც უკვე ზემოდ იყო ნათქვამი, პოლიტიკურ დაცვას ორი მიზანი ჰქონდა: განსასჯელის სასამართლო დაცვა და დაცვის ტრიბუნის გამოყენება რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის, მეფის ხელისუფლების საქმიანობის მხილებისათვის. ეს ორი ამოცანა ისე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი, რომ ერთის მიღწევას მეორესათვის ხელი არ შეეშალა. ამისათვის კი დიდი ჭკუა და ტაქტი იყო საჭირო. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ამ მხრივ ყოველთვის თავისი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. იგი თავგანწირულად იცავდა მისთვის მინდობილი ყოველი პირის სიცოცხლეს და თავისუფლებას, მაგრამ ეს დაცვა არასდროს არ ხდებოდა განსასჯელის რევოლუციური საქმიანობის დაჩრდილვის გზით. იგი მძაფრად განიცდიდა საქმის პოლიტიკურ მნიშვნელობას და ყოველთვის ფართოდ აშუქებდა საქმის ამ მხარეს. მისი დაცვითი სიტყვა მიმართული იყო არა მარტო სასამართლოსადმი, არამედ, იმავე დროს, მთელი მოწინავე საზოგადოებისადმი. უფრო მეტიც: ლ. ანდრონიკაშვილი ცდილობდა თვით სასამართლოსათვის შთაეგონებინა საქმის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ის პასუხისმგებლობა, რომელიც მას ეკისრებოდა არა მარტო თანამედროვე საზოგადოების, არამედ აგრეთვე მომავალი თაობების წინაშე. მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ თავისი გამოსვლა ერთ დიდ პოლიტიკურ პროცესზე ლ. ანდრონიკაშვილს ასეთი სიტყვებით დაუწყია:

„ბ-ნო მოსამართლენო! თქვენს განაჩენს ელოდებიან არა მარტო განსასჯელები, არამედ ყველა, ვინც ცხოვრობს და სუნთქავს ჩვენი სახელმწიფოს უსაზღვრო სივრცეში... ყინულოვანი ჩრდილოეთიდან დაწყებული და მზიური სამხრეთით დამთავრებული. ყველა ხარბად ელის, თუ როგორ დაადგენთ თქვენ ჭეშმარიტებას... მაგრამ არათუ მარტო რუსეთში, მე არ

---

[1] ვ. ოგოლევიცის მოგონება ლ. ანდრონიკაშვილზე მოგვაწოდა ირაკლი ანდრონიკაშვილმა, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუცხადებთ.

მეგულება დედამიწის ზურგზე არც ერთი კუთხე, სადაც კი აღწევს რუსეთის ამბები, რომ თვალყურს არ ადევნებდნენ თქვენს მოქმედებას და არ ელოდნენ თქვენს განაჩენს. უფრო მეტიც: თქვენი განაჩენი ამ საქმის გამო მომავალი თაობების მსჯელობის საგანიც გახდება".[1]

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გამოსვლებს მეფის სასამართლოში დიდი გამბედაობა ახასიათებდა. ანდრონიკაშვილის ყოველი გამოსვლა პოლიტიკურ პროცესზე იყო მხილება თვითმპყრობელობის მანკიერებისა. იგი იყო შეუპოვარი, დაუნდობელი და უშიშარი, თუმცა კარგად იცოდა, რომ მეფის პოლიციის „ფხიზელ თვალს" ვერსად გაექცეოდა და ადვილად შეიძლებოდა ამ გაბედული სიტყვისა და საქმის მსხვერპლი გამხდარიყო. ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვები პოლიტიკურ პროცესებზე შეფასებულია პოლიტიკური პროცესების ისტორიაში, როგორც ადვოკატის გაბედული სიტყვის ნიმუში.[2] ამ შეფასების სამართლიანობაში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდებით კონკრეტულ საქმეებზე მისი გამოსვლების გადმოცემის დროს.

დაბოლოს, შეუძლებელია დავივიწყოთ ის მაღალი ზნეობრივი თვისებები, რომელთა წყალობით ლ. ანდრონიკაშვილმა პეტერბურგის ადვოკატურის სინდისის სახელი დაიმსახურა. იგი არასდროს არ მოჰკიდებდა ხელს საქმეს, თუ ღრმად არ იყო დარწმუნებული მის სამართლიანობასა და სისწორეში. ანდრონიკაშვილის ეს თვისებები ფართოდ იყო ცნობილი. ქართველ ადვოკატს გიორგი თარხნიშვილს თავის მოგონებებში ლ. ანდრონიკაშვილზე მოჰყავს ორი მეტად საყურადღებო მაგალითი:

სენატში საკასაციო წესით უნდა განხილულიყო ერთი ქართველი მემამულის საქმე. ამ მემამულეს თავისი მიწები ჯერ ნაწილ-ნაწილად, კერძო ხელწერილებით, გლეხებისათვის მიუყიდნია, შემდეგ კი იგივე მიწები მთლიანად მიუყიდნია საადგილმამულო ბანკისათვის, თანაც ეს უკანასკნელი გარიგება ოფიციალურად გაუფორმებია. განაჩენი გასაუქმებელი ყოფილა იმის გამო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ბევ-

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 11—50.

[2] იხ. Н. Полянский, დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

რი პროცესუალური დარღვევა დაუშვა. საქმის მოგება სენატში სრულიად მარტივი იყო. მაგრამ ანდრონიკაშვილმა მემამულეს მტკიცე უარი უთხრა და მისთვის წინასწარ ჰონორარის სახით გამოგზავნილი 2.000 მანეთის უკანვე დაუბრუნა.

მეორე შემთხვევაში ანდრონიკაშვილს სთხოვეს დაეცვა სენატში საკასაციო საჩივარი ერთი პირის საქმეზე, რომელიც მსჯავრდებული იყო იმისათვის, რომ თავის ძიძიშვილებს საყვარლის ქმარი მოაკვლევინა. ამ საქმის განხილვის დროსაც ბევრი პროცესუალური დარღვევა იყო დაშვებული და საკასაციო საჩივარი სენატს უნდა დაეკმაყოფილებინა. აქაც ლ. ანდრონიკაშვილს წინასწარ გაუგზავნეს 5000 მანეთი. ანდრონიკაშვილმა საქმის აღებაზე უარი განაცხადა და ჰონორარი დააბრუნა.[1]

ლ. ანდრონიკაშვილის მაღალი ზნეობრივი თვისებები იმაშიც ვლინდებოდა, რომ იგი არასდროს არ მიმართავდა საეჭვო მტკიცებულებას, არასდროს არ დაიმცირებდა თავს დაცვის იაფფასიანი ხერხების გამოყენებით. ხოლო როდესაც ბრალდების არაკეთილსინდისიერებას (ცრუ მოწმეს, ყალბ საბუთს და სხვა მისთ.) აღმოაჩენდა, როგორც გააფთრებული ლომი, ილაშქრებდა ამ სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ, ვერ მოისვენებდა, ვიდრე მათ არ გამოამჟღავნებდა, თუნდაც ეს მისთვის სახიფათო ყოფილიყო.

ლ. ანდრონიკაშვილის ზნეობრივი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ იგი დღესაც პროფესიული პატიოსნების ეტალონად ითვლება:

მუსიკათმცოდნე კ. აჯემოვი, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის პრეს-ბიულეტენში (1962 წ., № 7) წერს, რომ როდესაც კონკურსზე ცუდად მომზადებული პიანისტები უკრავდნენ, მის წინაშე წმინდა ეთიკური პრობლემა იბადებოდა. „თავის დროზე, — ამბობს აჯემოვი, — გამოჩენილი იურისტი ანდრონიკოვი (ირაკლი ანდრონიკოვის მამა), ვიდრე სასამართლოში ამა თუ იმ საქმის დაცვას იკისრებდა, წინასწარ წყვეტდა თავისთვის მნიშვნელოვან სამ საკითხს: თუ დავთანხმდები და ამ საქმეს ავიღებ, რას იტყვის ადამიანი, რომელიც

[1] იხ. გ. თარხნიშვილი, ლ. ანდრონიკაშვილი, „საბჭოთა სამართალი", 1970, № 3, გვ. 87—88.

მე მომენდო, რას იტყვიან ამხანაგები, რას იტყვის ჩემი სინდისი? და აიღებდა საქმეს მხოლოდ მაშინ, თუ სამივე კითხვაზე პასუხი იყო — ეს აუცილებელია“.

აი კიდევ მეორე მოგონება, უკვე კონკრეტულ სასამართლო საქმესთან დაკავშირებით. როდესაც 1958 წელს ქ. მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადა მიმდინარეობდა, პარიზის გაზეთში «Русские новости» დაიბეჭდა წერილი ასეთი სათაურით: «Грузинская декада в Москве. Адвокат Андроников». წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველოსა და რუსეთის მეგობრობას ღრმა ფესვები აქვს, რომ მრავალ ქართველს — მსახიობს, ინჟინერს, პედაგოგს, მოსამართლეს, ადვოკატს და სხვა პროფესიის წარმომადგენელს შეიძლებოდა შევხვედროდით მეფის რუსეთის სხვადასხვა ადგილას და რომ ზოგმა მათგანმა დიდი კვალი დააჩნია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. „ერთ-ერთ ასეთ ქართველზე, — ნათქვამია წერილში, — ხატოვნად მოგვითხრობს თავის ეხლახან გამოცემულ მოგონებებში ყოფილი პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი ს. ვ. კამენსკი“. და შემდეგ გაზეთში მოტანილია საკმაოდ დიდი ამონაწერი ამ მოგონებებიდან, რომელსაც ს. ვ. კამენსკიმ «Век минувший» უწოდა. ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიტანო ეს საკმაოდ ვრცელი ამონაწერი, რომელშიც მეტად ცოცხლად და ხატოვანადაა დახასიათებული ჩვენი დიდი თანამემამულის პიროვნება.

პროვინციიდან ჩამოსული კამენსკი, რომელსაც სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა სამ გამოჩენილ ადვოკატთან — ლ. ანდრონიკაშვილთან, მ. ვინავერთან და ნ. სოკოლოვთან, პირველად ანდრონიკაშვილთან მისულა. ვინაიდან ანდრონიკაშვილის მიმართ იგი განსაკუთრებული სიმპატიით ყოფილა განწყობილი. „მისი კაბინეტი პატარა იყო და სადად მოწყობილი“. როდესაც ანდრონიკაშვილმა გაიგო კამენსკის მისვლის მიზეზი, მან ნაფიცი ვექილის თანაშემწედ მის აყვანაზე უარი განაცხადა: „რა ვქნა, მე ხომ ძალიან ცოტა საქმე მაქვს“-ო. „ვუსმენდი და არაფერი მესმოდა: ამას ამბობს ანდრონიკოვი, გამოჩენილი ადვოკატი, ბრწყინვალე ორატორი. მან საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და მაჩვენა: — აი, ჩემი საქმეები. იქ მართლაც ძალიან ცოტა საქმე იდო... — მე არა მაქვს ისეთი საქმეები, რომლებიც შეიძლება თანაშემწეს გადავცე. პოლიტიკური დაცვები?—

მაგრამ ისინი არ გვკვებავენ — უფასონი არიან. გარდა ამისა ამ საქმეებზე მომმართავენ პირადად მე და მათი გადაცემა არ შემიძლია. სისხლის სამართლის საქმეებს კი მე არ ვიღებ". — როგორ თუ არ იღებთ? — გაუკვირდა კამენსკის. „ის ფეხზე წამოდგა და ნერვიულად დაიწყო ოთახში სიარული. რატომ უნდა მიმართონ ანდრონიკოვს სისხლის სამართლის საქმეზე? ხომ იციან, რომ ანდრონიკოვი პატიოსანი კაცია, ანდრონიკოვი ბინძურ საქმეებს არ იღებს. მე ჩემი სახელით არ ვეაჭრობ".

ასეთი განცხადება ადვოკატის მხრივ თითქმის დაუჯერებელი იყო. მაგრამ კამენსკი მოგვითხრობს, რა მოხდა ერთხელ, როდესაც ანდრონიკაშვილმა ს. კამენსკის მხრივ დიდი ხვეწნის შემდეგ ერთ სისხლის სამართლის საქმეს მოჰკიდა ხელი:

„— ჩემი მეგობარი ნ. ოდესღაც სარატოვის საერობოში ტექნიკოსად მუშაობდა. ის მაშინ ახალგაზრდა იყო, ფიცხი ხასიათისა და ყველგან სამართლიანობას ეძებდა. რადგან ეროობის ნარდად მომუშავენი (подрядчики) არ აკმაყოფილებდნენ მის წარმოდგენას პატიოსნებაზე, მან მათთან ბრძოლა დაიწყო: ხშირად ასწორებდა და ჰკვეცავდა მათ ხარჯთაღრიცხვებს, უწუნებდა სამუშაოს და მასალას. მენარდენი შეეცადნენ საჩუქრებით „მოეთაფლათ" იგი. მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. მაშინ გადაწყვიტეს, ეს არასასურველი პირი როგორმე თავიდან მოეცილებინათ. ამისთვის ცილისწამებასაც მიმართეს: ხმები გაავრცელეს, ნ. ქრთამს იღებსო. ამის შედეგად მენარდეთა წყალობით შეიქმნა საქმე, რომლითაც ნ.-ს ბრალდებოდა ქრთამის გამოძალვა.

გამოძიება ამ საქმეზედ დიდხანს გრძელდებოდა. ნ. დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და ფიქრობდა, რომ ეს საქმე სასამართლომდე ვერ მიაღწევდა. გავიდა 5-6 წელი, ნ-ს უკვე დაავიწყდა გამომძიებლის დაკითხვები და სხვ. მისთ., მით უმეტეს, რომ იგი საცხოვრებლად პეტერბურგში გადმოვიდა და აქ ძალიან კარგად მოეწყო.

უწყება სარატოვის სასამართლოში გამოცხადების შესახებ ნ.-ს თავს დაატყდა როგორც ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე".

„იგი მოვარდა ჩემთან როგორც შეშლილი, — იგონებს კამენსკი, — მთხოვა დავხმარებოდი რჩევით და მიმესწავლებინა დამცველები. მე დავუსახელე ორი პირი: მ. ვ. ბერენშტამი და

ლ. ნ. ანდრონიკოვი... ბერენშტამი მაშინვე დათანხმდა, მაგრამ ანდრონიკოვთან საქმე ასე იოლად როდი გადაწყდა. მე თვითონ წავედი მასთან და დავინახე, რომ იგი მეტად მერყეობდა.

თქვენ ხომ იცით, — დაიწყო მან, — მე სისხლის სამართლის საქმეებს არ ვიღებ. მით უმეტეს ასეთებს. მჯერა, რომ ნ. პატიოსანი კაცია, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ, რომ იგი გაამტყუნეს! რას იტყვიან ჩემზე? — რომ ანდრონიკოვი მექრთამეებს იცავს? რომ ანდრონიკოვს ნ.-მ მისცა დიდი ჰონორარი ქრთამად მიღებული თანხიდან? ეს შეუძლებელია“.

დიდი თხოვნის შემდეგ ანდრონიკაშვილი დათანხმდა აეღო ეს საქმე, მაგრამ იმ პირობით, თუ იგი წინასწარ ნამდვილად დარწმუნდებოდა, ნ.-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, რომ ნ. დამნაშავე არ არის.

საბოლოო თანხმობა ანდრონიკაშვილმა არ მოგვცა, — იგონებს კამენსკი, — და აი, დაიწყო ორივეს წამება: როგორც ნ-ის, ისე ანდრონიკაშვილისა. „მგზნებარე ქართველი, ერთის მხრით და ტიპიური ნევრასთენიკი, მეორეს მხრით. მე ხშირად ვწყევლიდი ჩემს თავს — რატომ მომივიდა ეს უბედური აზრი და ისინი ერთმანეთს გადავკიდე-მეთქი“. ანდრონიკაშვილმა განაცხადა, რომ არ იკისრებს დაცვას მანამდე, ვიდრე მას გარკვეული აზრი არ შეექმნება. მან თვით დაიწყო ამ საქმის გამოძიება, თვითონ ასამართლებდა ნ.-ს. ამ განსჯას მრავალი დრამატიული მომენტი ახლდა. ზოგჯერ მისი ეჭვიანობის, მისი ყვირილის გამო ნ.-ს გული მოსდიოდა. ანდრონიკაშვილი მოითხოვდა ბრალდების ყველა პუნქტის გამაბათილებელ მტკიცებულებას, ყველა იმ ეჭვთან დაკავშირებით, რაც თვით მას აღეძვრებოდა.

ი. ს. კამენსკი გვიამბობს, თუ რა „მიკერძოებით“ დაკითხა ანდრონიკაშვილმა ნ., რატომ არ აღძრაო ამ უკანასკნელმა თავის დროზე საქმე ცილისმწამებელთა წინააღმდეგ.

— მე მინდოდა ეს გამეკეთებინა და ადვოკატსაც კი მივმართე, — უპასუხებს ნ.

— და მერე? — განაგრძობს დაკითხვას ულმობელი ადვოკატი.

— ადვოკატმა იჯანჯლა, იჯანჯლა და საქმე დაიწყო. ამასობაში მე უკვე წამოვედი სარატოვიდან.

— მოითმინეთ, მაინც რატომ არ დაიწყო ადვოკატმა საქმე? აქ რაღაც ვერ არის ისე...

— რა მოგახსენოთ. მან ფულიც კი გამომართვა ავანსად — ხუთასი მანეთი, საქმე კი არ აღძრა.

— ვინ იყო ეს პირი? მისი გვარი!

— კ-ვიჩი.

— რაო? კ-ვიჩი! შეუძლებელია! კ-ვიჩი ჩემი მეგობარია და ყველას მიერ პატივცემული კოლეგა, მას არ შეეძლო ასეთი რამ გაეკეთებინა. თქვენ სტყუით!

აღმოჩნდა, რომ ნაფიცი ვექილი კ-ვიჩიც დიდი ხანია სარატოვიდან წამოსულა და პეტერბურგის ადვოკატი გამხდარა. ანდრონიკაშვილი დაუყოვნებლივ ურეკავს მას ტელეფონით და ეკითხება, უფრო სწორედ, დაკითხვას აწარმოებს. კ-ჩს ყველაფერი „დაავიწყდა", კლიენტიც და მისი 500 მანეთიც. გაბრაზებული ანდრონიკაშვილი უყვირის ნ.-ს.

— თქვენ სტყუით! თქვენ ცილს სწამებთ ჩემს პატივცემულ კოლეგას! გაეთრიეთ აქედან! — და ესვრის ნ.-ს დავთარს მისი „საქმით".

„ადვილი წარმოსადგენია, — ამბობს კამენსკი, — რა ეფექტი უნდა მოეხდინა ამ სცენას ნ.-ზე. ის სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მე ვცდილობდი დამერწმუნებია, რომ მეორე დამცველი სულაც არ არის საჭირო, როდესაც მას ისეთი მშვენიერი ადვოკატი ჰყავს, როგორიც ბერენშტამია. მაგრამ ნ.-ს გაგონებაც არ უნდოდა: ის უკვე მიეჩვია თავის მტარვალს, რომელმაც მოხიბლა არაჩვეულებრივი გულწრფელობით და ტემპერამენტით. ნ.-ს სწამდა, რომ მხოლოდ ეს ადამიანი შესძლებს მის გადარჩენას.

მაგრამ როგორ აღიდგინოს მისი ნდობა? ნ. განუწყვეტლად ფიქრობდა ამაზე, ცდილობდა გაეხსენებინა სარატოვში ცხოვრების ყველა წვრილმანი, ქექავდა ძველ ქაღალდებს... მისი ცოლიც ეძებდა ქაღალდებს და სრულიად მოულოდნელად წაიკითხა კ-ჩის ხელწერილს.

გახარებული ნ. ნაპოვნი ქაღალდით ანდრონიკაშვილთან გაქანდა. უკანასკნელი განცვიფრდა. შეამოწმა ადვოკატის ხელმოწერა და დარწმუნდა მის ნამდვილობაში. ეხლა კი მისი რის-

ხვა მეორე მხარეს დაატყდა. მაშინვე დაურეკა კ-ვიჩს და სასტიკად გალანძღა იგი. ისინი დიდი ხნით წაიჩხუბნენ“.

ასეთი მკაცრი გამოძიების შემდეგ ანდრონიკაშვილი დათანხმდა დაეცვა ნ. სარატოვის საოლქო სასამართლოში. კამენსკის დაწვრილებით აქვს აღწერილი, თუ როგორ ეჭირათ თავი ექსპანსიურ ანდრონიკაშვილს და დინჯ ბერენშტამს. ანდრონიკაშვილი საშინლად ღელავდა, ბერენშტამი, როგორც ყოველთვის, ძალზე მშვიდად იყო და თავისი იუმორით ყველას ამხნევებდა. როცა სასამართლომ გამოაცხადა: „არ არის დამნაშავე“, ანდრონიკაშვილი დარბაზის შუაგულში გაჩნდა, მოსამართლეებს მდაბლად თავი დაუკრა და რამდენჯერმე თქვა: „გმადლობთ, გმადლობთ“. როგორც თურმე ნ.-ს უამბია, ამ ქართველმა სრულიად მოაჯადოვა სარატოველი მოსამართლენი.

როცა ანდრონიკაშვილის მაღალ ზნეობრივ თვისებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოვიგონოთ მისი მეუღლე და მეგობარი ეკატერინე იაკობის ასული, რომელიც მუდამ ერთგულად იდგა მის გვერდით და ყოველ კეთილ საქმეში ამხნევებდა. მახსენდება ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ნაამბობი ერთი ინციდენტი. არ ვიცი, რა საქმე იყო, რომელზეც მეგობრები სთხოვდნენ ლ. ანდრონიკაშვილს, უარი არ ეთქვა და დასაცავად აეღო. ანდრონიკაშვილს მიაჩნდა, რომ ამ საქმეში რაღაც არაზნეობრივი მომენტებია და ამიტომ არ თანხმდებოდა. საუბარს შემთხვევით ეკატერინე იაკობის ასულიც დაესწრო. ვინც ამ პატივცემულ მანდილოსანს იცნობდა, ალბათ, კარგად ახსოვს, რა ზრდილი და თავდაჭერილი იყო იგი. ამასთან, რამდენადაც ვიცი, არასდროს თავის თავს ნებას არ აძლევდა ქმრის საქმეებში ჩარეულიყო. მაგრამ ლ. ანდრონიკაშვილისა და მისი ნაცნობების საუბარმა იგი დაარწმუნა, რომ მისი მეუღლე მართალია და ეს საქმე ზნეობრივი თვალსაზრისით სუფთა არ არის. ამას ისე აუღელვებია ეს თავდაჭერილი ადამიანი, რომ განცვიფრებული დამსწრეებისათვის, რომელთაც ამ მდგომარეობაში იგი არასდროს არ უნახავთ, უყვირია: „როგორ არა გრცხვენიათ, რომ ლუარსაბ ნიკოლოზის ძეს ასეთი საქმის დაცვას სთავაზობთო“. „აი, ჩემო კარგო, — მომმართა ანდრონიკაშვილმა, როცა ეს ამბავი დაამთავრა, — კაცს რომ ასეთი ცოლი ეყოლება, ის სწორ გზას არასდროს არ გადაუხვევს“.

თავისი ამ შესანიშნავი თვისებების გამო ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა პეტერბურგის მოწინავე ადვოკატურაში უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. გამოჩენილი პოლიტიკური დამცველი ა. ალექსანდროვი, რომელიც იცავდა სევასტოპოლის აჯანყების მეთაურს ლეიტენანტ შმიდტს, აგრეთვე, (ლ. ანდრონიკაშვილთან ერთად) კრეისერ „ოჩაკოვის" აჯანყებულ მატროსებს, ერთ-ერთ თავის წერილში 1934 წ. 5 ივნისს ასე წერდა ჩვენს თანამემამულე ილია ფირცხალაიშვილს: «Я слышал, что в Тифлисе проживает большой мой друг Луарсаб Андроников. Вы, конечно. знаете его, но, может быть, не знаете, что мы всегда гордились им. Андроников—это одна из самых ярких, безгранично даровитых и прекрасных фигур нашего адвокатского прошлого»[1].

ლ. ანდრონიკაშვილის დიდ ცოდნას, ფართო და მრავალმხრივ ერუდიციას უნდა მიეწეროს ის, რომ იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ნაფიც ვექილთა თანაშემწეების ეგრეთ წოდებულ „კონფერენციებს".

ნაფიც ვექილთა საბჭოს დადგენილებით, ყოველი სტაჟიორი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე, ვალდებული იყო 5 წელიწადი ემუშავნა ამ „კონფერენციებში" და ამ ხნის განმავლობაში სამი მოხსენება მაინც წარმოედგინა.[2] „კონფერენციებს", რომლებიც 1880 წლიდან იყო შემოღებული, ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი ვექილები, როგორიც იყო სპასოვიჩი, პასოვერი, ლუსტიგი, ტურჩანინოვი და სხვ.

1906 წელს „კონფერენციის" ხელმძღვანელად აირჩიეს ლ. ანდრონიკაშვილი. მას ამის შემდეგ ყოველწლიურად ირჩევდნენ 12 წლის განმავლობაში. ჩვენი არასრული ცნობების

---

[1] „შეეტყვე, რომ თბილისში ცხოვრობს ჩემი დიდი მეგობარი ლუარსაბ ანდრონიკოვი. თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ მას, მაგრამ ალბათ არ იცით, რომ ჩვენ მუდამ ვამაყობდით მით. ანდრონიკოვი — ჩვენი ადვოკატური წარსულის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, უსაზღვროდ ნიჭიერი და მშვენიერი ფიგურაა". ამ წერილის პირი გადმომცა ირაკლი ანდრონიკაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[2] არის ცნობები, რომ ვ. ი. ლენინი 1893—1895 წ.წ., როგორც ვექილის თანაშემწე, ესწრებოდა ამ კონფერენციებს (იხ. И. Б. Стерник, Из юридической практики В .И. Ульянова (Ленина) в Петербурге, «Советское государство и право», 1960, № 4, стр. 108).

თანახმად, ამ კონფერენციებში ლ. ანდრონიკაშვილის ხელ-მძღვანელობით მომზადდა და წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: სტანკევიჩი — ევენტუალური განზრახვის შესახებ,[1] მ. ისაევი[2] — ქურდობის შესასებ, ბ. უტევსკი[3] — დოსტოევსკი და ადვოკატურა. მეტად საინტერესო მოგონებები მოგვაწოდა ამ კონფერენციების შესახებ პროფ. ბ. უტევსკიმ.

როგორც თვით ბ. უტევსკი იგონებს, — მას ამ მოხსენებაში წამოუყენებია წმინდა ფსიქოლოგიური კონცეფცია ადვოკატურისა და სავსებით მიუჩქმალავს ამ პროფესიის საზოგადოებრივი როლი. ადვოკატი მას მსახიობისათვის შეუდარებია. იმგვარადვე, როგორც მსახიობი დღეს ასრულებს მკვლელის, ხვალ კი მისი მსხვერპლის როლს, ადვოკატიც დღეს მკვლელს იცავს, ხვალ კი გამოდის მკვლელის წინააღმდეგ მისი მსხვერპლის მემკვიდრეთა სამოქალაქო სარჩელის წარმომადგენლად.

თავის მოხსენებაში უტევსკის, სხვათა შორის, შემდეგი აზრი გამოუთქვამს დოსტოევსკის შესახებ: დოსტოევსკი იმიტომ იჩენს ასეთ მწვავე ინტერესს დანაშაულისა და სასჯელისადმი, იმიტომ აღწერს ასეთი გასაოცარი დამაჯერებლობით სვიდრიგაილოვის, სტავროგინის და ზოგი სხვა თავისი გმირის სექსუალური განცდების ნიუანსებს, რომ მას, როგორც ჩანს, თვითონ ჰქონდა ჩადენილი რაღაც ცოდვა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში აწვალებდა. რაღაც ამდაგვარი უტევსკის ამოუკითხავს იმდროინდელი ლიტერატურის კრიტიკოსის აკიმ ვოლინსკის რომელიღაც ნაშრომში. ყოველივე ეს უტევსკის აუდიტორიისათვის მეტად ზოგადი ფორმით მიუწოდებია.

„ჩემმა მოხსენებამ, — წერს უტევსკი, — ცხოველი კამათი გამოიწვია, ზოგი მაქებდა და მეთანხმებოდა. სხვები — სასტიკად მაკრიტიკებდნენ, მსაყვედურობდნენ, რომ მე ზედმეტად გამიტაცა ფსიქოლოგიურმა ძიებამ, რაღაც აბსტრაქტული ადვოკატის ფიგურა წარმოვსახე და ვერ შევძელი მეჩვენებინა

---

[1] ეს მეტად საინტერესო ბოხსენება შემდეგ გამოქვეყნებული იყო ჟურნალში (იხ. В. Б. Станкевич, К учению о формах виновности. «Журнал Министерства юстиции», 1915, г. № 5).

[2] შემდგომ ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტი, პროფესორი.

[3] შემდგომ ცნობილი საბჭოთა კრიმინალისტი, პროფესორი.

რუსეთის ადვოკატურის პროგრესული როლი. დასკვნითი სიტყვა ლ. ანდრონიკაშვილმა აიღო. მან აღნიშნა: მოხსენებაში ბევრი რამ იყო საინტერესო, ახალი. ამან შეიძლება გაიტაცოს გამოუცდელი მსმენელი. მაგრამ ეს დადებითი მხოლოდ აღრმავებს შეცდომას. მომხსენებლის ძირითადი შეცდომაა ადვოკატის პროფესიის დახასიათება ცხოვრებისაგან მოწყვეტილად... ადვოკატის ფსიქოლოგია კი არ მოქმედებს მის პრაქტიკაზე, პრაქტიკა აყალიბებს მის ფსიქოლოგიას. ლ. ანდრონიკაშვილმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მომხსენებელი არ უნდა შეხებოდა დოსტოევსკის პირად განცდებს, მით უმეტეს, რომ არც იცის, რას ეხებოდა ეს განცდები, და ამით არ უნდა აეხსნა დოსტოევსკის უარყოფითი დამოკიდებულება ადვოკატისადმი. დოსტოევსკის უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი ადვოკატისადმი უნდა ვეძებოთ მის პოლიტიკურ შეხედულებებში.

ლ. ანდრონიკაშვილი ლმობიერი იყო მომხსენებლისადმი, მაგრამ შეურიგებლად მკაცრი — მის მიერ წამოყენებული კონცეფციისადმი.

კონფერენცია გვიან დამთავრდა. აღგზნებული და შეწუხებული გამოვედი საოლქო სასამართლოს შენობიდან, სადაც კონფერენცია მიმდინარეობდა. გამოსასვლელში ვიღაცამ მკლავში ხელი გამიყარა. ეს იყო ლ. ანდრონიკაშვილი. ასე წავედით სანაპირო ქუჩით საზაფხულო ბაღისკენ. განუმეორებელი მომხიბლაობით აღსავსე პეტერბურგის თეთრი ღამე იდგა. ორი საათის განმავლობაში დავდიოდით და ვსაუბრობდით. თუმცა მე კი არ ვლაპარაკობდი, არამედ ვუსმენდი. ლუარსაბ ნიკოლოზის ძემ ფრთხილად განმიმარტა მცდარობა ჩემი კონცეფციისა „ადვოკატის სულის“ შესახებ, ადვოკატურის საზოგადოებრივი როლი. მან აღნიშნა დოსტოევსკის აზრის ცალმხრივობა, რამდენადაც იგი აფასებდა ადვოკატს მხოლოდ როგორც დამცველს სისხლის სამართლის საქმეზე, და ლაპარაკობდა იმ დადებით როლზე, რომელიც შეიძლება შეასრულოს ადვოკატურამ ცარიზმის პირობებში. ამავე დროს მას არ დაუშურებია მუქი ფერები, როდესაც ადვოკატთა მასაზე ლაპარაკობდა.

მე სამუდამოდ გულში ჩამრჩა ეს ორი საათი პეტერბურგის თეთრ ღამეს ნევის სანაპიროზე".[1]

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლ. ანდრონიკაშვილს დიდძალ პოლიტიკურ პროცესებში აქვს მიღებული მონაწილეობა. მათი საერთო რიცხვი, ვფიქრობთ, 100-ზე მეტი უნდა იყოს. როდესაც ანდრონიკაშვილის არქივს ვეცნობით. ჩვენს წინაშე თითქოს ცოცხლდება რუსეთის პირველი რევოლუციის ბობოქარი წლები, ცოცხლდება რევოლუციის გმირთა ცხოვრება, რომელნიც სიცოცხლესაც კი არ იშურებდნენ, რომ ხალხის მომავალი ბედნიერი ყოფილიყო. ამ საქმეებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ გმინავდა რუსეთის ხალხი თვითმპყრობელობის ხელში, როგორ უსწორდებოდა მეფის ხელისუფლება თავისუფლებისათვის მებრძოლ მუშებსა და გლეხებს, როგორი თავდავიწყებით და გმირულად იბრძოდნენ ეს უკანასკნელნი და მათი მოკავშირე ინტელიგენცია ამ აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ, და უნებურად თავს იხრი ჩვენს სახელოვან წინაპართა წინაშე.

ანდრონიკაშვილის არქივში შეხვდებით საქმეებს მუშათა გაფიცვებისა და მთავრობის ჯარებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, გლეხებისა და სამხედრო აჯანყებების, საყოველთაო აჯანყებების, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სხვა რევოლუციური პარტიების მოღვაწეობის შესახებ. აქ არის დაცული საქმეები ექსპროპრიაციების, არალეგალური სტამბების, ტერორისტული აქტებისა და სხვათა შესახებ, აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს წევრთა საქმეები, მწერლების საქმეები და სხვ. ყველა მათი ჩამოთვლა შეუძლებელია. აქედან ბევრი ისტორიული ფაქტი შესულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, ზოგიც შესწავლას მოითხოვს.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით შეძლებისდაგვარად გადმოვცეთ ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობა ისტორიული მნიშვნელობის მქონე პროცესებში. მათგან უმთავრესად იმ პროცესებს შევეხებით, რომელთა შესახებაც ცნობები დაცულია თვით ანდრონიკაშვილის არქივში ან იმდროინდელ ჟურნალ-

---

[1] მოგონებები ლ. ანდრონიკაშვილის შესახებ მოგვაწოდა პროფ. უტევსკიმ 1960 წელს.

გაზეთებში. ვიმედოვნებთ, რომ ისტორიკოსები დაინტერესდებიან იმ მდიდარი მასალით, რაც ანდრონიკაშვილის არქივშია შემონახული და მომავალში უფრო დაწვრილებით შეისწავლიან მას არა მარტო იმისათვის, რომ ახალი ცნობები მოგვაწოდონ ამ გამოჩენილი ადამიანის შესახებ, არამედ აღნიშნული პოლიტიკური პროცესების გაშუქების მიზნითაც. ამით ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიის შესწავლის საქმეს.

თავი მეორე

ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციამდე

ლ. ანდრონიკაშვილის საადვოკატო მოღვაწეობა ორ მთავარ პერიოდად შეიძლება გაიყოს: პირველი პერიოდი — ეს არის მისი გამოსვლები მუშათა გაფიცვებთან და გლეხთა აჯანყებებთან დაკავშირებით, რომლებიც წინ უსწრებდნენ 1905 წლის რევოლუციას და, ასე ვთქვათ, მის პრელუდიას წარმოადგენდნენ; ხოლო მეორე პერიოდი — ეს არის ანდრონიკაშვილის გამოსვლები 1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ აღძრულ პოლიტიკურ პროცესებზე.

პირველ პერიოდში ძირითადად გვხვდება მუშათა დემონსტრაციების, ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის, ფარული სტამბების მოწყობის, გლეხთა აჯანყებების საქმეები, მეორე პერიოდში — 1905—1907 წწ. რევოლუციასთან დაკავშირებით რუსეთის სხვადასხვა ადგილებში მომხდარ აჯანყებათა დიდი პროცესები, ტერორისტების საქმეები, ხოლო უფრო მოგვიანებით — პრესისა და რელიგიურ დანაშაულთა საქმეები.

1903 წელს ლ. ანდრონიკაშვილი ბაქოს იურისკონსულტად მიიწვიეს. იგი დათანხმდა ამაზე, ვინაიდან მატერიალურად ძალიან უჭირდა (პატრონისაგან ღებულობდა მხოლოდ 50 მანეთს, როგორც ნაფიცი ვექილის თანაშემწე). ბაქოში საცხოვრებლად გადმოსულ ლ. ანდრონიკაშვილს კავშირი არ გაუწყვეტია პეტერბურგთან, სადაც მისი ოჯახი დარჩა. იგი ისევ ირიცხებოდა პეტერბურგის ნაფიც ვექილთა სიაში და, იურისკონსულტობასთან ერთად, თუ ამის შემთხვევა მიეცემოდა,

კვლავინდებურად გამოდიოდა დამცველად პოლიტიკურ პროცესებზე.

ლ. ანდრონიკაშვილი ბაქოში დიდ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა. აი რას ვკითხულობთ ამის თაობაზე „ივერიაში“ (№ 260, 1904 წ. გვ. 1); „ბაქოს ქალაქის იურისკონსულტი ბ-ნი ანდრონიკაშვილი, ეს მეორე წელიწადია, რაც მოზრდილთათვის ადგილობრივ საღამოს კურსებზე კითხულობს ლექციას შაბათობით საინტერესო თემაზედ: «История новейшей философии». რადგანაც პატივცემული ლექტორი, დიდ მომზადება-ერუდიციასთან ერთად, კარგი მჭევრმეტყველიც არის, — იმის ლექციებს დიდძალი საზოგადოება ესწრება, და სულგანაბული უსმენს საყვარელ ლექტორს და ლექციის გათავებისას დიდის ხნით გულწრფელის ტაშისცემით აჯილდოვებს.“

1905 წლის რევოლუციამდე ჩატარებული პროცესებიდან, რომლებშიც ლ. ანდრონიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი საქმეები:

ს ა რ ა ტ ო ვ ი ს გ უ ბ ე რ ნ ი ი ს ს ე რ დ ო ბ ი ს მ ა ზ რ ი ს ს ო ფ ე ლ ხ ო ვ ა ნ შ ჩ ი ნ ა ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ უ ლ გ ლ ე ხ თ ა ს ა ქ მ ე. სწორედ ამ საქმით იწყებს ლ. ანდრონიკაშვილი იმ პოლიტიკური საქმეების ჩამოთვლას, რომლებშიც მიუღია მონაწილეობა. მოკლე ისტორიულ ცნობაში ლ. ანდრონიკაშვილი წერს: „გლეხთა აჯანყებები ფართო ტალღად მოედო რუსეთის სამხრეთ ნაწილს 1901-1902 წლებში, შემდეგ მოეფინა ვოლგის მხარეს და განსაკუთრებულად თავი იჩინა სარატოვის გუბერნიაში. მოძრაობას ანტიმემამულური ხასიათი ჰქონდა. ხელისუფლება მემამულეებს იარაღით იცავდა, მაგრამ გლეხებიც შეიარაღებული წინააღმდეგობით უპასუხებდნენ“.[1]

სწორედ ასეთი ხასიათი ჰქონდა სარატოვის გუბერნიის სოფელ ხოვანშჩინას გლეხების აჯანყებას. აჯანყების საბაბი შემდეგი იყო: გლეხებსა და მემამულე ბეკლემიშევს შორის დავა ყოფილა მიწის შესახებ. ბოქაულის ბრძანებით გაჩხრიკეს სოფლის ქომაგის (ходок) ბინა, როცა იგი შინ არ იყო, და გაიტაცეს ყუთი, რომელშიც საზოგადო ქაღალდები და ფული

---

[1] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, I—29ა.

ინახებოდა. ამან გამოიწვია გლეხების მღელვარება. აღშფოთებულმა გლეხებმა სცემეს ბოქაულს და სამაზრო პოლიციის უფროსს.[1]

1902 წლის დეკემბერში ეს საქმე განიხილა სარატოვის გუბერნიის სასამართლო პალატამ. სულ პასუხისგებაში მიცემული იყო 24 გლეხი. აქედან 15-ს მიუსაჯეს ორნახევარი წლიან თავისუფლების აღკვეთა, ორს — ექვსი თვით, ხოლო შვიდი— გაამართლეს.[2]

ბ ა თ უ მ ი ს დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ი ს ს ა ქ მ ე. მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესი, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა, — ეს არის ბათუმის დემონსტრანტების საქმე (1902). ეს საქმე იმდენად ცნობილია რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, რომ მის დაწვრილებით გადმოცემას ჩვენ არ შევუდგებით.[3] როგორც თვით ლ. ანდრონიკაშვილი წერდა, ბათუმის მუშათა გამოსვლა ერთ-ერთი პირველი რგოლი იყო მუშათა იმ დემონსტრაციების ჯაჭვში, რომლებიც 1902-1903 წწ. ეწყობოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში და რომელთაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა.[4] ბათუმის მუშებს ბრალი ედებოდათ იმაში, რომ როტშილდის ნავთობის ქარხნის გაფიცულთათვის მხარდაჭერის მიზნით მათ მოაწყვეს დემონსტრაცია. მუშები მოითხოვდნენ ან დაპატიმრებული გაფიცულების განთავისუფლებას, ანდა ყველას დაპატიმრებას. როცა ხელისუფლებამ დემონსტრანტთა წინააღმდეგ ჯარის ნაწილები გამოიყვანა, დემონსტრანტებმა ჯარს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ბრალდება მათ წარდგენილი ჰქონდათ სასჯელთა სჯულდების 264-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა

---

[1] საქმის შინაარსი, განაჩენი და საქმეში ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობა იხ. წიგნში «Политические процессы в России 1901—1917 гг». Общая редакция Л. И. Гольдмана, ч. 1, изд. Всесоюзного общества политкаторжан и ссыльно-поселенцев, М., 1932, стр. 50—51.

[2] ანდრონიკაშვილის არქივში ეს საქმე სამწუხაროდ დაცული არ არის.

[3] იხ. Батумская демонстрация 1902 года, Политиздат ЦК ВКП (б), М., 1937, ამ საქმეში ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობის შესახებ იხ. აგრეთვე: გაზეთი „ივერია“, 1903 წ., № 57, გვ. 2; 1903 წ. № 243; «Новое обозрение», 1903, II. III, № 6334.

[4] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, I—29ა.

საკატორღო სამუშაოებს 12-დან 15 წლამდე. მეფის მთავრობას სურდა სასტიკად გასწორებოდა დაპატიმრებულ მუშებს. მაგრამ მას იმედი გაუცრუვდა. დაცვამ, რომლის შემადგენლობაში ლ. ანდრონიკაშვილიც იყო, შესძლო დამაჯერებლად დაემტკიცებინა, რომ ჯარმა დემონსტრანტები ჩიხში მოამწყვდია და, როდესაც პოლიციამ უბრძანა დაშლილიყვნენ, მათ ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მიუხედავად დემონსტრანტების გამოუვალი მდგომარეობისა, ჯარმა ულმობლად დახვრიტა ჩიხში მომწყვდეული უიარაღო მუშები. ქუთაისის ოკრუგის სასამართლო, რომელიც ამ საქმეს 1903 წლის 6-8 მარტს იხილავდა, იძულებული იყო კვალიფიკაცია შეეცვალა და სასჯელთა სჯულდების 264-ე მუხლის მაგივრად, რომელიც აჯანყებას ითვალისწინებდა, 271-ე და 273-ე მუხლებზე გადასულიყო. სასამართლოს განაჩენს საფუძვლად დაედო დამცველთა დებულება, რომ აჯანყებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან აჯანყების დანაშაულის შემადგენლობანი (მუხ. მუხ. 263-266) გულისხმობენ მთავრობის ან მისი ორგანოების ისეთ განკარგულებათა შეუსრულებლობას, რომლებიც შეეხება მთელ სახელმწიფოს ან მთელ მხარეს. მეფის სასამართლომ ვერ გაბედა მუშებისათვის სრულიად მოეხსნა ბრალდება და ამიტომ მოიშველია 271-ე და 273-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლის ცალკეული, კერძო ხასიათის დადგენილების შესრულებისათვის წინააღმდეგობის გაწევას იარაღის გამოუყენებლად, და განსასჯელებს იმ დროისათვის უკიდურესად მსუბუქი სასჯელები შეუფარდა: 13 კაცს მიესაჯა პატიმრობა ორი თვიდან ექვს თვემდე, ხოლო ერთს, არასრულწლოვანს — 3 კვირით. ეს მუშებისა და მათი დამცველების ერთსულოვანი ბრძოლის სამაგალითო დაგვირგვინება იყო. „ბრწყინვალე დაცვის წყალობით, — წერდა „ისკრა“ 1903 წლის 1 აპრილის ნომერში, რომელიც მუშათა დახვრეტის წლისთავს მიეძღვნა, — მეფის მსახურნიც კი იძულებულნი გახდნენ თითქმის გაემართლებინათ მუშები“. ამავე წერილში ნათქვამია, რომ პროცესის დამთავრების შემდეგ, როცა ადვოკატები ბათუმიდან მიემგზავრებოდნენ, მუშებმა დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს. მატარებელი, რომლითაც ადვოკატები უნ-

და წასულიყვნენ, 7 წუთით გააჩერეს და ადვოკატებს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

ლ. ანდრონიკაშვილი ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა მემარცხენე პოლიტიკურ დამცველთა მიერ დასახულ ერთ-ერთ ამოცანას — მოსახლეობის ფართო წრეების ინფორმაციას ჩატარებული პროცესის შესახებ. ბათუმის საქმეზეც, როგორც ჩვენი სახელოვანი მწერალი დავით კლდიაშვილი გვიმოწმებს, ლუარსაბმა ინფორმაცია მიაწოდა პეტერბურგის მემარცხენე ჟურნალისტებს, ლიტერატორებსა და ნაფიც ვექილებს. კრება შედგება ჟურნალ „პრავოს“ რედაქტორის პოლიანოვის ბინაზე. მსმენელთა თვალწინ გადაიშალა მეფის ხელისუფლების ჯალათური მოქმედების სურათი, რომელიც სასამართლოში დამცველთა მეშვეობით გამომზეურდა. მომხსენებელმა ბათუმის მუშათა დემონსტრაცია იმ რევოლუციურ-აგრარულ მოძრაობასაც დაუკავშირა, რომელსაც მაშინ გურიაში ჰქონდა ადგილი. ანდრონიკაშვილმა თავისი სიტყვა ასე დასრულა: „ბატონებო! ჩვენ შორის იმყოფება პირი, რომელიც იმ უბედურ დღეს, ბათუმში რომ ჰქონდა ადგილი, თავისი გუნდით პუნქტზე იყო, მაგრამ ერთი ტყვია არ გაუსროლია, და რომლის შესახებ აღტაცებით გველაპარაკებოდნენ ვექილებს ბათუმის მუშები. აგერ ბრძანდება ეს პირი“,[1] — მიუთითა მან დავით კლდიაშვილზე. თვით ანდრონიკაშვილისაგან გამიგონია, რომ დამსწრე საზოგადოებამ დავით კლდიაშვილს მხურვალე ოვაცია გაუმართა. გამიგონია ისიც, რომ ამ კრებას, დავით კლდიაშვილის გარდა, ივანე ჯავახიშვილი და ზურაბ ავალიშვილიც ესწრებოდნენ.

უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სადგურ მიხაილოვოს (ხაშურის) დეპოს მუშების საქმეს. 1903 წლის 14 ივლისს სადგურ მიხაილოვის მუშებმა მხარი დაუჭირეს ნავთსადენის მუშების გაფიცვას და წარადგინეს მთელი რიგი მოთხოვნები, კერძოდ, რვა საათის სამუშაო დღეზე გადასვლის, ხელფასის გადიდების და დათხოვნილი ამხანაგების სამუშაოზე აღდგენის თაობაზე. დემონსტრანტებმა გააჩერეს თბილისიდან მომავალი მატარე-

[1] დავით კლდიაშვილი, მემუარები, თბ., სახელგამი, 1953, გვ. 220.

ბელი, ცდილობდნენ შეეწყვიტათ სადგურის მოხელეებისა და ტელეგრაფის საქმიანობა, დააკეტინეს სადგურის სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები. რკინიგზის ხიდთან, სადაც სურამისა და ბორჯომის რკინიგზის ლიანდაგები ერთდება, 500 კაცამდე მოგროვდა. ბორჯომიდან მომავალი მატარებელი იძულებული შეიქნა გაჩერებულიყო. როცა ხელისუფლებამ ჯარი გამოიწვია და ხალხს უბრძანა დაშლილიყო, დემონსტრაციის მეთაურებმა წითელი დროშა ააფრიალეს და ბრძანებას არ დაემორჩილნენ. მაშინ, უფროსთა განკარგულებით, ჯარმა ესროლა უიარაღო ხალხს. 10 კაცი მოკვდა, 16 დაიჭრა.[1] დემონსტრაციის მეთაურები (15 კაცი) დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს სასჯელთა სჯულდების 264-ე მუხლით (აჯანყება). საქმე გაარჩია თბილისის საოლქო სასამართლომ 1903 წლის 7-9 ნოემბერს. ჟურნალ „ივერიაში" ამ პროცესზე შემდეგი ცნობა იყო მოთავსებული:

„პარასკევს, 7 ნოემბერს, თბილისის საოლქო სასამართლოს სესიამ, ბ-ნ შარიგინის თავმჯდომარეობით, გაარჩია საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიხაილოვის სადგურის მუშებისა: ვლადიმერ ჟდანოვისა, ვლადიმერ ხოსბეროვისა, ნიკოლოზ ფერაძისა, გიორგი გუდაძისა, ივანე სუხიაშვილისა, დავით კამკამიძისა, დავით თედრზაშვილისა, ვასილ კვერაძისა, ვასილ სამხარაძისა, სერგო არუთინოვისა, ვასილ ლაშიაძისა, რომანოზ მეგრელიშვილისა, პროკოფი კიკნაველიძისა და ლევან ჩახვიანცისა. ამათ ბრალდებოდათ სადგურ მიხაილოვოში უწესოები!, მოხდნა და პოლიციისათვის სამსახურის აღსრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა. სასამართლოში საქმის განხილვამ, რომელიც ხალხის დაუსწრებლად მოხდა, გასტანა სამ დღეს. ჩვენება ჩამოერთვა 60 მოწმეს. კვირას დასრულდა საქმის გამოძიება და მთელ დღეს გაგრძელდა კამათი მუშათა დამცველებისა: ანდრონიკაშვილისა, გრუზენბერგისა, ნ. ელიავასი, ხომენტოვსკისა, ვ. ჯაფარიძისა, ჯალალოვისა და ტურკევიჩისა"[2]. სასამართლომ 7 კაცს მიუსაჯა პატიმართა გამასწორებელ

---

[1] იხ. გაზეთი „ივერია", 1903 წ., 19 ივლისი, № 153, გვ. 1; იხ. აგრეთვე გაზეთი «Право», 1903 წ. 13 ივლისი, № 29, სვ. 1875; «Право», 1903 წ. 27 ივლისი, № 31, სვ. 1910-1911; «Кавказ», 1903 წ. 18 ივლისი, № 189.

[2] „ივერია", 1903 წ., 12 ნოემბერი, № 242, გვ. 4.

რაზმში გაგზავნა ორნახევარი წლით, ხუთს — საპყრობილე ერთნახევარი წლით, ხოლო 3 გაამართლა.[1]

ლ. ანდრონიკაშვილი ამ საქმის შესახებ წერს: „მუშების შეტაკება ჯარებთან ყოფ. თბილისის გუბერნიის სადგურ მიხაილოვოში (ხაშურში) დაკავშირებული იყო პროლეტარიატის საერთო მოძრაობასთან, რომელსაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა. მას თავისი ადგილობრივი საბაბებიც გააჩნდა. წინააღმდეგობა, რომელიც პროლეტარიატმა ჯარს გაუწია, გამოირჩეოდა სიმტკიცით, ორგანიზებულობით და მამაცობით“.[2]

ამავე პერიოდს ეკუთვნის დ ი დ უ ბ ი ს მ უ შ ა თ ა დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ი ს ს ა ქ მ ე, რომელიც 1903 წლის ზაფხულში განიხილა თბილისის საოლქო სასამართლომ. დემონსტრაცია მოაწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტმა გაფიცული მუშების მიმართ მკაცრი ზომების მიღების გამო. დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყვანეს კაზაკთა რაზმი, რომელსაც დემონსტრანტებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს. დემონსტრაციის მეთაურები 25 კაცის შემადგენლობით მიცემულ იქნენ პასუხისგებაში სასჯელთა სჯულდების 263-266 მუხლებით (აჯანყება, ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა).[3]

1903 წლის განმავლობაში ჩატარებული პროცესებიდან მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „რ ო ს ტ ო ვ ი ს დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ი ს ს ა ქ მ ე ს“. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები — ბრაილოვსკი, კოლოსოვი, კუვსინი და სხვები (სულ 23 კაცი) პასუხისგებაში იყვნენ მიცემული სასჯელთა სჯულდების 263-ე და 279-ე მუხლებით (სასჯელი—სიკვდილით დასჯა). მათ ბრალად ედებოდათ, რომ 1903 წლის 2 მარტს დონის როსტოვში მოაწყვეს პოლიტიკური დემონსტრაცია, გამოვიდნენ პლაკატებით. რომლებშიც მოუწოდებდნენ ხელისუფლებასთან ბრძოლისაკენ, არ დაემორჩილნენ

---

[1] „ივერია“, 1903 წ., 12 ნოემბერი, № 242, გვ. 4. იხ. აგრეთვე «Право», 1903 წ. № 48, 23 ნოემბერი. სვ. 2746—2747.

[2] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 1—29 ა.

[3] ი ქ ვ ე.

ჯარის ნაწილების წინადადებას დაშლის შესახებ და ჯარს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. როგორც ანდრონიკაშვილი წერს, ეს დემონსტრაცია „გამოირჩეოდა მონაწილეთა დიდი რაოდენობით, იშვიათი ორგანიზებულობით, ნათელი ლოზუნგებით და მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ. დემონსტრანტები ადვილად სძლევდნენ პოლიციის ღობურებს. ხელისუფლება მიხვდა, რომ დემონსტრაციას მეტად საშიში ხასიათი ჰქონდა და მისი მონაწილენი სამხედრო სასამართლოს გადასცა სამხედრო დროის კანონებით განსასჯელად“[1].

საქმე განიხილა ოდესის სამხედრო-საოლქო სასამართლომ ქ. ტაგანროგში 1903 წლის 14-23 აგვისტოს. მან განსასჯელებს მართლაც მეტად მძიმე სასჯელები გამოუტანა. კერძოდ, ბრაილოვსკის, კოლოსკოვს და კუკსინს — სიკვდილით დასჯა (შემდეგ შეეცვალათ კატორღით — ბრაილოვსკის — 15 წლით, დანარჩენ ორს კი — ათ-ათი წლით). ათ კაცს შეეფარდა საკატორდო სამუშაოები, ციმბირში გადასახლება, სხვადასხვა ვადით ტუსაღობა, ხოლო სხვები გაამართლეს. მოკლე ცნობაში ამ პროცესის შესახებ, რომელიც მოთავსებულია გაზეთ «Право»-ში, წერია, რომ დამცველად, სხვებთან ერთად, გამოვიდა ანდრონიკაშვილი ბაქოდან.[2]

1903 წელს, როდესაც კავკასიის მთავარმართებლად გოლიცინი იყო, მეფის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ სომეხთა ეკლესია-მონასტრებისათვის ქონება ჩამოერთმია. 12 ივნისს გამოცემულ იქნა უზენაესი ბრძანება ამ ქონების ჩამორთმევისა და მეფის ხაზინისათვის გადაცემის შესახებ. აღნიშნული ბრძანების განხორციელებას მთელი სომეხი საზოგადოება წინ გადაეღობა, ვინაიდან სამართლიანად დაინახა მასში ეროვნული ჩაგვრის გამოვლინება. ყველგან, სადაც კი მეფის ხელისუფლება ამ ღონისძიებას ახორციელებდა, ადგილი ჰქონდა ხალხის დიდ წინააღმდეგობას. მრავალ ადგილას სახალხო მოძ-

---

[1] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, I—29 ა.

[2] იხ. გაზეთი «Право», 1903 წ., 30 აგვისტო, № 36, სვ. 2066-2067; 7 სექტემბერი, № 37, სვ. 2100-2101. იხ. აგრეთვე, «Политические процессы в России 1901—1917 гг», ч. I, М., 1932, стр. 56-57.

რაობამ აჯანყების ხასიათი მიიღო. მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულებს, გამოჰყავდა მათ წინააღმდეგ პოლიციელთა და კაზაკთა რაზმები, იყო ბევრი მსხვერპლი, ხოლო წინააღმდეგობის მეთაურებს და ორგანიზატორებს პასუხისგებაში აძლევდნენ. ასეთი პროცესები ჩატარდა ერევანში, თბილისში, ყარსში, ელისავეტპოლში და სხვ. რაკი მოძრაობას აშკარა რევოლუციური ხასიათი ჰქონდა, პოლიტიკურმა დაცვამ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო პროცესებში. ლ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა ორ გახმაურებულ პროცესში: ელისავეტპოლის (განჯის) და ერევნის სომეხთა პროცესებში.

1903 წლის სექტემბრის დასაწყისის გაზეთები იუწყებოდნენ, რომ „29 აგვისტოს ელისავეტპოლში ადგილობრივმა სომეხთა ბრბომ მოახდინა უწესოება, როცა ხდებოდა სომეხთა საეკლესიო ქონების გადაცემა სამოქალაქო ხელისუფლების გამგებლობაში 1903 წლის 12 ივნისის უზენაესი ბრძანების შესასრულებლად. სომხებმა ქვები დაუშინეს გამოწვეულ რაზმს და სამი დაბალი ჩინი დაჭრეს. უწესოების შესაწყვეტად ჯარი იძულებული იყო ცეცხლსასროლი იარაღი გამოეყენებინა, რის შემდეგ ხალხი გაიფანტა. ადგილზე დარჩა 7 მოკლული და 27 დაჭრილი“.[1]

პასუხისგებაში მიცემული იყო, როგორც წინააღმდეგობის ორგანიზატორი და მონაწილე, 40 კაცი. მათ წარდგენილი ჰქონდათ სასჯელთა სჯულდების 263-ე მუხლი (აჯანყება, სასჯელი—კატორღა). თავდაპირველად საქმე განიხილა ელისავეტპოლის ოლქის სასამართლომ, ხოლო შემდეგ, მეორე ინსტანციის სახით, თბილისის სასამართლო პალატამ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობას იღებდა საქმის როგორც პირველ, ისე მეორე ინსტანციაში განხილვისას.

ცნობას საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის შესახებ ჩვენ მივაკვლიეთ გაზეთ „პრავო“-ში, სადაც აღნიშნულია:

„6-დან 27 აპრილამდე (1904 წლისა—თ. წ.) თბილისის საოლქო სასამართლომ... კარდახშულში განიხილა საქმე 45 სომხისა, რომელთაც წარდგენილი ჰქონდათ ბრალდება სასჯელთა სჯულდების 263-ე და 1459-ე მუხლებით. იცავდნენ ნაფ. ვექ-

---

[1] გაზ. «Право», 1903 წლის 7 სექტემბერი, № 37, სვ. 2098.

თანაშ. ო. გრუზენბერგი, ნაფ. ვექ. დემიანოვი და სოკოლოვი (პეტერბურგიდან), ანდრონიკოვი ბაქოდან, ნაფ. ვექ. თან. მ. გრუზენბერგი, იოანისიანი, ხომენტოვსკი, ხახუტოვი (თბილისიდან). ბრალდება 263-ე და 1459-ე მუხლებით უარყოფილია, 29 განსასჯელი გამართლებულია; ხუთს მიესაჯა საპოლიციო პატიმრობა ორი კვირით შფოთისათვის, ორს — ორი თვის ციხე მოქმედებით შეურაცხყოფისათვის სასჯელთა სჯულდების 285-ე მუხლით; დანარჩენებს — 271-ე მუხლით ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის: სამს — თითო თვით საპოლიციო პატიმრობა, შვიდს — ოთხი და ექვსი თვით საპყრობილეში მოთავსება უფლების შეუზღუდავად".[1]

საქმის მეორე ინსტანციაში განხილვის შესახებ ცნობა მოთავსებულია გაზეთ „ივერიაში". ამ ცნობიდან ჩანს, რომ ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუსაჩივრებიათ როგორც ბრალდებულებს, ისე პროკურორს. თბილისის სასამართლო პალატა საქმეს იხილავდა 14-18 ოქტომბერს. დაცვის შემადგენლობა ძირითადად იგივე იყო. ამ მეორე განხილვის შედეგად მსჯავრდებულებს სასჯელი ოდნავ შეუმსუბუქდათ.[2]

მეორე ანალოგიური საქმე, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა, ერევნის საქმე იყო. ამ საქმეზე ლ. ანდრონიკაშვილი წერდა: „განსაკუთრებით ენერგიულად და წარმატებით ჩაატარეს პოლიტიკურმა დამცველებმა პროცესი ერევანში. იქ მრავალი ადამიანი იყო მიცემული პასუხისგებაში იმის გამო, რომ ხელმძღვანელობდნენ შეიარაღებულ ბრბოს ეჩმიაძინის მონასტრის ჭიშკართან, სადაც დაუხვდნენ ჯარს, დაუშინეს მას ტყვიები და ქვები".[3] ამ პროცესზე ცნობას ჩვენ მივაკვლიეთ გაზეთ „პრავო"-ში, სადაც სწერია: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ერევნის საოლქო სასამართლომ 22-24 იანვარს მოისმინა 27 სომხის საქმე. ისინი პასუხისგებაში მიცემული იყვნენ სასჯელთა სჯულდების 263-ე მუხლით... განსასჯელებს იცავდნენ: მოსკოვიდან — სტალი და ტესლენკო, ბაქოდან — ანდრონიკოვი, თბილისიდან — ხომენტოვსკი, ჯა-

---

[1] გაზ. «Право», 1904 წლის 2 მაისი, № 18, სვ. 1037.

[2] იხ. „ივერია", 1904, № 241, გვ. 1.

[3] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, I—29 ა.

ფარიძე, ხახუტოვი და იოანისიანცი. განაჩენით... ბრალდება 263-ე მუხლით უარყოფილია. ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობისათვის 271-ე მუხლით მიუსაჯეს: 10 განსასჯელს — საპყრობილეში მოთავსება 8-8 თვით, სამს — ოთხ-ოთხი თვით, დანარჩენი 15 გაამართლეს".[1]

ამ უკანასკნელ ორ საქმეზე დაცვის პოზიცია უაღრესად მძიმე იყო. ეს გამოიწვია იმან, რომ ხალხმა მთავრობის განკარგულების შესრულებას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. სწორედ ამის გამო წარედგინათ ბრალდებულებს მუხლები აჯანყების შესახებ (263-266). ნათქვამი რომ გასაგები იყოს, საჭიროა სენატის ერთ განმარტებას შევეხოთ.

სასჯელთა სჯულდების 263-266-ე მუხლები ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას აჯანყებისათვის, ან მეფის ბრძანებულების, მანიფესტის, კანონისა და დადგენილების გატარებისას ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის. ამ დანაშაულთათვის სჯულდებით მეტად მძიმე სასჯელები იყო შემოღებული. მაგალითად, 263-ე მუხლით — კატორღა 15-დან 20 წლამდე, 264-ე მუხლით — კატორღა 8-დან 15 წლამდე და ა. შ. ამავე სჯულდების 270-271 მუხლები ითვალისწინებდნენ ისეთ შემთხვევას, როდესაც წინააღმდეგობას უწევენ სასამართლოს დადგენილების შესრულებას ან ხელისუფლების განკარგულებას ან მოხელის კანონიერ მოქმედებას, როცა იგი თავის თანამდებობას ასრულებს, თუ წინააღმდეგობის გაწევაში მონაწილეობას იღებს არა უმეტეს სამი კაცისა, თუნდაც მათ შორის, ერთი პირი იყოს შეიარაღებული. ამ დანაშაულისათვის ნაკლები სასჯელები იყო დადგენილი. მაგალითად, 270-ე მუხლით გათვალისწინებული იყო კატორღა 4-დან 6 წლამდე, ან ციმბირში გადასახლება ან გამასწორებელ-სატუსაღო დაწესებულებაში გაგზავნა. კანონი არ ითვალისწინებდა ისეთ შემთხვევას, როდესაც ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევას აჯანყების ხასიათი კი არ ჰქონდა, არამედ იგი მხოლოდ მთავრობის რაიმე კერძო განკარგულებისადმი წინააღმდეგობაში გამოიხატებოდა, თუნდაც მასში სამ კაცზე მეტს მიეღო მონაწილეობა და მათ შორის ერთს იარაღიც ჰქონოდა.

---

[1] «Право», 1904 წ., 4 იანვარი, № 1, სვ. 41.

ამიტომ ამ საკითხზე კანონის განმარტებას იძლეოდა სენატი — უმაღლესი სასამართლო ორგანო. იგი საკითხს წმინდა რაოდენობითი ნიშნით წყვეტდა: თუ მოქმედებდა არა უმეტეს სამი კაცისა — უნდა გამოეყენებიათ 270-ე მუხლი, ხოლო თუ სამ კაცზე მეტი — 263-ე ან 264-ე მუხლი. სენატის ამ მანკიერი პრაქტიკის წინააღმდეგ გაბედულად გამოვიდა ლ. ანდრონიკაშვილი. იგი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს არა რაოდენობითი ნიშნის მიხედვით, არამედ იმისდა მიხედვით, თუ როგორი დადგენილების წინააღმდეგ გაილაშქრა ჯგუფმა, ე. ი. რა იყო მისი ხელყოფის ობიექტი. თუ დანაშაულის ობიექტს მთელი არსებული წესწყობილება წარმოადგენდა და მოქმედება მთლიანად ამ წყობილების წინააღმდეგ იყო მიმართული, ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს 263-266-ე მუხლები, ხოლო თუ ჯგუფი წინააღმდეგობას უწევს ხელისუფლების ცალკეულ განკარგულებას და ამით არ გამოხატავს წინააღმდეგობას მთელი არსებული წესწყობილების, როგორც მთლიანობის, მიმართ, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს 270-ე მუხლი, თუნდაც ჯგუფში სამზე მეტი კაცი შედიოდეს. სენატის პრაქტიკის წინააღმდეგ წასვლა იმ დროისათვის დიდი გაბედულება იყო, ხოლო სასამართლოს დარწმუნება, რომ სენატის პრაქტიკას გადაუხვიოს — დიდი გამარჯვება. როგორც ჟურნალებიდან ზემოთ მოტანილი ამონაწერები ადასტურებენ, ეს გამარჯვება ლ. ანდრონიკაშვილს მთელ რიგ დიდ პროცესებში მოუპოვებია.

რევოლუციამდელი საქმეებიდან მეტად საინტერესოა აგრეთვე ქ. სარატოვში 1902 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ მოწყობილი დიდი დემონსტრაცია. პასუხისგებაში მიცემული იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები: ბოჩკარიოვი, ფოფონოვი, ეფიმოვი, ვოევოდინი, ფომინი და სხვ., სულ 15 კაცი — სასჯელთა სჯულდების 252-ე მუხლით. მათ ბრალდებოდათ, რომ წინასწარ დაიწყეს მზადება საპირველმაისო დემონსტრაციისათვის, გამოუშვეს და გაავრცელეს პროკლამაციები, ხოლო 5 მაისს (პირველ მაისს ვერ მოახერხეს) სათავეში ჩაუდგნენ საჯარო მსვლელობას სარატოვის ქუჩებში. მუშების დიდი ჯგუფი, რომელსაც გზადაგზა ახალ-ახალი ტალღა ემატებოდა, გამოვიდა დემონსტრაციებზე წითე-

ლი დროშებით, რომლებზედაც ეწერა: „გაუმარჯოს ხალხის ხელისუფლებას“, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, „პირველი მაისი“. მოჰქონდათ ერთი შავი დროშაც — სტეფანე ბალმაშოვის ჩამოხრჩობის გამო პროტესტის ნიშნად.[1] დემონსტრანტები მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, ყვიროდნენ — „ძირს თვითმპყრობელობა“, „ძირს პოლიცია“, არიგებდნენ პროკლამაციებს, რომლებშიც ეწერა: „დღეს ყველანი ერთსულოვნად გამოდით ქუჩებში წითელი დროშებით და ძახილით — „ძირს კაპიტალისტები, ძირს პოლიცია, ძირს თვითმპყრობელობა“. დაე, შედრკეს ყველა ჩვენი მტერი — კაპიტალისტი, ჩინოვნიკი, მეფე, ერთი სიტყვით, ყველა, ვინც თვითონ არ მუშაობს, ჩვენი შრომით ცხოვრობს და თავხედურად განაგებს ჩვენს ბედს. ვიბრძოლოთ მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების დამხობისათვის, პოლიციის თვითნებობისა და ძალადობის წინააღმდეგ, მივაღწიოთ ყველა წოდების თანასწორობას“...

ხალხს წინ გადაეღობა პოლიცია და სასტიკად გაუსწორდა. ბევრი დაიჭრა. მანიფესტაციის ზოგიერთმა მონაწილემ, კერძოდ ეფიმოვმა სცადა პოლიციისათვის აქტიური წინააღმდეგობა გაეწია, რის გამოც, 252-ე მუხლის გარდა, მას წაუყენეს 264-ე მუხლიც. დამცველებმა, რომელთა შორის ანდრონიკაშვილიც იყო, მიაღწიეს იმას, რომ, თუმცა განსასჯელებს სხვადასხვა ვადის კატორღა დაუნიშნეს, მაგრამ შემდეგ, შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობის გამო, საკატორღო სამუშაოები შეუცვალეს სხვადასხვა ვადით ციმბირში გადასახლებითა და სამოქალაქო უფლებების აყრით.

ლ. ანდრონიკაშვილის ბაქოში ყოფნისას თვით ბაქოსა და მთელ მის გუბერნიაში მოხდა თვითმპყრობელობის მიერ პროვოცირებული სომეხ-თათართა ურთიერთჟლეტა. ლ. ანდრონიკაშვილი არ შეიძლებოდა გულგრილი დარჩენილიყო ამ ამბე-

---

[1] სტეფანე ბალმაშოვი — კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელმაც მთავრობის რეპრესიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად პეტერბურგში მარიამის სასახლეში მოკლა შინაგან საქმეთა მინისტრი დ. ს. სიპიაგინი. ბალმაშოვი ჩამოახრჩვეს შლისელბურგის საპყრობილეში 1902 წლის 3 მაისს (იხ. БСЭ, изд. 3, т. 2).

ბისადმი. აი, რას გვიამბობს იგი თავისი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ამ პერიოდში:

„17 ოქტომბრამდე ჩემი მოღვაწეობა ბაქოში იმით გამოიხატებოდა, რომ ბაქოს პროლეტარიატთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ეროვნული შუღლის გამომწვევ იმ მოქმედებათა ჩახშობაში, რომლებმაც განსაკუთრებული სიძლიერით იჩინეს თავი 1905 წლის 6-9 თებერვალს, როდესაც ბაქოს მთელს ტერიტორიაზე მოხდა გაუგონარი და უაღრესად მხეცურ ფორმებში გამოვლინებული თათარ-სომეხთა ურთიერთჟლეტა. ბაქოს პროლეტარიატმა და, მასთან ერთად, ინტელიგენციამ ჩაახშვეს ეროვნული ანტაგონიზმის ეს აფეთქება მიტინგებით, ახსნა-განმარტებითი საქმიანობით, სახალხო მილიციის შეიარაღებული რაზმების შექმნით, რომლებიც იცავდნენ მოსახლეობას თავდამსხმელებისაგან. პროლეტარიატს უნდა ემხილებინა ამ ანტაგონიზმის ნამდვილი დამნაშავე — მეფის მთავრობა და მისი რბევითი პოლიტიკა. გაერთიანებული პროლეტარიატის ორგანოებმა დამაკისრეს საპატიო ამოცანა — გამოვსულიყავი სიტყვით, და... მე წარმოვთქვი სიტყვა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.[1] ამის შემდეგ იძულებული გავხდი არალეგალურ მდგომარეობაში გადავსულიყავი".[2]

ბაქოს ნავთობის მრეწველთა ყრილობაზე გამოსვლა, ეტყობა, მეტად რევოლუციურ ხასიათს ატარებდა, რადგან ამ სიტყვასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სჯულდების 129-ე მუხლით (საჯაროდ მოწოდება სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამხობად) და იგი იძულებული იყო არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულყო. ამ პერიოდის შესახებ უმჯობესია მივცეთ სიტყვა ანდრონიკაშვილის მეუღლეს — ეკატერინე იაკობის ასულს, რომელმაც 1940 წლის 16 თებერვალს ჩემთან გამოგზავნილ მოკლე ბარათში ასე აღწერა ლ. ანდრონიკაშვილის პასუხისგებაში მიცემის ამბავი:

„1904 წლის ბოლოს და 1905 წლის დასაწყისში ბაქოში

---

[1] ლ. ანდრონიკაშვილი გამოვიდა მამხილებელი სიტყვით ბაქოს ნავთობის მრეწველთა ყრილობაზე 1905 წლის 14 თებერვალს.

[2] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, დ—2 ა.

ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ხშირად თავმჯდომარეობდა რევოლუციური ხასიათის საზოგადოებრივ კრებებზე, რომლებსაც მეტად მშფოთვარე ხასიათი ჰქონდა ხოლმე.

1905 წლის თებერვალში, როდესაც იგი თბილისში იმყოფებოდა, ბაქოში მისი ბინა გაჩხრიკეს და დასაპატიმრებლად ჩაუსაფრდნენ. ეს ამბავი როგორღაც შეიტყვეს მისმა მეგობრებმა და ერთი მათგანი გაგზავნეს თბილისში ლუარსაბ ნიკოლოზის ძის გასაფრთხილებლად. მაგრამ ლუარსაბ ნიკოლოზის ძემ გაფრთხილებას რატომღაც ყურადღება არ მიაქცია და საქმის დამთავრებისთანავე ბაქოს მიაშურა.

არ ვიცი როგორ, მაგრამ მეგობრებმა შეიტყვეს, რომ ლუარსაბი ბაქოში ბრუნდება და ერთი მათგანი მას სადგურ ბალაჯარაში დაუხვდა. როცა მატარებელი ბალაჯარაში ჩამოდგა, მეგობარმა მოძებნა ვაგონებში ლუარსაბ ნიკოლოზის ძე. ხელი მოკიდა მის ჩემოდანს, მასთან ერთად სადგურზე გამოვიდა და ჩასვა იგი შემხვედრ მატარებელში, რომელიც თბილისისკენ მიდიოდა.

თბილისში ერთხანს იგი მეგობრებთან იმალებოდა, მერე კი დაარწმუნეს, საზღვარგარეთ წასულიყო, რადგან მას სამხედრო სასამართლო ელოდა. მაგრამ ლუარსაბ ნიკოლოზის ძემ განაცხადა: „საზღვარგარეთ არ წავალ. წავალ პეტერბურგში ცოლთან". მაშინ უქირავეს ეტლი, მისცეს ნაბადი, ნაბდის ჩექმები და სხვა თბილი ტანსაცმელი და ერთ მეგობართან ერთად საქართველოს სამხედრო გზით გაისტუმრეს. ბესლანში ბილეთები იყო აღებული მოსკოვამდე. ამასობაში ერთ-ერთმა თბილისელმა მეგობარმა დეპეშა გაუგზავნა მის მეგობარს, პეტერბურგელ ადვოკატს, ჩემთვის გადმოსაცემად. დეპეშაში ეწერა: „ლუარსაბი გამოვიდა ბესლანიდან მოსკოვში ამა და ამ დღეს. იგი ავად არის. აუცილებელია დახვდეთ და წაიყვანოთ მოსკოვში".

მე, რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, თუ რას ნიშნავდა სიტყვები: „ავად არის" და იმავე ღამეს გავემგზავრე მოსკოვში. პეტერბურგიდან მომცეს იმ პირთა გვარები და მისამართები, ვისთანაც შეიძლებოდა ამბის გაგება, თუ ვინიცობაა ლუარსაბ ნაკილოზის ძეს სადგურზე ვერ ვნახავდი.

მოსკოვში ჩასვლისთანავე წავედი იმ სადგურზე, სადაც

ბესლანიდან მოსული მატარებელი უნდა ჩამომდგარიყო. მაგრამ ლუარსაბი ამ მატარებელში არ აღმოჩნდა. არ აღმოჩნდა იგი არც მეორე მატარებელში. ვინაიდან სხვა მატარებელი იმ დღეს აღარ იქნებოდა, დავუწყე ძებნა მოცემული მისამართების მიხედვით.

უკვე საღამოს, ძალზე დაღლილი და ნერვებაშლილი მივედი მოსკოვის ნაფიცი ვექილის ნ. კ. მურავიოვის ბინაზე. იგი შინ არ დამიხვდა. გამოვედი გარეთ, არ ვიცოდი, რა მექნა. ამ დროს დავინახე, რომ მურავიოვი სახლს უახლოვდებოდა. ჩემს კითხვაზე, ხომ არაფერი იცის ლუარსაბ ნიკოლოზის ძეზე, მან მიპასუხა: „როგორ არა! თქვენ მას ნახავთ არბატზე, ამა და ამ სასტუმროში, თუ უკვე არ წავიდა საზღვარგარეთ. ყოველ შემთხვევაში, იჩქარეთ, ერთი საათის შემდეგ ის იქ უკვე აღარ იქნება“. თან გვარიც მაცნობა, ვის სახელზედაც ნომერი იყო აღებული. მაშინვე ვიქირავე ეტლი, რომელმაც გამაქროლა არბატისაკენ. კარზე რომ დავაკაკუნე, ლუარსაბ ნიკოლოზის ძემ მიპასუხა: „მობრძანდით“. ის იწვა პატარა დივანზე, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში და ესაუბრებოდა ვიღაცას, ვინც მეორე, განათებულ ოთახში იყო. გზაში გაცივებულიყო და ბოხი ხმით ლაპარაკობდა. მე რომ დამინახა, რატომღაც შეშინდა. მე ავუხსენი ჩემი ჩამოსვლის მიზეზი. მეგობრები ურჩევდნენ საზღვარგარეთ წასულიყო, თვითონ კი დაჟინებით ერთსა და იმავეს იმეორებდა: „საზღვარგარეთ არ წავალ. წავალ პეტერბურგში ცოლთან, და მერე ვნახოთ“. აქვე გადაწყდა, დაუყოვნებლივ წავსულიყავით რიაზანის გუბერნიაში ჩემს ბიძასთან. მართლაც ასე მოვიქეცით. ბიძაჩემს ძალიან გაუკვირდა ჩვენი ჩასვლა, მაგრამ კარგად მიგვიღო. იქ ორი კვირა დავყავით. ორი კვირის შემდეგ ლუარსაბ ნიკოლოზის ძემ განაცხადა, პეტერბურგში უნდა წავიდეთო. ვერ დავარწმუნე ვერაფრით, რომ საჭირო იყო დარჩენა. გავემგზავრეთ პეტერბურგში.

პეტერბურგში მე ვცხოვრობდი ჩემს უფროს დასთან ლუბოვ იაკობის ასულთან ერთად. ორივეს პატარა გოგონები გვყავდა. მე მქონდა ერთი პატარა ოთახი და ამ ოთახში დაბინავდა ლუარსაბ ნიკოლოზის ძეც.

რამდენიმე დღის შემდეგ ბინა გამიჩხრიკეს. მე ვერაფერი მინახეს. ლუარსაბ ნიკოლოზის ძეს კი საერთოდ არაფერი

ჰქონდა ჩამოტანილი. მიუხედავად ამისა, იგი დააპატიმრეს. შაგრამ რამდენიმე დღეში გამოუშვეს. როგორც ჩანს, ვერ დაადგინეს, რომ პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი ანდრონიკოვი და ბაქოს ქალაქის იურისკონსულტი ერთი და იგივე პიროვნება იყო. ამის შემდეგ ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ისევ წავიდა პეტერბურგიდან და მხოლოდ ნოემბერში, უშუალოდ რევოლუციის წინ დაბრუნდა".

რა იყო მიზეზი, რომ ლუარსაბი, როდესაც რიაზანის გუბერნიაში იმალებოდა, ასე მიილტოლა პეტერბურგისაკენ და მარტში უკვე ბრუნდება დედაქალაქში? საქმე ის არის, რომ 1905 წლის მარტში პეტერბურგში მოეწყო რუსეთის ადვოკატთა პირველი ყრილობა. რუსეთის ეროწინავე ადვოკატურა მხოლოდ უფასო კონსულტაციებში მუშაობასა და პოლიტიკურ დაცვას არ სჯერდებოდა. მას უნდოდა თავისი პოლიტიკური მრწამსიც ჩამოეყალიბებინა. მარტის ყრილობაზე შეიქმნა სრულიად რუსეთის ადვოკატთა კავშირი, რომელიც „კავშირთა კავშირში"[1] შედიოდა. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილიც. როგორც ვ. ონიანი წერს, ლ. ანდრონიკაშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა: „ინტელიგენცია, რომელიც თვლის, რომ იგი მხოლოდ საკუთარი ძალღონით შეძლებს ქვეყნის სოციალურ გარდაქმნას, ღრმად სცდება, იგი ამით თავის თავს ხალხს უპირისპირებს და მის წარმომშობ ხალხზე მაღლა აყენებს. ლ. ანდრონიკაშვილი თვლიდა, რომ ინტელიგენცია უხალხოდ უძლურია და მხოლოდ ხალხთან კავშირში შეუძლია მას საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის გაკეთება".[2]

მემარცხენე ადვოკატურის პოლიტიკური პლატფორმა სავსებით სწორად შეაფასა პროკურატურამ, რომელმაც ლ. ანდრონიკაშვილისა და ადვოკატთა კავშირის სხვა ორგანიზა-

---

[1] „კავშირთა კავშირი" — ბურჟუაზიული ინტელიგენციის ორგანიზაცია რუსეთში 1905-1906 წწ., რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა (14) პროფესიულ-პოლიტიკურ კავშირებს. „კავშირთა კავშირში" შედიოდა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, ოპოზიციურად განწყობილი ცარიზმის მიმართ" (იხ. «БСЭ», изд. 2-е, т. 40).

[2] В. Ониани, Большевитская партия и интеллигенция в первой русской революции, Изд. «Сабчота Сакартвело», 1970, стр. 97.

ტორთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა 1903 წლის სჯულდების 126-ე მუხლით. სწორედ ამ მეორე საქმესთან იყო დაკავშირებული, როგორც ჩანს, ლ. ანდრონიკაშვილის ბინის გაჩხრეკა და მისი დაპატიმრება. ეს ირკვევა ერთი დოკუმენტიდან, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ნ. მისკარიანმა ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალურ არქივში მიაკვლია. ეს არის პატაკი ლ. ანდრონიკაშვილის ბინის გაჩხრეკისა და მისი დაპატიმრების შესახებ. მოგვყავს მისი ტექსტი:

«Его превосходительству господину Директору
Департамента полиции

Сов. секретно.

Записка

В ночь на сие число подвергнуты, обыску проживающие в настоящее время в столице присяжные поверенные, участники съезда 28—29 марта, упомянутые в обнаруженном у пр. пов. Беренштама протоколе заседания 29 марта этого съезда, а именно Л. Н. Андроников и Ф. И. Родичев.

По обыску у Андроникова обнаружены материалы, касающиеся событий 9—11 января с. г. в СПБ, в т. числе 67 экземпляров ликтеографированных обращений к обществу и коллекция (25 экз.) прокламаций, изданных по поводу этого события, затем разные официальные и частные бумаги о Бакинских беспорядках на 130 листах. В этих материалах имеется ряд показаний разных лиц — свидетелей Бакинской резни.

Докладывая об этом Вашему превосходительству, присовокупляю, что Андроников в виду результатов обыска арестован при СПБ тюрьме.

Подполковник (подпись)[1]

22 апреля
№ 7242

[1] ЦГАОР, фонд Особого отделения Департамента Полиции, № 999, 1905 г., ч. II, опись 650, стр. 24.

რამდენიმე დღის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი, როგორც ვიცით, საპატიმროდან გამოუშვეს. მაგრამ ეხლა ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ უკვე ორი საქმე იყო აღძრული 1903 წლის სისხლის სჯულდების 126-ე და 129-ე მუხლებით. პირველი ითვალისწინებდა ისეთ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების დარღვევას (სასჯელი—კატორღა რვა წლამდე ან ციმბირში გადასახლება), ხოლო მეორე — საჯაროდ ისეთი სიტყვის წარმოთქმას, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების დამხობისაკენ ან სხვა ანალოგიური დანაშაულის ჩადენისაკენ (სასჯელი — ციმბირში გადასახლება). ანდრონიკაშვილი იძულებული იყო ისევ გადამალულიყო, მაგრამ სექტემბერში იგი ჩადის მოსკოვში რუსეთის ადვოკატურის ყრილობაზე და მხარს უჭერს წინადადებას, რათა ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო გაფიცვის მოძრაობაში. ადვოკატთა ყრილობის დამთავრების შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი პეტერბურგში აღარ ბრუნდება, რადგან მას იქ ისევ დაპატიმრება და გასამართლება მოელის და გადაწყვეტს მიყრუებულ პროვინციაში გაემგზავროს.

ლ. ანდრონიკაშვილის მშფოთვარე ბუნებისათვის შეუფერებელი იყო გულხელდაკრეფით ყოფნა, როდესაც მთელი პროგრესული რუსეთი იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ოქტომბერში მას მოგილოვში ვხედავთ. იგი მონაწილეობას იღებს რამდენიმე პოლიტიკურ პროცესში, რომლებიც 13 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრამდე ქ. მოგილიოვში, კიევის სასამართლო პალატის გამსვლელმა სესიამ ჩაატარა. იგი იცავს მუშებს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სოფლის მოსახლეობაში და ჯარის ნაწილებში პროკლამაციების გავრცელება, არალეგალური შინაარსის ლიტერატურის შენახვა და სხვ. ამ პერიოდის საქმეებიდან ლ. ანდრონიკაშვილის ფონდში დაცულია მასალები (საბრალდებო დასკვნები) ორ საქმეზე. პირველი— ეს არის ცოლ-ქმარ ლიბერმანებისა. ხოლო მეორე — ფეიგინების საქმე. ლიბერმანებს ბრალად ედებოდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საიდუმლო კომიტეტის იატაკქვეშა სტამბის მოწყობა და აკრძალული ლიტერატურის

შენახვა და გავრცელება. საქმე 1905 წლის 13 ოქტომბერს ირჩეოდა, მაგრამ გადაიდო. მეორე საქმე ანალოგიური იყო. იგი 12 ოქტომბერს გაირჩა. პასუხისგებაში მიცემული სამი კაციდან ორი გაამართლეს, მესამეს კი 4 წლის პატიმრობა მიუსაჯეს.[1]

[1] ცნობები ამ საქმის, აგრეთვე მათში ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობის შესახებ გვხვდება წიგნში: «Политические процессы в России 1901—1917 гг», ч. I, М., 1932, стр. 163, 183.

თავი მესამე

ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე

1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის შედეგად რუსეთის პროლეტარიატმა და გლეხობამ მეფეს ხელიდან გამოგლიჯეს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელმაც, როგორც ცნობილია, ძალთა ერთგვარი წონასწორობა დაამყარა. მას 23 ოქტომბრის ამნისტია მოყვა, რომელმაც გააქარწყლა ლ. ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ აღძრული ბრალდებებიც. ლ. ანდრონიკაშვილმა დაუყოვნებლივ პეტერბურგს მიაშურა და ამიერიდან კიდევ უფრო ენერგიულად და თავდადებულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს — რევოლუციონერთა დაცვას თვითმპყრობელობის თვითნებობისაგან. არ არის თითქმის არც ერთი დიდი სასამართლო პროცესი, რომელიც 1905 წლის რევოლუციის შემდეგ მძვინვარე თეთრმა ტერორმა წარმოშვა, რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს არ მიეღო მასში მონაწილეობა.

შევეხებით ზოგიერთ ისტორიულ პროცესს.

§ 1. შეიარაღებული აჯანყების საქმეები

ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით ჩატარებულ სასამართლო პროცესებს შორის განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს აჯანყების საქმეებს, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის 1905-1907 წწ. რევოლუციის ისტორიკოსი.

ამ კატეგორიის საქმეებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსე-

ნიოთ შავი ზღვის ფლოტის კრეისერ „ოჩაკოვის“ აჯანყებულ მატროსთა საქმე.

კრეისერ „ოჩაკოვის“ მატროსთა აჯანყება ერთ-ერთი ეპიზოდი იყო სევასტოპოლის ჯარისკაცების, მატროსებისა და ნავსადგურის მუშების 1905 წლის ნოემბრის აჯანყებისა. სევასტოპოლის აჯანყება დაიწყო 11 ნოემბერს და 5 დღე გასტანა. მასში მონაწილეობა მიიღეს 13 სამხედრო გემის მატროსებმა, შავი ზღვის ფლოტის დივიზიის მატროსებმა, ბრესტის 49-ე ქვეითი პოლკისა და სათადარიგო ბატალიონის, აგრეთვე სევასტოპოლის ციხე-სიმაგრის მესანგრეთა ასეულისა და არტილერიის ჯარისკაცებმა. აჯანყებას ხელმძღვანელობდა საბჭო, რომელიც პირველსავე დღეს აირჩიეს მატროსებმა და ჯარისკაცებმა. საბჭომ შეიმუშავა აჯანყებულთა პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები.

მატროსებისა და ჯარისკაცების დეპუტატთა კომისიამ დაადგინა აჯანყების მეთაურად მოეწვია სევასტოპოლის საბჭოს დეპუტატი, ფლოტის ყოფილი ლეიტენანტი პეტრე შმიდტი, რომელიც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გაძევებული იყო ფლოტიდან. 14 ნოემბერს შმიდტი კრეისერ „ოჩაკოვზე“ გადავიდა და ამ დღიდან „ოჩაკოვის“ დამარცხებამდე მატროსებს არ მოშორებია. აჯანყებულებმა, უპირველეს ყოვლისა, გაათავისუფლეს აჯანყებული „პოტიომკინის“ მატროსები, რომლებიც მცურავ საპყრობილე — „პრუტზე“ აყვნენ მოთავსებული. შმიდტის წინადადებით, რომელმაც თავისი თავი შავი ზღვის ფლოტის სარდლად გამოაცხადა, ნიკოლოზ II-ს გაუგზავნეს 17 პუნქტისაგან შემდგარი პეტიცია. აჯანყებულები მოითხოვდნენ: დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას, პოლიტიკურ საქმეზე დაპატიმრებულთა განთავისუფლებას, ქალაქიდან კაზაკებისა და სხვა სამხედრო რაზმების გაყვანას, სამხედრო მდგომარეობის გაუქმებას, რვა საათიან სამუშაო დღეს, სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებას, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დენშჩიკობის გაუქმებას და ა. შ.

აჯანყება საშინელი სისასტიკით ჩააქრეს. მეფის მთავრობამ „ოჩაკოვის“ წინააღმდეგ არტილერია გამოიყენა. „ოჩაკოვმაც“

ცეცხლით უპასუხა, მაგრამ მალე მას ხანძარი გაუჩნდა. ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელი აღმოჩნდა, მატროსები იძულებული იყვნენ კრეისერი მიეტოვებინათ და ზღვაში გადამხტარიყვნენ, მაგრამ მათ დაუნდობლად ხოცავდნენ. უმრავლესობა გაქცეტეს, ვინც გადარჩა, — პასუხისგებაში მისცეს.

სულ სევასტოპოლის აჯანყების გამო 2 000-ზე მეტი კაცი იყო დაპატიმრებული. მეფის მთავრობას ეშინოდა ყველა აჯანყებულის საქმე ერთად განეხილა. ამიტომ „ოჩაკოვის" საქმე გამოყვეს სევასტოპოლის აჯანყების საქმისაგან, თანაც ოჩაკოველებიც რამდენიმე პარტიად გაყვეს და ისე გაასამართლეს. აჯანყების მეთაური ლეიტენანტი პეტრე შმიდტი და 45 კაცი — 1906 წლის თებერვალში (შმიდტი და აჯანყების სხვა სამი მეთაური — ანტონენკო, ჩასტნიკი და გლადკოვი სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენებს კატორღა მიუსაჯეს), აჯანყებული მატროსების მეორე ჯგუფი — იმავე წლის ივნისში, ხოლო მესამე — ნოემბერში. ბრალდება წარდგენილი ჰქონდათ 1903 წლის სჯულდების მე-100-ე და 101-ე მუხლით. მეორე ჯგუფის (360 მატროსის) პროცესში მონაწილეობას იღებდა ლ. ანდრონიკაშვილი. მასთან ერთად დაცვის შემადგენლობაში შედიოდნენ მურავიოვი, ფალეევი, კორეენევსკი, ბალავინსკი, კოსიაკოვსკი და სხვ.

ერთ-ერთი ბრალდებული, აჯანყებული კრეისერის მატროსი ი. ნიკოლაევი შემდეგ იგონებდა: „სასამართლო პირველ ივლისს იყო დანიშნული[1], ჩამოვიდნენ დამცველები: ფალეევი, მურავიოვი, ანდრონიკოვი და სხვ., სულ 10 კაცი; ხშირად შემოდიოდნენ ჩვენთან, გვესაუბრებოდნენ. საქმის განხილვის წინა დღეს გადავწყვიტეთ, რომ სასამართლოს არა ვცნობთ, რადგან ჯალათების სასამართლო სამართლიანი ვერ იქნება... თუმცა დამცველები გვარწმუნებდნენ, უარი არ გვეთქვა სასამართლოზე, ჩვენ მაინც მტკიცედ გადავწყვიტეთ სასამართლოსათვის ბოიკოტი გამოგვეცხადებინა".[2]

---

[1] ი. ნიკოლაევს მეხსიერებამ უმტყუნა. სასამართლოს სხდომა დანიშნული იყო 4 ივლისს.

[2] И. Николаев, После восстания (Воспоминания матроса). «Революционное движение в Черноморском флоте в 1905 году». Сборник воспоминаний и материалов, М., 1925 г., стр. 122-123.

სასამართლო პროცესი მეტად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. 1906 წლის 14 მაისს ბომბი ესროლეს სევასტოპოლის ციხის კომენდანტს ნეპლიუევს, რომელმაც ხელი მოაწერა ნოემბრის აჯანყების მონაწილეთა სამართალში მიცემის აქტს. 28 ივნისს მატროსმა აკიმოვმა მოჰკლა შავი ზღვის ფლოტის მთავარსარდალი, ნოემბრის აჯანყების მთავარი ჯალათი ვიცე-ადმირალი ჩუხნინი. სასამართლოსათვის დანიშნულ დღეს ქალაქისა და ნავსადგურის მუშებმა პროტესტის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადეს. სასამართლოს ეშინოდა რაიმე ექსცესებისა მატროსების ასეთი დიდი ჯგუფის მხრივ და გადაწყვიტა მოსამართლეებსა და განსასჯელებს შორის რკინის მოაჯირი აღემართა. აი, როგორ გვიხატავს სასამართლო დარბაზს დამცველი პ. ი. კორჟენევსკი: „შენობის ცენტრალურ ნაწილში გამოყვეს სასამართლო დარბაზისათვის ოთახი, რომელსაც სვეტების ორი რიგი ჰქონდა. შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს მოსამართლეთა მაგიდა იდგა. მაგიდის წინ სვეტებს შორის იატაკიდან ჭერამდე მსხვილი რკინის ძელები იყო აღმართული. ეს ჰგავდა გალიას. ...გალიის მეორე მხარეს ბრალდებულები უნდა ყოფილიყვნენ. ...და აი, შორიდან გაისმა სიმღერის ხმა, რომელიც დარბაზთან მოახლოებისას თანდათან ძლიერდებოდა. ეს მოულოდნელი იყო და დიადი. ასამდე მატროსი[1] მარსელიეზას სიმღერით მტკიცე და რიტმული ნაბიჯით მწყობრად შემოვიდა დარბაზში“.[2]

დამცველებს წინადადება მისცეს დაეკავებინათ ადგილი მოაჯირის იმ მხარეს, სადაც მოსამართლენი ისხდნენ. მაგრამ მათ გადჭრით უარი განაცხადეს: „ან მოხსენით რკინის მოაჯირი ანდა ჩვენც იქ შეგვიშვით, სადაც განსასჯელები არიანო“. დამცველები შეუშვეს და მათ დაიკავეს ადგილები განსასჯელების წინ.[3]

---

[1] კორჟენევსკი სცდება. ანდრონიკაშვილის არქივში დაცული საბრალდებო დასკვნის მიხედვით ბრალდებულთა რაოდენობა 360 იყო.

[2] კორჟენევსკის მოგონებები ციტირებულია ზიმინას წერილის მიხედვით (იხ. В. Г. Зимина, Воспоминания участников севастопольского восстания, Сборник «Революционное движение в Черноморском флоте в 1905—1907 гг», Воспоминания и письма. Под редакцией П. М. Балчева, 1956, стр. 147).

[3] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, I—29 ა.

ამ საქმესთან დაკავშირებით, ლ. ანდრონიკაშვილი ერთ ინციდენტს იგონებს: როცა მოწმეთა გვარების ამოკითხვის დროს აღმოჩნდა, რომ ბრალდების მოწმედ გამოდის პიროვნება, რომელიც მატროსებთან ერთად მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში და სხვებსაც აქეზებდა, მატროსებმა ყვირილი ატეხეს და რკინის მოაჯირის ნჯღრევა დაიწყეს. შეშინებულმა სასამართლომ დარბაზში ჯარი შემოაყვანინა. მხოლოდ ანდრონიკაშვილის ენერგიულმა ჩარევამ შეუშალა ხელი საზარელ სისხლისღვრას.[1] როგორც ჩანს, ამ მომენტში წარმოთქმულ სიტყვაზე ლაპარაკობს თავის მოგონებებში ყოფილი პოლიტკატორღელი მატროსი ი. ნიკოლაევი. მისი გადმოცემით, როცა წინასწარი გამოკითხვის პროცედურა დამთავრებულა, სიტყვა აუღია დამცველ ანდრონიკაშვილს და ასე დაუწყია: „ბატონო მოსამართლენო! შეხედეთ თქვენ თავს და დაფიქრდით, ვის ასამართლებენ დღეს? მოაჯირს უკან ხომ თქვენ სხედხართ! მე ეხლა გასაჭირში ვარ და არ ვიცი, ვინ დავიცვა: ისინი, ვინც რკინის მოაჯირს ამოფარებია, თუ ისინი, ვინც თავისუფლად და უშიშრად გრძნობს თავს და არავის არ ემალება“.[2]

ამ სიტყვასთან დაკავშირებით, პროფ. ნ. ნ. პოლიანსკი წერს: „ხშირად სასამართლოში გაისმოდა მათი (დამცველების. — თ. წ.) ისეთივე გაბედული სიტყვა, როგორიც იყო სიტყვა თვით განსასჯელებისა. ასეთი გაბედული სიტყვის ნიმუშს წარმოადგენს ნაფიცი ვექილის ანდრონიკოვის გამოსვლა კრეისერ „ოჩაკოვის“ მატროსთა ერთ-ერთი ჯგუფის პროცესში“.[3]

მაგრამ ანდრონიკაშვილის სიტყვა მარტო გაბედულებით როდი გამოირჩეოდა. მასში ღრმა აზრი იყო ჩაქსოვილი. ანდრონიკაშვილმა რკინის მოაჯირის მეტაფორა იმისთვის გამოიყენა, რომ ეჩვენებინა საზოგადოებისათვის მეფის ერთგული მოხელეების შეზღუდულობა, სიმხდალე და დაეპირისპირებინა მათთვის განსასჯელთა შეგნებულობა და გამბედაობა. აჯანყებული მატროსები იმიტომ გრძნობდნენ თავს თავისუფლად და

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, I—29 ა.

[2] И. Николаев, цит. статья, стр. 124.

[3] Н. Н. Полянский, цит. работа, стр. 231.

უშიშრად, რომ მათ გაბედულად გაილაშქრეს მონობის უღლის ჩამოსაგდებად. ამაშია მათი ზნეობრივი უპირატესობა, ამით ამაყობენ ისინი და ამით დააფასებს მათ ისტორია.

კრეისერ „ოჩაკოვის" მეზღვაურთა პროცესი სხვა მხრითაც იყო საინტერესო. წინასწარი გამოძიების მასალები (12 ტომი) სასამართლოდან გაიტაცეს. გამოძიებამ საქმე საბრალდებო დასკვნის მასალებით აღადგინა, მაგრამ, როგორც ლ. ანდრონიკაშვილი წერს, გააკეთა ეს მეტად უხეშად, ფაქტების დამახინჯებით. დაცვის მოთხოვნა, რომ საქმე ხელმეორედ გამოსაძიებლად დაებრუნებინათ, სასამართლომ უარყო. სასამართლომ უარყო აგრეთვე განსასჯელთა და მათი დამცველების მოთხოვნა, გამოეძახებინათ მათ მიერ დასახელებული მოწმეები და მოეხსნათ რკინის მოაჯირი. გარდა ამისა, დამცველებმა პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ ისეთი პირები, რომელთაც საქმე გამოიძიეს, რაც კანონით კატეგორიულად აკრძალული იყო. როცა განსასჯელების ყველა სამართლიან მოთხოვნას სასამართლომ უარით უპასუხა, განსასჯელებმა და მათმა დამცველებმა დემონსტრაციულად უარი თქვეს პროცესში მონაწილეობაზე. დარჩა მხოლოდ 9 განსასჯელი და ერთი სახაზინო დამცველი. მიუხედავად განსასჯელებისა და მათი დამცველების მიერ პროცესის ბოიკოტისა, სასამართლო პროცესი გაგრძელდა ყველა განსასჯელის მიმართ. აჯანყებულებს მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანეს: 4 კაცს — სიკვდილით დასჯა, დანარჩენებს — კატორღა ან საპყრობილე ხანგრძლიეი ვადით. გაამართლეს მხოლოდ 6 კაცი იმ პირთაგან, ვისაც სხდომა არ მიუტოვებია. დამცველები საქმის საბოლოოდ დამთავრებამდე განსასჯელებს არ მოსცილებიან[1]. ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას მსჯავრდებულთა ბედის შემსუბუქებისათვის. განაჩენის კონფირმაციის (დამტკიცების) დროს შავი ზღვის ფლოტის ახალმა სარდალმა ვიცე-ადმირალმა სკრიდლოვმა, ჩუხნინის ბედით შეშინებულმა, სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით შეცვალა.

პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ბ ჭ ო ს პ რ ო ც ე ს ი. 1906 წლის სექტემბერ-ოქ-

[1] იხ. Н. Полянский, დასახ. ნაშრომი, გვ. 74-75.

ტომბერში პეტერბურგში ჩატარდა ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური პროცესი პეტერბურგის მუშათა დეპუტატების პირველი საბჭოს საქმეზე. საბჭოს წევრები იანვარში დააპატიმრეს. საბრალდებო დასკვნის თანახმად[1] მათ ბრალდებოდათ, რომ 1905 წლის ოქტომბერში შეადგინეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც უწოდეს „პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო". ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ძალმომრეობით დაემხო რუსეთის ძირითადი კანონებით დამყარებული მართლწესრიგი და შეეცვალა იგი დემოკრატიული რესპუბლიკით. ამ მიზნის განსახორციელებლად მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრები სათავეში ჩაუდგნენ მუშათა მოძრაობას, ხელმძღვანელობდნენ ნოემბრის საყოველთაო გაფიცვას, მხარს უჭერდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ყოველგვარ მოქმედებას როგორც მუშა-მოსამსახურეებში, ისე არმიაში; კერძოდ, 1905 წლის 2 ნოემბერს მუშათა დეპუტატების საბჭომ გამოაცხადა გაფიცვა კრონშტადტის არმიისა და ფლოტის აჯანყებულ ჯარისკაცთა მხარდასაჭერად, აგრეთვე პოლონეთში დაწყებული გაფიცვის მხარდასაჭერად და პოლონეთში სამხედრო მდგომარეობის შემოღების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. საბჭომ მოითხოვა მთელს რუსეთში სიკვდილით დასჯისა და სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმება და ა. შ. მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრებს ბრალდებოდათ, რომ ისინი გამოდიოდნენ ხალხმრავალ მიტინგებზე რევოლუციური სიტყვებით, მოუწოდებდნენ მოსახლეობას შეიარაღებული აჯანყებისაკენ, აქვეყნებდნენ „მუშათა დეპუტატების იზვესტია"-ში წერილებს, რომლებშიც მოითხოვდნენ ხალხის შეიარაღებას და სახალხო მილიციის შექმნას. მაგალითად, ერთ-ერთ წერილში ნათქვამი იყო: „როცა ხალხი ხელში აიღებს იარაღს, იგი ზამთრის სასახლის მეწამულ კედლებზე ხიშტის წვერით ამოჭრის თავის დიად ბრძანებულებას. ეს იქნება ბრძანებულება მეფის მთავრობის სიკვდილისა და ხალხის თავისუფალი რესპუბლიკური ცხოვრების შესახებ".

---

[1] საბრალდებო დასკვნა იხ. გაზეთ «Право»-ში, 1906 წლის 18 ივლისი, № 24, სვ. 2118—2158.

საბრალდებო დასკვნაში მითითებული იყო, რომ ბრალდებულები აქტიურად ამზადებდნენ აჯანყებას, ამ მიზნით იძენდნენ ცეცხლსასროლ და ცივ იარაღს, რომელსაც მუშებს ურიგებდნენ. მათ თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ ფულის საკმაოდ დიდი თანხები და ამ თანხებს ხმარობდნენ შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად. ბრალდების ერთ-ერთი პუნქტი იყო, რომ 1905 წლის 2 დეკემბრის გაზეთებში გამოაქვეყნეს ეგრეთ წოდებული „მანიფესტი", რომლის მიზანი იყო საკრედიტო სისტემისათვის ძირის გამოთხრა, სახელმწიფოს გადახდის საშუალებათა შესუსტება, სახელმწიფოსათვის ოქროს მარაგის ხელიდან გამოცლა და მეურნეობის დაფინანსების შეფერხება. კერძოდ, „მანიფესტი" მოუწოდებდა მოსახლეობას არ გადაეხადათ სახელმწიფოსათვის გამოსასყიდი და სხვა სახაზინო გადასახდელი; ყოველგვარი გარიგებით გადასახდელი თანხა, აგრეთვე ხელფასი და ჯამაგირი მიეღოთ მხოლოდ ოქროთი, ბანკებიდან და სახელმწიფო საშემნახველო სალაროებიდან გამოეტანათ თავიანთი შენატანები, თანაც მიეღოთ მხოლოდ ოქროს ფული და ა. შ.

ბრალდება წარდგენილი ჰქონდათ 1903 წლის სისხლის სჯულდების 102-ე მუხლის პირველი ნაწილით (მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელმაც მიზნად დაისახა ძირითადი კანონებით დამყარებული სახელმწიფო წესწყობილების ძალმომრეობით დამხობა) და 101-ე მუხლის პირველი ნაწილით (ამაკე დანაშაულის მომზადება).

სამსჯავრო სხდომები მიმდინარეობდა სასამართლო დაწესებულებათა დიდ დარბაზში, სადაც ჩვეულებრივად ტარდებოდა დიდი პოლიტიკური პროცესები (მაგალითად, „50-ისა", „193-ისა", ვერა ზასულიჩისა და სხვ.). დაცვაში მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური დაცვის მხოლოდ ის წევრები, რომლებიც მემარცხენე ადვოკატთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ. ესენი იყვნენ ა. ს. ზარუდნი, მ. კ. მურავიოვი, პ. ნ. მალიანტოვიჩი, ო. ო. გრუზენბერგი, ნ. დ. სოკოლოვი, ლ. ნ. ანდრონიკაშვილი, ვ. ი. ბერენშტამი, გ. გ. სიდამონ-ერისთავი, თ. ა. ვოლკენშტეინი და სხვ. „ადვოკატი კადეტები, რომლებმაც მხურ-

ვალე სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიეღოთ დაცვაში, დემონსტრაციულად არ დაუშვეს".[1]

პროცესი, რომელიც საჯაროდ მიმდინარეობდა, რევოლუციური იდეების პროპაგანდისა და თვითმპყრობელობის კრიტიკის არენად გადაიქცა. განსასჯელებს არც უფიქრიათ დაემალათ მუშათა დეპუტატების საბჭოს რევოლუციური საქმიანობა, ხოლო მათ მიერ გამოძახებული მოწმეები მოითხოვდნენ, რომ ისინიც დაესვათ საბრალდებო სკამზე, რადგანაც ყველა მუშა ერთსულოვნად ებრძვის თვითმპყრობელობას, ერთსულოვნად აყენებს, ეკონომიურ მოთხოვნებთან ერთად პოლიტიკურ მოთხოვნებსო.

სამსჯავრო სხდომაზე ბევრი დრო მოანდომეს მუშების შეიარაღების საკითხის გარკვევას. განსასჯელები და მათი მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ პეტერბურგის მოსახლეობის დაუყოვნებლივ შეიარაღება აუცილებელი იყო შავრაზმელთა ორგანიზაციებისაგან თავის დასაცავად, რომ ეს ორგანიზაციები აპირებდნენ პეტერბურგშიც ისეთივე რბევის მოწყობას, როგორც მათ მოაწყვეს რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში, და თუ მათ ეს ვერ გაბედეს, ამას უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ პეტერბურგის მუშები შეიარაღებულნი იყვნენ და მზად იყვნენ გასწორებოდნენ საზოგადოების ამ ნაძირალებს. სავსებით სენსაციური შთაბეჭდილება მოახდინა დაცვის გამოსვლამ აღნიშნულ საკითხზე. დამცველებს როგორღაც ხელში ჩაუვარდათ უტყუარი წერილობითი მტკიცებულება, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ შავრაზმელთა რბევა დაწყებული უნდა ყოფილიყო თვით მეფის მთავრობის ინიციატივით. პროცესის მსვლელობაში ადვოკატმა გრუზენბერგმა დაცვის სახელით ასეთი განცხადება გააკეთა: „მთელი პროცესის განმავლობაში... არკვევდნენ საკითხს პეტერბურგში მოსალოდნელი რბევისა და შავრაზმელთა ორგანიზაციების შესახებ... და თუ რომელიმე მოსამართლეს კიდევ დარჩა რაიმე ეჭვი იმის თაობაზე, აუცილებელი იყო თუ არა მშრომელი მოსახლეობის შეიარაღება „შავი რაზმის" წინააღმდეგ, ამჟამად დაცვის ხელ-

---

[1] იხ. И. Мошинский (Конарский), Политическая защита в дореволюционных судах. «Девятый вал», М., 1927, стр. 55.

ში უდავო არგუმენტია, რომ 17 ოქტომბრის შემდეგ პოლიციის დეპარტამენტი აპირებდა კონტრრევოლუციურ გამოსვლას — მოსახლეობის რბევას და ამზადებდა ამას შავრაზმული ორგანიზაციებისა და ყოვლად ბინძური მოწოდებების მეშვეობით".[1] ამის შემდეგ დამცველმა წარუდგინა სასამართლოს ბარათი, რომელიც 1905 წლის 14 ივნისს პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს ლოპუხინს მიუწერია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინისათვის, და რომლიდანაც ნათლად ჩანდა, რომ ებრაელთა, ინტელიგენტთა და მოსახლეობის სხვა ფენების რბევა თვით მთავრობის მიერ იყო მოწყობილი. დაცვა მოითხოვდა, ეს წერილი საქმისათვის დაერთოთ. ამის წინააღმდეგ გაილაშქრა პროკურორმა, რომელიც ამტკიცებდა, საქმისათვის ამ დოკუმენტს მნიშვნელობა არა აქვსო. პროკურორის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადეს დამცველებმა ანდრონიკაშვილმა, ზარუდნიმ, მალიანტოვიჩმა და სოკოლოვმა. მათი აზრით, ამ დოკუმენტის საქმისათვის დართვა აუცილებელი იყო, რადგან იგი ადასტურებდა, რომ რბევათა მომწყობი თვით მთავრობაა, ეს კი უფრო მეტ საფრთხეს ქმნიდა და, მაშასადამე, თავდაცვის განსაკუთრებულ აუცილებლობას ასაბუთებდა[2].

გარდა ამისა, დამცველებმა მოითხოვეს, სასამართლოს გამოეწვია მოწმედ თვით ლოპუხინი, პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი, რათა მას დაედასტურებინა, რომ შავრაზმელთა პროკლამაციები, რომლებიც მოუწოდებდნენ გაეექლიტათ ებრაელები, სომხები და ინტელიგენცია, იბეჭდებოდა განსაკუთრებულ სასტამბო დაზგაზე პოლიციის მოხელის კომისაროვის მეთვალყურეობით.

სასამართლომ, რა თქმა უნდა, არც ერთი ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

განსასჯელებმა და დამცველებმა გადაწყვიტეს, რომ ასეთ პირობებში პროცესში მონაწილეობას აზრი აღარ აქვს და, ვინაიდან მათ უკვე ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა გამოეაშკარავებინათ მეფის თვითმპყრობელობის დანაშაულებრივი

---

[1] იხ. «Право», 1906 წლის 5 ივლისი, № 44, სვ. 3424.

[2] იქვე.

ხასიათი და ეჩვეხებიხათ ძასთახ ბრძოლის აუცილებლობა, თავისი ამოცანა შესრულებულად ჩათვალეს და ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტეს პროცესი მიეტოვებინათ. დამცველებმა სასამართლოს წარუდგინეს შემდეგი შინაარსის დოკუმენტი:

„ვიღებთ რა მხედველობაში, ჯერ-ერთი, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო წარმოადგენდა იმ მართლწესრიგის ორგანიზაციას, რომელიც თვით ხალხმა შექმნა ხელისუფლების რეაქციულ ძალებთან განმათავისუფლებელი ბრძოლის მსვლელობაში, რომ ამიტომ საბჭოს თავის უახლოეს ამოცანად მიაჩნდა დაცვა სამართლებრივი წესრიგის ელემენტარული საფუძვლებისა და იმ თავისუფლებებისა, რომლებიც ხალხმა ამ ბრძოლაში მოიპოვა; რომ ამ თავისუფლებებს და მოსახლეობის ელემენტარულ უფლებებს ყოველ წუთს ემუქრებოდა რბევათა სისტემის სახით შექმნილი ანარქია, რომელიც ხელისუფლების ზოგიერთი ორგანოსა და მის თანამზრახველთა კონტრრევოლუციური ჩანაფიქრის პროგრამას წარმოადგენდა;

ვიღებთ რა მხედველობაში, მეორე, რომ შავრაზმელთა თავდასხმებისა და ებრაელთა რბევის საკითხს განსაკუთრებულმა საკრებულომ სამსჯავრო სხდომაზე საკმაო ყურადღება დაუთმო და ამით აღიარა ამ საკითხის მნიშვნელობა მუშათა დეპუტატების საბჭოების საქმის განხილვისათვის, მაგრამ ამასთან ერთად განსაკუთრებული საკრებულო მაშინვე გზას გვიღობავდა, როგორც კი იგრძნობდა, რომ ჭეშმარიტება მთავრობის ორგანოთა ანარქიული და კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ შეიძლება ოფიციალურად იქნეს აღიარებული თვით ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ;

ვიღებთ რა მხედველობაში, მესამე, რომ განსაკუთრებულმა საკრებულომ უარი განუცხადა დაცვას და განსასჯელებს შუამდგომლობებზე მოწმეთა სახით გამოძახებული ყოფილიყვნენ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ვიტე, შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო, საზღვაო და სამხედრო მინისტრები ბირილიოვი და რედიგერი, პეტერბურგის ქალაქის უფროსი დედულინი, და ბოლოს, იმაზედაც კი უარი თქვა, რომ მიეღო ავტორიტეტული ცნობები იმ პირისაგან, ვინც მთავრობის დავალებით თვით გამოიკვლია ხელისუფლების ორგანოთა რბე-

ვითი საქმიანობა, სახელდობრ — პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ლოპუხინისაგან, რის გამოც ამ პროცესში ვითომდა ყოველმხრივი გამოკვლევა მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათისაა, სინამდვილეში კი განსასჯელები და დაცვა შეზღუდულნი იყვნენ და არ შეეძლოთ გამოეკვლიათ მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმიანობის მამოძრავებელი მიზეზები;

ვიღებთ რა მხედველობაში, მეოთხე, რომ საგანგებო საკრებულომ საზოგადოებრივი თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვან ფაქტად ჩათვალა ის აღიარება, რომლითაც აქ უნდა გამოსულიყო თვით მთავრობის ერთ-ერთი მაღალი მოხელე, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოაცხადა, რომ ამ გარემოებას დამოკიდებულება არა აქვს ჩვენს საქმესთან, რითაც მან გამოიჩინა მისწრაფება უარეყო ამ საქმის უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რომელიც დაცვას ღრმად სწამს, —

დაცვა თვლის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმიანობა, როგორც სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, ვერ იქნება ისე გაშუქებული, როგორც ამას საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს. ამიტომ ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ჩვენს მიერ დასაცავ პირებთან შეთანხმებით, ჩვენს პროფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობად ვთვლით უარი განვაცხადოთ შემდგომ მონაწილეობაზე აღნიშნული საქმის განხილვაში, რომლის დროსაც, განსაკუთრებული საკრებულოს დადგენილების გამო, ვერ გავარკვევთ ვერც ისტორიულ და ვერც იურიდიულ ჭეშმარიტებას ისე, როგორც ეს გვესმის ჩვენ და ჩვენს მიერ დასაცავ პირებს".[1]

განცხადებას ხელს აწერენ ნაფიცი ვექილები გრუზენბერგი, სოკოლოვი, მალიანტოვიჩი, ანდრონიკაშვილი და სხვები.

სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან განსასჯელებმა უარი განაცხადეს საბოლოო სიტყვაზე და დაცვაზე და ვინაიდან განსასჯელთა და დამცველთა დაუსწრებლობა ხელს არ შეუშლის სასამართლო პროცესის სწორ მიმდინარეობას, საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მათ დაუსწრებლად. როგორც მოშინსკი აღნიშნავს, მსუბუქი განაჩენი, რომელიც სასამართლომ ამ

---

[1] იხ. «Право», 1907 წლის 5 ნოემბერი, № 44, სვ. 3427.

საქმეზე გამოიტანა (ციმბირში გადასახლება), იმან განაპირობა, რომ ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ საკმაოდ გარკვეული არ იყო.[1]

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლ. ანდრონიკაშვილის არქივში ამ საქმესთან დაკავშირებით ვრცელი ჩანაწერები გვხვდება.[2] როგორც ჩანს, ანდრონიკაშვილი, რომელიც კარგად გრძნობდა საქმის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას, გულმოდგინედ ემზადებოდა. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ლ. ანდრონიკაშვილის ჩანაწერები სწორედ საქმის პოლიტიკური მხარის ანალიზს ეხება.

მისი სიტყვა იწყება იმის დასაბუთებით, თუ რა მიზეზებმა გამოიწვია მუშათა ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა, რამ განაპირობა მუშათა დეპუტატების საბჭოს არსებობა და მისი პოზიციები. ამისათვის იგი თავდაპირველად ჩერდება რუსეთში მუშათა ორგანიზაციების წარმოშობის საკითხზე.

მუშათა ორგანიზაცია, — ამტკიცებდა ლ. ანდრონიკაშვილი, — ისტორიულად იყო განპირობებული. „კაპიტალის ზრდასა და მუშათა კლასის დაბადებასთან ერთად წარმოიშვა მისი ორგანიზაციის შესაძლებლობა, ხოლო ეს შესაძლებლობა რეალურ ფაქტად გადაიქცა 90-იან წლების დიდი გაფიცვის დროს პეტერბურგში“.

შემდეგ ანდრონიკაშვილი ანალიზს უკეთებს ხელისუფლების დამოკიდებულებას ამ ფაქტისადმი. „მაგრამ აბსოლუტისტური რეჟიმი, სადაც მხოლოდ ქვეშევრდომები არსებობენ და სადაც უმაღლესი ხელისუფლების სახელზე კოლექტიური განცხადების შეტანაც კი აკრძალულია, ბუნებრივია, ვერ დაუშვებს ორგანიზაციას, გაერთიანებას, თუნდაც დროებითს, თუნდაც ერთი პეტიციისათვის“.

„მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხელისუფლება მიხვდა, რომ იქ, სადაც არის მუშა, აუცილებლად წარმოიშობა ორგანიზაციაც. როცა ხელისუფლებამ ამის აუცილებლობა შეიგნო, მაშინ მან გადაწყვიტა სასტიკად გაელაშქრა იმ პირებისა და პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც მოუწოდებენ მუშებს გაერ-

---

[1] იხ. И. Мошинский (Конарский), დასახ. შრომა, გვ. 56.

[2] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—49.

თიანებისაკენ. ამავე დროს, ხელისუფლება ცდილობდა როგორმე შეეკრილიყო, უფრო სწორად, შეპარულიყო მუშათა ორგანიზაციებში, რათა თავისი კაცების მეშვეობით ეთვალთვალებინა მათთვის და სათანადოდ წარემართა მათი საქმიანობა.“

ანდრონიკაშვილი ჩამოთვლის იმ ზომებს, რომლებსაც ხელისუფლება იყენებს მუშების წინააღმდეგ:

„1. წინანდელ საცხოვრებელ ადგილას გაგზავნა იმ მუშებისა, რომლებიც მთავრობის აგიტაციას არ ემორჩილებიან;

2. შორეულ ადგილებში გადასახლება იმ პირებისა, ვინც უარყოფს ყოველგვარ კავშირს ხელისუფლებასთან;

3. საპყრობილე, ზოგჯერ სამისდღეშიო;

4. ჯაშუშების შეგზავნა მუშათა ორგანიზაციებში“.

„დამახასიათებელია, რომ ამ უკანასკნელი ამოცანის შესრულება ჟანდარმერიის ოხრანკის (დაცვის) განყოფილებას დაევალა. და აი, ჰორიზონტზე გამოჩნდნენ უსახო სულელური ფიგურები. ისტორია უკვე მოიქანცა მათი უმსგავსო ფაცი-ფუცით და უბრალოდ გადაჩხაპნა ეს სამარცხვინო ფიზიონომიები“.

ანდრონიკაშვილი აღნიშნავს, რომ პროვოკატორები, რომლებიც, რა თქმა უნდა, მალავენ თავის ნამდვილ ზრახვებს, რათა მუშების ნდობა მოიპოვონ, ყველაზე მეტს ყვირიან მუშების უფლებების შელახვის გამო და თანდათანობით იხლართებიან წინააღმდეგობაში. ერთის მხრივ, აგიტაციას ეწევიან გაფიცვების მოსაწყობად, აგულიანებენ მუშებს, ხოლო, მეორე მხრივ, ყველაფერს ატყობინებენ ხელისუფლებას. ამავე დროს მუშათა ორგანიზაციები თანდათანობით ძლიერდება, თვით მუშები უფრო შეგნებულნი ხდებიან და ცდილობენ გააძევონ თავისი წრიდან ოხრანკის აგენტები. ეს თავის მხრივ მეტად აშფოთებდა ხელისუფლებას, თანაც არჩეული გზის მიტოვება მას შეუძლებლად მიაჩნდა და ამიტომ იძულებული იყო წასულიყო დათმობებზე, მისი აგენტები აგიტაციას აწარმოებენ თვით საყოველთაო გაფიცვის სასარგებლოდ.

ამ მიმართულებით ხელისუფლება, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ იმოქმედებდა. „მას მხედველობიდან გამორჩა ერთი არცთუ მცირე გარემოება, — კაპიტალის ინტერესები, კაპიტალისა,

რომელიც ამასთანავე უცხოური იყო და არა საკუთარი. კაპიტალს უხელისუფლებოდ არსებობა არ შეეძლო. ... და აი, კაპიტალის წარმომადგენლებმა მოაგონეს ხელისუფლებას, რომ მუშასთან ლაციცში მან მეტად ღრმად შეტოპა". აქ, — მიუთითებს ლ. ანდრონიკაშვილი, — ხელისუფლება წინააღმდეგობაში ჩავარდა და დაიწყო ამ წინააღმდეგობიდან თავის დაღწევის ცდა.

„რა თქმა უნდა, ხელისუფლებას არ შეეძლო თავისი არსებობისათვის საფრთხის შეუქმნელად გაჰყოლოდა დინებას არჩეული მიმართულებით. იგი საგონებელში ჩავარდა. როგორ მოიქცეს. სრულიად მიანებოს თავი მუშათა ორგანიზაციებს? მაგრამ ამას ის მოჰყვება, რომ პოლიციურ სახელმწიფოში გაჩნდებიან კავშირები, რომელთა მოძრაობის კანონები ხელისუფლებისათვის ეხლა უკვე აშკარა გახდა, და ეს კავშირები ბოლოს მოუღებენ მის ბატონობას. მიატოვოს კაპიტალისტები? მაგრამ ესეც ხომ იმას ნიშნავდა, რომ მოეჭრა ის ტოტი, რომელზედაც თვით იჯდა".

„მაშინ ხელისუფლებამ მოძებნა გამოსავალი, რომელიც, მისი აზრით, ორივე პოზიციას შეუნარჩუნებდა: იგი მოჩვენებით იქნება მუშასთან კაპიტალის წინააღმდეგ და ნამდვილად კაპიტალთან — მუშის წინააღმდეგ.

ამ ახალი ფორმის არსი... მეტად რთული იყო და ერთბაშად ძნელია მასში გარკვევა. აგიტაციის მიზნისათვის შეიქმნა რაღაც მსგავსი შუასაუკუნეებრივი თეორიისა ორი ხმლისა და ორმაგი ჭეშმარიტების შესახებ — ეს იყო ხელისუფლების გაყოფა ორ ნაწილად. უზენაესი ხელისუფლება უნდა გამოეყოს მმართველობის ხელისუფლებას. უკანასკნელი მიემხრობა კაპიტალს და მხარს დაუჭერს მას ყოველგვარი საშუალებებით, თუნდაც ხალხის დახვრეტით, გასახლებებით, დაპატიმრებით, გადასახლებებით და ა. შ., ხოლო ხალხში შეგზავნილი პოლიციის აგიტატორები ილაპარაკებენ, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია, საჭიროა, რომ ეს გაიგოს უმაღლესმა ხელისუფლებამ. მოწოდება — „მეფისაკენ" — გადაიქცა ოხრანკისა და სამინისტროს დევიზად. სავსებით გასაგებია, თუ რატომ მიანდვეს ეს საქმე სამღვდელოების წარმომადგენელს. თანაც თეორიულად აგიტატორი ისეთი პიროვნება უნდა ყოფილიყო, რო-

მელსაც ვითომდა სდევნიან... სწორეღ ასეთი კაცი იყო მამა გაპონი.“

ლ. ანდრონიკაშვილი ახასიათებს, თუ როგორ ვითარდება და მტკიცდება მუშათა კლასის .შეგნება, როგორ რწმუნდება მუშა თავის ძალაში და რა შიშის ზარს გვრის ეს ხელისუფლებას.

„... მუშა თანდათანობით სულ უფრო მეტად გრძნობს, რომ მისი ძალა ორგანიზაციაშია, რომ მხოლოდ ორგანიზებულებას შეუძლია უზრუნველყოს მისი მოთხოვნების წარმატება. ყოველი ახალი შეხვედრა ხელისუფლებასთან ასწავლის მას, თუ როგორ უნდა გამოხატოს თავისი მოთხოვნები, ყოველი ახალი შეხვედრა ხელისუფლებასთან საბაბს აძლევს გააფართოოს თავისი პრეტენზიები, ყოფაცხოვრების პირობების უბრალო გაუმჯობესებიდან იგი უკვე დამფუძნებელი კრების მოთხოვნაზე გადადის“.

„ხელისუფლება გრძნობდა მუშის ამ ძალას და ეხლა იმ შიშს, რომ მუშა ხელიდან არ გასხლტომოდა, დაემატა საშინელი შიში მუშასთან ახალი შეხვედრისა... ხელისუფლებას ეშინია ამ „მასის“, ამ „ბრბოსი“, ეშინია ისე, როგორც მაკბეტს ეშინოდა ბირმინჰემის ტყის მოახლოებისა, და მაინც არ შეუძლია არ შეხვდეს მუშას... იგი აგზავნის მუშებთან თავის აგიტატორებს, მაგრამ ყოველი ასეთი გაგზავნის შემდეგ მისი ბუნებრივი შიში კიდევ რამდენიმე ხარისხით იზრდება. ხელისუფლება ჰქმნის მიმოქცევას, რომელშიც მის ყოველ მოქმედებას თან სდევს უკუმოქმედების სახით „მასის შიშის“ («массобоязнь») გაძლიერება და რომელიც იმ საზარელი დღის ტრაგიკული კატასტროფით დამთავრდება“.

„ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ 9 იანვარი გაპონის მიერ არის შექმნილი. სინამდვილეში, — ამტკიცებს ლ. ანდრონიკაშვილი, — 9 იანვარი თვით ხელისუფლებამ წარმოშვა. მე არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ როგორ მიდიოდნენ მუშები მწყობრი ნაბიჯით, რათა განეცხადებინათ უმაღლესი ხელისუფლებისათვის თავისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებანი... არც იმაზე, თუ როგორ გაისმა მეთაურთა ყეფა და წამოვიდა ტყვიის სეტყვა... ცნობილია, რომ იმ დღეს სიკვდილი განურჩევლად და სენის გარეშე სცელავდა. ადგილზე დარჩა მხოლოდ

სისხლით შეღებილი თოვლი და ალექსანდრეს ბაღის ხეებზე ჩამოკიდებული ბიჭუნების გვამები... კვნესა და ოხვრა მძიმე მასად ჩამოწვა ჰაერში... სულმა გრძნობა დაკარგა. რუსეთის ისტორია თითქოს გაშეშდა მუნჯ ყინულოვან მთასავით... თითქოს ყოველივე დამთავრდა და აღარაფერი აღარ შეიძლება იყოს".

ამ საზარელი და შთამბეჭდავი სურათის შემდეგ, რომელიც ლ. ანდრონიკაშვილმა ლაკონურად, მაგრამ ესოდენ მეტყველად, ნამდვილი ხელოვანის ფუნჯით დახატა, იგი გადადის იმ მომენტზე, როცა საზოგადოება გამოფხიზლდა 9 იანვრის შემდეგ. „მაგრამ როცა გული საგულეში ჩადგა პირველი წუთის ამ შემზარავი საშინელების შემდეგ, როცა აღსდგა აზროვნების უნარი, — იმ წუთსავე ნათელი გახდა: ეს — ხელისუფლება კი არა, ღალატის საზიზღარი ნანთხევია. იმ დღეს ისტორიას სამუდამოდ ჩაბარდა ყოველგვარი გულუბრყვილობა... მუშის გონება გამოფხიზლდა... და მის წინაშე ისახება ხელისუფლებასთან უცილობელი მომავალი შეტაკებების საშინელი სურათები. ამ დღეს წარმოიშვა მასობრივი შეიარაღების იდეა, რომლის თაობაზე აქ მუშათა დეპუტატების მოწმეები გვესაუბრებოდნენ.

9 მარტმა განაპირობა ისეთი გარდატეხა მუშის სულში, რის შემდეგაც წარსულისაკენ დასაბრუნებელი გზა აღარ არსებობს.

მახსენდება მუშათა დეპუტატის სიტყვები: — მე მძულს ყოველგვარი ძალადობა, მკვლელობა, მაგრამ ვიცი, რომ მუშისათვის თავისუფლება აუცილებელია, ვიცი, რომ თავისუფლების გარეშე მუშა ისევე ვერ იარსებებს, როგორც ვერ იარსებებს იგი უჰაეროდ. ვიცი, რომ თავისუფლება მუშამ თვით უნდა მოიპოვოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ვინაიდან თავისუფლებას მას არავინ მისცემს და მიცემულიც კი შეიძლება უკანვე წაიღონ. და რადგან ყოველივე ეს შევიგნე, ამიტომ შევაჩვიე ჩემი თავი შეიარაღებული აჯანყების იდეას. ეს დღე აუცილებლად დადგება. — ასეთია სიღრმე პირადი განცდისა, რომელმაც თავისი დაღი დაასვა ყველაფერს: აზრს, სიტყვას, მთელს პირად ცხოვრებას. და როდის მოხდა მასში ასეთი გარდატეხა? სწორედ მაშინ, იმ დღეს. იგი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ მხატვარ კაულბარსის მეომრების მსგავსად, რომ-

ლებიც, კატალანჯის ბრძოლის ველზე მომაკვდავნი, ცაში ხედავენ ბრძოლის გაგრძელებას, მუშათა დეპუტატიც მომავლის ცაზე ხედავდა ამ დღის გაგრძელებას, ხედავდა უკანასკნელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ხელისუფლებასა და აჯანყებულ პროლეტარიატს შორის".

ლ. ანდრონიკაშვილმა ამ სიტყვაში მოგვცა შესანიშნავი ფსიქოლოგიური და სოციალური ანალიზი 9 იანვრის ამბების მნიშვნელობისა მუშათა კლასის შეგნების გარდაქმნისათვის. ეს ანალიზი სავსებით ემთხვევა იმ შეფასებას, რომელსაც აძლევდა ბოლშევიკური პარტია „სისხლიან კვირას". ვ. ი. ლენინი წერილში „რევოლუციის დასაწყისი რუსეთში" წერდა: „მუშათა კლასმა სამოქალაქო ომის დიდი გაკვეთილი მიიღო; პროლეტარიატის რევოლუციურმა აღზრდამ ერთ დღეს ისეთი ნაბიჯი გადადგა, როგორსაც იგი უფერული, ყოველდღიური, დაბეჩავებული ცხოვრების თვეებსა და წლებში ვერ გადადგამდა. პეტერბურგის გმირი პროლეტარიატის ლოზუნგი: „სიკვდილი ან თავისუფლება" ახლა მთელ რუსეთს ედება".[1]

სიტყვის პირველი ნაწილის დამთავრების შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი ანალიზს უკეთებს 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის მომდევნო ვითარებას. „დადგა ოქტომბერი. ხელისუფლების სათავეშია ძველი ნაცნობი ვიტე, რომელიც აცხადებს, რომ სურს ახლებურად იმოქმედოს. საკითხავია: შეიცვალა თუ არა ხელისუფლების დამოკიდებულება მუშათა კლასისადმი? — ჩვენ ვიცით, რომ არა!" ამის საილუსტრაციოდ ლ. ანდრონიკაშვილს მოჰყავს მაგალითები: „ბევრ ქარხანაში მანიფესტის გამოსვლის შემდეგ ადგილი ჰქონდა მუშების შეტაკებას პოლიციასთან და შავრაზმელებთან. იყო მსხვერპლი, იყვნენ დახოცილნი და დაჭრილნი. მუშათა დეპუტატების საბჭო აპირებს სამგლოვიარო დემონსტრაციის მოწყობას და, რადგან თავიდან აარიდოს მუშებს ახალი ჟლეტა, ატყობინებს ვიტეს, აფრთხილებს მას, რომ პოლიციამ თავისი რაზმი არ გამოიწვიოს, რომ მუშები თვით დაიცავენ წესრიგს. და როგორ უპასუხებს ამაზე ვიტე? — ახალი მეთაური უპასუხებს, რომ მას არაფერი შეუძლია, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია ქალა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამოც. მეოთხე, ტ. 8, გვ. 101.

ქის უფროსზე, დედულიხზე, და ძესთავაზებს, რომ წერილს მისწერს დედულინს... მაგრამ ვინ არის დედულინი? ეს ხომ სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც ქალაქის უფროსად იყო მაშინ, როცა პოლიცია ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან ჟლეტდა ხალხს... სწორედ მის დროს მოხდა 9 იანვარი. ამ ვაუბატონს გამბედაობა ეყო დარჩენილიყო ძველ თანამდებობაზე მას შემდეგ, როცა მონაწილეობა მიიღო ბოროტმოქმედებაში, რომლის მსგავსი ისტორიას ჯერ არ ახსოვს. სწორედ ამ კაცთან გზავნის პრემიერი მუშათა დეპუტატებს! ვთქვათ, დედულინს ნება დაერთო დემონსტრაციაზე და შემდეგ მაინც დაეხოცა დემონსტრანტები?! განა ვიტესათვის ამის შესაძლებლობა გამორიცხული იყო? რა თქმა უნდა, არა."

„17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემის შემდეგ ხელისუფლებას სრულიად არ შეუცვლია დამოკიდებულება მუშათა კლასისადმი. „მასის შიშით" («массобоязнь») შეპყრობილი ხელისუფლება ისევ ძველ მეთოდებსა და ტაქტიკას მიმართავს: იგივე ჯაშუშები, იგივე პროვოკატორები, იგივე თვალთვალი, იგივე გაპონიც კი. როგორც კი შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო, ჟანდარმერია მას თავის „ფხიზელ" თვალს არ აშორებს. კრებებზე და მიტინგებზე შემოპარული ჯაშუშები გაფაციცებით იწერენ ყოველივე საეჭვოს და პოლიციას ატყობინებენ. რისთვის ჭირდება ეს ხელისუფლებას?—ცხადია ხელისუფლება „ემზადება იმ ძალების გასანადგურებლად, რომლებმაც განაპირობეს მანიფესტის გამოცემა. ახალი ხელისუფლება ფაქტიურად აუქმებს მანიფესტს. მას სურს ისევ 9 იანვარი გაიმეოროს. ამგვარად, 9 იანვრიდან 17 ოქტომბრის მანიფესტამდე და ოქტომბრიდან — ისევ 9 იანვრამდე ხელისუფლება განუხრელად მისდევს ძველ მეთოდებს და მუშა თავის ოჯახშიც კი დაცული არ არის აგენტისა და მღვდლისაგან, რომლებიც ან ძალით წაათრევენ ციხეში და იქ ამოალპობენ, ან მოტყუებით — მეფისაკენ, სადაც დახვრეტენ".

ლ. ანდრონიკაშვილი გადადის ამის შემდეგ იმ თეზისის დამტკიცებაზე, რომ მანიფესტს მუშისათვის ახალი არაფერი შოუტანია.

„მანიფესტის მესამე პუნქტში შეტანილი იყო დებულება, რომ უნდა შეიქმნას საკანონმდებლო დაწესებულება, რომლის

დამტკიცების გარეშეც არც ერთ კანონს ძალა არ ექნება. ამ დაწესებულებას უნდა განეხილა ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მუშათა საარსებო პირობებთან, სამუშაო დღის ხანგრძლივობასთან, პროფესიულ კავშირებსა და გაფიცვებთან. არჩევნების თაობაზე ბულიგინის კანონის გამოსვლის შემდეგ მუშებმა განაცხადეს, რომ მათ არაფერი არსებითი არ მიუღიათ. პრემიერი ეუბნებოდა მუშებს: „მოითმინეთ, ნუ აჩქარდებით, ყველაფერი იქნება, მთავრობა თქვენს ბედზეც ზრუნავს"-ო. და სწორედ მაშინ, როცა ვიტე ამას ამბობდა, მზადდებოდა კანონი, რომელიც 11 დეკემბერს გამოქვეყნდა. ამ კანონმა მუშების მხოლოდ 10%-ს მისცა უფლება მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. თვით ვლადიმირის გუბერნიაშიც კი, სადაც მუშათა რაოდენობა დიდად სჭარბობს მოსახლეობის სხვა ფენებს, აქაც კი, არჩევნების პირობების გამო, მუშებმა თავისი წარმომადგენლები ვერ გაიყვანეს. მაშ, შეცდა თუ არა პროლეტარი, როდესაც მან ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადა?"

მაგრამ ხელისუფლება კიდევ ერთ იარაღს მიმართავს. აქ ანდრონიკაშვილი გადადის იმაზე, თუ როგორ შეუთანხმდა ხელისუფლება კაპიტალისტებს დაეხურათ ფაბრიკა-ქარხანები. 70 000 კაცი დარჩა უსახლკაროდ, უმუშევარი და მშიერი. ეს იყო საშინელი, ვერაგული შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ. მისი მიზანი იყო დაესუსტებინა მუშათა კლასი და განხეთქილება შეეტანა მასში. მთავრობის ანგარიშით უმუშევრები შურის გრძნობით განიმსჭვალებოდნენ იმ მუშების მიმართ, ვინც გარეთ არ გამოუგდიათ და მათთან შედარებით უზრუნველყოფილნი არიან. „და თუ მუშათა დეპუტატების საბჭომ რაიმე მნიშვნელოვანი გააკეთა, ეს იყო პირველ რიგში უმუშევრებისათვის დახმარების აღმოჩენა. მუშათა დეპუტატების საბჭოს უნარსა და უდიდეს ზნეობრივ ავტორიტეტს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მუშათა არმიამ შეინარჩუნა ის მაღალი სული, რომელმაც აქ, სასამართლოში, რევოლუციური აღმავლობის პირველი დღეები მოგვაგონა...

ბ-ნო მოსამართლენო, — განაგრძობს ანდრონიკაშვილი, — აუცილებელი თავდაცვის საკითხის ბევრი გამოჩენილი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ეს არის არათუ უფლება, არამედ მოვა-

ლეობაც კი ადამიანისა, რომელიც თავის თავს მოქალაქედ თვლის. თავდაცვა მოქალაქის უეჭველად საპატიო უფლებად უნდა ჩაითვალოს. მშვიდობიანობის დროს აუცილებელი თავდაცვა წარმოადგენს exceptio-ს, შესაგებებელს სისხლისსამართლებრივი სარჩელის წინააღმდეგ, მაგრამ იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე ანარქიული ხელისუფლების თვალში ჩალის ფასადაც არა ღირს, იმ დროს, როცა სახრჩობელის თოკზეც კი ეკონომიას აკეთებენ, აუცილებელი თავდაცვა გვეევლინება როგორც აქტიური პოლიტიკური უფლება. ჩვენთვის ეს ნათელი გახდა... თავდაცვა ასეთი ხელისუფლებისაგან აბსოლუტურ მნიშვნელობას იძენს.

მას შემდეგ, რაც პროლეტარმა შეიგნო, რომ იგი დაცული არ არის ხელისუფლებისაგან, რომ შეიძლება იგი კვლავ მიიწვიონ სასახლეში და ასეთი მიპატიჟება მოულოდნელად ისევ სისხლის ღვრით დამთავრდეს, როცა პროლეტარმა შეიგნო, რომ ამ ხელისუფლების პირობებში მისი არსებობა შეუძლებელია..., მაშინ ნათელი გახდა, რომ მას არათუ უფლება აქვს, იგი ვალდებულიც კია... კავშირი გაწყვიტოს ამ ხელისუფლებასთან და ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც მისი პოლიტიკური მდგომარეობის შეგნება და კლასობრივი ინტერესები უკარნახებენ.

პროლეტარიატმა, რომელიც თავს იცავდა ხელისუფლებისაგან, მუშათა დეპუტატების საბჭო აირჩია. რა პოზიციას დაადგება ეს ორგანო, ეს სავსებით დასაცავი ინტერესებით განისაზღვრება. საბჭომ დაადგინა: „არ უნდა ვიქონიოთ არავითარი ურთიერთობა ხელისუფლებასთან, რადგან ამას თან მოსდევს ურთიერთ ვალდებულებანი". ხელისუფლება საბჭოს შეხედულებით თითქოს არც არსებობს. ეს არის ერთადერთი სწორი პოზიცია, რომელმაც გადასჭრა მუშათა დეპუტატების საბჭოს ბედი როგორც ხალხის თვალში, ისე მომავალი ისტორიისათვის.

პროლეტარის დაცვა მუშათა დეპუტატების საბჭომ ეროვნული დაცვის სიმაღლეზე აიყვანა და ამავე დროს ერის დაცვა მთლიანად პროლეტარს მიანდო. ამის გამო მას საყოველთაო მნიშვნელობა შესძინა. საბჭო — თავისუფლების რაღაც უზარმაზარ რეფლექტორად გადაიქცა. გაიხსენეთ უსასრულოდ

გრძელი სხივი, რომელმაც რუსეთის უშორეს კუთხეში — კულიკზე გააშუქა პატიოსანი მებრძოლის ინჟინერ სმირნოვის მოკრძალებული სახე და თავისი მცხუნვარებით დასწვა სამარცხვინო ბოძი, რომელზედაც ის უნდა ჩამოეხრჩოთ. გაიხსენეთ კრონშტადტის მატროსთა დაცვა...

...სახელმწიფო სათათბიროს სურდა, მაგრამ არ შეეძლო. დეპუტატთა საბჭოს უნდოდა და სისრულეშიც მოჰყავდა...

...გონივრული სურვილის შესრულების შესაძლებლობა ჯერ არნახულ ენთუზიაზმს წარმოშობდა...

...როცა შავი ზღვის ნაპირზე დგახარ, ხშირად გეჩვენება, გემი ღრუბლებს ზემოთ მიცურავსო. როცა რუსეთის მღელვარე ცხოვრების სტიქიონს ვაცქერდებოდით, ვფიქრობდით, რომ ხელისუფლების ანარქიის შავი ღრუბლების ზემოთ მიცურავს დამფუძნებელი კრების კიდობანი. მაშინ იგი თითქმის რეალობა იყო“...

ასეთია მოკლე შინაარსი იმ წმინდა პოლიტიკური შესავლისა, რომელიც წარუმძღვარა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა თავის დაცვით სიტყვას. ამის შემდეგ იგი საქმის იურიდიულ ანალიზზე და მტკიცებულებაზე გადადის. თუმცა ეს სიტყვა წარმოთქმული არ ყოფილა, ვინაიდან განსასჯელებმა თავიანთ დამცველებთან ერთად დასტოვეს სასამართლო დარბაზი, მაგრამ იგი ჩვენთვის მაინც განსაკუთრებით საინტერესოა: უკვე პირველი რევოლუციის პერიოდში ლ. ანდრონიკაშვილი თავისი ნათელი და შორსმჭვრეტელი გონებით, გასაოცარი პოლიტიკური გამჭრიახობით ხედავს მომავლის ცაზე, მსგავსად მის მიერ აღწერილი მუშისა, ხელისუფლებასთან პროლეტარიატის უკანასკნელ და გადამწყვეტ შეტაკებას, რომელიც დააგვირგვინებს მის მრავალწლიან თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის. ასეთი ნათელი პროგნოზის უნარი მხოლოდ ჭეშმარიტად დიდ მოაზროვნეს შეიძლება ჰქონდეს.

ლ ა ტ ვ ი ი ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე.[1] როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციაში მეტად აქტიური როლი შეასრულა ლატვიის სოციალ-დემოკრატიულმა პარ-

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 11—21.

ტიამ. მისი თანხლობით მოწყობილ გაფიცვებში. დემონსტრაციებსა და აჯანყებებში მრავალი მუშა და გლეხი იღებდა მონაწილეობას. რევოლუციის ჩახშობის შემდეგ მეფის მთავრობა ულმობლად ესწორდებოდა აჯანყებულებს. ვინც უშუალო გადასტეტას და სამხედრო-საველე სასამართლოს გადაურჩა. მათ 1906-1908 წლებში სამხედრო საოლქო სასამართლოები უსწორდებოდნენ. ლ. ანდრონიკაშვილმა ლატვიელ რევოლუციონერთა ოთხ დიდ პროცესში მიიღო მონაწილეობა.

პირველი — ეს იყო ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების — ზახაროვის, გრუზენბერგის, რუბინშტეინის, ოზოლის და სხვ. პროცესი.[1] პოლიტიკური პროცესების ისტორიაში ეს პროცესი ცნობილია როგორც „36-ის საქმე". 36 კაცს წარდგენილი ჰქონდა ბრალდება, რომ 1905 წლის ბოლოს (დეკემბრის დასაწყისში) შეადგინეს საზოგადოება არსებულ წყობილებასთან საბრძოლველად. შეიარაღდნენ ყუმბარებითა და თოფებით, თავს დაესხნენ გემს „რუდოლფ აქტეს", საიდანაც გაიტაცეს 20-22 ათასი ვაზნა, მოკვლის განზრახვით თავს დაესხნენ ცხენოსან გოროდოვოებს, როცა ისინი თავის მოვალეობას ასრულებდნენ, პროპაგანდას ეწეოდნენ მოსახლეობაში, რომელსაც მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ და ა. შ. საქმე ორჯერ იყო განხილული. თავდაპირველად ივი 1906 წლის 12-27 მაისს განიხილა ქ. რიგის დროებითმა სამხედრო სასამართლომ და 7 რევოლუციონერს — ზახაროვს, რუბინშტეინს, ვერბას, შტეინბერგს, გრუნდბერგს, ოზოლს და პაეგლეს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, დანარჩენ 28 კაცს — სხვადასხვა ვადის კატორღა (ერთი გარდაიცვალა)[2]. ვინაიდან ამ საქმეში მრავალი როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლის ნორმის დარღვევას ჰქონდა ადგილი, მან საზოგადოების ფართო ყურადღება მიიპყრო. ეს საქმე იმ უკანონობისა და თვითნებობის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს, რომლებსაც იმ პერიოდში მეფის სამხედრო სასამართლოები მიმართავდნენ. ჯერ ერთი, არასწორი იყო საქმის გადაცემა სამხედრო სასამართლოსათვის, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს რიგა სამხედ-

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი. II—21.

[2] ამ საქმის ვარეშოებანი აღწერილია გაზეთში «Правда», 1906 წლის 25 ივნისი, № 25. სვეტი 2238—2240.

რო მდგომარეობაზე გადაყვანილი არ ყოფილა; მეორე, ბრალ-
დებულებს სასამართლო სხდომის დანიშვნამდე მხოლოდ ერ-
თი დღით ადრე ჩააბარეს პექტოგრაფით დაბეჭდილი საბრალ-
დებო აქტი, თანაც ეს აქტი ისე მკრთალად იყო დაბეჭდილი,
რომ მისი წაკითხვა შეუძლებელი აღმოჩნდა. როდესაც ბრალ-
დებულებმა მოითხოვეს სასამართლო სხდომის გადადება ერ-
თი დღით მაინც, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ გარკვეულიყ-
ვნენ ბრალდებაში და მოწმეები გამოეძახებინათ, სასამართლომ
მათ ამაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ რაკი ყველა ბრალ-
დებული ერთ საკანში იყო მოთავსებული, მათ შეეძლოთ გაც-
ნობოდნენ აქტს, რომელიც ზოგიერთი მათგანისათვის გადაცე-
მული იყო უფრო გასაგებად დაბეჭდილი სახით. ამავე დროს
საქმეში არსებობდა რიგის ცენტრალური საპყრობილის უფ-
როსის პატაკი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამ საქმეზე დაპა-
ტიმრებული ზოგიერთი ბრალდებული, რომელიც საკანში მარ-
ტო იჯდა, მოითხოვდა სხვა პატიმრებთან გადაყვანას საბრალ-
დებო აქტის გასაცნობად. ამ პატაკზე კი სასამართლოს თავ-
მჯდომარის ხელით წაწერილი იყო—„სასურველია გაგრძელდეს
ამ პირების ცალკე პატიმრობა საქმის განხილვამდე"-ო. გარდა
ამისა, ზოგმა ლატვიელმა რუსული ენა სულ არ იცოდა, მაგრამ
მათთვის თარჯიმანი არ მიუციათ. შემდეგ, 36 ბრალდებულიდან
მხოლოდ 12-ს განუცხადეს, რომ მოკვლევა დამთავრებული
იყო. მიუხედავად ასეთი დარღვევებისა, სასამართლომ საქმე
არ გადასდო და, როგორც დავინახეთ, მეტად მკაცრი განაჩენი
გამოიტანა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ საქმე დაუბრუ-
ნა ვილნიუსის სამხედრო-საოლქო სასამართლოს საკრებუ-
ლოს ახალი შემადგენლობით განსახილველად. ანდრონიკაშვი-
ლი მონაწილეობას იღებდა საქმის მეორე განხილვაში, რომე-
ლიც მოხდა 1906 წლის 8-21 აგვისტოს. დაცვამ შეძლო დაემ-
ტკიცებინა, რომ საქმეშია მოწმეების (ბოქაულების) ცრუ ჩვე-
ნებები, ყალბი აქტები და რომ ბრალდებულთა აღიარება მიღ-
წეულია გამოძალვით — მუქარითა და წამებით. სასამართლოს
არც ერთი სიკვდილის განაჩენი აღარ გამოუტანია.

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში შემონახულია ფრაგმენტი
მისი მოხსენებისა (თუ სტატიისა) ამ საქმესთან დაკავშირებით,
რომელიც მან, როგორც ჩანს, თავის მეუღლეს ეკატერინეს

უკარნახა.[1] ეს ფრაგმენტი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის თაობაზე, თუ რა მეთოდებს მიმართავდა მეფის ხელისუფლება, რათა რევოლუციონერებს გასწორებოდა. მოგვყავს იგი მცირეოდენი შემოკლებით:

„მე მინდა ობიექტურად გადმოვცე ის, რაც საკუთარი თვალით ვნახე და საკუთარი ყურით გავიგონე. რიგაში და ბალტიისპირეთში ოთხჯერ ვიყავი. აქედან სამხედრო სასამართლოში სამჯერ გამოვდიოდი. პირველი საქმე, რომელზედაც მომიხდა გამოსვლა, ეს იყო „36-ის საქმე", როდესაც მას არჩევდნენ მეორედ, კასაციის შემდეგ. ეს საქმე საინტერესოა იმ მხრივ, რომ მისი გამოძიება მეტად თავისებურად მიმდინარეობდა. ჟანდარმერიის მოკვლევა, რომლის მასალები ოთხ სხვადასხვა ტომშია მოთავსებული, ისეთი თავისებური აქტების ნარევია, რომ ადვოკატს არ ეპატიება არ აღწეროს იგი. კერძოდ, აი რა იყო საქმეში: დამცველებმა სხვადასხვა ტომებში აღმოვაჩინეთ ოთხი სხვადასხვა მოწმის (ბოქაულის) მანქანაზე დაბეჭდილი აბსოლუტურად ანალოგიური ჩვენება. როდესაც ეს ჩვენებები ერთმანეთს შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ ეს იყო ერთ მანქანაზე ერთსადაიმავე დროს დაბეჭდილი ერთიდაიგივე ჩვენება, ხელმოწერილი ქ. რიგის სხვადასხვა ბოქაულის მიერ. შემდეგ ჩვენი ყურადღება იმ გარემოებამ მიიპყრო, რომ ამ ჩვენებების შინაარსი სავსებით ემთხვეოდა იმ ჩანაწერს, რომელიც ჟანდარმის პოლკოვნიკს თავისი ხელით ჩამატებული ჰქონდა ერთ-ერთი ბრალდებულის ჩვენებაში. ეს სასამართლოში დადასტურდა. თანაც ამ ბრალდებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ ჩამატებები მის ჩვენებაში შეიტანეს მუქარისა და ხანგრძლივი წამების შემდეგ. მაშასადამე, ბრალდებულმა თავდა-

---

[1] ჩვენი აზრით, ლ. ანდრონიკაშვილის ჩანაწერი, ისევე როგორც სხვა ადვოკატებისა, გადაეცა სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე დეპუტატებს, რომლებმაც 1907 წლის მაისში შეიტანეს შეკითხვა იმ უკანონობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის წინასწარი პატიმრობის სახლებში და საპატიმროებში. ამ მხრივ რიგის საპატიმროები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. ცნობილია, რომ იუსტიციის მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი იძულებული იყვნენ დაედასტურებინათ უკანონობის ფაქტები, თუმცა ცდილობდნენ მათ გამართლებას, რითაც დიდი აღშფოთება გამოიწვიეს (იხ. «Правов», 1907 წ. 27 მაისი, № 21, სვ. 1478—1480).

პირველად მისცა ჩვენება, ხოლო შემდეგ, წამების გამო, მას აიძულებდნენ კიდევ დაემატებინა, რაც ჟანდარმს სურდა, და აგის საფუძველზე შეჰქონდათ კორექტივები ჩვენებაში.

ყურადღებას იქცევდა კიდევ ერთი ფაქტი: გაჩხრეკის ყველა ოქმში, მოკვლევის ყველა აქტში, როგორც სასამართლო იძულებული იყო ელიარებინა, შეტანილი იყო შესწორება სხვა მელნით, როგორც ჩანს, მოგვიანებით. არ დამავიწყდება ასეთი შემთხვევა. მე შევეკითხე ბოქაულ კუკასს: „როგორ მიიღეთ თქვენ ეს ჩვენება?" მან მიპასუხა: „მავანი და მავანი პირი მოვიდა ჩემთან და ასეთი ჩვენება მომცაო". შემდეგ ვეკითხები: „როგორ მოხდა, რომ თქვენს მიერ ჩატარებულ მოკვლევას ხელს აწერთ არა თქვენ, არამედ ბოქაული ივანოვი". მან დაბნეულად შემომხედა და მიპასუხა: „არ მახსოვს".

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ამ საქმეში ბრალდებულთა არაადამიანური წამება. ერთ-ერთმა მათგანმა — რუბინშტეინმა — მისცა ჩვენება ხანგრძლივი წამების შემდეგ. ეს ფაქტი დაადასტურეს სასამართლოში სხვა ბრალდებულებმა, რომლებსაც ესმოდათ მისი ყვირილი. მას ასე აწამებდნენ: დიდხანს სცემდნენ: როდესაც გრძნობას კარგავდა, ნიშადურის სპირტით აბრუნებდნენ, ხოლო როგორც კი გონზე მოვიდოდა, ისევ დაუწყებდნენ ცემას, ვიდრე არ მიიღებდნენ მათთვის სასურველ ჩვენებას. ეს ისტორია დიდხანს გრძელდებოდა. სასამართლოს განჩინებაში აღიარებულია წამების ფაქტი.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე ჩხრეკის თავისებური მეთოდი. სასამართლოში დადგინდა ასეთი ვითარება: ერთ-ერთი პროვოკატორი, გვარად ზენდინი (სახელი არ მახსოვს), მართლმადიდებელი ბერის სამოსში გადაცმული, ერთ ოჯახში შეუშვეს. როცა პოლიცია ამ ოჯახში გასაჩხრეკად მოვიდა, ეს „ბერი" უჩვენებდა, თუ ვის რა კავშირი ჰქონდა ოჯახში აღმოჩენილ არალეგალურ მასალებთან".

ხელნაწერი აქ წყდება, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა „მეთოდებს" მიმართავდა მეფის „იუსტიცია" ყოველივე ჯანსაღისა და პროგრესულის ჩასახშობად.

ლ. ანდრონიკაშვილმა ლატვიელ რევოლუციონერთა სხვა დიდ პროცესებშიც მიიღო მონაწილეობა. შეიარაღებული აჯან-

ყების საქმეებიდან უფრო მნიშვნელოვანი იყო სამი პროცესი:

აჯანყება კუნძულ ეზელზე[1] (რიგის ყურეში). ეს საქმე ცნობილია ლიტერატურაში „ეზელის რესპუბლიკის პროცესის“ სახელწოდებით. იურიევის მაზრის 26 გლეხი და პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი პეტრე კანი პასუხისგებაში იყვნენ მიცემული სისხლის სჯულდების 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მათ ბრალად ედებოდათ, რომ, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებმა, 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში შეადგინეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელმაც ფაქტიურად ხელში ჩაიგდო მთელი ხელისუფლება კუნძულ ეზელზე. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა დაემხო არსებული წესწყობილება და მის მაგივრად სოციალისტური წესწყობილება დაემყარებინა. ორგანიზაციის წევრებმა მიითვისეს მთელი ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება, ნიშნავდნენ თემის მამასახლისებს, აწყობდნენ მიტინგებს. ეწეოდნენ პროპაგანდას მოსახლეობაში. აწყობდნენ გაფიცვებს და ა. შ. საქმე განიხილა პეტერბურგის სასამართლო პალატის განსაკუთრებულმა საკრებულომ წოდებრივი წარმომადგენლების მონაწილეობით გამსვლელ სესიაზე. 9 კაცი ცნობილ იქნა დამნაშავედ 126-ე მუხლის 1 ნაწილით და მიესაჯათ ციხე 1-დან 3 წლამდე, 2-ს 129-ე მუხლის მე-3 ნაწილით — საპყრობილე 1 წლით და 3 თვით, ხოლო 9-ს — პატიმრობა ორი თვით.[2]

ვალკის აჯანყება. შემდეგი, მეტად მნიშვნელოვანი საქმე იყო აჯანყება ვალკაში. აჯანყების მეთაურები სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ. მათ მეტად მძიმე ბრალდება ჰქონდათ წარდგენილი: ძირითადი კანონებით დადგენილი ხელისუფლების დამხობის ცდა (სისხლის სჯულდების 100-ე და 102-ე მუხ. და სამხედრო დადგენილებათა კრებულის 22-ე წიგნის 279-ე მუხ., რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა). ბრალდებულები 100-ზე მეტი იყო. საქმე განიხილა რიგის სამხედრო სასამართლომ 1907 წლის ზამთარში.

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 1—29 ა.

[2] საქმის განხილვის შედეგები აღწერილია გაზეთ «Право»-ში, 2 სექტემბერი, 1908 წ. № 35, სვ. 1900-1901.

როგორც თვით ანდრონიკაშვილი წერს, სამწუხაროდ, მეტის-მეტი გადაღლილობის გამო, მან ვერ შესძლო ეს საქმე ბოლომდე მიეყვანა და იგი ადვოკატმა ალექსეევმა დაამთავრა. განაჩენი მეტად მკაცრი იყო, რამდენიმე კაცს სიკვდილი მიუსაჯეს და განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.[1]

„მ ი ტ ა ვ ი ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს“ საქმე. უფრო ბედნიერად დამთავრდა ლატვიელი გლეხების აჯანყების საქმე („მიტავის საქმე"). გლეხებს ბრალდებოდათ მემამულეთა სახლის დარბევა. თუმცა არავინ პირადად არ დაზიანებულა და მემამულეებს არც დიდი ქონებრივი ზარალი მოსვლიათ, პროკურორი მაინც სამხედრო დადგენილებათა კრებულის 22-ე წიგნის 279-ე მუხლის გამოყენებას, ე. ი. გლეხების სიკვდილით დასჯას, მოითხოვდა. ანდრონიკაშვილის ცნობით, ამ საქმეზე სიკვდილის განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა[2].

„ ნ ო ვ ო რ ო ს ი ი ს კ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს ს ა ქ მ ე“.[3] ნოვოროსიისკის მოსახლეობის მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციაში საყოველთაოდ ცნობილია. რეაქციის წლებში მეფის ხელისუფლებამ გრანდიოზული პროცესი მოაწყო რევოლუციის მეთაურთა დასასჯელად. ეს პროცესი, რომელიც ისტორიაში „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის“ საქმის სახელწოდებით შევიდა, გამოირჩეოდა როგორც განსასჯელთა დიდი რაოდენობით, ისე გამოძიების უკანონო ხერხებითა და სასჯელთა სიმკაცრით. პასუხისგებაში მიცემული იყო 100-ზე მეტი კაცი. მათ ბრალდებოდათ, რომ 1905 წლის შემოდგომაზე შეადგინეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული წესწყობილების ძალმომრეობით დამხობას და მის მაგივრად რესპუბლიკის დამყარებას, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა დამფუძნებელი კრება. ამ მიზნით აღნიშნული პირები: ა) აწყობდნენ კრებებს, სადაც მოუწოდებდნენ ხალხს ძალმომრეობით დაემხოთ თვითმპყრობელობა; ბ) მოუწოდებდნენ სამხედრო გარნიზონის ჯარისკაცებს დაეყარათ იარაღი და ხალხს შემოერთებოდნენ; გ) 12 დეკემბერს შექმნეს

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 1—29ა.

[2] იქვე.

[3] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 11—29.

მუშათა დეპუტატების საბჭო და მისი აღმასრულებელი კომი-ტეტი, ჩამოართვეს ძალაუფლება პოლიციასა და ადგილობრივ ხელისუფლებას და აირჩიეს საკუთარი თანამდებობის პირები; დ) შექმნეს სამხედრო რაზმი მთავრობასთან საბრძოლველად და რევოლუციური წესრიგის დასამყარებლად, დახურეს მთავ-რობის დაწესებულებები, შეაწყვეტინეს საქმეების განხილვა ეკატერინოდარის საოლქო სასამართლოს სესიაზე და სასამარ-თლოს შემადგენლობა აიძულეს წასულიყო ნოვოროსიისკიდან, წინააღმდეგობა გაუწიეს გენერალ კოვალსკის მეთაურობით მოსულ სამხედრო რაზმს და ჯავშნოსანს «Три святителя»-ს, მოაწყვეს ქალაქში ლაზარეთი დაჭრილი რაზმელებისათვის და ა. შ. ბრალდება წარდგენილი ჰქონდათ 1903 წ. სჯულდე-ბის მე-100-ე მუხლის მე-2 ნაწილით (აჯანყება, ე. ი. რუსეთში დამყარებული ხელისუფლების ძალმომრეობით დამხობის ცდა. სასჯელი — კატორღა).

ეს საქმე სამჯერ განიხილა ქ. ნოვოროსიისკის სამხედრო სასამართლომ. პირველად — 1908 წლის 25 იანვარს. განაჩენი შეტად მძიმე იყო: კატორღა სხვადასხვა ვადით. მსჯავრდებუ-ლებმა განაჩენი გაასაჩივრეს და საქმე დაბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის. საქმე ხელმეორედ განიხილეს 1909 წლის 9 აპრილს. აი, ამ მეორე განხილვაში იღებდა მონაწილეობას ან-დრონიკაშვილი. მასთან ერთად გამოდიოდნენ სოკოლოვი, მაკ-ლაკოვი და კალმანოვიჩი. საქმის მეორედ განხილვისას გამო-ირკვა, რომ გენერალ-გუბერნატორი კი არ გააძევეს ნოვორო-სიისკიდან, არამედ თვით დაფრთხა და სატვირთო სადგურში დაიმალა. გამოირკვა აგრეთვე, რომ საქმის მასალები გაყალბე-ბული იყო გამომძიებელ ლიჟინის მიერ, რომელიც ამავე დროს აიძულებდა მოწმეებს დაესახელებინათ აჯანყების რაც შეიძ-ლება მეტი მონაწილე, შესწორებები შეჰქონდა მოწმეთა ჩვენე-ებში და სხვ. მისთ. ამასთანავე, გამოირკვა ერთი საინტერესო გარემოება, რასთან დაკავშირებითაც სასამართლო იძულებუ-ლი გახდა კერძო დადგენილება გამოეტანა. მომრიგებელმა მო-სამართლემ, რომელიც მოწმედ იყო გამოძახებული, უარი თქვა ჩვენების მიცემაზე და მიზეზად ის აღნიშნა, რომ საქმის პირ-ველი განხილვისას მიცემული ჩვენებისათვის იგი დასაჯა ნო-ვოჩერკასის სასამართლო პალატის თავმჯდომარემ ხლოდოვ-

სკიმ და 35 წლის პატიოსანი მუშაობის შემდეგ გადაიყვანა სხვა თანამდებობაზე ნაკლები ხელფასით.[1] დამცველთა დიდი მონდომებისა და ოსტატობის წყალობით სამხედრო სასამართლომ 70 კაცი გაამართლა, 8 კაცს 4 წლის კატორღა მიუსაჯა, 22 კაცს კი — ციმბირში საცხოვრებლად გადასახლება.

ხელისუფლებას განაჩენი მეტად მსუბუქად მოეჩვენა და, ოღონდ იგი უკვე შესული იყო კანონიერ ძალაში და სასამართლოს უფლება არ ჰქონდა საკასაციო პროტესტი მიეღო, მთავარმა სამხედრო სასამართლომ მაინც აღუდგინა პროკურორს საკასაციო ვადა.[2] მსჯავრდებულთა დამცველმა — ლ. ანდრონიკაშვილმა ენერგიულად გაილაშქრა პროკურორისათვის საკასაციო პროტესტის ვადის აღდგენის წინააღმდეგ. სათანადო საკანონმდებლო მასალასა და სენატის პრაქტიკაზე დაყრდნობით, ანდრონიკაშვილი ასაბუთებდა, რომ სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია აღუდგინოს პროკურორს საკასაციო პროტესტის შეტანის უფლება, როდესაც პროკურორმა ეს პროტესტი დროზე ვერ შეიტანა საპატიო მიზეზის გამო. საპატიო მიზეზად კი ითვლება ის შემთხვევა, როდესაც პროტესტის ვადაზე შეტანა ვერ მოხერხდა თვით სასამართლოს მიზეზით ან დაუძლეველი ძალის გამო. პროკურორს, რომელიც ვადის აღდგენას მოითხოვდა, არათუ საპატიო მიზეზი, არამედ საერთოდ არავითარი მიზეზი არ დაუსახელებია. თავის განცხადებაში ვადის აღდგენის შესახებ პროკურორმა მხოლოდ იმაზე მიუთითა, რომ როდესაც იგი საქმის გარემოებებს გაეცნო, მაშინ იქ ბევრი წინააღმდეგობა აღმოაჩინა. მაგრამ, მიუთითებდა ლ. ანდრონიკაშვილი, წინააღმდეგობა საქმის გარემოებებში სუბიექტური მოტივია, რამაც სურვილი აღუძრა პროკურორს პროტესტი დაეწერა, და არა მიზეზი. რის გამოც პროტესტი კანონით დადგენილ ვადაზე ვერ შეიტანა. სასამართლოს

---

[1] საინტერესოა, რომ სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ და „ტრუდოვიკებმა" ნოვოზერკასკის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარის ხოლოდოვსკისა და გამოძიებელ ლეონინის ამ უკანონო მოქმედებათა შესახებ შეკითხვა შეიტანეს სახელმწიფო სათათბიროში (იხ. გაზეთი «Право». 1909 წლის 25 დეკემბერი. № 52, სვ. 2947-2948).

[2] იხ. გაზეთი «Право», 1909 წლის 15 მარტი, № 11, სვ. 697-698, აგრეთვე 1909 წლის 19 აპრილი, № 16, სვ. 1019.

უფლება არ ჰქონდა მიეღო დაგვიანებით და ამ დაგვიანების მიზეზის აღუნიშვნელად შემოტანილი პროტესტი. სასამართლო ვალდებული იყო უარი ეთქვა პროტესტის ვადის აღდგენაზე, ვინაიდან პროკურორს არ დაუსაბუთებია ვადის გაცდენის მიზეზი.[1]

მიუხედავად დაცვის მოსაზრებათა სრული საფუძვლიანობისა და მისი მოთხოვნის კანონიერებისა, მთავარმა სამხედრო სასამართლომ მაინც სწორად სცნო პროკურორისათვის პროტესტის ვადის აღდგენა, განიხილა ეს პროტესტი და საქმე დაბრუნა მესამედ გასარჩევად. საქმის მესამედ განხილვისას ლ. ანდრონიკაშვილი უკვე მონაწილეობას არ იღებდა, როგორც ეჭვი იგონებდა, საბოლოო განაჩენი მეტად მძიმე იყო.

რ კ ი ნ ი გ ზ ე ლ თ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ე ბ ი. 1905 წლის რევოლუციაში დიდი ღვაწლი მიუძღვით რკინიგზელთა კავშირებს, რომლებიც ძირითადად ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზეგავლენა განსაკუთრებით დიდი იყო მოსკოვის, ამიერკავკასიისა და ელიზავეტპოლის რკინიგზელთა შორის. გასაოცარი იყო რკინიგზელთა ერთსულოვნება ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვისა და დეკემბრის აჯანყების დროს. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფის სატრაპები ულმობლად უსწორდებოდნენ აჯანყებულებს. ჟლეტდნენ მათ ყოველგვარი გასამართლების გარეშე, იმპროვიზირებული, ე. წ. „სამხედრო-საველე სასამართლოების“ განაჩენის საფუძველზე. ამ მხრივ განსაკუთრებით ისახელა თავი მოსკოვ-რიაზანის რკინიგზელთა აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნილმა სემიონოვის პოლკის პოლკოვნიკმა რიმანმა, რომელიც სიტყვა-სიტყვით ასრულებდა თავისი უფროსის მინის უმსგავსო ბრძანებას: „დაპატიმრებულები არ იყოლიოთ, იმოქმედეთ დაუნდობლად“. ვინც ამ გაჟლეტას გადაურჩა, სამხედრო-საოლქო სასამართლოების მიერ იქნა გასამართლებული.[2]

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში გვხვდება რკინიგზელთა

---

[1] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—29.

[2] იხ. В. Н. Переверзев, Первый Всероссийский железнодорожный союз, «Былое», 1925 г., № 4 (32), стр. 64.

შრავალი საქმე. საკმარისია დავასახელოთ რიაზან-ურალის გაფიცულთა საქმე (პასუხისგებაში მიცემულია სტეფანე ბოროდინი)[1]; ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ელისავეტპოლის მუშა-მოსამსახურეთა საქმე (პასუხისგებაში მიცემულთა შორის ბევრი ქართველია, მაგალითად, ვ. ფანჯავიძე, ვ. შენგელია, ა. ხოფერია, კ. გრიგოლია და სხვ.)[2]; ვლადიკავკაზის რკინიგზის სადგურ პატროვსკისა[3] და სადგურ დერბენტის მუშა-მოსამსახურეთა საქმე (ანდრონიკაშვილი მხარს უჭერს საკასაციო პროტესტს სენატში)[4]; ვლადიკავკაზის რკინიგზის სადგურ მინერალური წყლების პოლიტიკური გაფიცვის საქმე[5] და სხვ. თავისი პოლიტიკური და იურიდიული ბუნებით ეს საქმეები ერთგვაროვანი არიან. ამიტომ ჩვენ დაწვრილებით შევჩერდებით მხოლოდ ერთ საქმეზე, რომელიც მათ შორის უფრო გახმაურებული იყო. პოლიტიკური პროცესების ისტორიაში ეს საქმე ცნობილია „მ ი ნ ე რ ა ლ უ რ ი წ ყ ლ ე ბ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს“ სახელწოდებით. მისი შინაარსი ასეთია:

1905 წლის ოქტომბერში დაარსდა „ვლადიკავკაზის რკინიგზის მოსამსახურეთა კავშირი“. კავშირის წესდება შეიმუშავეს დონის როსტოვში 20-29 ოქტომბერს. „კავშირს“ თავისი რაიონული განყოფილებები ჰქონდა სადგურ ბალაჯარაში, პეტროვსკში, დერბენტში, ბესლანში და საერთოდ ყველა დიდ სადგურში, სადაც კი საორთქლმავლო დეპო იყო. ასეთი „კავშირი“ მინერალურ წყლებშიც იყო. საყოველთაო გაფიცვის დაწყებისთანავე მინერალური წყლების რკინიგზის მოსამსახურეთა კავშირმა როსტოვის ბიუროს თავმჯდომარის რეიზმანისაგან 8 დეკემბერს მიიღო დეპეშა, რომელიც მოუწოდებდა მინერალური წყლების სადგურის მუშა-მოსამსახურეებს მხარი დაეჭირათ მოსკოვისა და პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოებისა და რკინიგზელთა სრულიად რუსეთის ცეკას მიერ გამოცხადებული გაფიცვისათვის. დეპეშა შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „ამხანაგებო! ჩვენს შეთანხმებულ და ერთსულო-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—14.
[2] იქვე, II—16.
[3] იქვე, II—19.
[4] იქვე, II—17.
[5] იქვე. II—8 ა.

ვან გამოსელაზე იქნება დამოკიდებული, გადაიქცევა თუ არა ეს გაფიცვა თვითმპყრობელობის დამხობისათვის ბრძოლის უკანასკნელ აქტად.“ მინერალური წყლების რკინიგზელები დაუყოვნებლივ შეუერთდნენ საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, აირჩიეს გაფიცვის ბიურო მემანქანე ბაკლიუკოვის თავმჯდომარეობით.

10-12 დეკემბერს როსტოვიდან მოდის ცნობები, რომ მეფის ხელისუფლება სასტიკად უსწორდება აჯანყებულებს. რევოლუციას ახშობენ თოფებითა და ხიშტებით, მუშა-მოსამსახურეებს მასობრივად აპატიმრებენ. როსტოველები დახმარებას ითხოვენ. მინერალური წყლების სადგურის მუშა-მოსამსახურენი ენერგიულად გამოეხმაურნენ როსტოველთა მოწოდებას, აირჩიეს კომისიები, რომელთაც ევალებოდათ ელადიკავკაზის რკინიგზის ხაზზე საბრძოლო რაზმების შეკრება, მათი აღჭურვა იარაღითა და ფეთქებადი ნივთიერებებით, სალაროებიდან ფულის შეგროვება და ა. შ. 13 დეკემბერს ღამით 1000 კაცისაგან შემდგარმა რაზმმა განაიარაღა ჟანდარმები და რკინიგზის სალაროებიდან მათთვის საჭირო თანხა წაიღო. ყოველი მხრიდან ჩამოსული პატარ-პატარა რაზმები გაერთიანდნენ და 18 დეკემბერს მატარებლით წავიდნენ როსტოვის მიმართულებით როსტოველების დასახმარებლად მთავრობის ჯარებთან ბრძოლაში. მაგრამ სადგურ კავკასკაიას მისასვლელთან კაზაკებისა და ყალმუხებისაგან შემდგარმა დიდმა რაზმმა დაუშინა ტყვიები მატარებელს და აიძულა აჯანყებულები უკან გაბრუნებულიყვნენ. 23 დეკემბერს სადგურ მინერალურ წყლებში მეფის ჯარის დიდი ნაწილები გამოგზავნეს რევოლუციის ჩასახშობად. ამავე დროს მიღებული იყო ცნობა, რომ სახალხო აჯანყება მოსკოვსა და როსტოვში ჩაახშვეს. მაშინ სახალხო რაზმის ერთი ნაწილი გაიქცა, ნაწილი კი დააპატიმრეს. გაფიცვის ბიურომ გაფიცვა დამთავრებულად გამოაცხადა.

პასუხისგებაში მიცემული იყო აჯანყებული რკინიგზელების მეთაურთა დიდი ჯგუფი (32 კაცი). მათ ბრალად ედებოდათ, რომ შეადგინეს დანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ძირითადი კანონებით დადგენილი სახელმწიფოებრივი წესწყობილების ძალმომრეობით დამხობას; ამ მიზნის განსახორციელებლად შეუერთდნენ სრუ-

ლიად რუსეთის რკინიგზელთა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, ხელში ჩაიგდეს ვლადიკავკაზის რკინიგზის საექსპლოატაციო სამსახურის III განყოფილება, შეიპყრეს და განაიარაღეს თანამდებობის პირები, მოუწოდებდნენ მოსახლეობას აჯანყებისაკენ, გაგზავნეს დამხმარე რაზმი ქ. როსტოვში აჯანყებულთა დასახმარებლად და ა. შ.. ბრალდებულებს წარდგენილი ჰქონდათ 1903 წლის სისხლის სჯულდების 102-ე მუხლის მეორე ნაწილი (მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელიც შედგენილია ძირითადი კანონებით დამყარებული წესწყობილების ძალმომრეობით დასამხობად, თუ საზოგადოებას ჰქონდა იარაღი და ფეთქებადი ნივთიერებანი) და 101-ე მუხლის პირველი ნაწილი (ერთ-ერთი მძიმე სახელმწიფო დანაშაულის მომზადება).

საქმე განიხილა თბილისის სასამართლო პალატის გამსვლელმა სესიამ ქ. ვლადიკავკაზში 1906 წლის დეკემბერში. დამცველებად გამოდიოდნენ ნაფიცი ვექილები: ანდრონიკაშვილი, ბემე, დოლგარი, ელიაშევიჩი, ჟდანოვი და სხვ. საქმის განხილვა, მიუხედავად დაცვის ენერგიული პროტესტისა, კარდახშულში მიმდინარეობდა.

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში შენახულია დაცვითი სიტყვის თეზისები. ეს თეზისები ძირითადად ქმედობის კვალიფიკაციას ეხება, სახელდობრ, წარმოადგენს 102-ე და 101-ე მუხლების გამოყენების უმართებულობის დასაბუთებას.

პირველი თეზისი ასეთია: 102-ე და 101-ე მუხლები არ შეიძლება ერთდროულად გამოვიყენოთ მსჯავრდებულთა მიმართ.

დასაბუთება: 102-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ისეთი დანაშაულებრივი საზოგადოების შექმნას, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს იარაღი და ფეთქებადი ნივთიერებანი. თავისთავად დანაშაულებრივი საზოგადოების შექმნა— მოსამზადებელი მოქმედებაა, ასევე მოსამზადებელი მოქმედებაა იარაღის შეძენაც. ამიტომ თუ განსასჯელებს მივუყენებთ 102-ე მუხლს, რომელიც უკვე მთლიანად მოიცავს დანაშაულის მომზადების შემადგენლობას, 101-ე მუხლი უკვე სრულიად ზედმეტია, რადგან იგი არავითარ ახალ ნიშანს არ შეიცავს, გარდა მძიმე დანაშაულის მომზადებისა.

მეორე თეზისი ის არის, რომ განსასჯელებს არც 102-ე მუხლი შეიძლება წარეუდგინოთ. ამ დებულების დასამტკიცებლად ლ. ანდრონიკაშვილი იძლევა 102-ე მუხლის ბრწყინვალე იურიდიულ ანალიზს და ასაბუთებს, რომ განსასჯელების მოქმედებაში ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არც ერთი ნიშანი არ არის.

ლ. ანდრონიკაშვილის აზრით, 102-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის საჭიროა შემდეგი ნიშნები:

1. უნდა არსებობდეს ორგანიზაცია, რომლის წევრები წინასწარ შეუთანხმდნენ ერთმანეთს, იცნობენ ერთიმეორეს, გადაწყვიტეს დამორჩილებოდნენ ერთიმეორეს, და რომელიც შექმნილია ხანგრძლივი დროისათვის;

2. ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზანი, იგი შექმნილი უნდა იყოს სწორედ ძირითადი კანონებით დამყარებული წესწყობილების დამხობის მიზნით;

3. ამ მიზნის განსახორციელებლად მას უნდა ჰქონდეს შეძენილი იარაღი და ფეთქებადი ნივთიერებანი.

სად არის ეს „დანაშაულებრივი ორგანიზაცია?" — კითხულობს ანდრონიკაშვილი და უპასუხებს:

1. გაფიცვის ბიურო? მაგრამ თვით საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ გაფიცვის ბიუროს ჰქონდა მხოლოდ ერთი სხდომა და შემდეგ იგი დაიშალა. საზოგადოებისათვის საჭიროა ხანგრძლივი არსებობა.

2. რკინიგზელთა კავშირის ბიურო? მაგრამ საბრალდებო დასკვნის მიხედვით ეს ბიურო მარტო ბაკლიუკოვისაგან შედგებოდა. გამოდის, რომ ბაკლიუკოვს უნდა დაემყარებინა კავშირი თავის თავთან.

3. მინერალური წყლების რკინიგზის მოსამსახურეთა კავშირი? მაგრამ მაშინ რატომ ზის საბრალდებო სკამზე ასე ცოტა ადამიანი, სად არიან დანარჩენი ათასები? და მერე ეს კავშირიც ხომ დაიშალა!

4. საერთო კრებები, მიტინგები? მაგრამ მიტინგი ხომ სრულიად სხვადასხვა პარტიის და მიმართულების ხალხისაგან შედგებოდა, მას თვით ჟანდარმებიც კი ესწრებოდნენ, აგრეთვე შემთხვევითი პირები! თანაც მიტინგები არავითარ გადაწყვეტილებებს არ იღებდნენ.

მაგრამ, ვთქვათ, რაღაც ორგანიზაცია მაინც არსებობდა. მაშინ საჭიროა წინასწარ მოფიქრებული მიზანი წესწყობილების დამხობისა. სად არის ეს მიზანი? რკინიგზელები მოითხოვენ დამფუძნებელი კრების მოწვევას, ფარული, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების შემოღებას, სახელმწიფო სათათბიროს. მაგრამ სად არის შეთანხმება ხელისუფლების დამხობის შესახებ? იქნებ პროკურორი განსასჯელთა აზრებს კითხულობს? მაგრამ რა აზრი გვიტრიალებს ჩვენ თავში, — ეს არც პროკურორს შეეხება და არც სასამართლოს. მათი საქმე მხოლოდ ის არის — გამოარკვიონ, იყო თუ არა შეთანხმება. ამის დამტკიცება კი მათ არ შეუძლიათ.

ვთქვათ წესწყობილების დამხობის მიზანიც იყო? მაგრამ 102-ე მუხლისათვის საჭიროა ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ი თ დამხობის მიზანი. რას მიმართეს რკინიგზელებმა? — გაფიცვას. გაფიცვა რომ ძალმომრეობითი საშუალება იყოს, 102-ე მუხლის გამოყენება სწორი იქნებოდა. მაგრამ გაფიცვა არის არა აქტიური ძალადობა, არამედ პასიური პროტესტი. რა თქმა უნდა, გაფიცვის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალადობას ამხანაგების მიმართ, მაგრამ ეს არ არის იგივე, რაც ძალადობა ხელისუფლების აგენტების მიმართ. რაც შეეხება შეიარაღებას და საბრძოლო რაზმების შექმნას, ეს გაკეთდა არა ხელისუფლების დასამხობად, არამედ იმ მიზნით, რომ თავი დაეცვათ ხულიგნებისა და შავრაზმელებისაგან, რომლებიც იმ დროს სხვადასხვა ქალაქებში მშვიდობიანი მოსახლეობის რბევას აწყობდნენ. თანაც რკინიგზელებს მათ მიერ გამოცხადებული გაფიცვის გამო კაზაკების რაზმები ემუქრებოდნენ და მათგანაც საჭირო იყო თავის დაცვა.[1]

ასეთია ლ. ანდრონიკაშვილის დაცვითი სიტყვის წინასწარი მონახაზი. ცხადია ამით სრულიად ვერ აღვადგენთ ამ სიტყვას იმ სახით, როგორც იგი სასამართლოში იყო წარმოთქმული, და ვერც შთაბეჭდილებას, რომელიც დამცველის სიტყვამ სასამართლოზე მოახდინა. ის, რაც ჩვენ შემოგვრჩა, არის მხოლოდ მკრთალი ჩრდილი და არა ცოცხალი სიტყვა გაბედული და მგზნებარე პოლიტიკური ორატორისა.

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—25.

მაგრამ საქმის განხილვის შედეგები კი უეჭველად ლ. ანდრონიკაშვილის დიდ გამარჯვებას მოწმობს. სასამართლო პალატამ უარყო ბრალდება 102-ე და 101-ე მუხლებით (ეს უკვე დიდი გამარჯვება იყო), 10 კაცი საესებით გაამართლა, ხოლო დანარჩენები დამნაშავედ ცნო 123 მუხლით (მონაწილეობა ბრბოს (скоп) მიერ ჩადენილ დანაშაულში) და დამნაშავეებს მიუსაჯა გამასწორებელ საპატიმროში მოთავსება სხვადასხვა ვადით სამ წლამდე. ჟურნალ „პრავო"-ში მოთავსებულია ამ საქმის ანგარიში და მისი განხილვა სენატში საკასაციო წესით: მოცემულია ლ. ანდრონიკაშვილის მიერ აღძრული საკასაციო საჩივრის შინაარსი და მისი გამოსვლა სენატში.

საჩივარში და სენატში გამოსვლისას ნაფიცმა ვექილმა ლ. ანდრონიკაშვილმა მიუთითა სამართალწარმოების შემდეგ დარღვევებზე: 1) სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ საქმე კარდახშულში განიხილა იმ მოტივით, რომ იგი დიდძალ საზოგადოებას მიიზიდავდა, რასაც, ამ საზოგადოების უდისციპლინობის გამო, შეეძლო საქმის მოსმენა გაერთულებინა. ამავე დროს ეს საქმე რომ საჯაროდ განეხილათ, ბევრი რამ, რაც მოხდა, შეიძლებოდა არ მომხდარიყო. შემდეგ ანდრონიკაშვილი მიუთითებს, რომ სასამართლომ თავის განაჩენს ძირითადად საფუძვლად დაუდო ჟანდარმერიის პოლკოვნიკის ჩვენება. ეს პოლკოვნიკი თვით აწარმოებდა საქმის მოკვლევას და ამიტომ ობიექტურ მოწმედ ვერ ჩაითვლებოდა. ამასთან ერთად, დადგენილი იყო, რომ იგივე პოლკოვნიკი არიგებდა მოწმეებს, თუ როგორი ჩვენება უნდა მიეცათ მათ. ერთმა მოწმემ პირდაპირ განაცხადა: დამარიგა, ისეთი ჩვენება მიეცი, რომ განსასჯელები რაც შეიძლება შორს გადაასახლონო. შემდეგ სასამართლოში გამოძახებული იყო ბრალდების 113 მოწმე და დაცვის 7 მოწმე. როცა დაცვამ მოითხოვა ბრალდების სათანადო პუნქტების გასაბათილებლად დამატებითი მოწმეების გამოძახება, სასამართლომ უპასუხა: იმ გარემოებებს, რომელთა გასაბათილებლადაც მოწმეების გამოძახება გსურთ, საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვსო. მაშინ გამოდის, რომ პალატას უფლება არ ჰქონდა განსასჯელებისათვის გამამტყუნებელი განაჩენი გამოეტანა, ვინაიდან მან თვითონ აღიარა, საბრალდებო აქტს მნიშვნელობა არა აქვსო.

ანდრონიკაშვილის საკასაციო საჩივარში, გარდა ამ წმინდა პროცესუალური ხასიათის დარღვევებისა, რომლებიც დიდის გონებამახვილობით მიაწოდა მან სენატს, მთავარი იყო მაინც 123-ე მუხლის თავისებური განმარტება. ანდრონიკაშვილი ამტკიცებდა, რომ ვინაიდან ბრბო (СКОП) არ წარმოადგენს წინასწარ შეთანხმებულ, გარკვეული კანონსაწინააღმდეგო ქმედობის ჩადენის მიზნით შექმნილ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, არამედ ერთიერთმანეთთან შეუთანხმებელ ადამიანთა შემთხვევით თავმოყრას, ამიტომ ბრბოს ყველა წევრმა არ შეიძლება პასუხი აგოს ბრბოს ცალკეული წევრების მიერ ჩადენილი ყველა კანონსაწინააღმდეგო ქმედობისათვის. ცალკეულ წევრს, რომელიც ბრბოში აღმოჩნდა, შეიძლება ბრალად შეერაცხოს მხოლოდ ის, რაც მან პირადად ჩაიდინა. წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება კოლექტიური პასუხისმგებლობა, რომელიც დამახასიათებელი იყო განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე მდგომი საზოგადოებისათვის და არ შეესაბამება არც ახალ სისხლის სჯულდებას, არც თანამედროვე სისხლის სამართლის თეორიას და არც ეთიკურ გრძნობას.[1]

ასეთი დასაბუთება იმ დროისათვის მეტად პროგრესული იყო. დროთა განმავლობაში 123-ე მუხლის ასეთმა განმარტებამ გზა გაიკაფა, რაც რუსეთის პოლიტიკური დაცვის დიდ ვამარჯვებას წარმოადგენდა.

„მინერალური წყლების პროცესთან" დაკავშირებით ერთი ამბავი მაგონდება. 1949 წელს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გარდაცვალების 10 წლის გამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ანდრონიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მოეწყო. საღამოზე, სხვებთან ერთად, მოგონებებით გამოვიდა აკად. შალვა ნუცუბიძე. ნუცუბიძემ უამბო შეკრებილ საზოგადოებას, თუ როგორ მოყავდა მას 1921 წელს მოსკოვიდან გამოჩენილი ადვოკატი ანდრონიკაშვილი, რომელიც მოწვეული იყო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დასაარსებლად. მატარებელი მინერალურ წყლებში რომ ჩამოდგა, ის ვაგონი, რომელშიც ისხდნენ ნუცუბიძე და ანდრონიკაშვილი

---

[1] ამ პროცესის ანგარიში იხ. გაზეთში «Право», 1907 წ. 15 აპრილი, № 15, გვ. 1134—1144

თავისი ოჯახით, ორთქლმავალს მოხსნეს და მათ განუცხადეს, რომ მატარებელი თბილისისკენ ველარ წავიდოდა. იმ დროის პირობების მიხედვით ეს მეტად სახიფათო იყო, რადგან არავინ იცოდა, რამდენ ხანს მოუხდებოდათ აქ ცდა, მით უმეტეს, რომ გამორიცხული არ იყო ანტისაბჭოთა ბანდების თავდასხმა. ნუცუბიძე და ანდრონიკაშვილი სადგურის უფროსთან მივიდნენ თხოვნით — დახმარება აღმოეჩინა. სადგურის უფროსმა თავდაპირველად კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილს დაჟინებით დაეკვირდა და ჰკითხა: «Вы не присяжный поверенный Андроников»? და როდესაც დადებითი პასუხი მიიღო, მის წინაშე მუხლებზე დაეცა და ხელზე კოცნა დაუწყო. თურმე სადგურის უფროსი ყოფილა ძმა „მინერალური წყლების რესპუბლიკის“ პროცესის ერთ-ერთი მონაწილისა, რომელსაც ანდრონიკაშვილი იცავდა. რევოლუციონერი რკინიგზელი ისე ყოფილა მოხიბლული თავისი ძმის დამცველით, რომ მისი სახე სამუდამოდ აღბეჭდილა მის მეხსიერებაში. მან, რა თქმა უნდა, სულითა და გულით მოინდომა დახმარება აღმოეჩინა ლ. ანდრონიკაშვილისათვის. მიუხედავად იმ დროის მიმოსვლის მეტად მძიმე პირობებისა, მაინც შეძლო ვაგონი, რომლითაც ქართველები თბილისში მიემგზავრებოდნენ, რაღაც სპეციალური შემადგენლობისათვის გამოება და თბილისისაკენ გამოესტუმრებინა.

„ს ო ჭ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს“ ს ა ქ მ ე. იმ საქმეთა შორის, რომლებშიც ლ. ანდრონიკაშვილი იღებდა მონაწილეობას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „სოჭის რესპუბლიკის“ საქმეს, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია.[1] აღსანიშნავია, რომ ამ საქმეს გაზეთი „პრავო“ 1905 წლის ეპოპეის ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო საქმეს უწოდებს. პასუხისგებაში მიცემული იყო 111 კაცი. მათ

---

[1] ლ. ანდრონიკაშვილი „სოჭის რესპუბლიკის“ პროცესს შეცდომით „გაგრის რესპუბლიკის“ პროცესს უწოდებს. მართალია, ლ. ანდრონიკაშვილის არქივში გაგრის აჯანყების საქმეც გვხვდება, მაგრამ თავისი შინაარსით და ბრალდებულთა გვარებით, სწორედ „სოჭის რესპუბლიკის“ საქმე ემთხვევა იმ საქმეს, რომელიც ანდრონიკაშვილს აღწერილი აქვს როგორც გაგრის საქმე. ამ ფაქტს დასტურებს საქმის ანგარიში, მოთავსებული გაზეთში «Право», 1908 წლის 19 ოქტომბერს, № 42, სვეტი 2302—2304.

შორის მთავარი დამნაშავეები იყვნენ გრეჩკინი, სანიკოვი, კულამიშვილი, კუცევი და კილაძე. მათ ბრალად ედებოდათ, რომ შეადგინეს დანაშაულებრივი საზოგადოება არსებული ხელისუფლების დასამხობად, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, დააარსეს სოციალ რესპუბლიკა, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს მეფის ჯარს — როგორც ქვეითს, ისე საზღვაოს, კერძოდ ზარბაზანი ესროლეს ნაღმოსანს, მოკლეს ერთი და დაჭრეს შვიდი ჩაფარი და ა. შ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ რევოლუციონერები ნოვოროსიისკის სამხედრო სასამართლოს გადასცეს. ამ უკანასკნელმა 1908 წლის 8 ივლისის განაჩენით დამნაშავედ ცნო განსასჯელები სისხლის სჯულდების მე-100 მუხლით, რომლითაც სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილი 39 კაცს, მაგრამ, რადგანაც საქმეში შემამსუბუქებელი გარემოებები აღმოაჩინა, სიკვდილით დასჯა სხვადასხვა ვადის კატორღით შეცვალა. სამხედრო პროკურორმა ეს განაჩენი გააპროტესტა მთავარ სამხედრო სასამართლოში. იგი მოითხოვდა სასჯელის შესწორებას და კატორღის შეცვლას სიკვდილით დასჯით. პროკურორი ემყარებოდა მეფის საიდუმლო ბრძანებას, რომლის მიხედვით სამხედრო სასამართლოს უფლება არ ჰქონდა შეეცვალა სიკვდილით დასჯა კატორღით, თუნდაც საქმეში შემამსუბუქებელი გარემოებანი აღმოეჩინა. სასამართლოს ასეთ შემთხვევაში შეეძლო მხოლოდ სიკვდილის განაჩენთან ერთად გამოეტანა ცალკე დადგენილება, სადაც იგი იშუამდგომლებდა სასჯელის შემსუბუქების შესახებ ოლქის ჯარის სარდლის წინაშე და მხოლოდ ამ უკანასკნელს ჰქონდა უფლება შეეცვალა სასჯელი.

ანდრონიკაშვილი მონაწილეობას იღებდა ამ საქმის განხილვისას მთავარ სამხედრო სასამართლოში (1908 წლის 10 სექტემბერი). საიდუმლო ბრძანების არსებობის შესახებ იმ დროის დამცველებმა მართლაც არაფერი იცოდნენ. ეს ნათლად ჩანს პოლიტიკური დამცველის მ. ელიაშევის წერილიდან, რომელიც მოთავსებულია ჟურნალ „პრავოს“ 1905 წლის № 35-ში. იგი განცვიფრებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ხშირად სამხედრო სასამართლოები აღიარებენ შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობას, მაგალითად, დამნაშავის მცირეწლოვანებას, მიუთითებენ ამაზე განაჩენში და, ამის შემდეგ მაინც სიკ-

ვდილის განაჩენი გამოაქვთ, ხოლო მთავარი სამხედრო სასამართლო ასეთ განაჩენს ამტკიცებს. მრავალ მაგალითს შორის მას მოყავს ერთი: სასამართლომ განიხილა ვინმე პერსინის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ქ. დვინსკში ბოქაულ კურლიანდსკის დაჭრა. სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ საქმეში ხუთი შემამსუბუქებელი გარემოებაა და, მიუხედავად ამისა, ასევე ერთხმად დაადგინა, რომ იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. „რას ნიშნავს ეს, — კითხულობდა მ. ელიაშევი, — რით აიხსნება, რომ სასამართლოს, თუმცა იგი აღიარებს, რომ კაცი სიკვდილის ღირსი არ არის და კატორღით უნდა დაისაჯოს, მაინც გამოაქვს სიკვდილის განაჩენი? ნუთუ არც ერთმა მოსამართლემ არ იცის, თუ რა უფლებები აქვს მას როგორც მოსამართლეს და ადამიანს? არ იცის კანონი? მაგრამ ეს წარმოუდგენელია... მაშ აქ რაღაც სხვა ამბავია, სხვა რამ, რაც ჩვენ არ ვიცით... იქნებ ცირკულარი?“[1]...

საიდუმლო ცირკულარი, რომელიც კანონის ასეთ დარღვევას ითვალისწინებდა, მართლაც არსებობდა. იგი პირველად სიტყვიერად ბრძანა 1887 წელს მეფე ალექსანდრე მესამემ, ხოლო ასევე სიტყვიერად დაადასტურა ნიკოლოზ მეორემ 1905 წლის 8 სექტემბერს. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რაოდენ სერიოზული იყო 39 განსასჯელის მდგომარეობა, მივმართოთ სამხედრო სასამართლოთა საქმიანობის მკვლევარს პროფ. პოლიანსკის. როგორც იგი გადმოგვცემს, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო გაბედავდა და თავისი ნებით შეუმსუბუქებდა განსასჯელებს ბედს, ამისთვის მას მკაცრი სასჯელი ელოდა, ხოლო სასამართლოს „შეცდომას“ მთავარი სამხედრო სასამართლო აუცილებლად „ასწორებდა“ და მის მიერ დანიშნულ სასჯელს სიკვდილით ცვლიდა.[2]

---

[1] Н. Ельяшев, Около смертных приговоров, «Право», 1905 г., 4/IX, № 35, столб. 2870.

[2] იხ. Н. Полянский, დასახ. ნაშრ., გვ. 172-173. გაზეთ „პრავოში“ 1906 წლის 11 ივნისს, № 23 მოთავსებული იყო ასეთი ცნობა: „მთავარი სამხედრო სასამართლო განაგრძობს ისევ განაჩენების „გასწორებას“ და კ ა ტ ო რ ღ ა ს ს ი კ ვ დ ი ლ ი თ დ ა ს ჯ ი თ ა ს წ ო რ ე ბ ს. 27 მაისს ეს მან გააკეთა გლეხ ივანე პანაის მიმართ. ივანე პანაის მიუსაჯეს სიკვდილი, მაგრამ მისი არასრულწლოვანებისა და სხვა შემამსუბუქებელ გარემოება-

ამგვარად 39 განსასჯელი უკვე გრძნობდა თოკს თავის კისერზე.

როდესაც ლ. ანდრონიკაშვილი დარწმუნდა, რომ მეფის საიდუმლო ბრძანება მართლაც არსებობს, მან უშიშრად გაილაშქრა ამ ბრძანების წინააღმდეგ. ანდრონიკაშვილმა სასამართლოში განაცხადა, რომ მეფის საიდუმლო ბრძანება ეწინააღმდეგება 1903 წლის სისხლის სჯულდებას, რომელიც ამჟამად მოქმედებს. პირველად საიდუმლო ბრძანება გამოცემულ იქნა ძველი, ე. ი. 1845 წლის სასჯელთა სჯულდების მოქმედების დროს. ძველი სჯულდების თანახმად სასამართლოს უ ფ ლ ე ბ ა ჰქონდა (და არა მოვალეობა) შეეცვალა სასჯელი, თუ ის საქმის შემამსუბუქებელ გარემოებას აღმოაჩენდა. საიდუმლო ბრძანება, რომელიც ამ უფლებას ზღუდავდა, მხოლოდ და მხოლოდ ძველ სასჯელთა სჯულდებას შეეხება. მაგრამ განსასჯელებს წაყენებული აქვთ ბრალდება ახალი, 1903 წ. სჯულდების საფუძველზე, რომელიც ძველი სჯულდებისაგან განსხვავებით, უფლებას კი არ აძლევს, არამედ მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ს ა კ ი ს რ ე ბ ს სასამართლოს შეცვალოს სიკვდილით დასჯა სხვა სასჯელით, თუ კი იგი დარწმუნდება, რომ არსებობს შემამსუბუქებელი გარემოებანი. ეს მოვალეობა მოსამართლეს თვით მეფის მიერ დამტკიცებულმა კანონმა დააკისრა და მისი შეცვლა მხოლოდ იმავე წესით შეიძლება, რა წესითაც ეს კანონი იყო მიღებული.

ანდრონიკაშვილის დამაჯერებელმა არგუმენტაციამ, მისმა უზადო ლოგიკამ, მისმა მგზნებარე მჭევრმეტყველებამ და დარწმუნების საოცარმა უნარმა სასწაული მოახდინა: 39 რევოლუციონერი სიკვდილს გადაარჩინა. უფრო მეტიც: მთავარმა სამხედრო სასამართლომ ამით აღიარა ძველი პრაქტიკის მცდარობა და შეცვალა იგი ახალი პრაქტიკით. ეს ახალი პრაქ-

---

თა გამო სასამართლომ სიკვდილი 20 წლის კატორღით შეუცვალა. განაჩენით უკმაყოფილო დარჩა პროკურორი. მისი პროტესტით მთავარმა სამხედრო სასამართლომ გააუქმა შემსუბუქება და სიკვდილით დასჯა ძალაში დატოვა (სვეტი 2090).

რაც შეეხება ოლქის ჯარების სარდალს, იგი სასამართლოს შუამდგომლობას სიკვდილით დასჯის შეცვლის შესახებ ყოველთვის უშედეგოდ ტოვებდა.

ტიკა, როგორც ლ. ანდრონიკაშვილი წერს, არც ისე ხანგრძლივი იყო — მან სულ წელიწადი გასტანა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არაერთი რევოლუციონერი გადაარჩინა სიკვდილს. ანდრონიკაშვილი იგონებდა, რომ მთავარ სამხედრო სასამართლოს პროკურორის ახალი მოადგილის უხამსი გამოსვლის შემდეგ ძველი პრაქტიკა ისევ აღსდგა და სასამართლოებს კვლავ აეკრძალათ, საკუთარი განსჯით, სასჯელის უმაღლესი ღონისძიების შეცვლა უფრო მსუბუქით.

ლ. ანდრონიკაშვილი ამ საქმეზე გამოსვლას თავის ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვებად თვლიდა. რუსეთის ყოველი კუთხიდან მოსდიოდა მას მოლოცვის დეპეშები. გამოგზავნეს წერილები მის მიერ გადარჩენილმა რევოლუციონერებმაც, რომლებიც მადლობას უხდიდნენ „თავგანწირული ბრძოლისათვის".[1]

ამ საქმესთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ამბავი, რომელსაც ლ. ანდრონიკაშვილი დიდის იუმორით გვიამბობდა. როდესაც მთავარმა სამხედრო სასამართლომ საბოლოო განაჩენი გამოაცხადა, ლ. ანდრონიკაშვილს გარს შემოეხვივნენ დამსწრენი, კოცნიდნენ, მხურვალედ ულოცავდნენ გამარჯვებას. ბევრი ტიროდა. თვით ლ. ანდრონიკაშვილს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. როცა თავბრუდახვეული ლუარსა-

---

[1] ლუარსაბ ანდრონიკაშვილის არქივში დაცულია ასეთი წერილი:

„დიდად პატივცემულო ლუარსაბ ნიკოლოზის ძე,

სოჭის 1905 წლის შეიარაღებული აჯანყების საქმეზე სამართალში მიცემულნი და ისინი, ვინც ამ საქმესთან დაკავშირებით წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდნენ, გულითად მადლობას გითვლიან იმისათვის, რომ თქვენ შეუპოვრად იცავდით მართლმსაჯულების ინტერესებს მთავარ სამხედრო სასამართლოში პროკურორის პროტესტისა და მათს საქმეზე საკასაციო საჩივრის განხილვისას, რაც მათი დავალებით თქვენ უნდა გადმოგცეთ.

მხოლოდ და მხოლოდ თქვენს გულის სიღრმიდან წარმოთქმულ სიტყვებსა და უთუოდ სამართლიან არგუმენტებს უმადლიან ისინი საქმის კეთილად დასრულებას და მათი ხანგრძლივი ტანჯვის შეწყვეტას.

გთხოვთ კვლავ მიიღოთ და გადასცეთ დაცვაში მონაწილე თქვენს ამხანაგებს ჩვენი სამადლიანო ულრმესი მადლობის გამოხატულება.

ვლად. ტრუვალერი
ლევ ალექსანდროვი.
სოჭი
30 ოქტომბერი, 08 წ."

ბი სასამართლო დარბაზიდან გამოვიდა და კიბეზე ჩამოდიოდა, დაინახა, რომ ვიღაც ქალი სწრაფი ნაბიჯით კიბეზე ამოდის. დარწმუნებული, რომ ეს ქალი ერთ-ერთი მსჯავრდებულის ნათესავია და მისკენ მადლობის სათქმელად მოეშურება, ანდრონიკაშვილი გაექანა მისკენ, განცვიფრებული ქალი გულში ჩაიკრა და გადაკოცნა. ეს ქალი მთავარი სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის მეუღლე აღმოჩნდა. განრისხებულმა გენერალმა ანდრონიკაშვილის საქციელი დაცინვად ჩათვალა და იგი დუელში გამოიწვია. ანდრონიკაშვილის მეგობრებს დიდი მეცადინეობა დასჭირდათ, რომ მრისხანე გენერალი როგორმე დაეშოშმინებინათ.

გ ა გ რ ი ს ს ა ქ მ ე. სოჭის საქმესთან ბევრი რამა აქვს საერთო გაგრის საქმეს[1]. ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული იყო 23 კაცი: ი. მარუაშვილი, ა., ი. და ვ. ბენდელიანები, ი. ჩიჩკანი, ხ. ჭყონია, ს. იაშვილი, ა. მათითაშვილი, ი. ჩაგავა, ჯ. ორაგველიძე, ს. თავაძე, თ. და დ. ნარსიები, კ. ცინცაძე და სხვ. საბრალდებო დასკვნის თანახმად, რომელიც 1907 წლის 16 თებერვალს არის შედგენილი, სოხუმის ოლქის დაბა გაგრაში ზემოთ დასახელებული პირები, სხვა, მიმალულ პირებთან ერთად, შევიდნენ საზოგადოებაში, რომელსაც უწოდებდნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ბოლშევიკების“ ფრაქციის გაგრის ორგანიზაციას. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა რუსეთის ძირითადი კანონებით დამყარებული მმართველობის წესის ძალმომრეობით დამხობას. იგი განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა 1905 წლის მარტიდან 1906 წლის იანვრამდე. სასროლი იარაღით ამარაგებდა პარტიის წევრებს; შექმნა სახალხო მილიცია და სახალხო სასამართლო, მოაწყო რევოლუციური თვითმართველობა, ეწეოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდას გაგრის გარნიზონის ჯარისკაცებსა და მატროსებს შორის, აწყობდა მიტინგებს, რომლებზედაც ქადაგებდნენ მეფისა და მთავრობის ძალმომრეობით ჩამოგდების რევოლუციურ იდეებს, ართმევდა ფულს იმ პირებს, ვინც ამ პარტიაში არ შედიოდა, აუქმებდა გაგრის სამხედრო და ადმი-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი. II—22. სამწუხაროდ, შემონახულია მხოლოდ საბრალდებო დასკვნა.

ნისტრაციული ხელისუფლების განკარგულებებს, აწყობდა გაფიცვებს, აიძულებდა ხელისუფლების წარმომადგენლებს შეესრულებინათ საზოგადოების ესა თუ ის მოთხოვნები და ა. შ.

ამასთან ერთად, საზოგადოების წევრებს ბრალდებოდათ, რომ მათ წინასწარი შეთანხმებით მოკლეს ორი პირი, რომლებიც ხელს უშლიდნენ პარტიის რევოლუციურ საქმიანობას: გაგრის კლიმატური სადგურის უფროსი ლეონიდ შერემეტიევსკი და იმავე სადგურის უფროსი მებაღე ვიაჩესლავ ვოტეკი, ხოლო შემდეგ, მკვლელობის კვალის დაფარვისა და ამ მკვლელობაში მონაწილე პირთა მამხილებელი საბუთების მოსპობის მიზნით, გაიტაცეს და გაანადგურეს საგამოძიებო მასალები აღნიშნულ საქმეზე. ბრალდებანი მათ წარდგენილი ჰქონდათ სისხლის სჯულდების 102-ე მუხლით (აჯანყების მიზნით შედგენილი საზოგადოება), სასჯელთა სჯულდების 1453-ე მუხლით (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) და იმავე სჯულდების 303-ე მუხლით (ოფიციალური ქაღალდების ან შტაკიცებულებების გატაცება ან განადგურება). საქმე გადაეცა განსახილველად თბილისის სასამართლო პალატას წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით. რითი დამთავრდა ეს საქმე, სამწუხაროდ ჩემთვის უცნობია. ანდრონიკაშვილის არქივში ამ საქმეზე მხოლოდ საბრალდებო დასკვნაა შემონახული.

თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა ს და სხვების (მისი ამხანაგების) საქმე. როგორც თედო სახოკია თავის „ავტობიოგრაფიაში“ წერს, 1904 წლის მიწურულსა და 1905 წლის დასაწყისში ქართველმა ემიგრანტებმა, ფინეთის რევოლუციური პარტიების კომიტეტთან შეთანხმებით, გადაწყვიტეს შეეძინათ საზღვარგარეთ იარაღი მომავალი რევოლუციისათვის. იარაღის შეძენა და გადმოგზავნა იკისრა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრმა გიორგი დეკანოზიშვილმა. 1905 წლის გაზაფხულზე გ. დეკანოზიშვილმა, საზღვარგარეთ მყოფ სხვა ახალგაზრდებთან ერთად, სამშობლოში გამოისტუმრა თედო სახოკია, რომელსაც დაავალა საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი იარაღის მისაღებად ხალხის დახვედრება და ამ იარაღის გადმოცლა შავი ზღვის სანაპიროს სხვადასხვა პუნქტში. მართლაც ჰოლანდიაში შეძენილმა გემმა „სირიუსმა“ საქართველოში ჩამოიტანა შვეიცარიაში ნაყიდი „ვეტერლინის“ სისტემის თოფები და ვაზნები.

გემს მიგებებულმა სანდლებმა იარაღი შავი ზღვის სხვადასხვა ნავსადგურში გადმოტვირთეს. გადმოტვირთული იარაღის ნაწილი მთავრობამ ჩაიგდო ხელში. დანარჩენი ხალხს დაურიგდა. თედო სახოკია ამ საქმის გამო 1906 წლის თებერვალში დაუპატიმრებიათ, მაგრამ მაისში თავდებქვეშ გამოუშვიათ, 1907 წლის თებერვალში კი კვლავ შეუპყრიათ.[1]

საბრალდებო დასკვნაში, რომელიც 1907 წლის 19 თებერვლით არის დათარიღებული, ნათქვამია, რომ 1905 წლის დეკემბრის დასაწყისში გვიან ღამით თავად ინალ-იფას სახლში გაგრაში მისულა თორმეტამდე შეიარაღებული უცნობი, რომლებსაც ურმებზე დატვირთული იარაღით სავსე 45 ყუთი მოუტანიათ და ინალ-იფას აგურის ქარხნის ტერიტორიიდან 100 საჟენის დაშორებით მიწაში ჩაუფლიათ. ერთი კვირის შემდეგ ინალ-იფასთან თედო სახოკია ჩასულა, ერთი კვირა დაუყვია, რადგან ელოდებოდა ამინდს იარაღის გადასაზიდად. მას იარაღის ნაწილი ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის დაურიგებია, თანაც გაუფრთხილებია, რომ ეს იარაღი უნდა გამოიყენონ სოჭში დაწყებული აჯანყების დასახმარებლადო. 22 დეკემბერს გაგრის მცხოვრებს იოსებ მახათარიას იარაღი სოხუმში, გუდაუთში, ადლერში, სოჭში გადაუზიდავს და იქ მოსახლეობისათვის დაურიგებია. იარაღი სოციალ-დემოკრატებისთვისაც გადაუციათ. იარაღის გადაზიდვის დროს მისი ნაწილი ხელში ჩავარდნია კაზაკებს, რომლებსაც რამდენიმე კაცი შეუპყრიათ. ესენი იყვნენ: გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე, იასონ გიგიბერია, ერასტო სასანია, ვასილ გურჯუა, ვასილ ქანჯარია, ბენიამინ დარჩია, პეტრე კვარაცხელია, ახმეტ ბექირ ოღლი, დემენტი ქუჩულორია, ვლადიმერ კორგოშიძე. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ „ორჯონიკიძე და გურჯუა პროფესიული ორატორები აღმოჩნდნენ, ისინი გამოდიოდნენ მიტინგებზე და რევოლუციური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. ორჯონიკიძემ 18 ნოემბერს აფხაზების შეკრებაზე ილაპარაკა, რომ არსებული წყობილება სავსებით უვარგისია, მოუწოდა არ გადაეხადათ გადასახადები, არ მიეცათ მთავრობისათვის რეკრუ-

---

[1] იხ. თედო სახოკია, კრებული, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1969, გვ. 234-235.

ტები, მოესპოთ პოლიცია და ადმინისტრაცია, გაენაწილებინათ მიწა. ხალხი თვით უნდა იყოსო მმართველი. მეფე არავის არ სჭირდება, იგი ხალხის პირველი მტერია". თავის გამოსვლას ორჯონიკიძე ამთავრებდაო სიტყვებით: „ძირს ნიკოლოზ მეორე". შემდეგ საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია: „შეიარაღებული აჯანყებისა და მთავრობასთან ბრძოლის პროპაგანდამ ხალხის მღელვარება გამოიწვია, სოფელ გუდაუთში ამას მოჰყვა ჯერ მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტი, გაფიცვები, დემონსტრაციები, მანიფესტაციები, სასწავლო დაწესებულებათა დახურვა, ხოლო შემდეგ ხალხის შეიარაღება"... საბრალდებო დასკვნაში მითითებულია აგრეთვე, რომ თავდებქვეშ გამოშვებულმა გ. ორჯონიკიძემ და ახმედ ბექირ ოღლიმ მოახერხეს გაქცევა და დამალვა.[1]

თედო სახოკიას და სხვებს ბრალად ედებოდათ, რომ 1905 წლის ბოლოს შეადგინეს საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ძირითადი კანონებით დამყარებული წესწყობილების ძალმომრეობით დამხობას, რომ ამ საზოგადოებას თავის განკარგულებაში ჰქონდა იარაღის საწყობები. ისინი საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ იარაღს ხალხს ურიგებდნენ, გარდა ამისა საჯაროდ გამოდიოდნენ მიტინგებზე (სახოკია — გაგრაში, გურჯუა — გუდაუთში) და მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ რესპუბლიკის დასამყარებლად და ა. შ. ბრალდება წარდგენილი ჰქონდათ სისხლის სჯულდების 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით.[2]

საქმე განიხილა თბილისის სასამართლო პალატის განსაკუთრებულმა საკრებულომ წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით 1907 წლის 17-19 სექტემბერს. დამცველებად გამოდიოდნენ: პეტერბურგიდან — ლ. ანდრონიკაშვილი და სიდამონ-ერისთავი, თბილისიდან — ი. ბარათაშვილი და გ. გვაზავა.

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში გვხვდება ჩანაწერები, საი-

---

[1] სერგო ორჯონიკიძის შეპყრობისა და საზღვარგარეთ გაქცევის ამბავი დაწვრილებით აქვს აღწერილი მის მეუღლეს (იხ. ზ. ორჯონიკიძე, ბოლშევიკის გზა, სახელგამი, თბ., 1950, გვ. 41—56).

[2] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—9.

დანაც შეიძლება აღვადგინოთ მისი დაცვითი სიტყვის ძირითადი თეზისები.

ანდრონიკაშვილის სიტყვის მთავარი მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ სახოკიას და სხვათა მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა 102-ე მუხლის მეორე ნაწილით, არამედ 126-ე მუხლით.

ამ დებულების მნიშვნელობა გასაგები რომ იყოს, საჭიროა შეავეხოთ 1903 წლის სისხლის სჯულდების აღნიშნული მუხლების შინაარსს. 102-ე მუხლი ითვალისწინებდა „ისეთ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც შედგენილი იყო რუსეთის ძირითადი კანონებით დადგენილი მმართველობის წესის ძალმომრეობით დასამხობად". 126-ე მუხლი კი ითვალისწინებდა „ისეთ საზოგადოებაში მონაწილეობას, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების დათრგუნვას". პირველი (102-ე) მუხლით დადგენილი იყო სასჯელად კატორღა, ხოლო მეორე (126-ე) მუხლით — კატორღა ან ციმბირში გადასახლება. 102-ე მუხლით ციმბირში გადასახლება სასამართლოს შეეძლო დაენიშნა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი არსებობდა, რომლებიც უფლებას აძლევდნენ სასამართლოს მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმზე უფრო მსუბუქი სასჯელი დაენიშნა.

როგორც 102-ე და 126-ე მუხლების ტექსტებიდან ჩანს, ეს ორი მუხლი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს და მათ შორის განსხვავების პოვნა მეტად ძნელი იყო. პოლიტიკური დამცველები ხშირად სარგებლობდნენ ამით და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მსჯავრდებულთა მოქმედება უფრო 126-ე მუხლს შეესაბამებოდა. აი, სწორედ ამის დამტკიცებას შეეცადა ლ. ანდრონიკაშვილი თ. სახოკიას საქმეზე.

სიტყვის ჩანაწერი იწყება იმით, რომ განსასჯელებს წაყენებული აქვთ ბრალდება 102-ე მუხლით, მაგრამ ბრალდების ის პუნქტები, რომლებსაც საბრალდებო დასკვნა ასაბუთებს, სინამდვილეში მოცემულია არა 102-ე, არამედ 126-ე მუხლით. შემდეგ ანდრონიკაშვილი გადადის ამ მუხლების ახსნა-განმარტებაზე. მისი აზრით, 102-ე მუხლი ვრცელდება მხოლოდ ისეთ საზოგადოებაზე, რომელიც მიზნად ისახავს არსებული პოლი-

ტიკური წესწყობილების უშუალო, ე. ი. უახლოეს დროში დამხობას, რაც იმას გულისხმობს, რომ საზოგადოების მონაწილეებს არა მარტო დასახული აქვთ მიზნად სახელმწიფო წესწყობილების ძალმომრეობით დამხობა, არამედ ამავე დროს შემუშავებული აქვთ მოქმედების გეგმა, პირველყოვლისა, საშუალება, რომლითაც ეს მიზანი უნდა განხორციელდეს; განაწილებული აქვთ ფუნქციები, რომლებიც საზოგადოების ცალკეულმა წევრებმა უნდა შეასრულონ და ა. შ. პირიქით, 126-ე მუხლი გულისხმობს ისეთი საზოგადოების შედგენას, რომელსაც უფრო შორეული, არსებითად განუსაზღვრელი მომავლისთვის აქვს დასახული მიზნად ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების შექმნა, მაგრამ მოქმედების გეგმა ჯერ კიდევ შედგენილი არა აქვს. შეთქმულება გულისხმობს გეგმას, გეგმის გარეშე შეთქმულება არ არსებობს.

მიუხედავად დაცვის მეტად ძლიერი არგუმენტაციისა, მეფის სასამართლომ არ მოისურვა 102-ე მუხლის მაგივრად 126-ე მუხლის გამოყენების პრაქტიკა დაენერგა და თედო სახოკიას მიმართ ბრალდება 102-ე მუხლით დამტკიცებულად სცნო. მაგრამ ამავე დროს მას არ შეეძლო სრულიად უგულებელეყო დაცვის მეტად ძლიერი და დამაჯერებელი საბუთები, რის გამოც იძულებული გახდა გამოეყენებინა სასჯელის შემსუბუქების განსაკუთრებული წესი, ე. ი. კანონით მითითებულ მინიმუმზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. საბოლოოდ კატორღის მაგივრად, თედო სახოკიას მიუსაჯეს სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევა და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება.

„ყვირილის რესპუბლიკის“ საქმე. საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. „ყვირილის რესპუბლიკის“ საქმეს. ამ საქმის მასალები ლ. ანდრონიკაშვილის არქივში დაცული არ არის, მაგრამ ცნობა მის შესახებ მოთავსებულია გაზეთ „პრავო“-ში.[1] აქ ნათქვამია, რომ 1909 წლის 5 მარტს „ყვირილის რესპუბლიკის“ საქმეს არჩევდა მთავარი სამხედრო სასამართლო პროკურორის პროტესტისა და დამცველთა საჩივრის გამო. პირველი ინსტანციის წესით საქმე განუხილავს ქ. ქუთაისის

[1] იხ. გაზეთი «Право», 1909 წლის 15 მარტი, № 11, სვ. 697-698.

დროებით სამხედრო სასამართლოს. პასუხისგებაში მიცემული იყო 28 კაცი. მათ წაყენებული ჰქონდათ 102-ე მუხლი, თანაც სამხედრო დებულებათა 279-ე მუხლის მოშველიებით, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. სახელდობრ, ბრალად ედებოდათ, რომ 1906 წლის დასაწყისში შეადგინეს საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთში დამყარებული სახელმწიფო წესწყობილების ძალმომრეობით დამხობას და ამ მიზნის განსახორციელებლად მთელი რიგი დანაშაულებრივი ქმედობა ჩაიდინეს, მათ შორის, შეიარაღებული თავდასხმა ყვირილის ხაზინაზე, საიდანაც გაიტაცეს 200 000 მანეთი. ეს თავდასხმა მოხდა მას შემდეგ, რაც ყვირილიდან გავიდა სამხედრო ნაწილი და მარტო პოლიციის ჩაფრები დარჩნენ. ხაზინაზე თავდასხმის შემდეგ შეიარაღებული ხალხი გაემართა საპყრობილისაკენ და გაათავისუფლა პატიმრები. ამის შემდეგ რევოლუციურმა ორგანიზაციებმა ხელში ჩაიგდეს სასამართლო და რკინიგზის უწყება და რამდენიმე ხნის განმავლობაში ფაქტიურად მართავდნენ დაბას.

ქუთაისის სამხედრო სასამართლომ 14 კაცი გაამართლა, ხოლო დანარჩენ 14-ს მიუსაჯა სხვადასხვა ვადით კატორღა და ციმბირში გადასახლება. სიკვდილის განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა.

ამ საქმის მთავარ თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ პროკურორმა განაჩენი გააპროტესტა მხოლოდ ერთი თვის შემდეგ იმ დღიდან, როცა ამოიწურა პროტესტის შეტანის ვადა. ვადის გადაცილებას იმით ასაბუთებდა, რომ საქმის განხილვას თვით იგი არ ესწრებოდა და შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა საქმეს მხოლოდ დიდი დაგვიანებით. პროტესტში იგი მიუთითებდა, რომ, თუმცა მისმა მოადგილემ მოუხსნა განსასჯელებს 279-ე მუხლი, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, მაგრამ ეს სწორი არ იყო და სამხედრო სასამართლოს მაინც სიკვდილით დასჯა უნდა გამოეყენებინა.

დამცველებმა, პირიქით, განაჩენი გაასაჩივრეს სასჯელთა სიმკაცრის გამო. „პრავო"-ში აღნიშნულია, რომ საკასაციო საჩივარს მთავარ სამხედრო სასამართლოში მხარს უჭერდნენ ლ. ანდრონიკაშვილი და ნ. სოკოლოვი. მიუხედავად დამცველთა დიდად დასაბუთებული გამოსვლისა პროკურორის საკასაციო

პროტესტის განხილვის წინააღმდეგ, მთავარმა სამხედრო სასამართლომ მაინც აღადგინა პროტესტის ვადა და იმსჯელა როგორც დამცველთა საკასაციო საჩივრის, ისე ბრალდების პროტესტის შესახებ. გაზეთი „პრავო" იუწყებოდა, რომ მთავარმა სამხედრო სასამართლომ ყურადღების ღირსად ცნო როგორც საკასაციო პროტესტი, ისე საკასაციო საჩივარი და საქმე დაბრუნა ხელმეორედ განსახილველად სასამართლო საკრებულოს სხვა შემადგენლობაში. სამწუხაროდ ამ საქმის საბოლოო შედეგი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

შეიარაღებული აჯანყების საქმეებიდან აღსანიშნავია კიდევ ამურის კაზაკთა დეპუტატების საქმე.[1] განსასჯელებს წარდგენილი ჰქონდათ სისხლის სჯულდების 102-ე მუხლი და ბრალად ედებოდათ, რომ, იმ მიზნით, რათა შეიარაღებული ძალით დაემხოთ არსებული წესწყობილება, შეადგინეს დანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც აწყობდა მიტინგებს, ხელმძღვანელობდა გაფიცვებს, ითვისებდა ხელისუფლებას და ა. შ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობას იღებდა ამ საქმის საკასაციო წესით განხილვისას მთავარ სამხედრო სასამართლოში 1908 წ. დაწვრილებითი ცნობები ამ პროცესის შესახებ არა გვაქვს.

ლ. ანდრონიკაშვილს სხვა აჯანყებათა საქმეებშიც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ჩვენ მათ არ ვეხებით იმის გამო, რომ ისინი ან შედარებით ნაკლები მნიშვნელობის არიან, ან მათ შესახებ რაიმე ცნობების შეგროვება ვერ მოვახერხეთ.

2. პოლიტიკური პროცესები, მიმართული სახელმწიფო სათათბიროს წევრების წინააღმდეგ

მეფის ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა და ჩაატარა პოლიტიკური პროცესები სახელმწიფო სათათბიროს წევრთა წინააღმდეგ. ამ პროცესების ჩატარებისას მეფის ერთგული იუსტიციის ორგანოები ყოველგვარ ინსინუაციას მიმართავდნენ. ლ. ანდრონიკაშვილმა მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, I—29 ა.

სათათბიროს წევრთა წინააღმდეგ აღძრული რამდენიმე საქმის განხილვაში.

ვიბორგის მოწოდების მონაწილეთა საქმე.[1] სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამ ვერ შეაჩერა უკვე დაწყებული რევოლუციური მოძრაობა. პროლეტარიატი განაგრძობდა ბრძოლას რეაქციასთან, ხოლო 1906 წელს ისევ იფეთქა გლეხთა აჯანყებებმა. მეფის ხელისუფლებამ, მიუხედავად პირველი სახელმწიფო სათათბიროს ძირითადად კადეტური შემადგენლობისა, ვერ შესძლო სახელმწიფო სათათბირო რევოლუციის დათრგუნვის იარაღად გამოეყენებინა. კადეტებს გადაჭრით გაემიჯნენ შრომის პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროში გლეხების ინტერესებს იცავდნენ. მემარცხენე ძალები ხშირად გამოდიოდნენ სახელმწიფო სათათბიროში მთავრობის პოლიტიკის კრიტიკით. განსაკუთრებულ კრიტიკას გლეხების საკითხი იწვევდა. ამიტომ მეფის ხელისუფლებამ 1906 წლის 8 ივლისს სახელმწიფო სათათბირო დაშალა და ახალი არჩევნები 7 თვის შემდეგ დანიშნა. მაშინ სახელმწიფო სათათბიროს წევრები (კადეტები, სოციალ-დემოკრატები და შრომის პარტიის წევრები) ჩავიდნენ ფინეთში და იქ (ვიბორგში) შეადგინეს მოწოდება, რომელიც ისტორიაში ცნობილია „ვიბორგის მოწოდების“ სახელწოდებით.

„ვიბორგის მოწოდება“ სრულიადაც არ იყო მოწოდება რევოლუციისაკენ; პირიქით, გამიზნული იყო რა მოსახლეობის პასიური წინააღმდეგობისათვის, მის ძირითად მიზანს ხალხის რევოლუციური გამოსვლების თავიდან აცილება წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მეფის ხელისუფლებამ სახელმწიფო სათათბიროს წევრები პასუხისგებაში მისცა. სულ პასუხისგებაში მიცემული იყო 169 დეპუტატი. მათ ბრალად ედებოდათ, რომ მოუწოდებდნენ მოსახლეობას არ გადაეხადა ხელისუფლებისათვის გადასახადი და არ მიეცა ჯარისათვის რეკრუტები. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ყოფილ დეპუტატებს წარდგენილი ჰქონდათ 1903 წლის სისხლის სჯულდების 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მესამე პუნქტი. ეს პუნქტი ითვა-

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, I—29 ა.

ღ'ისწინებდა ისეთი ნაწარმოების გავრცელებას, რომელიც მოუწოდებს ხალხს არ დაემორჩილოს ან წინააღმდეგობა გაუწიოს კანონს, სავალდებულო დადგენილებას ან ხელისუფლების კანონიერ განკარგულებას.

ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა შრომის პარტიის წევრებს. იგი მონაწილეობას იღებდა როგორც პირველ ინსტანციაში (პეტერბურგის სასამართლო პალატა), ისე სენატში ამ საქმის განხილვის დროს.[1]

დაცვის პოზიცია ასეთი იყო: განსასჯელებზე არ შეიძლება გავრცელდეს 129-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის საწინააღმდეგო ნაწარმოების გავრცელებას, რადგან მათ, მართალია, „ვიბორგის მოწოდება" შეადგინეს, მაგრამ არ გაუვრცელებიათ იგი. თუ ამ მოწოდებას დანაშაულებრივ ხასიათს მივაწერთ (რასაც უარყოფდნენ როგორც განსასჯელები — სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრები, ისე მათი დამცველები), მაშინ განსასჯელების მიმართ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ 132-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მთავრობის საწინააღმდეგო შინაარსის ნაწარმოების შედგენას, და არა 129-ე მუხლი, რომელიც სჯის ასეთი ნაწარმოების გავრცელებისათვის.

სასამართლო არ დაეთანხმა დაცვის პოზიციას და, მიუხედავად ბრალდების იურიდიული საფუძვლის სისუსტისა, სახელმწიფო სათათბიროს წევრები მაინც 129-ე მუხლით სცნო დამნაშავედ. სენატმა განაჩენი ძალაში დატოვა. ეს მეფის ხელისუფლების კარნახით მოხდა. საქმე იმაშია, რომ, ჯერ-ერთი 132-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფინეთის სასამართლოს განსასჯელი იქნებოდა, რადგან დანაშაულის ჩადენის ადგილად განისაზღვრებოდა ის ადგილი, სადაც „ვიბორგის მოწოდება" შედგა, ე. ი. ფინეთის ტერიტორია.[2] მეფის ხე-

---

[1] იხ. გაზეთი «Право», 1907 წლის 23 დეკემბერი, № 51. სვ. 3315; 1908 წლის 16 მარტი, № 11, სვ. 698.

[2] სისხლის სამართლის ტერიტორიული პრინციპის თანახმად, დანაშაული უნდა განიხილოს იმ სახელმწიფოს სასამართლომ, რომლის ტერიტორიაზეც ჩადენილია დანაშაული. ფინეთის დიდი სამთავრო თუმცა რუსეთის იმპერიაში შედიოდა, მაგრამ სასამართლო საქმიანობის სფეროში მას გარკვეული ავტონომიური უფლებები ჰქონდა.

ლისუფლება ფინეთის სასამართლოს არ ენდობოდა და ეშინოდა „ვიბორგის მოწოდების“ ავტორები არ გაამართლონო. ხოლო თუ განსასჯელებს 129-ე მუხლს მიუყენებდნენ, ე. ი. აკრძალული ლიტერატურის გავრცელებას, მაშინ საქმეს განიხილავდა რუსეთის სასამართლო, ვინაიდან ბრალდება დაამტკიცებდა, რომ „მოწოდება“ რუსეთის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. 129-ე მუხლის მოთხოვნის მეორე და მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამ მუხლში, დამატებითი სასჯელის სახით, გათვალისწინებული იყო უფლებათა აყრა, ეს კი საშუალებას მისცემდა სასამართლოს ჩამოერთმია ვიბორგის მოწოდების ავტორებისათვის დეპუტატად არჩევის უფლება. 132-ე მუხლი კი ასეთ დამატებით სასჯელს არ ითვალისწინებდა. „ვიბორგის მოწოდების“ საქმე გვიჩვენებს, თუ რა „თავისუფლად“ ეპყრობოდნენ მეფის ერთგული მოსამართლენი კანონებს, რა ფართოდ განმარტავდნენ მათ, თუ ეს საჭიროდ მიაჩნდათ ცარიზმის პოზიციის დასაცავად.

სახელმწიფო სათათბიროს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საქმე, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა, იყო მ ე ო რ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა თ ა თ ბ ი რ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე[1]. მეორე სახელმწიფო სათათბირო, რომელშიც ბოლშევიკებიც იღებდნენ მონაწილეობას, პირველზე უფრო მეტად იყო მოუთმენელი მეფის ხელისუფლებისათვის. ბოლშევიკები ცდილობდნენ გამოეყენებინათ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნა იმ მიზნით, რომ გაეთავისუფლებინათ გლეხობა ლიბერალური ბურჟუაზიის ზეგავლენისაგან და შეექმნათ მუშათა კლასისა და გლეხობის ბლოკი. როდესაც ხელისუფლებამ დაინახა, რომ ლიბერალებმა ვერ შეძლეს გლეხობის შემოკრება თავის გარშემო და გლეხების დეპუტატები, პირიქით, პროლეტარიატის დეპუტატების, სოციალ-დემოკრატების გარშემო იკრიბებიან, მან გადაწყვიტა სახელმწიფო სათათბიროს დაშლა და მის სოციალ-დემოკრატიულ წევრებთან ანგარიშის გასწორება. ამისათვის პეტერბურგის ოხრანკის უფროსს გენერალ გე-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი II—49.

ლ. ანდრონიკაშვილი ახალგაზრდა
ნაფიცი ექიმი

ლევანსაბ ანდრონიკაშვილი

Существующая вместо для
Совета — как бы не структуру.
И эта позиция единства
не правильная отношения
судьбу Совета как выразителя
нации, ~~так~~ нации, ~~этой~~
так и последующей истории
Защиту пролетариата он взял
до степени национальной
защиты, но которая время
защиту нации целиком
предоставить пролетариату.
Ведь этого он сам
общий достоянием.
~~Совету этого диалекта~~
~~разлагающая свободы~~.

ლ. ანდრონიკაშვილის ავტოგრაფი

რასიმოვს დაევალა შეეთხზა ბრალდება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატების წინააღმდეგ.

როგორც 1905 წლის რევოლუციის, ისე რეაქციის პერიოდში მეტად აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდნენ სხვადასხვა ქალაქებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრებთან ჩამოყალიბებული სამხედრო ორგანიზაციები. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშაობა მოსკოვისა და პეტერბურგის სამხედრო ორგანიზაციებში. კერძოდ, პეტერბურგში, მიუხედავად სამხედრო ორგანიზაციის წევრების დაპატიმრებისა და ხელისუფლების მიერ ამ ორგანიზაციის არქივის ხელში ჩაგდებისა, 1907 წლის დასაწყისში კვლავ აღსდგა სამხედრო და საბრძოლო ორგანიზაციების დროებითი ბიურო, რომლის შექმნის ორგანიზატორი ემ. იაროსლავსკი იყო. ბიუროს შექმნა მეორე სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას დაემთხვა. სამხედრო ორგანიზაციამ გადაწყვიტა შეედგინა განაწესი სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელზე, რათა ამ ფრაქციის ყურადღება ჯარისკაცთა ბედისათვის მიექცია. განაწესი გადასცეს ჯარის ცალკეული ნაწილების წარმომადგენლებს, რომლებმაც აირჩიეს დეპუტაცია სათათბიროს წევრებთან შესახვედრად. ჯარისკაცთა დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროს წევრებს შეხვდნენ 1907 წლის 5 მაისს სოციალ-დემოკრატ დეპუტატთა ბინაზე, რომელიც ნაქირავები იყო დეპუტატ ოზოლის სახელზე. შეხვედრის ორგანიზატორი იყო ვინმე „ირინა“ (ეკატერინე შორნიკოვა), რომელიც შემდეგ ოხრანკის თანამშრომელი აღმოჩნდა. სახელმწიფო სათათბიროს წევრებისათვის შეხვედრა სრულიად მოულოდნელი იყო. „განაწესის“ გადაცემის დროს მათ თავს დაესხა პოლიცია, რომელმაც ადგილზევე შეიპყრო 60 კაცი.

სახელმწიფო სათათბიროს საგანგებო დახურულ სხდომაზე სტოლიპინი გამოვიდა ცნობით, რომ 55 დეპუტატი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მოითხოვა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეპუტატების დაუყოვნებლივ დაპატიმრება. როცა სახელმწიფო სათათბირომ დეპუტატების დაპატიმრებას სანქცია არ მისცა, ხელისუფლებამ 1907 წლის 3 ივნისს გამოსცა მანიფესტი სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ. იმავე დღეს დააპატიმრეს ის ბრალდებულე-

ბი, რომლებიც სახელმწიფო სათათბიროს წევრები იყვნენ. საბოლოოდ პასუხისგებაში მიცემული იყო 51 კაცი. მათ წაყენებული ჰქონდათ ბრალდება 1903 წლის სისხლის სჯულდების 102-ე მუხლის პირველი ნაწილით; ბრალად ედებოდათ, რომ შეადგინეს დანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებულ აჯანყებას ძირითადი კანონებით დამყარებული წესწყობილების დასამხობად, ეწეოდნენ აგიტაციას ჯარში, აწყობდნენ მიტინგებს, იძენდნენ იარაღს და ა. შ.[1] საქმეს იხილავდა მთავრობის სენატის საგანგებო საკრებულო 1907 წლის 22 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე.

როგორც პროცესის მონაწილე ი. მოშინსკი (კონარსკი) აღნიშნავს: „ბრალდებულების — სოციალ-დემოკრატიული პრაქციის წევრების და პოლიტიკური დაცვის საერთო სხდომაზე გადაწყდა სასამართლო სხდომათა დარბაზი გადაექციათ სახალხო ტრიბუნად ფართო აგიტაციისათვის“.[2] მაგრამ საგანგებო საკრებულოს სხდომები დახურულად გამოცხადდა. განსასჯელებმა და მათმა დამცველებმა საქმის კარდახშულში განხილვის წინააღმდეგ ენერგიული პროტესტი განაცხადეს. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის არქივში დაცულია მისივე ხელით დაწერილი პროტესტი, რომელშიც, გარდა იურიდიულ-დოგმატიკური ხასიათის მოსაზრებებისა, ნათქვამია: „ბრალდება წარდგენილი აქვთ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს, მისი იმ ფრაქციის წევრებს, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან მშრომელთა ფართო წრეების წარმომადგენლად. ამ ფრაქციის მოღვაწეობა სათათბიროში ყოველთვის საზოგადოების თვალწინ მიმდინარეობდა... ნუთუ სამართლიანი არ იქნებოდა, რომ სახალხო დეპუტატებს შესაძლებლობა მისცემოდათ საჯარო სხდომაზე მთელი საზოგადოების გასაგონად განემარტათ თავიანთი საქმიანობა“?[3]

როდესაც სასამართლომ განსასჯელებისა და მათი დამცველების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, განსასჯელებმა უარი განაცხადეს დაცვაზე და მოითხოვეს, რომ ისინი სასამარ-

---

[1] იხ. გაზეთი „პრავო“, 1907 წლის 9 დეკემბერი, № 49, სვ. 3177—3186.

[2] И. Мошинский (Конарский), Политическая защита в дореволюционных судах. «Девятый вал», М., 1927, стр. 56.

[3] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—49.

თლო დარბაზიდან გაეყვანათ. განსასჯელების გაყვანისთანავე სასამართლო დარბაზი დატოვეს დამცველებმაც. სასამართლომ განსასჯელთა უმრავლესობას მიუსაჯა კატორღა (11 კაცს — 5-5 წლით, 15 კაცს — 4-4 წლით), ხოლო დანარჩენებს — ციმბირში გადასახლება. როგორც ყოფილი პოლიტიკური დამცველი ი. მოშინსკი (კონარსკი) წერს, ეს საქმე საიდუმლოებით იყო მოცული, ვიდრე თებერვლის რევოლუციის შემდეგ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ არ შეაგროვა ისეთი ფაქტები, რომლებმაც ამხილეს, რომ ეს პროცესი წარმოადგენდა მეფის მთავრობის მიერ მოწყობილ თავხედურ ინსცენირებას, და ვიდრე არ ალაპარაკდნენ თვით პროვოკატორები ბროდსკი და შორნიკოვა, რომელთა მოქმედება ნაკარნახევი იყო გენერალ გერასიმოვის მიერ და შეთანხმებული სტოლიპინთან.[1]

§ 3. ტერორისტების საქმეები

ლ. ანდრონიკაშვილის საადვოკატო პრაქტიკაში გვხვდება აგრეთვე ტერორისტების საქმეები. ცნობილია ბოლშევიკური პარტიის უარყოფითი დამოკიდებულება ინდივიდუალური ტერორისადმი როგორც თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ძირითადი საშუალებისადმი. წერილში „რით დავიწყოთ“, რომელიც 1901 წლის მაისში „ისკრის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნდა, ლენინი წერდა: „... ბრძოლის ასეთი საშუალება არადროული და მიზანშეუწონელია, იგი ყველაზე უფრო აქტიურ მებრძოლთ ჩამოაშორებს ნამდვილ, მთელი მოძრაობისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვან ამოცანას და დეზორგანიზაციას შეიტანს არა მთავრობის, არამედ რევოლუციურ ძალებში“.[2]

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ პოლიტიკურ დამცველს ხელი უნდა აეღო პასუხისგებაში მიცემული ტერორისტის დაცვაზე.

ტერორისტული აქტების შესრულებას ჩვეულებრივად ანდობდნენ ახალგაზრდა რევოლუციონერებს — იშვიათად მუ-

---

[1] И. Мошинский (Конарский), Политическая защита в дореволюционных судах, «Девятый вал», М., 1927, стр. 56-57.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 8.

შებს, უფრო ხშირად კი — მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შემუშავებული განსაზღვრული პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ეს ახალგაზრდები სიხარულით სწირავდნენ საკუთარ სიცოცხლეს, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ამით ასუსტებდნენ და ძირს უთხრიდნენ თვითმპყრობელობას. პოლიტიკურ ადვოკატთა მოვალეობა იყო თავის თავზე აეღოთ ამ გულწრფელი რევოლუციონერების დაცვა და ეზრუნათ მათი სიცოცხლის გადასარჩენად. უნდა ითქვას, რომ ეს ზრუნვა ხშირად თავის მიზანს ვერ აღწევდა. ტერორისტების პროცესები უმეტეს შემთხვევაში ტრაგიკულად თავდებოდა.

ქვემოთ ჩვენ შევეხებით მხოლოდ რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის პროცესს, რომელშიც ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა.

სევასტოპოლის ციხის კომენდანტის გენერალ-ლეიტენანტ ნეპლიუევის მკვლელობის მცდელობა.[1] 1906 წლის 14 მაისს ქ. სევასტოპოლში ჯარის აღლუმის დროს, 16 წლის მუშამ ნიკოლოზ მაკაროვმა ყუმბარა ესროლა სევასტოპოლის ციხის კომენდანტს გენერალ-ლეიტენანტ ნეპლიუევს. ყუმბარა არ გასკდა. მაკაროვი იქვე დააკავეს. აღლუმის საყურებლად გამოსულ უამრავ ხალხში იდგა მაკაროვთან ერთად მოსული მისი ამხანაგი მატროსი ფროლოვი[2], რომელსაც ჯიბეში მეორე ყუმბარა ედო. ფროლოვი გაიქცა მაკაროვის მისაშველებლად, მაგრამ ხალხში გზის გაკაფვის დროს ყუმბარა აუფეთქდა, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია: დაიღუპა ექვსი, მათ შორის თვითონ ფროლოვიც,

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—43.

[2] მატროსი ფროლოვი შავი ზღვის ფლოტის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე იყო, მაგრამ 18 სხვა მატროსთან ერთად გაიქცა მცურავი საპყრობილიდან. მისი გაქცევა აღწერილი აქვს მატროს ნ. ნიკოლაევს თავის ზემოხსენებულ მოგონებებში: იხ. «Революционное движение в Черноморском, флоте в 1905 г», М., 1925, стр. 123-124. ფროლოვი მონაწილეობას იღებდა ნეპლიუევზე თავდასხმაში, რადგან მას მთავარ ფიგურად თვლიდა მათ შორის, ვინც შავი ზღვის ფლოტის აჯანყებულ მატროსებს სასტიკად გაუსწორდა.

და დაიჭრა 37 კაცი. მაკაროვთან ერთად იმ დღეს დააპატიმრეს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის სამი წევრი — სავინკოვი, დვოინიკოვი და ნაზაროვი, რომლებსაც ნეპლიუევის მკვლელობის მცდელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ და მაკაროვსა და ფროლოვს არც იცნობდნენ. სევასტოპოლში ეს პირები სულ სხვა მიზნით იყვნენ არალეგალურად ჩამოსულნი ფინეთიდან, სახელდობრ იმისათვის, რომ მოემზადებინათ ტერორისტული აქტი სევასტოპოლის აჯანყების მონაწილეთა მთავარი ჯალათის — შავი ზღვის ფლოტის სარდლის ადმირალ ჩუხნინის წინააღმდეგ.

როგორც ანდრონიკაშვილი იგონებდა, იგი სენატში იყო, როდესაც სასწრაფოდ აცნობეს, რომ დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო სევასტოპოლში ნეპლიუევის მკვლელობის მცდელობის პროცესში მონაწილეობის მისაღებად. მხოლოდ დარეკვა მოასწრო შინ, რომ ცოლს აუცილებელი ნივთები სადგურზე გამოეტანა და, ფრაკში გამოწყობილი, სენატიდან პირდაპირ სადგურს მიაშურა.

სასამართლომდე ხუთი დღე იყო დარჩენილი, როცა ლუარსაბი სევასტოპოლში ჩავიდა. ერთ-ერთი ბრალდებულის დედა ასე აგვიწერს ამ ამბავს: „ამაღე დღეს ჩამოვიდნენ ჩვენი ადვოკატები. ჩემთან ერთად ჩამოსული ა. ყდანოვის გარდა ჩამოვიდნენ ლ. ნ. ანდრონიკოვი და ნ. ი. ფალეევი პეტერბურგიდან და პ. ნ. მალიანტოვიჩი მოსკოვიდან. ჩამოსვლისთანავე დაცვამ მოქმედება დაიწყო. სწრაფად გაინაწილეს როლები და ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას. დაცვა განსაკუთრებით კარგად შერჩეული აღმოჩნდა... ერთი მეორეს ავსებდა და მე სიტყვები არ მყოფნიდა, რომ ჩემი მოკრძალებული მადლობა მომესსენებინა. ისინი მარტო დამცველები როდი იყვნენ. ისინი იყვნენ ნამდვილად კარგი ადამიანები. როგორც კი გაიგეს, რომ ჩემი შვილი შემთხვევითაა დაპატიმრებული და აფეთქებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მისი საქმე გულთან ახლოს მიიტანეს როგორც საკუთარი და ამ ხნის განმავლობაში მთელი დრო, ყველა მისწრაფება, შრომა, მთელი ხელოვნება მცოდნე იურისტებისა და მთელი ძალა თავიანთი ტალანტისა ამ საქმეს მოანდომეს. არაფერი არ დავიწყებიათ, არც ერთი დეტალი მხედველობიდან არ გამორჩენიათ, ყველაფერი გაკეთ-

და, რაც კი შეიძლება მიღწეული იქნეს ცოდნით, ნებისყოფით და ენერგიით. მე თავს ვგრძნობდი მეგობრებს შორის და ეს შეტად ამსუბუქებდა ჩემს მდგომარეობას".[1]

ჩასვლისთანავე ანდრონიკაშვილი ეცნობა საქმეს და რწმუნდება, რომ გამოძიება ყალბ საბუთებზეა აგებული. პროკურატურას სურს დაამტკიცოს, რომ სავინკოვი, ნაზაროვი და დვორნიკოვი მაკაროვთან ერთად მოქმედებდნენ, და ამიტომ თხზავს ყალბ საბუთებს. საქმეში გამოდის ცრუ მოწმე, რომელიც ამტკიცებს, ვითომ მან თავისი თვალით ნახა, რომ მაკაროვი და სავინკოვი მოსკოვში ფილიპოვის საშაქარლამოში ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ლუარსაბმა მაკაროვთან შეხვედრისას შეიტყო, რომ ორი დღის წინათ მასთან მისულა ვიღაც კაცი, რომელსაც თავისი თავი მის დამცველად — ანდრონიკოვად გაუსაღებია და დაჟინებით ურჩევია მისთვის: — ახლავე გამოტყდი, რომ ნეპლიუევის მოსაკლავად სავინკოვმა წაგაქეზა, თუ გინდა სახრჩობელა აგცდესო.[2] მაკაროვს უარი უთქვამს.

წინასწარი გამოძიება ელვის სისწრაფით დამთავრდა. საქმის განხილვა 26 მაისს იყო დანიშნული. ნეპლიუევზე თავდასხმამ დიდი მღელვარება გამოიწვია მთავრობასა და სამხედრო წრეებში. მოსახლეობა შეძრწუნებული იყო უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლით. განსასჯელების მდგომარეობა, განსაკუთრებით ესერების პარტიის საბრძოლო რაზმეულის მეთაურისა— სავინკოვისა, სრულიად უიმედოა. ადვოკატთა ძირითადი საზ-

---

[1] იხ. ჟურნალი «Былое», 1907, № 1/13, გვ. 263-264.

[2] მტკიცებულებათა მოპოვების ასეთი პროვოკაციული მეთოდი ჩვეულებრივი ამბავი იყო მეფის პოლიციისათვის. ნ. პოლიანსკის მოყავს ანალოგიური შემთხვევა: ვარშავის საპყრობილეში იჯდა რევოლუციონერი ქალი სოფიო ოჭარეკი, რომელიც ეეჭვმიტანილი იყო, რომ მონაწილეობა მიიღო გენერალ-გუბერნატორ სკალონის მკვლელობის მცდელობაში. ოჭარეკმა თავის დამცველად ნაფიცი ვექილი პატეკი აირჩია. ერთ დღეს მასთან საკანში მივიდა ოხრანკის თანამშრომელი, გამოწყობილი ფრაკში, საუნივერსიტეტო ნიშნით მკერდზე, გაეცნო როგორც პატეკის თანაშემწე, უთხრა, რომ პატეკი ავად გახდა და თავის მაგივრად იგი გამოეგზავნა. ოჭარეკმა დაუჯერა პროვოკატორს და გულწრფელად აუწერა გენერალ-გუბერნატორის მკვლელობის მცდელობა. ასე გაიხსნა მთელი საქმე (იხ. Н. Н. Полянский, Царские военные суды в борьбе с революцией 1905—1907 гг., М., 1958, стр. 152).

რუნავი ამიტომ საქმის გადადებაა. მათ სურთ ეს მღელვარება ცოტაოდნად მაინც დაცხრეს და საქმის განხილვა უფრო მშვიდ ვითარებაში მოხდეს.

ამ პროცესის ერთ-ერთ მიმომხილველს მშვენივრად აქვს აღწერილი სასამართლოს პირველი სხდომა.

„დადგა ოცდახუთი რიცხვი. ადვოკატები მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ. ყველას ესმოდა, რომ გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გადაიდება... მხოლოდ ამან შეიძლება იხსნას განსასჯელთა სიცოცხლე... და ადვოკატებმა მრავალი საკასაციო საბაბი მოამზადეს“[1].

ადგილიდან პირველი წამოდგა სამხედრო კანონების საუკეთესო მცოდნე, მეტად გამოცდილი ვექილი ფალეევი და მოიყვანა საქმის გადადების საბაბი. სასამართლომ ეს საბაბი მხედველობაში არ მიიღო. „მაგრამ აი, ადგა თავისი ადგილიდან ლ. ნ. ანდრონიკოვი, მეტად მშვიდად, მაგრამ დიდის დაბეჯითებით მიუთითა სასამართლოს მიერ კანონის უხეშ დარღვევაზე, რაც იმაში გამოიხატა, რომ მაკაროვს უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა ორი კვირის განმავლობაში სასამართლო პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც იგი ცნობილი იყო შერაცხვის უნარის მქონედ, ამავე დროს კი ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მხოლოდ ოთხი დღეა გასული, რითაც აშკარად დარღვეულია განსასჯელის უფლება[2]...

მე შევხედე ამ მომენტში პროკურორს და მისი სახის გამომეტყველებით მივხვდი, რაოდენ მოულოდნელი და მნიშვნელოვანი იყო მისთვის ლ. ნ. ანდრონიკოვის განცხადება. იგი არ მოელოდა ასეთ თავდასხმას და მზად არ იყო პასუხისათვის“[3]...

---

[1] ჟურნალი «Былое», 1907, № 1/13, გვ. 265.

[2] რადგან მაკაროვი არასრულწლოვანი იყო, სასამართლოს, იმდროინდელი კანონის მიხედვით, უნდა დაედგინა, ჰქონდა თუ არა მას შეგნებულად მოქმედების უნარი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლებოდა იგი შერაცხადად. ოდესის სასამართლო პალატამ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა. ბრალდებულს უფლება ჰქონდა ეს გადაწყვეტილება ორი კვირის განმავლობაში გაესაჩივრებინა. სამხედრო-საოლქო სასამართლომ კი ამ ვადას არ დაუცადა და საქმე განსახილველად დანიშნა ოდესის სასამართლო პალატის გადაწყვეტილების გამოტანიდან 4 დღის შემდეგ.

[3] ჟურნალი «Былое», 1907, № 1/13, გვ. 268.

თითქმის ერთსაათიანი თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოაცხადა, რომ საქმე გადადებულია. „დამცველები ზეიმობდნენ, — განაგრძობს მიმომხილველი, — და ეს გასაგებია: ეს იყო მანამდე გაუგონარი შემთხვევა: საქმის გადადება სამხედრო სასამართლოს მიერ. ჩვენ ერთმანეთს ხელს ვართმევდით, ვულოცავდით“.[1]

ამ ეპიზოდს აღწერს თავის გამოკვლევაში სამხედრო სასამართლოების შესახებ ნ. პოლიანსკი. ივი აღნიშნავს: „დაცვა პოლიტიკურ პროცესში წარმოადგენდა ბრძოლას არა მარტო ბრალმდებელთან, არამედ სასამართლოსთანაც, ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდნენ სამხედრო სტრატეგიის ყველა წესებით, თანაც მხედველობაში იღებდნენ არა მარტო მოწინააღმდეგის შეიარაღებას ფაქტიური მონაცემებისა და იურიდიული საბუთების სახით, არამედ მის პირად შემადგენლობასაც, იმ მომენტის პოლიტიკური ატმოსფეროს მდგომარეობასაც კი, ე. ი. იმას, თუ რამდენად ხელსაყრელი ან, პირიქით, საზიანოა ეს მომენტი საქმის განხილვისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში ყოველგვარ ღონისძიებას და იურიდიული ტექნიკის ყველა ხერხს ხმარობდნენ საქმის გადასადებად“[2].

მაკაროვის საქმე განიხილეს 1906 წლის ოქტომბერში. მაკაროვთან ერთად საბრალდებო სკამზე ისხდნენ ივ. დვოინიკოვი, თევდორე ნაზაროვი და უფრო გვიან დაპატიმრებული ალექსანდრე კალაშნიკოვი[3]. დაცვის პოზიცია მდგომარეობდა შემდეგში: დვოინიკოვი და სხვები მაკაროვის ჯგუფთან დაკავშირებულნი არ იყვნენ. ამ პირებს მაკაროვის დანაშაული მოახვია ბრალდებამ, რომელმაც ხელოვნურად შექმნა ყალბი მტკიცებულებანი. ანდრონიკაშვილი გაბედულად ამხილებს ჟანდარმერიის მიერ მოყვანილ ცრუ მოწმეთა ჩვენების სიყალბეს, ამტკიცებს, რომ მაკაროვი ფილიპოვის საშაქარლამოში და საერთოდ მოსკოვში არასდროს არ ყოფილა და ენერგიულად მოუწოდებს მოსამართლეებს არ დაემყარონ პროვოკატორთა ჩვენებებს. „ბ-ნო მოსამართლენო! — მიმართავს იგი მათ, — ჩვენ

---

[1] ჟურნალი «Былое», 1907, №1/13, გვ. 269.

[2] ნ. ნ. პოლიანსკი, დასახ. შრომა, გვ. 229.

[3] სამივე ესერთა ტერორისტული ორგანიზაციის წევრი იყო.

ყველანი დამნაშავენი ვიქნებით, თუ არ ვაღიარებთ, რომ მაკაროვს არავითარი წინასწარი შეთანხმება ამ პირებთან არ ჰქონდა. ბატონებო! დაე, ჩვენს წინაშე საფლავი იყოს გათხრილი. ჩვენ სიკვდილისა არ გვეშინია. მხოლოდ იმას ვშიშობთ, რომ ამ სამარეში უდანაშაულო ადამიანებიც არ ჩავაყოლოთ, გემუდარებით, ნუ დაუჯერებთ ამ საზიზღარ პროვოკატორებს, ღვიცავით მათგან".[1]

ასეთი იყო ანდრონიკაშვილის პოზიცია ამ საქმეში ნამდვილად ჩაურეველი პირების მიმართ. რაც შეეხება დაცვის პოზიციას მაკაროვის მიმართ, იგი ძირითადად იმაში მდგომარეობდა, რომ მაკაროვს შეიძლება შეერაცხოს მხოლოდ ნეპლიუევის მკვლელობის მცდელობა და არა უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობა. ამისათვის ანდრონიკაშვილი საქმეში არსებული მტკიცებულებების მეტად ოსტატური ანალიზის მეშვეობით სასამართლოს აღუდგენს ტერორისტული აქტის ნამდვილ სურათს: მაკაროვი ხალხიდან გამოვარდა და ნეპლიუევს ახლო მანძილიდან ესროლა ყუმბარა ისეთ მომენტში, როდესაც ნეპლიუევი მარტო იყო მოედანზე და როდესაც, მაკაროვის გაანგარიშებით, შეიძლებოდა დაღუპულიყვნენ მხოლოდ ნეპლიუევი და თვითონ მაკაროვი. ფროლოვი, მართალია, მაკაროვთან ერთად მივიდა მოედანზე, მაგრამ მას ყუმბარა არ უსვრია. ყუმბარა აფეთქდა მის ჯიბეში. ამ აფეთქების მიზეზი გახდა ხალხის სიმჭიდროვე, რომელშიც მოუხდა ფროლოვს გზის გაკაფვა, როცა მაკაროვთან მისვლას ცდილობდა.

მტკიცებულებათა ანალიზის შემდეგ, ანდრონიკაშვილი გადადის იმ თეზისის დასაბუთებაზე, რომ, თუ უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვა მაკაროვისათვის უბედური შემთხვევა იყო, მან არ შეიძლება პასუხი აგოს მისთვის, ვინაიდან მისი ბრალი ამ შედეგზე არ ვრცელდებოდა. „რა საზარელიც არ უნდა იყოს ამ უხეში უბედური შემთხვევის შედეგები, თქვენ უფლება არა გაქვთ, ბ-ნო მოსამართლენო, მხოლოდ ვნებათა ღელვას აჰყვეთ, არამედ ვალდებული ხართ მშვიდად გაერკვეთ საქმის ვითარებაში და არ დაუშვათ კიდევ ერთი უდანა-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—43.

შაულო ადამიანის დაღუპვა. მაკაროვმა არ შეიძლება პასუხი აგოს იმისათვის, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის".[1]

მაკაროვის ქმედობის კვალიფიკაციას ლ. ანდრონიკაშვილს სიტყვაში მოჰყვა მაკაროვის პიროვნების დახასიათება. მან სასამართლოს გადაუშალა მაკაროვის პიროვნების ჩამოყალიბების ხელშემწყობი ისეთი მომენტები, რომლებიც ახასიათებდნენ არა მარტო ამ ერთ ინდივიდუუმს — კერძოდ მაკაროვს, არამედ საერთოდ მუშის ბედს, და ამით მაკაროვის პრიზმაში გარდატეხა ის სოციალური პირობები, რომლებიც უცილებლად იწვევდნენ რევოლუციურ სულისკვეთებას და ამის შედეგად— აჯანყებებს, მანიფესტაციებს, რევოლუციურ პროტესტებს და სხვ. აი, ერთი ფრაგმენტი მაკაროვის შესახებ წარმოთქმული სიტყვიდან:

„ბ-ნო მოსამართლენო! თქვენს წინაშე მრავალმა მოწმემ გაიარა და მათგან გაიგეთ, თუ ვინ არის მაკაროვი.

მისი ოჯახი მეტად ღარიბია, მთელი სიცოცხლე მან გაჭირვებაში გაატარა. ჯერ კიდევ ცხრა წლისაც არ იყო, ნავსადგურში რომ დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ თავის მცირე შემოსავალს დედას აძლევს და ოჯახის ერთ-ერთი მარჩენალია. მაგრამ დამქანცველმა მრავალსაათიანმა სამუშაომ ვერ ჩაკლა მისი სასიცოცხლო ძალები. თუმცა სკოლა თვალით არ უნახავს, მაგრამ როგორც კი თავისუფალ დროს იშოვნის, მაშინვე კითხულობს. კითხვა თითონ ისწავლა. მე ვნახე მის ხელში სერიოზული ბელეტრისტული ნაწარმოები".

დაახასიათა რა მაკაროვის მგრძნობიარე ბუნება, ანდრონიკაშვილი განაგრძობს:

„უკანასკნელი წლების ისტორია ჩვენში — ეს არის ისტორია ხალხის მოძრაობისა, რომლის ფართო ტალღამ მაკაროვიც ჩაითრია. ამიერიდან იგი ამ ტალღას მოჰყვება. ძალადობა, — შიშველი, უხეში, უკიდურესობამდე მისული — აი, რას ხედავდა იგი და რამ განსაზღვრა მისი ადგილი ამ მიმდინარეობაში. მაკაროვი იმის მოწმეა, თუ როგორ გაუსწორდნენ 400 მატროსს ნოემბრის თვეში. ყოველივე ამან აიძულა იგი მიმხრობოდა იმათ, ვინც ადამიანის გათელილ ღირსებას და სიცოცხლეს

---

[1] ლ. ანდრონიკაშილის ფონდი, II—43.

იცავს". ასეთი ხერხით ლუარსაბ ანდრონიკაშვილი უჩვენებდა, რომ რევოლუციური მოძრაობა აუცილებელი შედეგი იყო იმ სოციალური და პოლიტიკური პირობებისა, რომლებიც თვითმპყრობელობამ წარმოშვა. ამით, რა თქმა უნდა, პოლიტიკური დაცვა იმ მიზანს აღწევდა, რომ დაცვის ტრიბუნა თვითმპყრობელობასთან ბრძოლის იარაღად გამოეყენებინა. ეს მეთოდი ყველა პოლიტიკურ პროცესში გვხვდება, მას ხშირად მიმართავს როგორც ანდრონიკაშვილი, ისე სხვა მემარცხენე დამცველები.

მაკაროვის პროცესში ანდრონიკაშვილმა და სხვა დამცველებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. არც ერთი სიკვდილის განაჩენი არ გამოუტანიათ. მაკაროვს 12 წლის კატორღა მიუსაჯეს. რამდენიმე თვის შემდეგ მაკაროვი გაიქცა საპყრობილიდან, პეტერბურგში ჩავიდა და თავის ყოფილ დამცველს ანდრონიკაშვილს შეაფარა თავი. ანდრონიკაშვილი იგონებდა, რომ მან იგი ფინეთში გააპარა, სადაც ერთხანს მაკაროვი ანდრონიკაშვილის მეგობრებთან — მოხუცებულ ცოლ-ქმართან იმალებოდა. „როგორც შემდეგ გავიგე, — იხსენებდა ლ. ანდრონიკაშვილი, — გაბედული რევოლუციონერი, რომელმაც პეტერბურგის საპყრობილის უფროსი ივანოვი მოკლა და იმავე დღეს ჩამოახრჩვეს, სწორედ მაკაროვი იყო".[1]

სახელმწიფო საბჭოს წევრის გენერალ-ადიუტანტ გრაფ ალექსი იგნატიევის მკვლელობის საქმე[2]. იმის შესანიშნავ ნიმუშს, თუ რა თავდადებითა და ენერგიით იბრძოდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი რევოლუციონერთა სიცოცხლისათვის, როგორ ააშკარავებდა იგი მეფის მინისტრთა მლიქვნელურ და უკანონო საქმიანობას, როგორ ცდილობდა მიეწვდინა ფართო საზოგადოებისათვის მართალი სიტყვა თვითმპყრობელური სახელმწიფოს იუსტიციის შესახებ, წარმოადგენს ლ. ანდრონიკაშვილის გამოსვლა ილინსკის საქმეზე.

1906 წლის 9 დეკემბერს მოსკოვის რეალური სასწავლებ-

---

[1] ივანოვი მოკლეს 1907 წლის 13 აგვისტოს, ხოლო მისი მკვლელი ჩამოახრჩვეს 15 აგვისტოს ღამით (იხ. «Право», 1907 წ. № 33, სვ. 2279).

[2] იხ. ლ. ანდრონიშაკვილის ფონდი II—44.

ლის მოსწავლემ, სერგეი ნიკოლოზის ძე ილინსკიმ მოკლა სახელმწიფო საბჭოს წევრი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ალექსი იგნატიევი.[1] გრაფი იგნატიევი იმ „საიდუმლო ხელისუფლების" ერთ-ერთ გავლენიან წევრად ითვლებოდა, რომელმაც 1905-1906 წწ. სისხლით მორწყო მთელი რუსეთი. შავრაზმული დარბევების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, მას ხალხში რევოლუციური მოძრაობის ჯალათის სახელი ჰქონდა დამსახურებული.

მკვლელობა ასე მოხდა: ტვერის კეთილშობილთა საკრებულოს შენობაში საგუბერნიო საკრებულოს სხდომაზე ჩამოსული იყო ტვერის თავადაზნაურთა წინამძღოლი გრაფი იგნატიევი. საკრებულოს სხდომის შეწყვეტის დროს ა. იგნატიევი ბუფეტში შევიდა და საუბრობდა. სერგი ილინსკი მოულოდნელად შევარდა ბუფეტში და იგნატიევს ოთხჯერ ესროლა რევოლვერი. იგნატიევი იქვე გარდაიცვალა. შემდეგ ილინსკი გაიქცა საბილიარდოსაკენ, იქ თვით დაიხალა გულში ტყვია, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. ილინსკისთან ერთად საბრალდებო სკამზე ისხდნენ ილინსკის ბიძაშვილი, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ალექსანდრე ციავლოვსკი[2] და მოსკოვის რეალური სასწავლებლის მოსწავლე თედორე სერებრენიკოვი. ამ უკანასკნელთ ბრალად ედებოდათ მხოლოდ ის, რომ იყვნენ წევრები საზოგადოებისა, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული წყობილების დამხობას.

მიუხედავად იმისა, რომ 1906 წლის დეკემბერში ტვერი სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანილი არ იყო, შინაგან საქ-

---

[1] დიდი საბჭოთა ენციკლოპედია ასე ახასიათებს ალექსი პავლეს ძე იგნატიევს: „დაამთავრა პაჟთა კორპუსი (1859) და გენშტაბის აკადემია (1862). 1885-89 ირკუტსკის, 1889-96 კიევის, პოდოლსკის და ეოლინსკის გენერალ-გუბერნატორი, 1896 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1905 წ. წესრიგის დაცვისა და სარწმუნოების საკითხების თაობაზე შექმნილი განსაკუთრებული საბჭოების თავმჯდომარე. გამოდიოდა სახ. სათათბიროს მოწვევის წინააღმდეგ, მომხრე იყო პოლიციური რეპრესიების გაძლიერებისა. იგნატიევის გარშემო შემოკრებილი იყვნენ თავადაზნაურობის ყველაზე უფრო რეაქციული ელემენტები. მოკლა ესერმა ილინსკიმ". («БСЭ», изд. 3-е, т. II.).

[2] ალექსანდრე ციავლოვსკი ღვიძლი ბმა იყო ცნობილი საბჭოთა ლიტერატურისმცოდნის მსტისლავ ციავლოვსკისა.

შეთა მინისტრმა, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, განკარგულება გასცა საქმე გაერჩიათ სამხედრო დროის კანონებით, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განაჩენი უსასტიკესი იქნებოდა. მინისტრების განკარგულება გაასაჩივრა სენატის პირველ დეპარტამენტში ბრალდებულთა დამცველმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა. სენატმა ანდრონიკაშვილის საჩივარი განუხილველად დატოვა. სენატის ამ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, სხვათა შორის, გამოვიდა გაზ. «Право», მის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია წერილი, რომელშიც სენატის პასუხს ლ. ანდრონიკაშვილის მეტად დასაბუთებულ საჩივარზე, მართლმსაჯულების „აბუჩად აგდებას“ უწოდებენ.[1]

საქმე განიხილა დროებითმა სამხედრო სასამართლომ ქ. ტვერში 1907 წლის 9 აპრილს. ილინსკის იცავდა ლ. ანდრონიკაშვილი. ეს პროცესი დაწვრილებით არის აღწერილი გაზეთ «Право»-ში“.[2] ილინსკის წაყენებული ჰქონდა სისხლის სჯულდების მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა თანამდებობის პირის მკვლელობას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან შესრულებასთან დაკავშირებით, რისთვისაც ჩამოხრჩობა იყო გათვალისწინებული. დაცვის პოზიცია ამ საქმეში შემდეგი იყო: გრაფი იგნატიევი არ მოუკლავთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არამედ იგი მოკლეს იმ მომენტში, როდესაც სათავადაზნაურო საკრებულოს ბუფეტში იჯდა და კერძო პირს ესაუბრებოდა. იგი არ მოუკლავთ არც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ანდრონიკაშვილი უმტკიცებდა სასამართლოს, რომ, თუ სასამართლო საწინააღმდეგოს დაუშვებს, ე. ი. აღიარებს, რომ გრაფი იგნატიევი მოკლეს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, მაშინ სასამართლომ ისიც უნდა აღიაროს, რომ შავრაზმელთა ტერორისტული აქტები, მოსახლეობის რბევა, მოქალაქეთა მასობრივი ჟლეტა და ხალხის ავლა-დიდების დატაცება, რის გამოც გრაფ იგნატიევს რევოლუციონერებმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა, მაშასადამე, მეფის ხე-

---

[1] იხ. «Право», 1907 წლის 15 აპრილი, № 15, სვ. 1123—1127.

[2] იხ. «Право», 1907 წლის 24 ივნისი, № 25, სვ. 1813—1820.

ლისუფლების ძიერ ჰქოხდა დაკისრებული. ასეთი დებულების აშკარად აღიარება მეფის სასამართლომ ვერ გაბედა. ამიტომ კითხვაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მოკლეს თუ არა გრაფი იგნატიევი, სასამართლო იძულებული გახდა ეპასუხნა: „არა, გრაფი იგნატიევი არ მოუკლავთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ იმის გამო, რომ, რევოლუციონერთა აზრით, გრაფის შეხედულებანი და მისი ზეგავლენა საზოგადოებაზე მათთვის საზიანო იყო". ასეთი აღიარება იმას ნიშნავდა, რომ ილინსკის სახრჩობელა ასცდა. მას მიუსაჯეს საკატორღო სამუშაოები 17 წლით და 6 თვით, მაგრამ რადგანაც ილინსკი სრულწლოვანი არ იყო, შეუმცირეს ერთი მესამედით და დაუტოვეს საკატორღო სამუშაოები 11 წლით და რვა თვით.

ალექსანდრეს საკატორღო ციხეში კატორღელთა აჯანყების საქმე.

ილინსკის სახელთან დაკავშირებულია მეორე, აგრეთვე მეტად გახმაურებული პროცესი, და ამ შემთხვევაშიც მის დამცველად ლუარსაბ ანდრონიკაშვილი გამოდის. ეს არის ქ. ირკუტსკის საკატორღო საპყრობილიდან კატორღელთა გაქცევის მცდელობის საქმე. საქმის გარემოება შემდეგში მდგომარეობდა: ალექსანდროვის საკატორღო საპყრობილეში 1907 წლიდან ძალიან გაუარესდა პატიმართა მდგომარეობა, რომელიც მანამდეც აუტანელი იყო. განსაკუთრებით ავიწროებდა და აწამებდა მათ უფროსი ზედამხედველი ტოკარევი. 10 ნოემბერს, როდესაც 50 კატორღელი საპყრობილის ეზოში გამოიყვანეს, ტოკარევმა ისევ რაღაც უმსგავსობა ჩაიდინა. მოთმინებიდან გამოსული კატორღელები ეცნენ მას და ცემა დაუწყეს. შეშინებული ტოკარევი და სხვა ზედამხედველები გაიქცნენ და საპყრობილის კარი ღია დატოვეს. ამით ისარგებლეს პატიმრებმა და გარეთ გამოცვივდნენ. გუშაგის პირველსავე გასროლაზე ნაწილი უკან დაბრუნდა, დანარჩენები კი მალე შეიპყრეს და დააბრუნეს. ატეხილი სროლის შედეგად რამდენიმე პატიმარი მოკლეს და მრავალი დაჭრეს. მოკლული იყო აგრეთვე რამდენიმე ზედამხედველი. საქმის პირველად განხილვის დროს სასამართლომ რვა პატიმარს მიუსაჯა ჩამოხრჩობა, შვიდი კი გაამართლა. იმ რვა კაცში იგნატიევის მკვლე-

ლობისათვის მსჯავრდებული ილინსკიც იყო. პროკურორის პროტესტით საქმე დააბრუნეს ხელმეორედ განსახილველად. მეორე განხილვა დანიშნული იყო 1909 წლის 12 მარტს ირკუტსკის სამხედრო-საოლქო სასამართლოში.

როგორც ანდრონიკაშვილი იგონებდა, „საქმე უაღრესად რთული იყო. ყველა განსასჯელი უკვე მსჯავრდებული იყო დიდი პოლიტიკური დანაშაულისათვის. ხელისუფლებამ გადაწყვიტა გასწორებოდა მათ. მაგრამ პოლიტიკური დამცველის მოვალეობაა — არავითარ შემთხვევაში არ მიატოვოს განსასჯელი“. ამან აიძულა ლ. ანდრონიკაშვილი იმდროინდელი მოგზაურობის მეტად მძიმე პირობებში ჩასულიყო ირკუტსკში. საქმის შესწავლამ იგი დაარწმუნა, რომ გამოძიებამ ვერ შეძლო დაედგინა, თუ ვინ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები ციხის ზედამხედველებს და ამიტომ გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ როგორც გაქცევა, ისე ზედამხედველთა მკვლელობა მათი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მოხდა. და რადგან წინასწარი შეთანხმების დამამტკიცებელი საბუთი გამოძიებას არ ჰქონდა, მან მიმართა ჩვეულებრივ მეთოდს: საქმეში იყო, როგორც ჩანს, ზედამხედველის ხელით დაწერილი ყალბი საბუთი, ვითომდა ერთ-ერთი კატორღელის მიერ მეორისათვის მიწერილი ბარათი, სადაც ამ შეთანხმებაზე იყო ლაპარაკი. ანდრონიკაშვილის არქივში დაცული დაცვითი სიტყვის ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს გამოძიებისა და პროკურორის გამოსვლის შესანიშნავი ანალიზი და გაბედული მხილება. იგი აღსავსეა სარკაზმით და მოწმობს დიდ ბრძოლას ადამიანის სიცოცხლისათვის. მაგრამ ამაოდ. განსასჯელებს ისევ სიკვდილი მიუსაჯეს. გენერალ-გუბერნატორმა კასაცია არ მიიღო. ირკუტსკის ტელეგრაფმა უარი განაცხადა მიეღო ადვოკატისაგან დეპეშა, რომელშიც ადვოკატი თხოვდა მთავარ სამხედრო სასამართლოს შეეჩერებინა განაჩენის სისრულეში მოყვანა, რადგან იგი გამოტანილია ყალბი საბუთის საფუძველზე. მაშინ ანდრონიკაშვილმა იქირავა ეტლი, თოვლსა და ყინვაში გაეშურა 100 კილომეტრით დაშორებულ სადგურ ინოკენტიევკისაკენ და იქიდან გაგზავნა დეპეშა. განაჩენი შეაჩერეს. საბოლოოდ პატიმრებს სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით შეუცვალეს.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ. ერთ საღამოს (ეს იქნე-

ბოდა 1926 თუ 1927 წელი) ლ. ანდრონიკაშვილს ვესტუმრე. იქ დამხვდა ცნობილი პუშკინისტი ციავლოვსკი და მისი მეუღლე, ავრეთვე პუშკინისტი ტ. ციავლოვსკაია. იქ იყვნენ ტიციან ტაბიძე, მისი მეუღლე ნინო მაყაშვილი და ლუარსაბის ვაჟი ელეფთერი (ამჟამად ცნობილი ფიზიკოსი). გაიხსენეს ძველი ამბები და, რა თქმა უნდა, ციავლოვსკის ნათესავი ილინსკი. იმ დღეს შევიტყე ილინსკის ბედი. მას დიდხანს არ უცოცხლია. ეს შესანიშნავი რევოლუციონერი კატორღაშიც განაგრძობდა ბრძოლას მეფის რეჟიმთან. საპყრობილის პირობების მკვეთრად გაუარესების გამო, პოლიტიკურ პატიმრებს შიმშილი გამოუცხადებიათ. ყველაზე დიდხანს ილინსკის უშიმშილია და მომკვდარა კიდევაც. როგორც იმ დღეს გავიგე, ამან აიძულა ირკუტსკის ალექსანდროვის საკატორღო საპყრობილის ადმინისტრაცია ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა ციხის რეჟიმი. ილინსკის რომ იგონებდნენ, ციავლოვსკისაც და ანდრონიკაშვილსაც ცრემლებით სავსე ჰქონდათ თვალები.

პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ი ს გ ე ნ ე რ ა ლ ლ ა უ ნ ი ც ი ს მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ი ს ს ა ქ მ ე.[1] ლ. ანდრონიკაშვილის ბრძოლა პოლიტიკურ მოღვაწეთა სიცოცხლის გადასარჩენად ყოველთვის როდი თავდებოდა მისი გამარჯვებით. ხშირად ეს ბრძოლა სავსე იყო დრამატული ეპიზოდებით. მაგრამ ანდრონიკაშვილი ბოლომდე ერთგული იყო იმ პირებისა, ვისაც იცავდა, ამხნევებდა მათ სიკვდილის წინ, მზად იყო მათი უკანასკნელი სიტყვა მოესმინა და დანიშნულებისამებრ გადაეცა. მსჯავრდებულნიც ენდობოდნენ მას და სიკვდილის წინ გულს უხსნიდნენ როგორც ერთგულ მეგობარს. განსაკუთრებით ძლიერად აღიბეჭდა ლ. ანდრონიკაშვილის მეხსიერებაში შტიფტარის (ზიბელბერგერის) და სულატიცკის უკანასკნელი დღეები.

ამ პირებს ბრალად ედებოდათ პეტერბურგის ქალაქის მმართველის გენერალ ლაუნიცის მკვლელობა. როგორც ანდრონიკაშვილი აღნიშნავს, ლაუნიცი თვით შავრაზმელთა შორისაც ერთ-ერთი ყველაზე ბნელი ფიგურა იყო. იგი ამარაგებდა შავრაზმელთა ორგანიზაციებს იარაღით და ფეთქებადი

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—42.

ლ. ანდრონიკაშვილი (სტუდენტობის პერიოდი)

ლ. ანდრონიკაშვილის მეუღლე ე. ა. ანდრონიკოვა 1903 წ.

ლ. ანდრონიკაშვილი პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებთან სხედან: მარცხნიდან მარკვნივ: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ზურაბ ავალიშვილი და ივანე ჯავახიშვილი დგანან: ყარახიშვილი და ივანე ნიქარაძე

ნივთიერებით, აწყობდა ტერორისტულ აქტებს საზოგადოების დემოკრატიული ფენებისა და რევოლუციონერების წინააღმდეგ. ეს ის ლაუნიცია, რომლის დავალებითაც 1906 წლის ივლისში შავრაზმელებმა მოკლეს სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი გერცენშტეინი.

ლაუნიცი მოკლეს 1906 წლის 21 დეკემბერს. სახელმწიფო მრჩეველმა სინიაგინმა იგი, სხვა დიდკაცობასთან ერთად, მიიწვია ზეიმზე, რომელიც მოაწყო კანის სნეულებათა კლინიკისა და კარის ეკლესიის ახლად აგებული შენობების გახსნასთან დაკავშირებით. ამ ზეიმის დროს ვიღაც უცნობი ახალგაზრდა მიუახლოვდა ლაუნიცს და სამჯერ დაახალა ტყვია, შემდეგ კი თითონაც მოიკლა თავი. მკვლელის ვინაობა ვერ დაადგინეს. იმატრაზე მყოფი სასტუმროს შვეიცარმა და მსახურმა ქალმა 1907 წლის თებერვალში აცნობეს ოხრანკას, რომ დეკემბერში ორი ახალგაზრდა რამდენჯერმე შეხვდა სასტუმროში იმ პირს, ვინც ძალიან ჰგავს ლაუნიცის მკვლელს. ორივე დააპატიმრეს. ერთ-ერთი მათგანი თავს ასაღებდა კლასიკური ენების მასწავლებელ შტიფტარად, ხოლო მეორე — მოქალაქე გრონსკად. ორივეს ბრალდებოდა მონაწილეობა ლაუნიცის მკვლელობაში. არც ერთმა თავი დამნაშავედ არ ცნო და ორივემ უარი თქვეს ჩვენების მიცემაზე, თანაც განაცხადეს, რომ მათ ჯიბეში აღმოჩენილი საპასპორტო წიგნაკები სხვისია, მაგრამ თავიანთ ნამდვილ ვინაობას არ გაამხელენ. სინამდვილეში შტიფტარის გვარით იმალებოდა ესერთა ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი ლევ ივანეს ძე ზიბელბერგერი, ხოლო გრონსკის გვარით — სულატიცკი. გრონსკი, როგორც ანდრონიკაშვილი ამტკიცებს, ლაუნიცის მკვლელობაში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ სხვა იმდენი „ცოდვა“ ჰქონდა ჩადენილი, რომ არჩია თავისი ვინაობა არ გაემხილა. შტიფტარი და გრონსკი გაასამართლეს 1907 წლის ივლისში პეტრე-პავლეს საპყრობილეში, ორივეს სიკვდილი მიუსაჯეს და პეტრე-პავლეს საპყრობილის გალავანშივე ჩამოახრჩვეს.

ამ პროცესთან დაკავშირებით ლ. ანდრონიკაშვილი იგონებდა, რომ როდესაც მან დაცვის არგუმენტები ამოსწურა და დაცვითი სიტყვა უნდა დაემთავრებინა, უცბად საშინლად აღელდა, თავში გაუელვა: „განა ყველაფერი გავაკეთე ადამი-

ანთა სიცოცხლის გადასარჩენად? იქნებ გამომრჩა რამე და ეს შეცდომა საბედისწერო გახდეს განსასჯელებისათვის?“ და თავმჯდომარის შეკითხვაზე — „დაამთავრეთ, ბ-ნო ანდრონიკოვ?“ იგი უპასუხებს: „არა, ბ-ნო თავმჯდომარევ! ასე ადვილი არ არის სიტყვის დამთავრება, როცა იცი, რომ ამ სიტყვის გაგრძელება ახანგრძლივებს ადამიანის სიცოცხლეს, ხოლო მისი შეწყვიტა სიკვდილს გვიახლოვებს“. და მან მოიკრიფა მთელი თავისი ენერგია, მთელი ნიჭი და მჭევრმეტყველება და შეეცადა ახალი არგუმენტები მოეძებნა. მაგრამ ანდრონიკაშვილმა განსასჯელები სიკვდილს ვერ გადაარჩინა. ეს იყო მისი ერთ-ერთი უმძიმესი მოგონება.

სასამართლო პროცესის განმავლობაში იგი დაუახლოვდა ამ ადამიანებს და მათი არა მარტო დამცველი, არამედ მეგობარიც გახდა. ლ. ანდრონიკაშვილი იგონებდა, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში იგი იშვიათად შეხვედრია ასეთი მაღალი სულის ადამიანებს. განსაკუთრებული აღტაცებით იხსენებდა შტიფტარს, რომელიც, სიკვდილმისჯილი, თითონ ამხნევებდა მეგობრებს. მისი სიმშვიდე და მხნეობა გასაოცარი იყო. სიკვდილმისჯილი შტიფტარი რამდენიმე დღით ადრე ჩამოხრჩობამდე მუშაობდა რაღაც მათემატიკური ამოცანის ამოხსნაზე, რომელიც უნივერსიტეტისათვის გადაუგზავნია (შტიფტარი — ზიბელბერგერი თურმე მეტად ნიჭიერი მათემატიკოსი იყო). თავის მოგონებებში შტიფტარზე ანდრონიკაშვილი წერდა:

„უკანასკნელი შეხვედრა შტიფტართან. შტიფტარს უკვე სიკვდილი აქვს მისჯილი. მას არა სურს, რომ მისი გამოსათხოვარი წერილი ცოლთან ჟანდარმებმა წაიკითხონ და ამიტომ მთხოვს სიტყვიერად გადავცე ცოლს მისი უკანასკნელი ნება:— „უთხარით, რომ მადლობელი ვარ მისი, და მიყვარდა იგი ისევე ძლიერად, როგორც იდეა, როგორც სიცოცხლე, რომელსაც ვემშვიდობები. არა ვთხოვ ერთგულებას სიკვდილის შემდეგ. მე ჩემი სიცოცხლე იმას შევწირე, რომ მომავალში ამ ქვეყნად სიხარული ყოფილიყო. ვეევედრები, დააფასოს ეს მსხვერპლი და ისარგებლოს ამ სიხარულით“. ამ სიტყვების შემდეგ ანდრონიკაშვილის მოგონებას თითქოს რაღაც ჩრდილი გადაეფარა. „ან მას სხვა არაფერი უთქვამს, ან მეტი არაფერი გამი-

გონია. მას შემდეგ ხშირად როცა ამ მოგონებას ვუბრუნდებოდი, ვცდილობდი ბოლომდე გამეხსენებია: იქნებ რაიმე შევიდა სულში შეგნების გარეშე... მაგრამ ამაოდ... იქნებ ოდესმე გამახსენდეს... დასანანია, თუ ეს უკვე გვიან იქნება".[1]

ანდრონიკაშვილმა წინადადება მისცა შტიფტარს, რომ ეშაფოტზე გააცილებდა. ვინც იცის, თუ რა მგრძნობიარე ადამიანი იყო ლუარსაბი და რა მძიმე დღს დაასვამდა მის ფსიქიკას ასეთი „გაცილება", ის ადვილად შეძლებს შეაფასოს ლ. ანდრონიკაშვილის ეს თავგანწირულება. მაგრამ კეთილშობილმა შტიფტარმა ანდრონიკაშვილის მსხვერპლი არ მიიღო. გამოთხოვებისას შტიფტარმა ანდრონიკაშვილს თავისი ოქროს სათვალე აჩუქა. ანდრონიკაშვილი საჩუქარს რელიკვიასავით ინახავდა და მის დაკარგვას ტრაგიკულად განიცდიდა.

ნ ი კ ო ლ ო ზ მ ე ო რ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე.[2] 1907 წლის ერთ-ერთი სენსაციური პროცესი იყო ესერთა პარტიის წევრების ნიკიტენკოს, სინიავსკის, ნაუმოვისა და სხვათა პროცესი. მაისის თვეში რუსეთის გაზეთებში გამოქვეყნდა პეტერბურგის ოხრანკის ცნობა იმის თაობაზე, რომ დაპატიმრებულია პირთა დიდი ჯგუფი, რომელიც აპირებდა იმპერატორის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინის მოკვლას, რომ, როგორც ეს დადასტურებულია წინასწარი გამოძიებით, ამ ჯგუფის წევრები ცდილობდნენ ფარულად შეპარვას ნიკოლოზ მეორის რეზიდენციაში ცარსკოე სელოში, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან დროულად იქნენ მხილებული და შეპყრობილი.[3] იმავე თვის 7 რიცხვში სტოლიპინი, ვითომდა მეტად აღელვებული, გამოსულა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე და განუცხადებია, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრები ამზადებდნენ ტერორისტულ აქტს მეფის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის და მისი, სტოლიპინის, წინააღმდეგ. სტოლიპინის განცხადებით, დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი უნ-

---

[1] ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი. დ—11.

[2] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 11—50.

[3] იხ. ცნობა გაზეთ «Право»-ში, 1907 წლის 13 მაისი, № 19, სვ. 1388-1399.

და მოწყობილიყო სასახლის ეკლესიის კაპელაში მომღერლად და წირვის დროს უნდა ესროლა მეფისათვის.

ეს პროცესი ხელოვნურად შექმნილი იყო სტოლიპინის მიერ, რათა საბაბი ჰქონოდა გაეძევებინა სახელმწიფო სათათბიროდან ესერები, ისევე, როგორც ეს მან გააკეთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა მიმართ. ლ. ანდრონიკაშვილის აზრით, ეს იყო პროცესი, შექმნილი ხელისუფლების მიერ სათათბიროსთან ბრძოლის მიზნით. პროცესის ინსცენირება დავალებული ჰქონდა პეტერბურგის ოხრანკის უფროსს გენერალ გერასიმოვს და მეფის პირადი ოხრანკის უფროსს პოლკოვნიკ სპირიდოვიჩს.[1]

პასუხისგებაში მიცემული იყო 18 კაცი. საბრალდებო დასკვნით ბრალდებულები სამ კატეგორიად იყვნენ დაყოფილი. პირველ ჯგუფში შედიოდა ხუთი პირი, რომელთაც უფრო მძიმე ბრალდება ჰქონდათ წაყენებული: ბორის ნიკიტენკო, კიტ პურკინი (სამსჯავრო სხდომაზე მან განაცხადა, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარია ბორის სინიავსკი), ვლადიმერ ნაუმოვი, მარიამ პროკოფიევა და ანა პიგიტი. მათ ბრალად ედებოდათ, რომ შედიოდნენ ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო ორგანიზაციაში. ჯგუფს თავის განკარგულებაში ჰქონდა „იარაღის საწყობი და ფეთქებადი საშუალებანი“. იგი მიზნად ისახავდა იმპერატორის, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის და სტოლიპინის მკვლელობას. ამ მიზნის განსახორციელებლად შეგნებულად და შეთანხმებულად „წარმართავდნენ ორგანიზაციის სხვა წევრების საქმიანობას“,

---

[1] ყოფილი ნაფიცი ვექილი ი. მოშინსკიც (ლონარსკი) ამ პროცესის „დადგმას“ ოხრანკის საქმედ თვლის: „პეტერბურგის ოხრანკის განყოფილებას (გენერალ გერასიმოვს) და ნიკოლოზ მეორის კარის ოხრანკას (პოლკოვნიკ სპირიდოვიჩს) თავი უნდოდათ ესახელებინათ და დაემტკიცებინათ, რომ ოხრანკა, რომელზედაც ამდენი ფული იხარჯებოდა, ნამდვილად ამართლებდა თავის დანიშნულებას. მეფის კარის ოხრანკასა და პეტერბურგის ოხრანკის გაერთიანებული ძალებით მოეწყო შეთქმულების ეს ინსცენირება. დამნაშავენი შეიპყრეს. რადგან დანაშაულზე მათთვის არ აუსწრიათ, დაპატიმრებას საფუძვლად დაუდეს ლიტონი ეჭვი და პროვოკატორის ჩვენება“ (იხ. И. Мошинский (Конарский), Политическая защита в дореволюционных судах, «Девятый вал», М., 1927, стр. 67).

რომელთაც ავალებდნენ შეეგროვებინათ საჭირო ცნობები აღნიშნულ პირთა შესახებ, „მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება მათ ნებაზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოახერხეს, რადგან დაპატიმრებულ იქნენ 1907 წლის 31 მარტს". ეს დანაშაული, რომელსაც კანონით მეფის მკვლელობის მცდელობა ეწოდებოდა, 1903 წლის სჯულდების 101-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა. მეორე ჯგუფს, რომელიც ცხრა კაცისაგან შედგებოდა, ბრალდებოდა, რომ შედიოდნენ ფარულ ორგანიზაციაში, რომელსაც ზემოხსენებული მიზნები ჰქონდა დასახული (სჯულდების 102-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები). მესამე ჯგუფს, რომელშიც 4 კაცი შედიოდა, ბრალად ედებოდა, რომ, თუმცა თვითონ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში არ შედიოდნენ, მაგრამ დახმარებას უწევდნენ ორგანიზაციის წევრებს მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში (სჯულდების 51-ე და 102-ე მუხლები). ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელი — უვადო კატორღა — სასამართლოს შეეძლო მნიშვნელოვნად შეემსუბუქებინა, თუ ცნობდა, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციისათვის აღმოჩენილი დახმარება უმნიშვნელო იყო.

საქმე კარდახშულში განიხილა პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლომ 1907 წლის 11 აგვისტოს. მთავარ დამნაშავეს — ნიკიტენკოს[1] იცავდა ლ. ანდრონიკაშვილი. მასთან ერთად დამცველთა ჯგუფში შედიოდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის საუკეთესო ადვოკატები — ზარუდნი, სოკოლოვი, ანდრეევსკი, მურავიოვი, რაპოპორტი და სხვ.

ამ საქმისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ თავდაპირველად ყველა ბრალდებულს წაყენებული ჰქონდა ბრალდება მხოლოდ 102-ე მუხლით. შემდეგ კი ამას 5 ბრალდებულის მიმართ დაემატა 101-ე მუხლი (მეფის მკვლელობის მომზადება). ეს უკანასკნელი ბრალდება, რომელიც საბრალდებო აქტში უფრო გვიან შეიტანეს და რომლისთვისაც უფრო მძიმე სასჯელი იყო გათვალისწინებული (სიკვდილით დასჯა), ბრალ-

---

[1] ბორის ნიკიტენკო, შავი ზღვის ფლოტის ყოფილი ოფიცერი. სევასტოპოლის აჯანყების შემდეგ დატოვა ფლოტი და პროფესიული რევოლუციონერი გახდა.

დებულებმა პირველად სასამართლოს სხდომაზე გაიგეს. ამიტომ დამცველებმა სამსჯავრო სხდომის დაწყებისთანავე მოითხოვეს საქმის განხილვის გადადება, რათა ბრალდებულებს შესაძლებლობა ჰქონოდათ გაცნობოდნენ საქმეს. სასამართლომ საქმის გადადებაზე და მის ხელმეორედ გამოძიებაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ „სამხედრო დროის კანონების მიხედვით, ნებადართულია არა მარტო წინასწარი გამოძიების, არამედ აგრეთვე სამსჯავრო სხდომის დროსაც ახალი ბრალდების წაყენება; უფრო მეტიც, სასამართლოს შეუძლია შეუდგეს საქმის განხილვას მხოლოდ პოლიციის მოკვლევის მონაცემთა საფუძველზე, ყოველგვარი წინასწარი გამოძიების გარეშე".

საქმის მეორე თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ არც საბრალდებო აქტში და არც სასამართლო სხდომაზე არ იყო ზუსტად ნაჩვენები, თუ როგორ აპირებდნენ ბრალდებულები ტერორისტული აქტის განხორციელებას. დამცველებმა ადვილად შეძლეს გაებათილებინათ ვერსია ნაუმოვის შესახებ. გამოირკვა, რომ ნაუმოვი მეფის ეკლესიის მომღერალთა კაპელის წევრი არ იყო, უფრო მეტიც, მისი ხმა არავის გაუსინჯავს და ამის გარეშე როგორ დაისმებოდა საკითხი კაპელაში მისი მიღების შესახებ. მაშინ პროკურორმა შეცვალა პირვანდელი ვერსია. ახალი ვერსიის თანახმად ტერორისტული აქტი უნდა შეესრულებინა მარიამ პროკოფიევას[1], რომელსაც უნდა მოეხერხებინა მერძევეთა არტელში ჩაწერა, რძის ვედროთი უნდა შეეტანა ბომბი სასახლეში და ესროლა მეფისათვის. როცა ამ ვერსიის დასაბუთებაც არ მოხერხდა, მაშინ ბრალდება დაეყრდნო მესამე ვერსიას, რომელიც ოხრანკის ერთგული მსახურის, კაზაკ რატიმოვის ჩვენებაზე იყო აგებული. ამ ვერსიის თანახმად, პასუხისგებაში მიცემული ნაუმოვი გაეცნო მეფის ლეიბ-გვარდიის მცველთა რაზმის ერთ-ერთ წევრს — კაზაკ ნიკოლოზ რატიმოვს, დაუმეგობრდა მას და, ბოლოს, წინადადება მისცა მოეკლა ნიკოლოზ II. როცა კაზაკმა ამაზე უარი განაცხადა, მაშინ ნაუმოვმა დაუწყო მას გამოკითხვა, თუ რო-

[1] მარიამ პროკოფიევა იყო საკოლე ცნობილი ტერორისტის საზონოვისა, რომელმაც მოკლა მეფის მინისტრი და ჟანდარმთა შეფი პლევე.

გორ შეიძლება შესვლა სასახლეში, დაახატვინა სასახლისა და მასთან მისასვლელების გეგმა და ა. შ.. კაზაკი ვითომ დაეთანხმა ყველა ეს ცნობა მიეცა ნაუმოვისა და მისი ამხანაგებისათვის, რომლებიც მისი მეშვეობით გაიცნო, თითონ კი დაუყოვნებლივ აცნობა სასახლის ოხრანკის უფროსს პოლკოვნიკ სპირიდოვიჩს, რომელმაც მას ურჩია, თავი მოეჩვენებინა, თითქოს განმათავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძნობდა და ოხრანკისათვის რევოლუციონერთა საქმიანობის შესახებ ცნობები მიეწოდებინა.

სინამდვილეში, როგორც ლ. ანდრონიკაშვილი და სხვა დამცველები ამტკიცებდნენ, არც ნაუმოვს და არც რომელიმე სხვას არ მიუციათ კაზაკ რატიმოვისათვის მეფის მოკვლის წინადადება. პირიქით, სამსჯავრო სხდომამ ცხადყო, რომ რატიმოვმა ოხრანკის დავალებით თვით ჩამოუგდო ამ საკითხზე საუბარი ნაუმოვს.

წინასწარი გამოძიების დროს ნაუმოვმა დაადასტურა კაზაკ რატიმოვის ჩვენება, თანაც დასძინა, რომ მან ტექნოლოგიურ ინსტიტუტში გაიცნო შტიფტარი, რომელმაც თავისი მხრით გააცნო ნიკიტენკო, ხოლო ამ უკანასკნელმა, როდესაც გაიგო, რომ ნაუმოვი ხშირად დადის ხოლმე პეტერბურგში და ცარსკოე სელოში, წინადადება მისცა მოეკლა ნიკოლოზ მეორე. სასამართლოში ნაუმოვმა თავის ამ ჩვენებაზე უარი განაცხადა. მან უარყო ისიც, რომ იგი ესაუბრებოდა კაზაკ რატიმოვს მეფის მოკვლის თაობაზე და ისიც, რომ ამას შტიფტარის, ნიკიტენკოს და სინიავსკის დავალებით აკეთებდა. ნაუმოვმა განაცხადა, რომ მან ხელი დაადო ნიკიტენკოს და სინიავსკის გამომძიებლის დაქინებითი მოთხოვნით, რადგან ამ უკანასკნელმა აღუთქვა, რომ საპატიმროდან გაათავისუფლებდნენ, თუ იგი ასეთ ჩვენებას მისცემდა.[1] აღსანიშნავია, რომ ნაუმოვი ესერთა პარტიის წევრი არ იყო და ხანგრძლივი ნაცნობობაც არ ჰქონდა მათთან.

განსასჯელმა ნიკიტენკომ განაცხადა, რომ იგი არ არის რომელიმე პარტიის წევრი, თუმცა თანაუგრძნობს ესერებს. რო-

---

[1] იხ. მთავრობის ცნობა ნიკიტენკოს და სხვ. პროცესის შესახებ, გაზეთი «Право», 1907 წლის 26 აგვისტო, № 34, სვ. 2256—2262.

დესაც იგი სევასტოპოლში სამსახურის მიტოვების შემდეგ პეტერბურგში გადასახლდა, აქ გაიგო, რომ ესერთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ტერორის შეწყვეტა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევასთან დაკავშირებით. ამიტომ მას არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო მეფის ან მთავრობის პირის მკვლელობის მომზადებაში. მისი საქმიანობა ამოიწურებოდა რევოლუციური პროპაგანდით, თუმცა იგი არც იმას უარყოფდა, რომ აგროვებდა სხვადასხვა ცნობებს, რომლებიც შემდეგ შეიძლებოდა სასარგებლო აღმოჩენილიყო, თუ ესერთა პარტია კვლავ დაადგენდა ტერორისტული აქტების განახლებას. ანალოგიური ჩვენება მისცეს სინიავსკიმ და პიგიტმა[1]. რაც შეეხება პროკოფიევას, მან ყოველგვარ ჩვენებაზე უარი განაცხადა და საერთოდ მთელი პროცესის განმავლობაში ხმა არ ამოუღია.[2]

სამსჯავრო სხდომაზე დამცველებმა გამოიძახეს მოწმე, რომელმაც დაადასტურა, რომ, როდესაც სტოლიპინმა 1907 წლის 7 მაისს სახელმწიფო სათათბიროს მოახსენა, მეფის წინააღმდეგ ესერები ტერორისტულ აქტს ამზადებდნენო, ეს ცნობა კატეგორიულად უარყო ესერების დეპუტატმა შირსკიმ, რომელმაც თქვა: „არავითარი შეთქმულება არ არის. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას, როგორც ეს სათათბიროს ჯგუფმა მისი ცენტრალური კომიტეტის დავალებით განაცხადა, შეთქმულებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, თუნდაც ეს შეთქმულება ნამდვილად არსებობდეს და მოგონილი არ იყოს პროვოკაციული მიზნით".[3] ოხრანკის პოლკოვნიკმა სპირიდოვიჩმა მოწმის ჩვენების გასაბათილებლად განაცხადა, რომ ცნობები შეთქმულების ნამდვილად არსებობის შესახებ აქვს პეტერბურგის ოხრანკის უფროსს გერასიმოვს, რომელმაც ისიც იცის, რომ სათათბიროს ესერული ფრაქციის განცხადებას არ დაეთანხმა ტერიოკში შემდგარი ესერთა პარტიის კონფერენცია. პროკურორმა იშუამდგომლა გერასიმოვის მოწმედ გამო-

---

[1] იხ. მთავრობის ცნობა ნიკიტენკოს და სხვ. პროცესის შესახებ, გაზეთი «Право», 1907 წლის 26 აგვისტო, № 34, სვ. 2257.

[2] იხ. К. Маркелов, Покушение на цареубийство в 1907 г., «Былое», 1925, № 3/31, стр. 149.

[3] იქვე, გვ. 156.

ძახება. დამცველებმა პროტესტი განაცხადეს: გერასიმოვი, სულ ერთია, არ დაასახელებდა ცნობების მიღების წყაროს, ამის გარეშე კი მის ჩვენებას არავითარი ფასი არ ჰქონდა. სასამართლომ დამცველების პროტესტი მხედველობაში არ მიიღო და გადაწყვიტა მოწმედ დაეკითხა პოლკოვნიკი გერასიმოვი. გერასიმოვს სასამართლოში გამოცხადებისა შეეშინდა. ანდრონიკაშვილი აღშფოთებითა და ზიზღით იგონებდა, რომ „სამხედრო სასამართლო მთელი თავისი შემადგენლობით სასამართლო დარბაზიდან გაემართა ოხრანკის განყოფილების შენობაში და იქ გახსნა სამსჯავრო სხდომა ოხრანკის უფროსის გერასიმოვის დასაკითხავად“.[1] გერასიმოვმა დაადასტურა სპიროდოვიჩის ჩვენება, ხოლო დამცველების მოთხოვნაზე დაესახელებინა ჩვენების წყარო, მან, რა თქმა უნდა, უარი განაცხადა.

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში შემონახულია მისი დაცვითი სიტყვის ცალკეული დებულებები. ანდრონიკაშვილის სიტყვა იწყება ამ პროცესის ისტორიული მნიშვნელობის აღნიშვნით. იგი აფრთხილებს მოსამართლეებს, რომ მათ განაჩენს ელოდებიან არა მარტო განსასჯელები, არამედ რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა. და არა მარტო რუსეთისა, „ვფიქრობ, მსოფლიოში არ არის არც ერთი შეგნებული ადამიანი, რომლის ყურადღება დღეს მიპყრობილი არ იყოს თქვენს სიტყვებზე და თქვენს განაჩენზე. უფრო მეტიც: თქვენი განაჩენი მომავალი თაობების მსჯელობის საგანიც იქნება“. შემდეგ ანდრონიკაშვილი მიუთითებს, რომ ბრალდებულებს მხოლოდ ერთი საათი მისცეს საბრალდებო დასკვნის გასაცნობად და მტკიცებულებათა წარსადგენად. ასეთ პირობებში ჰეშმარიტების დადგენა მეტად ძნელი საქმეა. ამის შემდეგ ანდრონიკაშვილი გადადის იმ ბრალდებაზე, რომელიც მთავარ დამნაშავეს, ნიკიტენკოს, აქვს წარდგენილი, და ბრალდების დებულებათა კრიტიკაზე. ანდრონიკაშვილის ჩანაწერებში გვხვდება არგუმენტები, რომლებითაც მან უნდა გააბათილოს კაზაკ რატიმოვის ჩვენება: რატიმოვი შემჩნეული იყო სამსახურის მოვალეობათა ცუდად შესრულებაში, აგრეთვე იმ

---

1 იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი I—29 ა.

პირებთან ურთიერთობაში, რომლებიც ჯარში პროპაგანდას ეწევიან. რატიმოვს სურს აღიდგინოს ნდობა. ამიტომ მისი ჩვენება განსასჯელთა წინააღმდეგ თავის გამართლების მიზანს ისახავს. გარდა ამისა, რატიმოვის ჩვენებაში არის დიდი წინააღმდეგობანი და ეს ჩვენება ეწინააღმდეგება საქმის სხვა მასალას. „სასახლის გეგმა“, რომელიც ვითომდა რატიმოვის კარნახით რევოლუციონერებმა შეადგინეს, სრულიად არ წარმოადგენს ნამდვილი სასახლის გეგმას, არამედ სევასტოპოლის ერთ-ერთი სახლის გეგმაა. რატიმოვის ჩვენების სიყალბის დასაბუთება შესაძლებლობას აძლევს ანდრონიკაშვილს ასეთი დასკვნა გამოიტანოს: „ან რატიმოვი არანორმალური ადამიანია, განდიდების მანიით შეპყრობილი“, ასეთ შემთხვევაში მის ჩვენებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის, ან „რატიმოვი სტყუის, — რაც უფრო შეეფერება სინამდვილეს, — და ამ სიცრუის დამტკიცება ძნელი არ არის, თუ ერთმანეთს შევადარებთ მის ჩვენებებს და ბრალდებულთა ჩვენებებს, აგრეთვე საქმის ობიექტურ მტკიცებულებებს“. მკაცრად აკრიტიკებს იგი ექსპერტიზასაც, რომელმაც ნიკიტენკოს ბლოკნოტში ცარსკოე სელოს გეგმა აღმოაჩინა. „ეს ექსპერტიზა კი არა — ოპერეტაა; სამარცხვინოა, რომ ექსპერტიზა ასეთ საპასუხისმგებლო საქმეში ისე იქცევა, როგორც საროსკიპო სახლში“. დაბოლოს ანდრონიკაშვილი აცხადებს: დადასტურებულადაც რომ ჩავთვალოთ ის ფაქტი, რასაც ბრალდება განსასჯელებს უყენებს, ასეთ შემთხვევაშიც შეუძლებელია დავაკვალიფიციროთ განსასჯელთა საქმიანობა, როგორც მეფის მოკვლის მომზადება, არამედ მხოლოდ როგორც მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთში დამყარებული ხელისუფლების დამხობას.

ანდრონიკაშვილის ჩანაწერში მითითებულია, რომ გამოძიების მასალები არ იძლევა საფუძველს იმ კვალიფიკაციისათვის, რომელიც საბრალდებო დასკვნამ ბრალდებულთა ქმედობას მისცა და რომელსაც პროკურორი მხარს უჭერდა. გამოძიებამ ნიკიტენკოს და სხვებს წარუდგინა ბრალდება მხოლოდ დანაშაულებრივი საზოგადოების შექმნაში, რაც გათვალისწინებულია 192-ე მუხლით. მაგრამ შემდეგ იგივე მასალა, რაიმე ახალი ფაქტების დაუმატებლად, საფუძვლად დაედო სრუ-

ლიად ახალ ბრალდებას, რომელსაც პირველთან არც შინაარსით და არც თავისი შედეგებით საერთო არაფერი აქვს. როცა საბრალდებო მასალა პროკურორთან გადავიდა, მან ბრალდება დაამძიმა და საბრალდებო დასკვნაში უკვე მკვლელობის მომზადება ჩასწერა. ანდრონიკაშვილი, ისევე როგორც სხვა დამცველები, კატეგორიულად უარყოფდა ამ ბრალდებას. აი, რას ვკითხულობთ მის ჩანაწერებში: „თუ დანაშაულის მომზადებას ისეთივე მნიშვნელობით გავიგებთ, როგორც იგი ესმის კანონს, პრაქტიკას და, ბოლოს, ყოველდღიურ ცხოვრებას, მაშინ, კიდევაც რომ ვირწმუნოთ საბრალდებო აქტში მითითებული ფაქტები, განსასჯელთა მოქმედებაში დანაშაულის მომზადება კი არ გვექნება მაინც, არამედ ლიტონი განზრახვა, რომელიც არ ისჯება. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულის მომზადებად ითვლება საშუალებათა შეძენა და მომარჯვება და არა რაიმე წინასწარი ცნობების შეკრება. ასევე ესმის მომზადების ცნება ყოველდღიურ ცხოვრებას. ადამიანზე ამბობენ, სახლის ასაშენებლად მოემზადაო, როცა მან შეადგინა მშენებლობის გეგმა ან შეიძინა საშენი მასალა ან შეასრულა რაიმე სხვა რეალური მოქმედება, რომელიც ადასტურებს, რომ იგი უნდა შეუდგეს მშენებლობას. მაშასადამე, პროკურორს უნდა დაემტკიცებინა თავდაპირველად სურვილის არსებობა, შემდეგ უნდა ეჩვენებინა გარკვეული გეგმა, რომელიც შემუშავებულია მიზნის განხორციელებისათვის, საშუალებები, რომელნიც გამოყენებული იქნებოდა გეგმის შესასრულებლად და რომელნიც პირდაპირ მიიყვანდნენ მათ აღსრულების დაწყებამდე. ბრალდებას ამის დამტკიცებით თავი არ შეუწუხებია“.[1]

მიუხედავად დაცვის ბრწყინვალე შემადგენლობისა და თავდადებული ბრძოლისა, რომელიც აღწერილია პოლიტიკური დაცვის ისტორიაში, მიუხედავად იმისა, რომ სამსჯავრო სხდომაზე ნათლად გამოაშკარავდა მეფის ოხრანკის პროვოკაციული საქმიანობა და ბრალდების უსუსურობა, განაჩენი წინასწარ იყო გადაწყვეტილი და ამიტომ, ცხადია, განსასჯელებმა, რომელთაც ღირსეულად ეჭირათ თავი (გარდა ნაუმოვისა), და

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—50.

მათმა დამცველებმა ვერ შეძლეს გაერღვიათ სიცრუითა და ბოროტებით აღმართული კედელი. მართალია, მათ ხელიდან გამოგლიჯეს ბრალდებას 6 კაცი — სასამართლო იძულებული იყო ისინი გაემართლებინა, — მაგრამ დანარჩენები მკაცრად დასაჯეს: 18 განსასჯელთაგან სამს — ბორის ნიკიტენკოს, ბორის სინიავსკის და ვლადიმერ ნაუმოვს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, ხოლო დანარჩენებს მიუსაჯეს სხვადასხვა ვადით საკატორღო სამუშაო და გადასახლება ციმბირში საცხოვრებლად. იმავე წლის 21 აგვისტოს სიკვდილის განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

ამ პროცესის შესახებ ი. მოშინსკი (კონარსკი) წერს: „განსაკუთრებული ჰიძლიერის დაცვითი სიტყვები, რა თქმა უნდა, ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი ვერ გახდა, მაგრამ მათ უეჭველად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს: დაცვამ შესძლო გაეშიშვლებინა პოლიტიკური პოლიციის საზიზღარი მეთოდები“.[1]

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ რ ი მ ა ნ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ი ს მ ც დ ე ლ ო ბ ა.[2] ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პოლიტიკური დაცვა ადვოკატის სკამს ხშირად იყენებდა მეფის მოხელეებისა და მისი ერთგული ოფიცრების ტერორისტული საქმიანობის მხილებისათვის. ლ. ანდრონიკაშვილი ასეთ შესაძლებლობას არასდროს ხელიდან არ უშვებდა. ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო საქმე იყო პოლკოვნიკ რიმანის მკვლელობის მცდელობა სტუდენტ იაკოვლევის მიერ. საგამოძიებო აქტში ნათქვამი იყო, რომ ვინმე გოცი, პავლოვი, ტრეგუბოვი და იაკოვლევი, მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, 1906 წელს შევიდნენ პეტერბურგში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საბრძოლო ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების ძალმომრეობით დამხობას, რისთვისაც ტერორისტული აქტების მოწყობა ჰქონდათ განზრახული. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მეეტლეებად მოეწყვნენ და თვალყურს ადევნებდნენ მთავრობის უმაღლეს წარმომადგენლებს, განსაკუთ-

---

[1] И. Мошинский (Конарский), Политическая защита в дореволюционных судах, «Девятый вал», М., 1927, стр. 68.

[2] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 11—32.

რებით მინისტრ შჩეგლოვიტოვს. გარდა ამისა, საბრალდებო დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ 1906 წლის 11 აპრილს სემიონოვის პოლკის შტაბ-ოფიცერ პოლკოვნიკ რიმანთან სახლში მივიდა უცნობი ახალგაზრდა ოფიცრის ფორმით და, რაკი რიმანი სახლში არ დახვდა (უფრო სწორად, რიმანმა იგი არ მიიღო, რადგან გაფრთხილებული იყო პროვოკატორისაგან, რომ მასთან ამ დღეს ტერორისტი მივიდოდა), დატოვა სადარბაზო ბარათი თავად ნიკოლოზ დრუცკი-სოკოლოვსკის სახელზე და თქვა, რომ ისევ დაბრუნდება. როდესაც უცნობი საღამოს 6 საათზე მართლაც დაბრუნდა, იგი შეიპყრეს. შეპყრობილს აღმოაჩნდა ბრაუნინგი 8 ვაზნით, რაც მოკვლის განზრახვას ადასტურებდა. ეს უცნობი იაკოვლევი იყო. იმავე დღეს სემიონოვსკის პოლკის მეთაურ გენერალ რომთან გამოცხადდა უცნობი ახალგაზრდა, სამხედრო ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი, რომელმაც აგრეთვე დატოვა სავიზიტო ბარათი თავად ნიკოლოზ ვადბოლოკი სახელით. ეს მეორე პირი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი სამოილოვი იყო. იგი აკოვლევთან ერთად ჩამოვიდა ჰელსინგ-ფორსიდან გენერალ რომის მოსაკლავად, მაგრამ მეორედ აღარ მისულა და ამიტომ დაპატიმრებას გადარჩა. იაკოვლევი გაასამართლეს ზემოთდასახელებულ პირებთან ერთად. ბრალდებულებს წარდგენილი ჰქონდათ 1903 წლის სჯულდების 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, ხოლო იაკოვლევს, დამატებით — 101-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ვინ იყო რიმანი და რატომ აპირებდა მის მოკვლას სტუდენტი იაკოვლევი? პოლკოვნიკმა რიმანმა „სახელი გაითქვა“ მოსკოვის 1905 წლის აჯანყების ჩაქრობის დროს. იგი იყო ლეიბ-გვარდიის სემიონოვის პოლკის მეთაური. გენერალ რომის დავალებით გაგზავნილ იქნა აჯანყების ჩასაქრობად მოსკოვ-რიაზანის რკინიგზაზე. რიმანმა ეს დავალება დიდის მონდომებით შეასრულა და სისხლით წალეკა მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის სადგურები. განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა იგი სადგურ პეროვოს, ლუბერცის, გოლუტვინოს და სორტიროვოჩნაიას მოსახლეობას.

„სემიონოვის პოლკის ექსპედიციის სისხლიანმა მოღვაწეობამ საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც რუსეთში,

ისე საზღვარგარეთ და სამარცხვინო სახელი დაუმკვიდრა რომ-სა და რიმანს. პირველად მკითხველები სემიონოველების „მოღვაწეობას“ გაზეთ „რუსი“-სა და „მოლვა“-ს იანვრის, თებერვლისა და მარტის ნომრებში დაბეჭდილი წერილებით გაეცვნენ. ეს წერილები იმ მასალებს ეყრდნობოდა, რომლებიც ადგილზე პირადად შეაგროვეს კორესპონდენტმა ვლადიმიროვმა და მოსკოვის ნაფიც ვექილთა საბჭოს მიერ მივლინებულმა ნაფიცმა ვექილმა ლისიცინმა. ეს პირები იმ მიზნით იყვნენ მივლინებულნი, რომ სემიონოველთა საქმეს ადგილობრივ გასცნობოდნენ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო აღეძრათ შუამდგომლობა უდანაშაულო ადამიანთა გაჟლეტაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ“.[1] ამ პირების მიერ შეგროვილი ცნობები, რა თქმა უნდა, მთელ რუსეთს მოედო. გაზეთი „პრავო“ 1906 წლის 11 თებერვალს წერდა: „გაზეთი „რუს“ ყოველ დღე ბეჭდავს ერთსა და იმავე ადგილას იურიდიულ ცნობას, რომელიც ადასტურებს, რომ აჯანყების „ჩაქრობა“ სინამდვილეში წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულობებს. მთელ რუსეთს მოედო ეს „ცნობა“, მაგრამ ამან ერთი მისხლითაც არ გაზარდა ადამიანის სიცოცხლის წონა იმ ადგილებში, სადაც მოქმედებენ იმპროვიზირებული „მთავარსარდლები“. გოლუტვინო, პეროვო... ეს სახელწოდებები გუშინ არავინ იცოდა, დღეს კი მათი ხსენება მთელ რუსეთში ყველას ჟრუანტელს გვრის. ისინი გადაიქცნენ მთელი იმ უკანონობისა და უუფლებობის სიმბოლოდ, რაც ჩვენთან სუფევს. ძნელი დასაჯერებელია, რომ მთელი ეს საშინელება სადმე, ველურებით დასახლებულ ქვეყანაში კი არ ხდებოდა, არამედ აქ, ჩვენს ახლოს, ჩვენს თვალწინ; რომ გაზეთში ჩვენ ვკითხულობთ არა წარსულის ფანტასტიკურ ამბებზე, არამედ ცოცხალ, საშინელ სინამდვილეზე; რომ ის ადამიანები, რომლებმაც დაუშვეს და მოიწონეს ეს გაუგონარი ბოროტმოქმედებანი, დღესაც ხელისუფლების მატარებელი არიან, ქვეყნის ბედი მათ ხელშია. დიახ, ეს კოშმარია, და დროა გავიღვიძოთ“.[2]

---

[1] იხ. С. Иванов, Карательная экспедиция полк. Римана. Исторический архив, т. IV-V, Гос. изд., М., Л., 1926, стр. 409—410.

[2] «Право», 1906 წლის 11 თებერვალი, № 6, სვ. 483.

ამ „საქმეთა საგმირონის“ ავტორი, გოლუტვინოს და პეროვის მოსახლეობის გამჟღეტი, სწორედ პოლკოვნიკი რიმანი იყო, რომლის მკვლელობის მცდელობა ბრალდებოდა სტუდენტ იაკოვლევს. საქმის განხილვა რამდენჯერმე გადაიდო და იგი მხოლოდ 1909 წელს მოისმინა პეტერბურგის სასამართლო პალატამ წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით. იაკოვლევს ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა.[1]

დაცვის ამოცანა იყო დაემტკიცებინა, რომ იაკოვლევი არ იყო დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრი, რომ იგი ემზადებოდა მკვლელობისათვის არა პარტიის დავალებით თუ მითითებით, არამედ საკუთარი თაოსნობით. ბრალდების ერთადერთი საფუძველი იყო ოხრანკის აგენტების ჩვენება. ეს აგენტები დიდი ხანია თვალყურს ადევნებდნენ იაკოვლევს და ამტკიცებდნენ, რომ ნახეს სხვა ბრალდებულებთან ერთად, როდესაც იგი მინისტრ შჩეგლოვიტოვს უთვალთვალებდა.

ლ. ანდრონიკაშვილმა ამ ჩვენებათა წინააღმდეგ გაილაშქრა. მან გამოძებნა მრავალი წინააღმდეგობა აგენტების ჩვენებაში და დასძინა, რომ საერთოდ აგენტის ჩვენება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სარწმუნო წყაროდ და საფუძვლად დაედოს ბრალდებას. მოწმეს უნდა ახასიათებდეს ობიექტურობა, იგი დაინტერესებული არ უნდა იყოს საქმისათვის ამა თუ იმ მიმართულების მიცემით. მაგრამ ოხრანკის აგენტი თავისი პროფესიის ბუნებით არ შეიძლება იყოს ობიექტური. იგი უფროსისადმი დაქვემდებარებული პირია და უფროსისაგან აქვს დავალებული თვალყურის დევნება და მისთვის მოხსენება. აგენტის სამსახურებრივი წინსვლა და სხვაგვარი წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგად ასრულებს იგი ამ მოვალეობას, რაც უფრო მეტ საეჭვო პირს აღმოაჩენს და ხელში ჩაუგდებს ხელისუფლებას, მით უფრო მეტად აფასებენ მას, აჯილდოებენ და ა. შ. იაკოვლევის საქმეშიც დანაშაულებრივი საზოგადოების არსებობა სწორედ ამ მიზნითაა მოგონილი ოხრანკის აგენტების მიერ.

მაგრამ განა რიმანის მოკვლის განზრახვა იაკოვლევს მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა აღძროდა, თუ ის ტერორისტული

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—32.

ორგანიზაციის წევრი იქნებოდა? ამის შემდეგ ანდრონიკაშვილი გადადის რიმანის სისხლიანი „მოღვაწეობის“ დახასიათებაზე. აღსანიშნავია, რომ რიმანის დახასიათება ეს არის არა მარტო ერთი ყოვლად უმსგავსი, ზნედაცემული, უსულგულო ოფიცრის დახასიათება, არამედ დახასიათება მთელი თვითმპყრობელობისა, მეფის ერთგული არმიისა და იმ მეთოდებისა, რომლებსაც მიმართავდა ცარიზმი რევოლუციასთან საბრძოლველად.

ანდრონიკაშვილი კითხულობს სასამართლოში დოკუმენტებს. უკვე პირველივე დოკუმენტი მეტად ნიშანდობლივი და აღმაშფოთებელია. გენერალი რომი სწერს პოლკოვნიკ რიმანს, რომელსაც აგზავნის მოსკოვის გუბერნიაში აჯანყების ჩასაქრობად: „არავინ არ დააპატიმროთ, იმოქმედეთ შეუბრალებლად“. და პოლკოვნიკი რიმანი ზუსტად ასრულებს ამ ინსტრუქციას. მეორე დოკუმენტში აღწერილია პოლკოვნიკ რიმანის მოგზაურობა მატარებლით მოსკოვიდან ყაზანის რკინიგზით. იგი ჩადის სადგურ ლიბერცაში. მაშინვე იბარებს მემანქანე უხტომსკის. უხტომსკი გაბედულად ეუბნება, რომ რევოლუციის თავკაცები, კომიტეტი და სამხედრო რაზმი, გაქცეულია, მან თვითონ წაიყვანა ისინი მატარებლით და უსაშიშრო ადგილას დატოვა. რიმანი იქვე ხვრეტს უხტომსკის. მესამე დოკუმენტი: ჩამოდგება თუ არა რიმანის მატარებელი, ჯარისკაცები მაშინვე გადმოხტებიან და რიმანის ბრძანებით ტყვიას უშენენ სადგურზე შეგროვილ უდანაშაულო ხალხს. რიმანმა იცის, რომ მეთაურები გაიქცნენ, მაგრამ იგი ჟლეტს უდანაშაულო მოსახლეობას. რიმანის ჯარისკაცებმა მარტო სადგურ ლიბერცაში 25 კაცი მოკლეს, ბევრი დაიჭრა. იყო ასეთი ინციდენტიც: სადგურზე იმ დროს მოვიდა შორეული აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სანიტარული მატარებელი. სანიტარულმა რაზმმა აკრიფა დაჭრილები და პირველი დახმარება გაუწია მათ. ეს რომ რიმანმა გაიგო, შევარდა ვაგონში, გამოათრია სამი დაჭრილი და მოაკვლევინა. ლ. ანდრონიკაშვილმა მოსამართლეებს ასეთი სურათი დაუხატა: წარმოიდგინეთ უზარმაზარი დათოვლილი ველი, რომელზედაც აქა-იქ ყრიან ხიშტებით მუცელგაფატრული, წელებგადმოყრილი დაჭრილები, ზოგი ჯერ კიდევ ცოცხალია და გულგამგმირავად კვნესის. ახ-

ლობლები და ნათესავები დაბნელებისას მალულად უახლოვდებიან, მაგრამ ამ დროს გაისმის ზარბაზნისა და ტყვიების გრიალი და ესენიც იქვე მიწაზე ცვივიან. შებრალება არ იყო. განა ქარიშხალი ტოვებს ერთ ფოთოლს მაინც ხეზე? რიმანის მიზანი იყო — გაენადგურებინა და გაეპარტახებინა მთელი არემარე და მიაღწია კიდეც მიზანს. ოთხ დღეში 150 მოკლული! ვინც გადარჩა, ისიც თავზარდაცემული გარბოდა იმ არემარიდან". და როგორ იმართლებდა მერე თავს რიმანი? — სამსახურებრივი მოვალეობით და ფიცის ერთგულებით.[1] ანდრონიკაშვილი ამასთან დაკავშირებით იგონებს ერთ ადგილს შექსპირიდან. მკვლელს ეკითხებიან: „სად არის შენი სინდისი? იგი პასუხობს — ნორფოლკის ჰერცოგის ჯიბეში. როცა სინდისი ჩემთვის მძიმე აღმოჩნდა, მე ის მოვიცილე და ჰერცოგის ერთგულებით შევცვალეო.

აი, სინდისი, აი ერთგულება, აი სამშობლოს სიყვარული.

ბ-ნო მოსამართლენო! აღშფოთებისა და ზიზღის გრძნობას რომ ტყვიის თვისებები ჰქონდეს, ვერც ერთი თქვენგანი ვერ ჩაიხშობდა გულში ამ გრძნობას. აზრში, გრძნობებში, განზრახვაში ყველა გადალახავდა იმ მორალურ კანონს, რომელიც გვეუბნება — არ მოკლა...

... იაკოვლევი იმ დროს მოსკოვში იყო და ყველაფერი იცოდა. ნუთუ იმის ასახსნელად, რომ მან ზნეობრივი რუბიკონი გადალახა და გადაწყვეტილება მიიღო, უთუოდ პარტიის დავალება იყო საჭირო! ეს დარბაზი მოწმეა ვერა ზასულიჩის პროცესისა; მანაც ხომ, მტარვალის სისასტიკით აღშფოთებულმა, მარტოდმარტომ მიიღო გადაწყვეტილება მოეკლა ტრეპოვი. იაკოვლევს სრულიადაც არ სჭირდებოდა ორგანიზაციაში შეს-

---

[1] ს. ივანოვის ზემოხსენებულ წერილში მოთავსებულია პოლკოვნიკ რიმანის პატაკი დასჯითი ექსპედიციის შესახებ. პატაკში ზუსტად ასეთი სიტყვებია: მე და ჩემდამი რწმუნებული რაზმის ყველა ჩინი წმინდად ვიცავდით სამხედრო ფიცს... მე და ჩემდამი რწმუნებული რაზმის ყველა ჩინს, პირველიდან უკანასკნელ რიგით ჯარისკაცამდე, გვასულდგმულებდა ჩვენი მოვალეობის შეგნების გრძნობა... მიღებული ღონისძიებებისათვის მე, რა თქმა უნდა, პასუხისმგებელი ვარ, მაგრამ ჩემი სინდისი ღვთისა და დიდი ხელმწიფის წინაშე სუფთა და შეუბღალავია" (ს. ივანოვი, დასახ. წერილი, გვ. 416).

ვლა და სხვებთან კავშირი, რომ რიმანის მოკვლა გადაეწყვიტა".

ასეთია მოკლედ ლ. ანდრონიკაშვილის დაცვითი სიტყვის მონახაზი.

ლ. ანდრონიკაშვილის ამ სიტყვას, როგორც ნათლად ჩანს, ორი მიზანდასახულობა ჰქონდა: იაკოვლევის ბედის შემსუბუქება და ცარიზმის მხილება. სამწუხაროდ, სამხედრო სასამართლო არ იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელმაც ვერა ზასულიჩი გაამართლა. იაკოვლევს 15 წლის კატორღა მიუსაჯეს.

სტუდენტ იანოვიცკისა და მუშა სუხლეევის საქმე.[1] რეაქციის პერიოდის ყველა სასამართლო საქმისათვის დამახასიათებელია წინასწარი მოკვლევის მეტად არაკეთილსინდისიერი მეთოდები. დამაჯერებელი საბრალდებო მტკიცებულებების შეგროვების მაგივრად ჟანდარმერია მიმართავდა წამებასა და გამოძალვას, ცრუ მოწმეებს, პროვოკატორების ჩვენებას, ყალბ, თვით პოლიტიკური პოლიციის მიერ შეთითხნილ, წერილობით საბუთებს და სხვა „მტკიცებულებებს". თანაც, იმისათვის, რომ პროვოკატორის ვინაობა სასამართლო პროცესში არ გამომზეურებულიყო, 1907 წლის 27 ივნისის კანონით სასამართლოს ნება დაერთო წაეკითხა გამოუცხადებელი მოწმის ჩვენება, რაც არ უნდა ყოფილიყო გამოუცხადებლობის მიზეზი.

შევეხოთ, უპირველეს ყოვლისა, მუშა რევოლუციონერის სუხლეევის დაცვას ანდრონიკაშვილის მიერ. სუხლეევის ბრალდება თავიდან ბოლომდე ყალბ ჩვენებაზე იყო აგებული და ეს სიყალბე ანდრონიკაშვილმა სასამართლოში გამოამზეურა.

პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იანოვიცკი, ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტი შიშკინი და მუშა სუხლეევი პასუხისგებაში იყვნენ მიცემული 1903 წ. სჯულდების 126-ე მუხლით და სამხედრო დადგენილებათა კრებულის 22-ე წიგნის 279-ე მუხლით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბრალდებულებს ჩამოხრჩობა ემუქრებოდათ. მათ ბრა-

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—48.

ლად ედებოდათ პოლიციისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა, ერთი პოლიციელის მოკვლა და ორის დაჭრა. საქმის გარემოებანი ასეთი იყო: რამდენიმე ახალგაზრდა რევოლუციონერი 1906 წლის 31 დეკემბერს შეიკრიბა ერთ-ერთი ამხანაგის ბინაში ვითომდა ახალი წლის შესახვედრად. ზოგი მათგანი შეიარაღებული იყო. მოულოდნელად მათ თავს დაესხა პოლიცია, რომელმაც დააპირა ბინის გაჩხრეკა. როგორც კი პოლიციის მოხელენი შეცვივდნენ იმ ოთახში, სადაც ახალგაზრდები ისხდნენ, ამ უკანასკნელებმა ესროლეს პოლიციელებს, მოკლეს პოლიციელი კომაროვი, დაჭრეს უბნის ზედამხედველი ტალოვი და პოლიციელი დავიდოვიჩი. ერთ-ერთი ახალგაზრდა სურხა (სინამდვილეში ნიკოლოზ პეტროვი) რევოლვერით ხელში გამოვარდა ოთახიდან, მაგრამ გაქცევა ვერ მოახერხა და თავი მოიკლა. პოლიციამ თავის მხრივ საშინელი სროლა ატეხა და ბევრი ახალგაზრდა დაჭრა. ყველანი, ერთის გარდა, რომელმაც გაქცევა მოახერხა, დააპატიმრეს.[1] მუშა სუხლეევი მხოლოდ მეორე დღეს დააპატიმრეს, როცა იგი დილით ამ ბინაში მოვიდა. მეეზოვე პუჩიკოვმა და პოლიციელმა კაშევაროვმა იგი „ამოიცნეს" როგორც ის პირი, რომელიც გაიქცა და გაქცევის წინ დაჭრა პოლიციელი დავიდოვიჩი. სულ დაპატიმრებული იყო 12 ახალგაზრდა. ამ საქმეზე გაბედულად აიმაღლა ხმა პეტერბურგის უნივერსიტეტის მოწინავე პროფესურამ, რომელმაც მიაღწია იმას, რომ 9 კაცი, ვისაც პოლიციელებმა რევოლვერი ვერ უნახეს, უკვე წინასწარი გამოძიების დროს გაათავისუფლეს. სასამართლოს წინაშე წარსდგა მხოლოდ ზემოხსენებული სამი პირი. აქედან ორის მდგომარეობა მძიმე იყო: სტუდენტ იანოვიცკისა, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა და მუშა სუხლეევისა, რომელიც ვითომდა ამოიცნეს როგორც ერთ-ერთი ის პირი, ვინც ისროდა. ორივე მათგანისათვის პროკურორი სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. იანოვიცკის იცავდა გრუზენბერგი, სუხლეევს — ანდრონიკაშვილი. ანდრონიკაშვილის დაცვითი სიტყვის სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო მტკიცებულებათა ანალიზზე — ორი მოწმის ჩვენების

---

[1] საქმის გარემოებები აღწერილია გაზეთ «Право»-ში 1907 წლის 25 მარტი, № 12, სვ. 921—925.

სიცრუის გამოაშკარავებაზე. ამ სიტყვაში, რომლის მონახაზი ანდრონიკაშვილის ფონდში მოვძებნეთ, მოცემულია მოწმის ჩვენების ოსტატური ფსიქოლოგიური ანალიზი, მხილებულია მეეზოვისა და პოლიციელის ჩვენებების სიყალბის წყარო და მიზეზი, დასაბუთებულია სუხლეევის ალიბი. ეს ჩანაწერი ადვოკატის მიერ საქმის ფაქტობრივი მხარის გაანალიზების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

სამივე ბრალდებული გაამართლეს.[1] როგორც ანდრონიკაშვილი შემდეგ წერდა, ახალგაზრდებმა პოლიციას სროლა იმიტომ აუტეხეს, რომ კრებას ესწრებოდნენ არალეგალურ მუშაობაზე გადასული პირები, რომლებსაც პოლიცია ეძებდა და საჭირო იყო მიეცათ მათთვის გაქცევის შესაძლებლობა.

ს ტ ე მ ბ ო ს, პ ი ს ა რ ე ვ ი ს ა დ ა ს ხ ვ ა თ ა ს ა ქ მ ე. ოხრანკის აგენტებისა და პროვოკატორების ჩვენებას არა ერთი და ორი უდანაშაულო ადამიანი გაუგზავნია ეშაფოტზე ან კატორღაში. მაგრამ იყო შემთხვევები, რა თქმა უნდა, რეაქციის იმ ბნელ წლებში მეტად იშვიათი, როდესაც დამცველები ასერხებდნენ პროვოკატორთა ყალბი ჩვენების გამოაშკარავებას და მათ მიერ გაცემულ პირთა სიცოცხლის გადარჩენას. ერთ-ერთი ასეთი საქმე, რომელშიც ლუარსაბ ანდრონიკაშვილმაც მიიღო მონაწილეობა, იყო ჟურნალისტ სტემბოს, სტუდენტ ბლოხის, პისარევის და სხვათა საქმე. 8 კაცს წაყენებული ჰქონდა ბრალდება სისხლის სჯულდების 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მთელი ბრალდება ერთადერთი მოწმის ვინმე ნიკიფორე პატსიუკის ჩვენებას ემყარებოდა. საბრალდებო დასკვნა ამ საქმეზე შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „როცა სანკტ-პეტერბურგის ჟანდარმერიის სამმართველოში ნ. ჩაიკოვსკის და ეკ. ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას საქმის მოკვლევა მიმდინარეობდა, სხვებთან ერთად დაჰკითხეს სახელმწიფო დანაშაულისათვის მსჯავრდებული ნიკიფორე პატსიუკი, რომელმაც ასეთი გულწრფელი ჩვენება მისცა“... და შემდეგ სავსებით უკრიტიკოდ გადმოცემული იყო ეს „გულწრფელი ჩვენება“, რომლის თანახმად სტემბო მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებას და საერთოდ მთელ რევოლუციას ხელმძღვანელობდა, რომ მის გან-

[1] იხ. გაზეთი «Речь», 1907 წლის 2 მარტისა, № 57.

კარგულებაში 20 ათასი კაცი იყო, თვითონაც 10 დღის განმავლობაში იბრძოდა ბარიკადებზე, დანარჩენებიც მისი დავალებით ამასვე აკეთებდნენ, და ა. შ. ამ საქმის გამოძიება დიდხანს გაჭიანურდა. ბრალდებულები სამი წელი იყვნენ წინასწარ პატიმრობაში და მხოლოდ 1910 წლის 9 ივნისს განიხილა იგი პეტერბურგის სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დაცვამ, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილი იღებდა მონაწილეობას (იგი იცავდა სტუდენტ პისარევს, რომელსაც, პატსიუკის ჩვენების მიხედვით, ბომბების საწყობი და ფარული შეხვედრის ბინა ჰქონდა), მეტად საყურადღებო ფაქტი გამოავლინა: ნიკიფორე პატსიუკი პასუხისგებაში ყოფილა მიცემული ჩაიკოვსკის და ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას საქმეზე და მისთვის ჩამოხრჩობა მიუსჯიათ. სიკვდილისაგან თავის გადახსნენად პატსიუკს დიდძალი ხალხი გაუცია და ამით მართლაც სიცოცხლე უყიდია — ჩამოხრჩობა მისთვის კატორღით შეუცვლიათ. მაგრამ ამჯერად პატსიუკს მის მიერ გაცემული ხალხისა შეშინებია, უფიქრია, კატორღაში რევოლუციონერები აუცილებლად მომკლავენო და უკვე იმაზე დაუწყია ზრუნვა, რომ როგორმე მოეხერხებინა კატორღაში მისი გაგზავნის შეჩერება და პეტერბურგის საპყრობილეში დარჩენა. ამ მიზნით დაუწყია სულ ახალ-ახალი ჩვენებების შეთხზვა. ყოველ ორ კვირაში იბარებდა მოკვლევის მწარმოებელ პირს და ახალ „ფაქტებს იგონებდა“. და რადგან მეხსიერება საოცარი ჰქონია და ფანტაზია მდიდარი, ასე მოახერხა სამი წლით გადაედო თავისი გამგზავრება ციმბირისაკენ, ვიდრე საპყრობილეში (1910 წლის აპრილს) არ გარდაიცვალა. პატსიუკი ამგვარად ოხრანკის „მუდმივ მოწმედ“ გადაიქცა და ამით მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. აღსანიშნავია, რომ მეფის ოხრანკას კარგად ესმოდა, თუ რა ღირებულება ჰქონდა პატსიუკის ჩვენებებს, და, მიუხედავად ამისა, მათზე აგებდა საბრალდებო დასკვნებს, ბრალმდებელი კი ამ დასკვნებს ამტკიცებდა და მხარს უჭერდა. პატსიუკის საქმეშიც პროკურორმა თავხედურად განაცხადა. რომ პატსიუკის ჩვენება საწმუნოა, ვინაიდან მას „ერთგვარი არაპირდაპირი მტკიცებულებანიც ადასტურებენ“-ო.

დამცველებმა შეძლეს დაემტკიცებინათ ბრალდების სიყალ-

ბე. მეფის სასამართლო იძულებული იყო გაემართლებინა განსასჯელნი, რომლებმაც სამი წელი უდანაშაულოდ გაატარეს საპატიმროში.[1]

§ 4. „ექსპროპრიატორთა“ საქმეები

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში გვხვდება რამდენიმე საქმე ანარქისტ „ექსპროპრიატორებისა“. ასეთი საქმეებია, მაგალითად, ახალსენაკის სადგურზე სამტრედიიდან ფოთისაკენ მიმავალი მატარებლის გაძარცვის საქმე (საქმე განიხილა თბილისის სასამართლო პალატამ 1908 წლის 29 აპრილს); „ანარქისტ-კომუნისტთა პარტიის“ წევრის — მედიცინის დოქტორის მეგროვიჩის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა, რომ თავის საავადმყოფოში მალავდა და ხელს აფარებდა რევოლუციონერებს, ინახავდა მათ მიერ ექსპროპრიაციის შედეგად მოპოებულ თანხებს და ა. შ.

ამ კატეგორიის საქმეებიდან განსაკუთრებით გახმაურებული იყო სადგურ ბედანში საფოსტო მატარებელზე თავდასხმისა და მისი გაძარცვის საქმე. სამხედრო-საოლქო სასამართლომ, რომელმაც იგი გაარჩია, სამ პირს, — ჩესლავ სვირსკის, ზაკრჟევსკის და ფიოლკოვსკის, ჩამოხრჩობა მიუსაჯა. ეს საქმე ფართოდ გახმაურდა იმის გამო, რომ ჩესლავ სვირსკი სულიო ავადმყოფი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მის დამცველებს დიდი ბრძოლა დასჭირდათ იმისათვის, რომ სულით ავადმყოფ სვირსკისათვის სიკვდილით დასჯა აეცილებინათ. საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას სვირსკის დამცველმა აღძრა საკითხი მისი შეურაცხაობის შესახებ. დაცვის მიერ გამოძახებულმა ფსიქიატრმა რაძილოვიჩმა დაადასტურა, რომ 10 წლის წინათ მკურნალობდა სვირსკის, აუკრძალა მას სწავლა და უწინასწარმეტყველა მძიმე ფსიქიკური დაავადება. შემდეგ სასამართლოს სხდომაზე წაკითხულ იქნა რამდენიმე პარიზელი ფსიქიატრის, მათ შორის გამოჩენილი ფსიქიატრის ბრისოს დასკვნა, რომ სვირსკი დაავადებულია ნევრასტენიის მძიმე

---

[1] საქმის შინაარსი გადმოცემულია გაზეთ «Право»-ს მიხედვით, 1910 წ., № 27, სვ. 1716-1717.

ფორმით. გამოირკვა, რომ სვირსკის მამის ერთი ძმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება, მეორემ თავი მოიკლა. დედის ერთი ძმა დაბადებიდან ჭკუასუსტია, მეორეს ისტეროეპილეფსია აქვს, სვირსკის და ორჯერ ეცადა თავი მოეკლა.

ექიმი ფსიქიატრები ფსიქიატრ ბაქენოვის მეთაურობით საქმის გამოძიების პროცესში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ჩესლავ სვირსკი ამჟღავნებს სულით ავადმყოფობის უეჭველ ნიშნებს, რომლებიც არ შეიძლება ჩაითვალოს სიმულაციად... მას ისეთი დაავადება აქვს, რომელიც შესაძლებლობას არ აძლევს გაიგოს სასამართლოს გამოძიება, უპასუხოს კითხვებზე, წარადგინოს ახსნა-განმარტება და დაიცვას თავისი ინტერესები“.

მიუხედავად ექიმების ასეთი დასკვნისა, სასამართლომ უარი უთხრა სვირსკის დამცველს შუამდგომლობაზე და სპეციალური ექსპერტიზის საფუძველზე დაადასტურა, რომ სვირსკი სავსებით ჯანმრთელია და მხოლოდ იგონებს ავადმყოფობას.

ანდრონიკაშვილი მხარს უჭერდა საკასაციო საჩივარს მთავარ სამხედრო სასამართლოში. თავის გამოსვლას მან საფუძვლად დაუდო ის დებულება, რომ საკითხი სიმულაციის არსებობის თუ არარსებობის შესახებ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა მხოლოდ სათათბირო ოთახში. მან კი უფრო ადრე გადაჭრა, რითაც არსებითად წინასწარ გადაწყვიტა განსასჯელის ბედი.

მთავარმა სამხედრო სასამართლომ საქმე ხელმეორედ განსახილველად დააბრუნა. სვირსკი სიკვდილს გადარჩა.[1]

§ 6. რევოლუციურ ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის პასუხისგებაში მიცემულთა საქმეები

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში გვხვდება საქმეები, როდესაც რევოლუციონერები პასუხისგებაში არიან მიცემული რევოლუციურ ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის. ასეთი საქ-

---

[1] ამ საქმის შესახებ დაწვრილებით იხ. გაზეთი «Право», 1905 წლის 25 დეკემბერი, № 52, სვ. 2939-2940.

მე ძალიან ბევრია, მაგრამ ყველა მათგანს არათუ ვერ განვიხილავთ, არამედ ვერც მოვიხსენიებთ. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთს.

არქივში გვხვდება ორი სამხედრო ორგანიზაციის საქმე.

კრონშტადტის საქმე. პირველი, უფრო ადრინდელი — ეს არის კრონშტადტის საქმე.[1] საბრალდებო დასკვნა შედგენილია 1905 წლის ივნისს. დასკვნის თანახმად, გერასიმოვს, ნიკიტინს, მანაევას და სოლოვიოვას 1902 წლის ბოლოს და 1903 წელს მიუღიათ მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების ძალმომრეობით დამხობას. ამ მიზნით ისინი პეტერბურგისა და კრონშტადტის მატროსებში ავრცელებდნენ აკრძალულ ლიტერატურას, მათ შორის მაქსიმ გორკის ნაწარმოებებს. ეწეოდნენ ზეპირ პროპაგანდას, მოუწოდებდნენ მატროსებს არ შეესრულებინათ სამხედრო მოვალეობანი, კერძოდ, არ ესროლათ მანიფესტანტებისათვის; ცდილობდნენ აეჯანყებინათ „დაბალი ჩინები" თვითმპყრობელობის, ხელისუფლების, მემამულეებისა და ოფიცრების წინააღმდეგ. მათ ბრალი დაედოთ სისხლის სჯულდების 126-ე მუხლით (მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელიც მიზნად ისახავს არსებული წესწყობილების ძალმომრეობით დამხობას), 129-ე მუხლით (რევოლუციური პროპაგანდა), 131-ე მუხლით (ჯარის ნაწილებში ისეთ მოძღვრებათა გავრცელება, რაც სამხედრო ჩინებს სამხედრო მოვალეობის შეუსრულებლობისაკენ მოუწოდებს). საქმე ვადაეცა განსახილველად პეტერბურგის სასამართლო პალატას წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით და განხილულ იქნა, როგორც ანდრონიკაშვილი მიუთითებს, 1906 წელს. სხვა ცნობები ამ საქმეზე არა გვაქვს.

ფინეთის სამხედრო ჯგუფის საქმე. სამხედრო ორგანიზაციის მეორე საქმე— ეს არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფინეთის სამხედრო ჯგუფის საქმე.[2] როგორც საბრალდებო დასკვნიდან ჩანს, ჯგუფს განსაკუთრებით აქტიური საქმიანობა 1906 წელს და 1907 წლის გა-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 11—7.

[2] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, 11—54.

ზაფხულზე გაუჩაღებია. როცა მეფის ჟანდარმერიას ორგანიზაცია აღმოუჩენია, მისი ზოგიერთი წევრი მიმალულა. დაუპატიმრებიათ და პასუხისგებაში მიუციათ ძმები მეიერ და დავით ტრილისტერები, ლეონიდ ვორობიოვი, შმულ ხეიფიცი, მინა გალავანოვი. მათე გრიშენკოვი, ტარას პერსიკოვი და ალექსი სუხარევი. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფინეთის სამხედრო ორგანიზაცია, რომელშიც ეს პირები შედიოდნენ, იკრიბებოდა ქ. ჰელსინფორგსში შტაბსკაპიტნის ციონის ბინაზე. სადაც ადგენდნენ სამუშაო გეგმას. ორგანიზაციის წევრები ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას ფინეთში განლაგებულ ჯარის ნაწილებში, ავრცელებდნენ აკრძალულ ლიტერატურას, მოეწოდებდნენ ჯარისკაცებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ფინეთის საარტილერიო პოლკში მათ შექმნეს პოლკისა და ბატარეის კომიტეტები, რომელთაც თავიანთი საკუთარი ხელმძღვანელები ჰყავდათ. ფინეთის სამხედრო ორგანიზაციის სათავეში იდგა ვინმე „იდა“, რომელიც ვორობიოვთან ერთად მაისის დასაწყისში გაემგზავრა ფინეთიდან ლონდონში, რათა მონაწილეობა მიეღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო. და საბრძოლო ორგანიზაციების ყრილობაში. „იდა“ ამ ყრილობაზე ფინეთის და კრონშტადტის წარმომადგენლად იყო წარგზავნილი. ფინეთის სამხედრო ორგანიზაცია დაკავშირებული იყო სხვა ორგანიზაციებთან დროებითი სამხედრო ბიუროს მეშვეობით, რომელმაც ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან ფინეთის რკინიგზის სადგურ ტერიოკში გადმოინაცვლა. დროებითი ბიუროს სათავეში იდგა მეიერ ტრილისტერი — ცნობილი „ანატოლი კაპუსტინსკის“ სახელწოდებით, ხოლო როდესაც ეს უკანასკნელი ლონდონის 1907 წლის ყრილობაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, იგი შეცვალა მისმა ძმამ დავით ტრილისტერმა.

ბრალდებულებს წაყენებული ჰქონდათ ბრალდება სისხლის სჯულდების 102-ე მუხლის I ნაწილით. საბრალდებო დასკვნა დათარიღებულია 1909 წლის 27 ივლისით. საქმე განიხილა ქ. პეტერბურგის სამხედრო-საოლქო სასამართლომ. დამცველებად გამოდიოდნენ ლ. ანდრონიკაშვილი, პერეკერზევი,

უშანსკი და სხვ. იმის თაობაზე, თუ რით დამთავრდა ეს პროცესი, ლ. ანდრონიკაშვილის არქივში ცნობები არ არის.

„44-ის“ საქმე.[1] რევოლუციური ორგანიზაციების საქმეებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთი, რომელსაც ლ. ანდრონიკაშვილი „44-ის საქმეს“ უწოდებს. ანდრონიკაშვილის არქივში ამ საქმეზე დაცულია მხოლოდ საბრალდებო დასკვნა, მაგრამ ეს დასკვნა იმდენად საინტერესოა, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი დაწერილებით გადმოცემა.

საბრალდებო დასკვნა შედგენილია პეტერბურგში 1906 წლის 31 ივლისს. პასუხისგებაში მიცემული არიან სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები: კ. ერმოლაევი, ზ. ბოგოლუბოვი, ე. ზავოდსკაია, პ. სმიტენი, კ. შულმანი, ე. კოროლკოვა, გ. ბოკი, ი. რაჩკოვსკი, ნ. დოროშენკო, რ. განჯა, ბ. კრილოვი, ვ. პლატონოვი, ვ. პოლიაკი, პ. ბობროვი, ი. სმირნოვი, ტ. ბოგომოლოვი, გ. ბრიკოვი, ა. კრავჩენკო, ს. ბოგდანოვი, ტ. ბიასოგდოვი, ი. დიანინი და სხვები.

აღნიშნული პირების ბინები გაუჩხრეკიათ და თვით ისინი (44 კაცი) დაუპატიმრებიათ. ბინებში აღმოუჩენიათ აკრძალული ლიტერატურა, პარტიის პროგრამა და წესდება, მეორე და მესამე ყრილობების ანგარიშები, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების ანგარიშები. შემდეგ საბრალდებო დასკვნაში გადმოცემულია პარტიის შექმნის ისტორია და მისი ამოცანები. ნათქვამია, რომ ეს პარტია, რომელიც თავის თავს „პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმად“ თვლის, საბოლოო მიზნად ისახავს კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა შეცვლას სოციალისტური ურთიერთობებით, ხოლო უახლოეს პოლიტიკურ მიზნად — ცარიზმის დამხობას და მის მაგივრად დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას. ამ რესპუბლიკის კონსტიტუციამ, პარტიის პროგრამის თანახმად, უნდა უზრუნველყოს: ხალხის თვითმპყრობელობა; საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები; ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა; სინდისის, სიტყვის, პრესის, კრებების, გაფიცვების, კავშირების შეუზღუდველი თავისუფლება; წოდებათა მოსპობა და

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—23.

ყველა მოქალაქის სრული თანასწორობა სქესის, სარწმუნოების, რასისა და ეროვნების განურჩევლად; მოსახლეობის უფლება მიიღოს განათლება ეროვნულ ენაზე, სახელმწიფო ენასთან ერთად; ეროვნული ენის შემოღება ადგილობრივ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში; სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ყველა ერის თვითგამორკვევის უფლება; მოსამართლეთა არჩევა ხალხის მიერ; ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და სკოლისა — ეკლესიისაგან; უფასო სავალდებულო და პროფესიული განათლება ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლამდე და ა. შ. ერთი სიტყვით, აქ ჩამოთვლილია ყველა ის დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებანი, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კონსტიტუციაში შევიდა და რეალურად განხორციელდა.

საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ რსდმპ მესამე ყრილობის დადგენილების მიხედვით, პროლეტარიატის უშუალო ამოცანას ამჟამად წარმოადგენს პროლეტარიატის ორგანიზება თვითმპყრობელობასთან შეიარაღებული ბრძოლის საწარმოებლად. ამ მიზნით, ყრილობამ დაავალა ყველა პარტიულ ორგანიზაციას განუმარტოს პროლეტარიატს შეიარაღებული აჯანყების პოლიტიკური მნიშვნელობა, მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების როლი აჯანყების დასაწყისსა და მის მსვლელობაში, შეიმუშაოს აჯანყების გეგმა და ენერგიულად შეუდგეს პროლეტარიიტის შეიარაღებას.

საბრალდებო დასკვნა მიუთითებს, რომ ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პეტერბურგის ორგანიზაციის წევრები აქტიურ პროპაგანდას ეწეოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, მოუწოდებდნენ მუშებს შეიარაღებულიყვნენ, თანაც საბაბად გამოეყენებინათ ვითომდა „შაერაზმელთა“ თავდასხმისაგან თავდაცვის მოტივი. ამასთან ერთად, მათ შეადგინეს საბრძოლო რაზმები, რომელთა მეთაურები ცენტრალური საბრძოლო რაზმეულის შემადგენლობაში შედიოდნენ.

დაპატიმრებულებს, გარდა დიდძალი პროპაგანდისტული ლიტერატურისა, გაჩხრეკის დროს აღმოუჩინეს იარაღი. მათ წარდგენილი ჰქონდათ ბრალდება სისხლის სჯულდების 126-ე მუხლის მე-2 ნაწილით (მონაწილეობა დანაშაულებრივ ორგა-

ნიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების დამხობას, თუ ორგანიზაციას თავის განკარგულებაში ჰქონდა იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი) და 129-ე მუხლის მე-2 პუნქტით (საჯაროდ მოწოდება საზოგადოებრივი წესწყობილების დამხობისაკენ).

საქმე განსახილველად გადაეცა პეტერბურგის სასამართლო პალატას წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით. ლ. ანდრონიკაშვილი, როგორც ჩანს, მონაწილეობას იღებდა ამ საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის დროს.

ვატინის და სხვათა საქმე.[1] სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საქმეებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ვადიმ ვატინის, ივანე ანდრეევის, შმულ ალტშულერის, ალექსანდრე ბოიკოს, მიხეილ ბუბლეევის, ბარუხ გორინის, ვალერიან დენისოვის და სხვ. (სულ 12 კაცის) საქმე. საბრალდებო დასკვნაში ამ საქმეზე ნათქვამია, რომ პეტერბურგის ოხრანკის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, 1909 წლის 1 მარტს ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტის შენობაში უნდა შემდგარიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პეტერბურგის კომიტეტის სხდომა. როცა პოლიცია მოულოდნელად თავს დაესხა შეკრებილთ, ნაწილი გაიქცა, თანაც გაქცევის დროს ნაკუწ-ნაკუწად ხევდნენ და ყრიდნენ რაღაც ქაღალდებს, ნაწილი კი პოლიციას ხელთ ჩაუვარდა. გადაყრილი ქაღალდები, აგრეთვე დაპატიმრებულთა გაჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი ქაღალდები იყო: რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციები სიკვდილით დასჯის, ქალთა სპეციალური ჯგუფების შექმნისა და სახელმწიფო დაზღვევის შესახებ, ლენინის ბროშურა — „რსდმპ გამაერთიანებელი ყრილობის შესახებ", რსდმპ ცენტრალური კომიტეტის „იზვესტია" და სხვ. დასახელებულ პირებს ბრალად ედებოდათ, რომ მონაწილეობა მიიღეს დანაშაულებრივ საზოგადოებაში, რომელიც უშუალო მიზნად ისახავს რუსეთში დამყარებული წესწყობილების ძალმომრეობით შეცვლას, აგიტაციას ეწეოდნენ მუშებს შორის და ავრცელებდნენ დანაშაულებრივ მოწოდებებს. ბრალდება წაყენებული ჰქონდათ სისხლის სჯულდების 102-ე მუხლით.

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—63.

როგორც საქმეში არსებული საკასაციო საჩივრიდან ჩანს, დამ-ცველები ცდილობდნენ 102-ე მუხლის შეცვლას 126-ე მუხ-ლით, ვინაიდან ეს მუხლი შედარებით ნაკლებ სასჯელს ითვა-ლისწინებდა. ლ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობას იღებდა ამ საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვისას 1910 წლის 4 მარტს.

ემანუილ გუკოვსკის და ევგენი ბრაუდოს საქმე.[1] რევოლუციური ორგანიზაციების საქმეებიდან, რომ-ლებშიც ლ. ანდრონიკაშვილი იღებდა მონაწილეობას, იგი გან-საკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პირველი ბოლშევიკუ-რი ლეგალური გაზეთის „ნოვაია ჟიზნ"-ის მდივნის ემანუილ გუკოვსკის და ადვოკატ ბრაუდოს საქმეს. როგორც საბრალ-დებო დასკვნიდან ჩანს, „ნოვაია ჟიზნის" აკრძალვის შემდეგ (გაზეთი აკრძალეს 1906 წლის დეკემბერში) რსდმპ წევრები კონსპირაციულად ხვდებოდნენ ერთმანეთს რედაქციის კანტო-რის სადგომში. ამასთან დაკავშირებით პეტერბურგის ოხრანკის თანამშრომლებმა გაჩხრიკეს გაზეთის რედაქციის კანტორა. რის შედეგადაც აღმოაჩინეს: გაზეთის ბეჭედი (რომელზედაც აღბეჭდილი იყო „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი"), რსდმპ უმრავლესობის ფრაქციის კონფერენციის პირველი სხდომის ანგარიში, ამავე კონფერენციის რეზოლუციები, სხვა ქალაქების პარტიული ორგანიზაციების ანგარიშები, პარტიის ცენტრალური და პე-ტერბურგის კომიტეტების მოწოდებები და სხვ. გაზეთის რედა-ქტორი ვილენკინი მიიმალა. დაუპატიმრეს გაზეთის მდივანი გუ-კოვსკი და რედაქციის კანტორაში მისული ბრაუდო. მათ წაყე-ნებული ჰქონდათ ბრალდება სისხლის სჯულდების 126-ე მუხ-ლით. არც გუკოვსკიმ და არც ბრაუდომ თავი დამნაშავედ არ ცნეს. საქმე 1908 წელს განიხილა პეტერბურგის სასამართლო პალატამ წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით. გუ-კოვსკის ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა. როგორც ანდრონიკა-შვილი წერს, გუკოვსკი გაამართლეს.

---

[1] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—45. ოქტომბრის რევოლუციის შემ-დეგ ემანუილ გუკოვსკი იყო რსფსრ-ის ფინანსთა პირველი სახალხო კომი-სარი.

მ ი ხ ე ი ლ ა თ ა ბ ე კ ო ვ ი ს, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ე ტ-
რ ო ვ ი ს დ ა ნ ა ტ ა ლ ი ა კ ლ ე პ ც ო ვ ა ს ს ა ქ მ ე.[1] საბრალ-
დებო დასკვნის თანახმად, ყაზანის გუბერნიის ჟანდარმერიის
განყოფილების თანამშრომლებს 1907 წლის 13 სექტემბერს
გაუჩხრეკიათ ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტების მიხეილ
ათაბეკოვისა და კონსტანტინე პეტროვის ბინები, აგრეთვე ამა-
ვე უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელის ნატალია კლეპ-
ცოვას ბინა და აღმოუჩენიათ მასალები, რომლებიც ადასტუ-
რებდნენ, რომ ისინი იყვნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიუ-
ლი მუშათა პარტიის აქტიური წევრები. სახელდობრ, ათაბე-
კოვს უნახეს ტალონების წიგნაკი, რომელსაც ჰქონდა რსდმპ
ყაზანის კომიტეტის ბეჭედი, ვინმე „ნატაშას" მიერ ხელმოწე-
რილი მოწმობა, რომ ათაბეკოვი არჩეულია დელეგატად ვოლ-
გისპირეთის პარტიულ კონფერენციაზე, პროკლამაციები „1
მაისის დღესასწაულის შესახებ", სასტამბო შრიფტი და სხვა
საბეჭდი მოწყობილობა. პეტროვს — სოციალ-დემოკრატიული
პარტიის პროგრამის ორი კონსპექტი, უწყება რსდმპ ლონდო-
ნის ყრილობის შესახებ (1907 წ.), რსდმპ ყაზანის კომიტეტის
მიერ შედგენილი 2 პროკლამაცია, გამაერთიანებელ ყრილობა-
ზე მიღებული პროგრამა და სხვ. ბრალდება წაყენებული ჰქონ-
დათ სისხლის სჯულდების 102-ე მუხლით.

ბრალდებულებს სენატში იცავდა ანდრონიკაშვილი. სხვა
მასალები ლ. ანდრონიკაშვილის არქივში არ შეგვხვდა.

გარდა ზემოაღნიშნული საქმეებისა, დანაშაულებრივ ორ-
განიზაციაში მონაწილეობის საქმეებიდან შეიძლება დავასახე-
ლოთ კიდევ შემდეგი:

დ ა ვ ი თ ტ ო ბ ა ს ს ა ქ მ ე.[2] ტობას წარდგენილი ჰქონდა
ორი მუხლი — 126-ე და 134-ე; სახელდობრ, მას ბრალად ედე-
ბოდა, რომ 1906 წელს შევიდა დანაშაულებრივ ორგანიზაცი-
აში, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლების ძალმომრეო-
ბით დამხობას, შეადგინა საბრძოლო რაზმელებისათვის მთავ-
რობის ჯარებთან ქუჩაში ბრძოლისა და ბარიკადების აღმარ-
თვის სახელმძღვანელო და ინახავდა გასავრცელებლად აკრძა-

---

[1] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—71.
[2] იხ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—31.

ლულ ლიტერატურას: 1) „მანიფესტს სრულიად რუსეთის გლეხობისადმი“ (44 ცალს), რომელსაც ხელს აწერდა სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის კომიტეტი, იმავე სათათბიროს შრომის ჯგუფის კომიტეტი, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, რსდმპ ცენტრალური კომიტეტი, სრულიად რუსეთის რკინიგზის კავშირი და სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირი; 2) „მანიფესტს არმიისა და ფლოტისადმი“, რომელიც მოუწოდებდა არმიისა და ფლოტის სამხედრო მსახურთ არ დამორჩილებოდნენ უფროსების ბრძანებას და მზად ყოფილიყვნენ სამხედრო აჯანყებისათვის.

საქმე განიხილა პეტერბურგის სასამართლო პალატის განსაკუთრებულმა საკრებულომ 1906 წლის 24 ივლისს. სასამართლომ ტობას მოუხსნა 126-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება და მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა 132-ე მუხლით.

§ 6. ბრძოლა სიტყვისა და პრესის თავისუფლებისათვის

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ თვითმპყრობელობა არა მარტო ულმობლად უსწორდებოდა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების მასობრივ ორგანიზაციებს, არა მარტო სდევნიდა რევოლუციური პარტიების საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებსაც სახრჩობელაზე ან ციმბირში საკატორღო სამუშაოზე გზავნიდა, არამედ იგი სდევნიდა ზეპირი თუ ბეჭდვითი სიტყვის ყოველგვარი, თუნდაც მცირეოდენი თავისუფლების გამოვლინებასაც, პასუხისგებაში აძლევდა ავტორებს და მიტინგებზე გამოსულ ორატორებს. მეფის მთავრობა იყენებდა სისხლის სამართლის კოდექსს, რათა პოლიტიკური ცხოვრებისათვის ჩამოეშორებინა რევოლუციურად განწყობილი ადამიანები, „გაეწმინდა“ სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა სიები, გაეძევებინა სახელმწიფო სათათბიროდან მისთვის არასასურველი წევრები და ა. შ.

ამ მიზნებისათვის საკმაოდ მოქნილი და მოხერხებული აღმოჩნდა 1903 წლის სისხლის სჯულდების 129-ე მუხლი. ეს მუხლი მძიმე დანაშაულად თვლიდა ისეთი სიტყვის საჯაროდ წარმოთქმას ან ისეთი ნაწარმოების გავრცელებას, რომელიც

მოუწოდებდა მოსახლეობას: აჯანყებისაკენ (ბ. 1). სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივი წესწყობილების დამხობისაკენ (ბ. 2). კანონის ან ხელისუფლების კანონიერი განკარგულების შეუსრულებლობისაკენ (ბ. 3) და ა. შ. პირველი ორი პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული იწვევდა ციმბირში გადასახლებას, ხოლო მესამე პუნქტით გათვალისწინებული — გამასწორებელ სახლში მოთავსებას ვადით სამ წლამდე.

ლ. ანდრონიკაშვილის პრაქტიკაში მრავალი საქმე გვხვდება, როდესაც ბრალდება 129-ე მუხლით არის წარდგენილი. ამ საქმეებს შორის შევეხებით მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის საქმეებს.

ვ ლ ა დ ი მ ე რ კ ო რ ო ლ ე ნ კ ო ს ს ა ქ მ ე.[1] 1906 წელს ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა გამოჩენილ რუს მწერალს ვლადიმერ გალაქტიონის ძე კოროლენკოს, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა ბრალდება როგორც ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვო"-ს რედაქტორს და გამომცემელს სისხლის სჯულდების 129-ე მუხლის 1 და 2 პუნქტების საფუძველზე. გარდა ამისა, მას წაყენებული ჰქონდა 125-ე მუხლის 1 პუნქტი. ეს პუნქტი ითვალისწინებდა ხელის შეწყობას საზოგადოებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს მოუწოდოს მოსახლეობას არ დაემორჩილოს კანონს ან ხელისუფლების კანონიერ გადაწყვეტილებას.[2]

საქმის გარემოება ასეთი იყო: 1905 წლის 2 დეკემბერს ზოგმა გაზეთმა გამოაქვეყნა მუშათა დეპუტატების საბჭოს, სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის, რუსეთის სდმპ ცენტრალური კომიტეტისა და საორგანიზაციო განყოფილების, ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთობლივი „მანიფესტი"[3].

იმავე დღეს მეფის ხელისუფლებამ შეწყვიტა ყველა ამ გაზეთის გამოშვება და კონფისკაცია უყო გაზეთების იმ ნომ-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—41.

[2] იხ. გაზეთი «Право», 1906 წ., 21 მაისი, № 20, სვ. 1851—1853. ამ პროცესის შესახებ გაზეთ «Право»-ში გამოქვეყნებული ანგარიში პირველად მიაკვლია ვახტანგ ყვანიამ (იხ. ვ. ყვანია, „ანდრონიკაშვილი იცავს კოროლენკოს", ჟურნ. „დროშა", 1971 წ., № 10, გვ. 16-17).

[3] ამ მანიფესტის შინაარსზე ჩვენ საუბარი გვქონდა მუშათა დეპუტატების საბჭოს პროცესის გადმოცემასთან დაკავშირებით.

რებს, სადაც მანიფესტი იყო დაბეჭდილი. მაშინ პრესის თავისუფლების დაცვის კომიტეტმა მოუწოდა ყველა ჟურნალ-გაზეთს, რომელიც ამ კომიტეტში შედიოდა, პროტესტის ნიშნად გადაებეჭდათ „მანიფესტის“ ტექსტი. მრავალმა ჟურნალ-გაზეთმა, მათ შორის „რუსკოე ბოგატსტვო“-მ, გადაბეჭდა „მანიფესტის“ ტექსტი, რომელსაც წარუმძღვარა პრესის კომიტეტის მოწოდება. ამ ღონისძიებას მოჰყვა მთელი რიგი პროცესები. პასუხისგებაში მიცემული იყვნენ გაზეთ „რუს“-ის რედაქტორი სუვორინი, გაზეთ „ნაშა ჟიზნ“-ის რედაქტორები პროფ. ხოდსკი და კოტელნიკოვი და სხვები. მათ ყველას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს. უფრო მეტიც, პროფ. ხოდსკის საქმეზე მთავრობის სენატმა 129-ე მუხლს ასეთი განმარტება მისცა: ამ მუხლის შესაფარდებლად საკმარისია ისეთი დოკუმენტის გამოქვეყნება, რომელიც მოუწოდებს ხალხს არ დაემორჩილოს მთავრობას და ხელისუფლების განკარგულებას, თუნდაც თვით გაზეთის რედაქტორს არ ჰქონდეს განზრახვა მოუწოდოს ხალხს აჯანყებასა და დაუმორჩილებლობისაკენ და მას ამოძრავებდეს მხოლოდ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების სურვილი. ლიტერატურულ წრეებში და საერთოდ მთელს მოწინავე საზოგადოებაში ამ პროცესებმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. ჯერ არც კი შემშრალიყო მელანი 17 ოქტომბრის მანიფესტის ტექსტზე, რომელიც სიტყვის თავისუფლებას პირდებოდა ხალხს, ჯერ კიდევ ყველას ახსოვდა ვიტეს სიტყვები პრესის მუშაკების მისამართით, რომ ცენზურა, როგორც დაწესებულება, თუმცა იარსებებს. მაგრამ ამიერიდან უმოქმედო იქნებაო, და აი, ხალხს აპატიმრებენ და სჯიან გაზეთებში ინფორმაციის მოთავსებისათვის.[1]

რუსეთის საზოგადოება განსაკუთრებით აღშფოთებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ეხლა საბრალდებო სკამზე იჯდა რუსეთის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი, ტურგენევის „მემკვიდრე“, როგორც მას უწოდებდნენ, ვლადიმერ გალაქტიონის ძე კოროლენკო.

საქმე განიხილა 1906 წლის 15 მაისს პეტერბურგის სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ წოდებრივ წარმო-

---

[1] იხ. გაზ. «Право», 1906 წლის 12 მარტი, № 10, სვ. 946—948.

მადგენელთა მონაწილეობით. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის არქივში დაცული ჩანაწერებით და გაზეთ „პრავოში“ მოთავსებული მოკლე ანგარიშით შეიძლება აღვადგინოთ ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის შინაარსი (რა თქმა უნდა არა მთლიანად, ვინაიდან საქმეში დაცულია მხოლოდ სიტყვის ფრაგმენტები, და ისიც არა ზუსტად იმ სახით, როგორც წარმოთქმული იყო სასამართლოს სხდომაზე).

ლ. ანდრონიკაშვილმა თავისი გამოსვლა იმით დაიწყო, რომ კოროლენკოს ჟურნალში მოთავსებული მემარცხენე პარტიების „მანიფესტი“ ნამდვილადაც რომ შეიცავდეს მოწოდებას აჯანყებისა და დაუმორჩილებლობისაკენ, მისი დაბეჭდვის კვალიფიკაცია 129-ე მუხლით მაინც არ შეიძლება, ვინაიდან ეს მუხლი, თვით მის შემდგენთა აზრით, გულისხმობს სპეციალურ მიზანს — მოუწოდოს ხალხს აჯანყებისაკენ. თავისი აზრის დასამტკიცებლად ლ. ანდრონიკაშვილმა მოიყვანა 1903 წლის სისხლის სჯულდების პროექტის სარედაქციო კომისიის განმარტება, რომლის თანახმად „მოწოდება“ ნიშნავს განზრახ მოქმედებას; განზრახვა მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ აღუძრას სხვებს აჯანყების, ხელისუფლებისათვის დაუმორჩილებლობის სურვილი. „თუ ასეთი განზრახვა არ არსებობს,— მოჰყავს ლ. ანდრონიკაშვილს ციტატა სარედაქციო კომისიის განმარტებიდან, — არ არსებობს არც დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც ამ მუხლის შინაარსს შეადგენს“.[1] ასე ესმით სისხლის სჯულდების შემდგენთ 129-ე მუხლის შინაარსი. და სხვანაირად იგი არც შეიძლება იქნეს გაგებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორიკოსი, რომელიც ჩვენი ისტორიის ამ ბრწყინვალე დროის გასაშუქებლად მოიყვანდა თავის წიგნში „მანიფესტის“ შინაარსს, უნდა დაგვესაჯა 129-ე მუხლით, თუმცა მისი მიზანი იქნებოდა არა აჯანყებისაკენ მოწოდება, არამედ ისტორიული ფაქტების ობიექტურად გადმოცემა.

თუ სპეციალური განზრახვა, რისთვისაც გამოქვეყნდა ესა თუ ის დოკუმენტი, — განაგრძობს ლ. ანდრონიკაშვილი, — 129-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ალფა და

---

[1] შეადარეთ Уголовное уложение. Объяснения к проекту редакционной комиссии, т II. с-П., 1895, стр. 190.

ომეგაა, მაშინ ვლადიმერ კოროლენკო არ შეიძლება დაისაჯოს ამ მუხლით, ვინაიდან „მანიფესტის“ გამოქვეყნებას კოროლენკოს ჟურნალმა წარუმძღვარა ცნობა, რომ „მანიფესტი“ ქვეყნდება ბეჭდვითი სიტყვის შეზღუდვის პროტესტის ნიშნად. „ჩვენი მიზანი სხვა იყო და ესეც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი გმირობაა: ჩვენ პროტესტს ვაცხადებდით ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების უხეშად გათელვის წინააღმდეგ. ამისათვის ჩვენ მზადა ვართ პასუხი ვაგოთ. მაგრამ შეუძლებელია და დიდი უსამართლობა იქნებოდა პასუხი გვეგო იმისათვის, რაშიც ბრალი არ მიგვიძღვის“. შემდეგ ანდრონიკაშვილი ჩერდება სენატის დადგენილებაზე ხოდსკის საქმის გამო, სადაც აღნიშნული იყო, რომ 129-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის არ არის საჭირო განზრახვა, და მიუთითებს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს დადგენილება ნაკარნახევი იყო „უმაღლესი“ მოსაზრებებით და ამჟამად მან უკვე დაკარგა თავისი მნიშვნელობა“.

ანდრონიკაშვილის მეორე თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ თვით „მანიფესტის“ შინაარსშიც არ შეიძლება დავინახოთ დანაშაულის შემადგენლობა, და საერთოდ 129-ე მუხლი ანაქრონიზმს წარმოადგენს, რის გამოც დღეს იგი უნდა გაუქმდეს. განა შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს „მანიფესტის“ მოწოდება არ გადაუხადონ ხელისუფლებას გადასახადები?

„როდესაც ბიუროკრატია ყველაფერია, ხოლო ხალხი — მხოლოდ ქვეშევრდომი და პოლიტიკურად უუფლებო მონა, მაშინ გადასახადის გადაუხდელობა და ამისკენ მოწოდება მართლაც დანაშაულად ითვლება. მაგრამ იმ მომენტიდან, როცა 17 ოქტომბრის მანიფესტით პოლიტიკური თავისუფლება გამოცხადდა, ხელისუფლების ცნებამ სხვა შინაარსი მიიღო. ხალხი დღეს აღარ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ მოვალეობის სუბიექტად, იგი უფლებათა სუბიექტიცაა, ხელისუფლებას კი სამსახურებრივი მნიშვნელობა აქვს. ასეთ პირობებში მოწოდება გადასახადების გადაუხდელობისაკენ დანაშაული კი არ არის, არამედ ბრძოლის საშუალებაა ხელისუფლებასთან, რომელსაც ისევ სურს აბსოლუტად გადაიქცეს“.

დაბოლოს ანდრონიკაშვილი გადადის ვლადიმერ გალაქტიონის ძე კოროლენკოს პიროვნებაზე და ახასიათებს მას რო-

გორც ადამიანს, რომელმაც ხელი შეუწყო რუსეთის ხალხის გამოღვიძებას, აღადგინა მასში ადამიანური ღირსება და სიამაყე.

„გეფიცებით, ბ-ნო მოსამართლენო, — თქვა მან, — მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ასეთი სირცხვილი არ მიგრძვნია: მე ვზივარ იმ ადამიანის წინ, რომელიც მთელი თავისი არსებით — ხასიათით, წერისა და აზროვნების მანერით, ცხოვრების წესით, გარეგნობითაც კი განასახიერებს ყოველსავე საუკეთესოს, რაც რუს ადამიანს ახასიათებს. და ეს ადამიანი, ჩვენი დროის უდიდესი ჰუმანისტი, ზის ჩემს უკან საბრალდებო სკამზე.

ბ-ნო მოსამართლენო! იმ ღირსშესანიშნავ დღეს, როდესაც პირველი სათათბიროს დეპუტატები შედიოდნენ სახელმწიფო სათათბიროს შენობაში, მათ შორის ვლადიმერ გალაქტიონის ძე კოროლენკოც იყო. მის დანახვისთანავე ხალხმა შეყვირა: „გაუმარჯოს ხალხის წარმომადგენელს კოროლენკოს“. ის მიდიოდა მხნედ, მის თვალებში და მთელ ფიგურაში იგრძნობოდა იმედი, რწმენა ნათელი მომავლისა...

... მართლაც რომ მოეწოდებინა ვლ. კოროლენკოს ხალხი ხელისუფლების დამხობისაკენ, თქვენ მაშინაც კი არ გექნებოდათ მისი დასჯის უფლება. მას იმდენი ტანჯვა მიაყენა ამ ხელისუფლებამ და იმდენი აქვს განცდილი იმ ტანჯვისაგან, რასაც ხელისუფლება ხალხს აყენებდა, რომ თქვენ ზნეობრივი უფლება არა გაქვთ კიდევ მიაყენოთ მას ტკივილი...

ვლ. კოროლენკოს აქვს ერთი პატარა მოთხრობა, სადაც შეუდარებელი ოსტატობით აგვიწერს ერთი უბრალო საშუალო ადამიანის—კრუგლიკოვის ცხოვრებას[1], სიყვარულმა რომ მკვლელობის მცდელობამდე მიიყვანა. და აი, იგი აღმოჩნდა მდინარე ლენას მუდამ მჭმუნვარე ნაპირებზე ერთი პატარა სადგურის უფროსად. ერთხელ მოთხრობის ავტორს მოუხდა ამ ადგილას ყოფნა. სადგურის უფროსმა გული გაუხსნა, უამბო თავისი წარსული, თავისი განცდები და ეხლანდელი სავალალო მდგომარეობა. უეცრად ამ საუბრის დროს ოთახში შე-

---

[1] ლ. ანდრონიკაშვილს მხედველობაში აქვს კოროლენკოს მოთხრობა „ატ-დაეანი“.

მოვარდა თავხედი კაზაკი ხორუნჟი. მას ეჩქარება, სასწრაფოდ ითხოვს ცხენებს. მშვიდად წამოდგება სადგურის უფროსი, იგი მზად არის ემსახუროს შემოსულს, მაგრამ არსებული წესის თანახმად მოითხოვს სამგზავრო მოწმობას.[1] ხორონჟი გაცოფებულია ამ კანონიერი მოთხოვნით, მხეცივით ეცემა მოხუცებულს და ისეთ სილას გააწნავს, რომ საცოდავი დაეცემა. და შემდეგ კოროლენკო აღწერს: „რამდენიმე წუთის შემდეგ კრუგლიკოვი წამოდგა და მისი მზერა უმალ ჩემსას შეხვდა. მე უნებურად თვალი ავარიდე. კრუგლიკოვის გამოხედვაში რაღაც ისეთი იყო, რამაც გული მატკინა, — ასეთი თვალებით იცქირებიან მხოლოდ ჩვენთან, რუსეთში". ანდრონიკაშვილი განაგრძობს: „როცა მე ვკითხულობდი ამ მზერაზე, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ რუსეთში, წიგნი ხელიდან გამივარდა. ჩავფიქრდი. რა არაადამიანური, განუსაზღვრელი სევდა უნდა განეცადა ვლადიმერ გალაქტიონის ძე კოროლენკოს, როდესაც იგი ხედავდა ასეთ თვალებს, რომლითაც იმზირება მილიონი ადამიანი რუსეთში...

... და დღეს, როდესაც ხეიბრები ფეხზე წამოდგნენ, როდესაც ლაღად მოედინება სახალხო მოძრაობის გაზაფხულის წყლები, დღეს, როცა დაიბადა ახალი, განახლებული ადამიანი, ადამიანი, რომელმაც ხმა აიმაღლა და თამამად ლაპარაკობს, დღეს შეუძლებელია საპყრობილეში ჩავაგდოთ ის, ვინც ასწავლა რუსს — იყოს ამაყი...

... საპყრობილეში კი არ უნდა ჩავაგდოთ ვლადიმერ გალაქტიონის ძე კოროლენკო, არამედ მდაბლად თავი უნდა დავხაროთ მის წინაშე".

სასამართლომ ვლადიმერ კოროლენკო გაამართლა, რაც იმ დროისათვის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

ს ტ რ უ ვ ე ს ს ა ქ მ ე. პრინციპულ გამარჯვებას მიაღწია ლ. ანდრონიკაშვილმა სტრუვეს საქმეშიც, რომელიც აგრეთვე 1906 წელს (15 მაისს) განიხილა პეტერბურგის სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ. ბრალდება სტრუვეს იმავე

---

[1] ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მგზავრის უფლებას ისარგებლოს განსაზღვრული რაოდენობის საფოსტო ცხენებით.

129-ე მუხლით ჰქონდა წარდგენილი. გაზეთ «Право»-ს მოჰყავს ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის ფრაგმენტი, რომელშიც ანდრონიკაშვილი სასტიკად აკრიტიკებს და დასცინის ბრალდების წარმომადგენლებს. „აქამდე ჩვენ ვფიქრობდით, — უთქვამს ლ. ანდრონიკაშვილს, — რომ პროკურორის სავარძელი ავალებს ბრალმდებელს არა მარტო წარადგინოს ბრალდება და მხარი დაუჭიროს მას, არამედ დაასაბუთოს კიდეც იგი. პროკურორი, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობს, რადგან იგი იმას დასჯერდა, რომ მექანიკურად მიუთითა ინკრიმინირებულ საგაზეთო წერილებზე და კანონის მუხლებზე ისე, რომ ისინი ერთიერთმანეთისათვის არ შეუდარებია. მაგრამ თუ პროკურორი წმინდა მექანიკურად ამბობს „დიახ, დამნაშავეა“, ჩვენც მექანიკურად შეგვეძლო გვეპასუხა — „არა, არ არის დამნაშავე“. პროკურორმა დანაშაულის შემადგენლობის ერთადერთ ნიშანზე მიუთითა, — იმაზე, რომ წერილში მთავრობას ხალხის მტერს უწოდებენ, მაგრამ მთავრობა ხომ უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების უზენაეს წყაროდ! ხოლო, თუ მინისტრ დურნოვს ხალხის მტერს ვუწოდებთ, ეს არ არის დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სჯულდების რომელიმე მუხლით“[1].

სასამართლომ განსასჯელი გაამართლა.[2]

ს ო ლ ო მ კ ო ს ს ა ქ მ ე.[3] შემდეგი მნიშვნელოვანი საქმე, რომელზედაც ლ. ანდრონიკაშვილი გამოვიდა, ეს იყო პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრის, შრომის პარტიის წარმომადგენლის, ილარიონ ეგორის ძე სოლომკოს საქმე. სოლომკოს ბრალდებოდა, რომ გაზეთ „მისლ“-ში, რომლის რედაქტორი და გამომცემელი იგი იყო, სისტემატურად იბეჭდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო წერილები. მაგალითად, 1906 წლის 21 ივნისის ნომერში დაბეჭდილ ანონიმურ წერილში ნათქვამი იყო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი სტოლიპინი მთელს ქვეყანაში თესავს ნგრევის, ძარცვისა და მკვლელობის თესლს; ამავე ნომერში გლეხობას მოუწოდებენ მჭიდრო ორ-

---

[1] იხ. გაზეთი «Право», 1906 წ., 21 მაისი, № 20, სვ. 1856—1858

[2] ი ბ ი ვ ე, სვ. 1859.

[3] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—34.

განიზებულოპისაკენ, მოითხოვენ გლეხთა დეპუტატების საბ-ჭოების შექმნას; აქვე მოთავსებულია წერილი, რომელშიც ჯარისკაცების სამხედრო აღზრდა დახასიათებულია როგორც „ცოცხალი ადამიანის გარდაქმნა ყურმოჭრილ მონად. მანქა-ნად, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს ვინმე სივერსის, მინის, რიმანის ან „ჭეშმარიტი რუსი ხალხის“ სხვა წარმომადგენლის ბრძანებას — ესროლოს სამშობლოს საუკეთესო შვილებს და ა. შ. 1906 წლის 22 ივნისის ნომერში მოთავსებული იყო უსა-ხელო წერილი ბელოსტოკის რბევის შესახებ, რომელშიც ანო-ნიმი ავტორი ამტკიცებდა, რომ მთავრობა და ადგილობრივი ადმინისტრაცია თვით არიან დამნაშაეენი ებრაელთა რბევის მოწყობაში და ა. შ. აღნიშნულის გამო სოლომკოს წარდგენი-ლი ჰქონდა ბრალდება 1903 წლის სისხლის სჯულდების 129-ე მუხლით. საქმე განიხილა პეტერბურგის სასამართლო პალა-ტამ წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით 1907 წლის 12 ნოემბერს. ლ. ანდრონიკაშვილთან ერთად, დამცველებად გამოდიოდნენ ნაფიცი ვექილები ბრანსონი და ვოლკენშტეინი. როგორც სასამართლო სხდომის ოქმიდან ჩანს, დამცველები ცდილობდნენ აერიდებინათ განსასჯელისათვის ბრალდება სისხლის სჯულდების 129-ე მუხლით და შეეცვალათ ეს მუხლი სასჯელთა სჯულდების 1034-ე მუხლით. ეს იმისთვის იყო სა-ჭირო, რომ ამ უკანასკნელი მუხლით წაყენებული ბრალდების წინააღმდეგ თავდაცვა შეიძლებოდა გაზეთში მოთავსებული ცნობების ჭეშმარიტების მტკიცებით. რითი დამთავრდა ეს სა-ინტერესო საქმე, ჩვენთვის, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის. სასამართლო სხდომის ოქმიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ სასა-მართლომ არ გაიზიარა დამცველთა მოთხოვნა და უფლება არ მისცა დამცველებს წარმოედგინათ გაზეთში მოთავსებული ცნობების ჭეშმარიტების მტკიცებულებანი.

ყ ო ს ო რ ო ტ ო ვ ი ს ს ა ქ მ ე.[1] სისხლის სჯულდების 129-ე მუხლი მიზნად ისახავდა ბრძოლას არა მარტო პეკდვითი სიტყ-ვის თავისუფლების, არამედ აგრეთვე ზეპირი სიტყვის თავი-სუფლების წინააღმდეგაც. რეაქციის პერიოდში მეფის სასა-მართლოები ხშირად უყენებდნენ ამ მუხლს კრებებზე და მი-

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—35.

ტინგებზე გამოსულ პოლიტიკურ ორატორებს, რომლებიც გაბედავდნენ თავიანთი გამოსვლის დროს მეფის ხელისუფლებისა და მისი აგენტების შავბნელი საქმიანობის მხილებას.

ამ კატეგორიის საქმეებიდან, რომლებშიც ლ. ანდრონიკაშვილი ხშირად იღებდა მონაწილეობას, ისტორიული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სათათბიროს წევრის სოციალ-დემოკრატ კოსოროტოვის საქმეს. კოსოროტოვს ბრალად ედებოდა, რომ 1907 წლის 23 ოქტომბერს სამარა-ზლოტოუსტოვის რკინიგზის სადგურ ბერეზანზე მუშების წინაშე წარმოთქვა სიტყვა. რომელიც მოუწოდებდა მათ არ დამორჩილებოდნენ კანონს და ხელისუფლების კანონიერ წარმომადგენლებს. კოსოროტოვს წარდგენილი ჰქონდა სისხლის სჯულდების 129-ე მუხლის მესამე ნაწილი. ყაზანის სასამართლო პალატამ მას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და 11 თვის პატიმრობა მიუსაჯა. ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა კოსოროტოვს მეორე ინსტანციაში. მის არქივში შენახულია დაცვითი სიტყვის ფრაგმენტები, საიდანაც ჩანს დაცვის ძირითადი პოზიცია.

განსაკუთრებული საკრებულოს განაჩენით კანონისა და კანონიერი განკარგულების დაუმორჩილებლად მიჩნეული იყო კოსოროტოვის შემდეგი სიტყვები: 1) „უკვე დროა, შეიცვალოს მთავრობა“; 2) „ხალხს ყოველი მოხელე (ჩინოვნიკი) თავის მტრად მიაჩნია“; 3) „თავისი ინტერესების დასაცავად საჭიროა ხალხი გაერთიანდეს და ერთსულოვნად იმოქმედოს“; 4) „ხელისუფლებას არ უნდა ვენდოთ“; 5) „ხოლო, თუ მესამე სათათბიროს დეპუტატებს იგივე ბედი ეწიათ, რაც მეორე სათათბიროს დეპუტატებს, დაიფიცეთ, რომ ერთსულოვნად დაიცავთ მათ!“

ლ. ანდრონიკაშვილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ არც ერთი ეს გამოთქმა არ არის დანაშაულებრივი და ამიტომ კოსოროტოვის სიტყვა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც დანაშაული, გათვალისწინებული 129-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

მისი პირველი თეზისია: კანონის ურჩობა ან კანონიერი განკარგულების შეუსრულებლობა, რომელსაც ითვალისწინებს 129-ე მუხლის მე-3 პუნქტი, არის მაშინ, როდესაც არსებობს კანონი ან კანონიერი განკარგულება, რომელსაც არ ემორჩი-

ლებიან. განაჩენში მითითებული არ არის, თუ რა კანონის ან კანონიერი განკარგულების შეუსრულებლობისაკენ მოუწოდებდა კოსოროტოვი. ასეთი კანონი არათუ მითითებული არ არის, არამედ არც არსებობს. კოსოროტოვისათვის შეიძლებოდა ბრალი დაედოთ, რომ არსებობდეს, მაგალითად, ასეთი კანონები ან კანონიერი განკარგულებანი: 1) მთავრობა, ე. ი. დაქვემდებარებული მმართველობის ორგანო, უცვლელია. მაგრამ ეს ხომ ასე არ არის. მთავრობა შეიძლება შეიცვალოს; 2) ყოველი ჩინოვნიკი ხალხის მეგობარია, — მხოლოდ ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში შეიძლებოდა მართლსაწინააღმდეგოდ ჩაგვეთვალა კოსოროტოვის სიტყვები, რომ ყოველ მოხელეს ჩვენს მტრად უნდა ვთვლიდეთ; 3) რაიმე მიზნისათვის გაერთიანება აკრძალულია. — ასეთი წესიც არ არსებობს. 4) ენდეთ ჩინოვნიკებს უკრიტიკოდ. ასეთი რამეც არ არის. მაშასადამე, კოსოროტოვის ბრალდების პირველი ოთხი პუნქტი სავსებით უსაფუძვლოა. დარჩა პუნქტი — „დაიფიცეთ, რომ დაიცავთ სახელმწიფო სათათბიროს, თუ მასაც ის ბედი ეწია, რაც მეორე სათათბიროს". ეს სიტყვებიც არ შეიძლება ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან დღეს კანონი მესამე სათათბიროს დაშლის შესახებ გამოცემული არ არის და ამიტომ არ შეიძლება კანონის შეუსრულებლობად ჩაითვალოს არარსებული და თანაც უაზრო კანონის დაუმორჩილებლობა.

„მესამე სათათბირო ეს-ეს არის იკრიბება, ჯერ-ჯერობით მის დაშლაზე ლაპარაკი შეუძლებელია. კოსოროტოვი მოუწოდებს ამხანაგებს მხარი დაუჭირონ დეპუტატებს, თუ მოინდომეს მესამე სათათბიროს დაშლა. და ეს სიტყვები საგანგებო საკრებულომ დანაშაულად ჩათვალა! განაჩენი კოსოროტოვის საქმეზე ბევრის მთქმელია! 129-ე მუხლით გამოტანილმა მრავალმა სასტიკმა განაჩენმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენ უფლებას არ გვაძლევენ გავილაშქროთ არსებული კანონებისა და განკარგულებების წინააღმდეგ. ამიტომ ხალხს ის-ღა დარჩენია— წარმოიდგინოს შორეული წარსულის სურათები და აღშფოთება გამოთქვას მათ მიმართ. ყაზანის სასამართლო პალატის განსაკუთრებულმა საკრებულომ ხელყო ადამიანის უფლება საკუთარი გონებით წარმოსახულზეც კი. ამით მან შავი ფარდა

ჩამოაფარა განმარტოებული საკნის იმ ერთადერთ პატარა სარკმელს, საიდანაც ადამიანს კიდევ შეეძლო გამოეხედა. სენატი ვალდებულია ის მაინც გააკეთოს, რომ აბსოლუტურად არ დაახშოს ეს ისედაც ბნელი საკანი. იგი ვალდებულია გააუქმოს სასამართლო პალატის განაჩენი და ახადოს განმარტოებული საკნის ამ პატარა სარკმელს შავი ფარდა".[1] როგორც ჩანს, სენატმა ეს „ვალდებულება" ვერ იკისრა და განაჩენი ძალაში დატოვა.

§ 7. საქმეები აკრძალული ლიტერატურის შენახვა-გავრცელების შესახებ

მეფის რუსეთში ადამიანის უფლებები იმდენად იყო შეზღუდული, რომ არათუ მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა, არამედ აკრძალული ლიტერატურის შენახვაც კი გავრცელების მიზნით მძიმე დანაშაულად ითვლებოდა. ამისათვის მეფის სასამართლო იყენებდა სისხლის სჯულდების 132-ე მუხლს.

კ ურ ი ც ი ნ ი ს ს ა ქ მ ე.[2] იმ საქმეთა შორის, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდება ლ. ანდრონიკაშვილის არქივში, ყურადღებას იპყრობს ინჟინერ-არქიტექტორის კურიცინის საქმე.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ქ. ველიკი უსტიუგში 1910 წლის 4 თებერვალს და 17 მარტს გაჩხრიკეს არქიტექტორ კურიცინის ბინა და მის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს აკრძალული წიგნები. ამ წიგნებს შორის იყო: ორი ეგზემპლარი ბროშურისა „მუშათა პარტიის აგრარული პოლიტიკის გადასინჯვა" («Пересмотр аграрной политики рабочей партии»)[3]; ორი ეგზემპლარი ლევ ტოლსტოის ბროშურისა „ნუთუ ასეა საჭირო", რომელიც ვითომდა მოუწოდებდა ხალხს არსებული წესწყობილების დამხობისა და მის მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობისაკენ; ბროშურა — „როგორ უნ-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—35.

[2] ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი. 11—67.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 10, გვ. 185—223.

და მიიღონ მიწა გლეხებმა“, სადაც ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოითხოვს საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო და კერძო მემამულეებრ მიწების უფასოდ ჩამორთმევას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გადაცემას: ორი ეგზემპლარი კრებულისა „ისკრა“; ორი ეგზემპლარი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამისა და წესდებისა. სულ კურიცინის ბინიდან პოლიციამ წაიღო 1 500 წიგნი. ზემოაღნიშნულის გამო კურიცინს ბრალად ედებოდა, რომ იგი ინახავდა გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ ისეთ ლიტერატურას, რომელიც აშკარად მოუწოდებდა მოსახლეობას თვითმპყრობელობის დამხობისაკენ, კლასთა ბრძოლისაკენ, კერძო საკუთრების სოციალიზაციისაკენ, სამხედრო ბეგარის შეუსრულებლობისაკენ და ა. შ. ბრალდება წარდგენილი იყო 132-ე მუხლის მე-2 ნაწილით. საბრალდებო დასკვნა დათარიღებულია 1910 წლის 20 ნოემბრით. საქმე გაარჩია მოსკოვის სასამართლო პალატამ 1911 წლის 22 მაისს ველიკი უსტიუგში.

ლ. ანდრონიკაშვილის დაცვითი სიტყვის ფრაგმენტებიდან და საკასაციო საჩივრებიდან ჩანს დაცვის პოზიცია ამ საქმეზე. ანდრონიკაშვილი ამტკიცებდა, რომ ისეთ უზარმაზარ ბიბლიოთეკაში, როგორიც იყო კურიცინის ბიბლიოთეკა (10 000 ეგზემპლარზე მეტი), შეიძლება იყოს ორი და მეტიც ეგზემპლარი ამა თუ იმ წიგნისა და ბროშურისა, მაგრამ ეს სულაც არ ამტკიცებს ამ წიგნებისა და ბროშურების გავრცელების მიზანს. გარდა ამისა, კურიცინს შეიძლება არც სცოდნოდა, რომ ესა თუ ის წიგნი, რომელიც მან შეიძინა, აკრძალულია, მით უმეტეს, რომ გაჩხრეკის მომენტისათვის ბეჭდვითი საქმის კომიტეტს არ ჰქონდა გამოცემული აკრძალული წიგნების ალფაბეტური სია. დაბოლოს, ანდრონიკაშვილი მიუთითებს იმ დიდად სასარგებლო საქმეზე, რომელიც გააკეთა კურიცინმა უძვირფასესი ბიბლიოთეკის შექმნით. 30 წლის განმავლობაში იგი აგროვებდა წიგნებს არქიტექტურაში, ისტორიაში, ფილოსოფიაში, საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში და ა. შ. ამ უნიკალურ ბიბლიოთეკაში იყო წიგნები, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. კურიცინის ბიბლიოთეკა საუკეთესოა მთელს ველიკი უსტიუგში და, როგორც ჩანს, მომა-

ვალში მას სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძენს. ქალაქი მადლობელი უნდა იყოს კურიცინისა ასეთი განძისათვის.

სასამართლომ კურიცინი მაინც დამნაშავედ ცნო აკრძალული ლიტერატურის შენახვაში გავრცელების მიზნით, მაგრამ მას შედარებით მსუბუქი სასჯელი — ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.[1]

§ 8. ბრძოლა რწმენის თავისუფლებისათვის

თვითმპყრობელობა სასტიკად ებრძოდა არა მარტო რევოლუციური პოლიტიკური და სოციალური იდეების გავრცელებას, არამედ აგრეთვე რელიგიურ თავისუფლებასაც.

მეფის სასამართლო სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა ე. წ. რელიგიურ დანაშაულთა წინააღმდეგ. ამ მხრივ მან თვით ლევ ტოლსტოიც კი არ დაინდო. მართალია, მეფის ხელისუფლებამ ვერ გაბედა უშუალოდ ლევ ტოლსტოი მიეცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, მაგრამ სამაგიეროდ სდევნიდა და სჯიდა ტოლსტოის გამომცემლებს და იმ ჟურნალების რედაქტორებს, რომლებიც ტოლსტოის წერილებს ბეჭდავდნენ.

ბ ი ტ ნ ე რ ი ს ს ა ქ მ ე.[2] ამ კატეგორიის პირველი საქმე, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა, იყო ჟურნალ „ნედელია"-ს რედაქტორის—ბიტნერის საქმე. პირველ ინსტანციაში ბიტნერს იცავდა ნაფიცი ვექილი ვოლკენშტეინი, ხოლო ლ. ანდრონიკაშვილი, თვით ბიტნერისა და ვოლკენშტეინის თხოვნით, სენატში გამოვიდა.

საქმის გარემოებები ასეთი იყო: 1906 წლის 22 ივლისს ჟურნალ „ნედელია"-ში დაიბეჭდა ლევ ტოლსტოის ორი ნაწარმოები: „რა არის რელიგია და რაში მდგომარეობს მისი არსი" და „საუკუნის დასასრული". პირველ ნაწარმოებში ლევ ტოლსტოი წერდა, რომ არც ერთ რელიგიას არასდროს არ უქადაგებია გონებასთან და ადამიანთა ცოდნასთან ესოდენ შეუ-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—67.

[2] ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—40.

თავსებელი და ესოდენ არაზნეობრივი დებულებანი, როგორსაც ქადაგებს ქრისტიანული ეკლესია. რომ არაფერი ითქვას ისეთ აბდაუბდაზე, როგორიც არის სინათლის შექმნა მზეზე ადრე, ქვეყნიერების შექმნა 6000 წლის წინათ, ყველა ცხოველის მოთავსება ნოეს კიდობანში ან სხვადასხვაგვარ უზნეო სისაძაგლეზე, როგორიც არის ღმერთის ბრძანებით ბავშვებისა და მთელი ხალხების ამოჟლეტა, რომ არაფერი ითქვას იმ უაზრო „საიდუმლოებაზე", რომელზედაც ჯერ კიდევ ვოლტერი ამბობდა, რომ იყო და არის რელიგიური მოძღვრებები მაგრამ ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი, რომლისთვისაც მთავარი რელიგიური აქტი საკუთარი ღმერთის შექმა ყოფილიყოს, რა შეიძლება იყოს იმაზე მეტად უაზრო, რომ ღვთისმშობელი დედაც არის და ქალწულიც, რომ ცა გაიხსნა და იქიდან გაისმა ხმა, რომ ქრისტე აფრინდა და ზის სადღაც იქ, მამა-ღმერთის მარჯვნივ, რომ ღმერთი ერთია და ამავე დროს სამია... რა შეიძლება იყოს უფრო უზნეო, ვიდრე ის საშინელი მოძღვრება, რომლის მიხედვით ღმერთი, ბოროტი და შურისმგებელი, სჯის ყველა ადამიანს ადამის ცოდვისათვის და ა. შ.

მეორე წერილში დანაშაულად ჩათვალეს ტოლსტოის სიტყვები, რომ რუსეთის მთავრობამ, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, ჩაბა თავისი ხალხი უაზრო ომში, რომელსაც მხოლოდ მავნე შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა რუსი ხალხისათვის. დაიღუპა ასიათასობით ადამიანი, დაიღუპა — იმათთვის, ვისაც ამითი თავი მოჰქონდა, — რუსეთის დიდება. ტოლსტოი წერდა: „რუსეთის ხალხის უმრავლესობა ხედავს, რომ ყველა იმ გაჭირვების მიზეზი, რასაც იგი განიცდის, ხელისუფლებისადმი მორჩილებაა და რუს ხალხს ორში მხოლოდ ერთი რამ დარჩენია: ან უარი თქვას იმაზე, რომ იყოს გონიერი და თავისუფალი, ან არ დაემორჩილოს სახელმწიფოს. საჭიროა ადამიანებმა გაიგონ..., რომ ნამდვილი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მათ თავი უნდა გაითავისუფლონ სახელმწიფოს ცრურწმენისაგან და სხვა ადამიანებისადმი დანაშაულებრივი მორჩილებისაგან, რაც სახელმწიფოდან მომდინარეობს".

ვ. ბიტნერს ამ წერილების დაბეჭდვისათვის წარდგენილი ჰქონდა 1903 წლის სისხლის სჯულდების ორი მუხლი: 73-ე

მუხლი. რომელიც ითვალისწინებდა ღვთისგმობას, და ჩვენთვის უკვე ნაცნობი, ყბადაღებული 129-ე მუხლის მესამე პუნქტი (მოწოდება ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ).

საქმე განიხილა პეტერბურგის სასამართლო პალატის განსაკუთრებულმა საკრებულომ წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით 1907 წლის 13 თებერვალს, გაამართლა ბიტნერი ღვთისმგმობელ და მთავრობის საწინააღმდეგო დანაშაულთა განზრახ ჩადენის ბრალდებაში, მაგრამ დამნაშავედ სცნო იგი ამ ნაწარმოებთა წინდაუხედავად დაბეჭდვაში, რის გამოც პერიოდულ გამოცემათა შესახებ არსებული დროებითი წესების დარღვევისათვის მიუსაჯა ჯარიმა 500 მანეთის რაოდენობით.

ბიტნერმა ეს განაჩენი სენატში გაასაჩივრა.

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში დაცულია ბიტნერის საქმეზე წარმოთქმული სიტყვის ფრაგმენტები, საიდანაც ჩანს, თუ როგორ იბრძოდა იგი რწმენისა და სიტყვის თავისუფლებისათვის.

მოგვყავს ცოტაოდენი შემოკლებით ამ სიტყვის შინაარსი.

„ბ-ნო სენატორებო!

ვიდრე ცენზურა გაუქმდებოდა, ის საკითხი, მიიღებს თუ არა რუსი საზოგადოება ტოლსტოის ნაწარმოებთა სრულ კრებულს, ცენზურაზე იყო დამოკიდებული. ხოლო ცენზურის გაუქმების შემდეგ ამ უდიდესი მსოფლიო მწერლის სრული კრებულის გამოცემის საკითხის გადაჭრა მთლიანად სასამართლო დაწესებულებათა ხელშია“.

ანდრონიკაშვილი გულისტკივილით მიუთითებს, რომ უცხოელებს აქვთ შესაძლებლობა მთლიანად გაეცნონ ტოლსტოის ნაწარმოებებს, რომ ასეთი შესაძლებლობა ისეთ ქვეყნებსაც კი აქვთ, როგორიცაა გერმანია, სადაც, რუსეთის მსგავსად, სისხლის სამართლის კოდექსი რელიგიურ დანაშაულად თვლის ღვთისგმობას, ხოლო პოლიტიკურ დანაშაულად — მოწოდებას ხელისუფლების მოთხოვნის შეუსრულებლობისაკენ. მხოლოდ რუსები არიან მოკლებულნი ამ შესაძლებლობას.

ანდრონიკაშვილი ახასიათებს ტოლსტოის არა მარტო როგორც მწერალს, არამედ აგრეთვე როგორც ფილოსოფოსს და აღნიშნავს, რომ დღეს ვერც ერთი სერიოზული გამოკვლევა

ფილოსოფიის ისტორიაში გვერდს ვერ აუხვევს ლევ ტოლ-სტოის მაგალითისათვის მას მოჰყავს კუნო ფიშერის ახალი ფილოსოფიის ისტორია, სადაც ფიშერმა ძალიან დიდი სიღრმით და სიფაქიზით დაახასიათა ტოლსტოის თვითმყოფადი პიროვნება.

„პეტერბურგის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ბიტნერი ცნობილია დამნაშავედ იმაში, რომ მან გაუფრთხილებლობით გამოაქვეყნა ლევ ტოლსტოის დანაშაულებრივი შინაარსის წერილები, იმის მომასწავებელია, რომ ამ საქვეყნოდ აღიარებული მწერლის ნაწარმოებთა სრული კრებული ჩვენ არასდროს არ გვექნება“.

ამის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი გადადის საქმის იურიდიულ მხარეზე და ასაბუთებს, რომ განაჩენი უნდა იქნეს გაუქმებული, რადგან ბიტნერის მოქმედებაში საერთოდ არ არის არავითარი დანაშაულის შემადგენლობა, მით უმეტეს ღვთისგმობის შემადგენლობა.

ვიდრე კანონის (73-ე მუხლის) იურიდიულ ანალიზზე გადავიდოდა, ანდრონიკაშვილი შეეხო სასულიერო ცენზურის გაუქმებას და ამბობს:

„სასულიერო ცენზურის გაუქმება ნიშნავს იმას, რომ მე შემიძლია ვილაპარაკო და ვწერო წინასწარი ადმინისტრაციული ნებართვის გარეშე. მაშასადამე, შემიძლია გამოვთქვა მოსაზრება, რომელიც ჩემს საკუთარ იდეალს შეესაბამება. ასეთი მოსაზრება შეიძლება იყოს სამგვარი: დადებითი, უარყოფითი და პრობლემატური. იმისათვის, რომ ვამტკიცო — ღმერთი არის, ან ღმერთი არ არის, ან შეიძლება ღმერთი არის და შეიძლება არა, არ არის საჭირო ნებართვის მიღება. სინდისის თავისუფლება, ორჯერ აღიარებული, ჩვენ უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ ერთ-ერთი ამ სამი მოსაზრებიდან, დავასაბუთოთ და განვმარტოთ იგი.

თუ სერიოზული მსჯელობა ამ საგნებზე, ე. ი. მსჯელობა, რომელიც ემყარება გონივრულ მოსაზრებებს და სინდისს, ნებადართულია, მაშინ რას კრძალავს 73-ე მუხლი, რომელიც სჯის ღვთის გმობას? — კითხულობს ანდრონიკაშვილი და უპასუხებს: ეს მუხლი სჯის მსჯელობას, გამოხატულს აბუჩად ამგდები, დამცინავი სიტყვებით და თანაც ისეთი უწესო ფორ-

მით, რომ ამან შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს სხვა ადამიანის რელიგიურ და ზნეობრივ გრძნობას. ლ. ანდრონიკაშვილი ასაბუთებს, რომ 1903 წლის სჯულდების შემდგენლებს სწორედ ასე ესმოდათ 73-ე მუხლის შინაარსი. მათი აზრით, ღვთის გმობა გულისხმობს ისეთ გამოთქმებს, რომლებიც გამოხატავენ არა უბრალოდ უპატივცემულობას და დაცინვას, არამედ ისეთი უწესო ფორმით გამოხატულ შეურაცხყოფას, რომელიც ადასტურებს, რომ დამნაშავე არათუ თვითონაა სავსებით მოკლებული რელიგიურ გრძნობას, არამედ. სხვაშიც შეურაცხყოფს მას.

„მაგრამ ვის შეუძლია იმის თქმა, რომ ტოლსტოის არა აქვს რელიგიური გრძნობა ან რომ იგი განზრახ შეურაცხყოფს სხვის რელიგიურ გრძნობას?!“ შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი განმარტავს, რომ ტოლსტოი ზემოთ მოყვანილი სიტყვებით სრულიადაც არ დასცინის ქრისტიანულ რელიგიას, არამედ მას აქვს თავისებური გაგება რელიგიისა, იგი ასაბუთებს და განმარტავს, თუ როგორ ესმის ტოლსტოის ჭეშმარიტი რწმენა, ეს კი 73-ე მუხლის შემადგენლობად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ასევე კატეგორიულად ·ილაშქრებს ანდრონიკაშვილი ბიტნერის მიმართ 129-ე მუხლის გამოყენების წინააღმდეგ. ლ. ტოლსტოის წერილი არ შეიძლება ჩაითვალოს მოწოდებად კანონისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, — ამტკიცებს იგი.

„ტოლსტოის მოძღვრების მიხედვით ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი კანონი არის მოყვასის სიყვარული. ეს სიყვარული ხორციელდება მაშინ, როდესაც ადამიანი თავის თავს მსხვერპლად წირავს სხვებს. ბოროტებას ადამიანმა უნდა უპასუხოს სიკეთით და არა საპირისპირო ბოროტებით, ძალადობით“ (ტოლსტოის მოძღვრება ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის შესახებ).

ამის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი ახასიათებს ლ. ტოლსტოის აზრს სახელმწიფოზე. ტოლსტოის აზრით, რამდენადაც სახელმწიფო არის ძალადობა ან სარგებლობს ძალადობით, ჭეშმარიტ ქრისტიანს უფლება არა აქვს დაიჭიროს რაიმე თანამდებობა სახელმწიფოში, რათა მონაწილეობა არ მიიღოს ძალადობაში. ეს დებულება არ შეიცავს მოწოდებას დაუმორჩილებლობისაკენ ან წინააღმდეგობის გაწევისაკენ.

ტოლსტოის მეორე დებულება შემდეგია: თუ სახელმწიფო მოითხოვს ადამიანისაგან ისეთ მოქმედებას, რაც მის რელიგიურ და ზნეობრივ რწმენას არ ეწინააღმდეგება, ადამიანი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა. მაგრამ ის ვალდებული არ არის შეასრულოს ისეთი მოთხოვნა, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ამ რწმენას. 129-ე მუხლი გულისხმობს ისეთ დაუმორჩილებლობას კანონის ან ხელისუფლების მოთხოვნისადმი, როდესაც ის, ვინც ამ მოთხოვნას არ ასრულებს, ფიზიკურად ეწინააღმდეგება ხელისუფლებას. ტოლსტოი კი ქადაგებს ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობას.

ს უ ხ ო ნ ი ნ ი ს ა ქ მ ე.[1] მეორე გამოსვლა ტოლსტოისთან დაკავშირებით — ეს იყო მონაწილეობა ჟურნალ «Всемирний вестник»-ის რედაქტორის ს. ს. სუხონინის პროცესში, რომელსაც ბრალი ედებოდა 129-ე მუხლით იმის გამო, რომ მან 1906 წლის ოქტომბერში მოათავსა თავის ჟურნალში ლევ ტოლსტოის ორი ნაწარმოები „ნიკოლოზ პალკინი“ და „ორი ომი“. ამ საინტერესო საქმესთან დაკავშირებით ლ. ანდრონიკაშვილის გამოსვლის ჩანაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

გ ე რ ც ი კ ი ს ს ა ქ მ ე.[2] სამაგიეროდ მეტად საინტერესოა ლ. ანდრონიკაშვილის არქივში დაცული მასალები ლევ ტოლსტოის გამომცემლის გერციკის საქმეზე. აქ არის დაცვითი სიტყვის რამდენიმე ვარიანტი და მათი შესწავლით შეიძლება აღვადგინოთ დაცვის პოზიციის ძირითადი დებულებები.

ბრალდება ანალოგიურია ბიტნერის ბრალდებისა. ტოლსტოის გამომცემელმა ევგენი ვასილის ძე გერციკმა ტოლსტოის გამოცემის მესამე ტომში მოათავსა ტოლსტოის წერილი „ეკლესია და სახელმწიფო“. ამისათვის გერციკი 1910 წელს მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში სისხლის სჯულდების 1903 წლის 73-ე მუხლით, ე. ი. მას ბრალდებოდა ღვთისგმობა.

სიტყვა იწყება შესავლით, სადაც ლ. ანდრონიკაშვილი მიმართავს მოსამართლეებს და აფრთხილებს მათ, რომ ეს არ

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—39.

[2] იქვე, II—65.

არის ჩვეულებრივი საქმე, რომ პასუხისგებაში მიცემულია ლევ ტოლსტოის გამომცემელი ღვთის გმობისათვის, მაშასადამე, იგულისხმება, რომ ლევ ტოლსტოი თვით არის ღვთისმგმობი.

„როცა ამბობენ, ტოლსტოი ღმერთს გმობსო, ყოველთვის მეჩვენება, რომ ამ ადამიანებს თითონაც არ სჯერათ ის, რასაც ისინი ტოლსტოიზე ლაპარაკობენ. ტოლსტოის ისევე ვერ დავაბრალებთ ღვთისგმობას, როგორც ლუთერს, კალვინს და ეკლესიის სხვა რეფორმატორებს, რომლებიც უარყოფდნენ ეკლესიის მრავალ დოგმატს, მაგრამ რელიგიის რეფორმატორებად ითვლებიან...

... ბრალდებას შეუძლია ამაზე უპასუხოს, რომ სუბიექტურად ზოგიერთი ადამიანისათვის ტოლსტოის ნაწარმოები ქადაგებაა, მაგრამ ობიექტურად ისინი მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატების გმობას წარმოადგენენ“-ო.

ამიტომ ანდრონიკაშვილი გადადის იმის მტკიცებაზე, რომ კანონითაც კი ტოლსტოის ნაწარმოებნი არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნენ როგორც ღვთისგმობა.

„ასეთი კანონი მართლაც რომ არსებობდეს, — აცხადებს ანდრონიკაშვილი, — მე მაინც ვიტყოდი: „რა საჭიროა ასეთი კანონი“. მახსენდება ტოლსტოის „მეუფეა წყვდიადისა“, როცა ნიკიტას საშინელ ყვირილზე მოვარდება ურიადნიკი, ხელს სტაცებს ნიკიტას და ბღავის — „ოქმი“, აკიმი მას ეუბნება: „დაანებე თავი ამ ოქმს, ათქმევინე კაცს, რისი თქმაც უნდა, იგი წმინდა საქმეს აკეთებს“. მაგრამ ჩვენი საქმე არც ასე სავალალოა. ჩვენი კანონი, თუმცა იგი სრულიადაც არ არის სრულყოფილი, თუმცა მეტად მოძველებულია და სჯობდა, რომ საერთოდ სრულიადაც არ ყოფილიყო გამოცემული, მაგრამ იმ სახითაც, როგორიც იგია, არ გვაძლევს უფლებას დავსაჯოთ განსასჯელი. ცდება ბ-ნი პროკურორი, როცა ფიქრობს, რომ 73-ე მუხლის თვალსაზრისით ტოლსტოის ნაწარმოებთა დაბეჭდვა უეჭველად შეიცავს ღვთისგმობას და შებილწვას“.

თავისი აზრის დასაბუთებისათვის ლ. ანდრონიკაშვილი პატარა ისტორიულ ექსკურსს აკეთებს.

„როდესაც რომმა და ბიზანტიამ ქრისტიანობა მიიღეს, ქრისტიანულ რელიგიას, ეკლესიის მსახურთა გარდა, თვით სა-

ხელმწიფო გაუჩნდა მფარველად. იმპერატორ თეოდოსის ედიქტში ნათქვამი იყო: „ჩვენ გვნებავს, რომ ყველა ხალხმა, ვინც ჩვენს მოწყალე ხელმწიფებას ექვემდებარება, ის რელიგია ირწუნოს, რომელიც მოციქულმა პეტრემ ამცნო რომაელებს... ვბრძანებთ: ამ მოძღვრების მიმდევრებს ეწოდოთ კათოლიკე ქრისტიანები, ხოლო დანარჩენები ჩაითვალონ გიჟებად და შეშლილებად და ეწოდოთ მათ ერეტიკოსები; მათი შეკრების ადგილები არ ჩაითვალოს ეკლესიად; ხოლო თვით ისინი, გარდა ღვთაებრივი მისაგებლისა, დაისაჯნონ ისეთი სასჯელით, რომელსაც, ღვთის მითითებით, ჩვენ დავაწესებთ".

თუ ქრისტიანობის მიღებამდე, — განაგრძობს ანდრონიკაშვილი, — კერპთაყვანისმცემლები დევნიდნენ ქრისტიანებს, ამიერიდან უკვე ქრისტიანები დევნიან არა მარტო კერპთაყვანისმცემლებს, არამედ ყველას, ვინც ქრისტიანული კანონის საწინააღმდეგო რაიმეს ამტკიცებს.

გაჩნდა ახალი სახის მრავალი სხვადასხვა დანაშაული, რომელთაგან შევჩერდებით მხოლოდ სამზე: მწვალებლობა (ერესი), სარწმუნოებისაგან განდგომა და ღვთისგმობა (შებილწვასთან ერთად)...

ამის შემდეგ იწყება დევნისა და წამების ხანგრძლივი შავბნელი ისტორია. ერეტიკოსად არა მარტო ის ითვლებოდა, ვინც ამკარად ამბობდა, რომ არ აღიარებს კათოლიკურ სარწმუნოებას, არამედ ისიც, ვინც ისეთ დებულებებს აღიარებდა, საიდანაც დოგმატების საწინააღმდეგო დასკვნა გამომდინარეობდა. იმ საფუძველზე, რომ ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფიურ გონებას სამყარო უსასრულოდ ეჩვენებოდა, ხოლო ღმერთი— განუყოფელ, ერთიან მონადად, ის დაწვეს 1550 წელს, ხოლო გალილეი იმისათვის, რომ აღიარა კოპერნიკის დებულება დედამიწის ბრუნვის შესახებ, — ციხეში ჩაადგეს, ვინაიდან ამ წანამძღვრებიდან შეიძლებოდა გამოტანილი ყოფილიყო დასკვნა, რომ დედამიწა არ არის სამყაროს ცენტრი, პალესტინა არ არის კოსმოსის შუაგული: აბა, რისთვის დაიბადებოდა იესო ქრისტე პალესტინაში, თუ პალესტინა სამყაროს შუაგული არ იქნებოდა; ასეთი რამ ხომ ეწინააღმდეგებოდა კათოლიკურ გეოგრაფიას, რომელიც დოგმატის შესაბამისი უნდა ყოფილიყო.

დღემდეც კი რომის ეკლესიის ინდექსებში მოძღვრება პალესტინაზე დოგმატების სათავეშია.

რა მიზეზით იყო ყოველივე ეს განპირობებული, ამაზე ლაპარაკი დღეს უადგილოა. მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ მე-18 საუკუნის დასასრულმა გაათავისუფლა კაცობრიობა ამ კოშმარისაგან. აღიარებულ იქნა სარწმუნოების თავისუფლება და სისხლის სამართლის დებულებიდან ამოღებული იქნა კანონი, რომელიც დანაშაულად თვლიდა სახელმწიფოში გაბატონებული ეკლესიის, კათოლიკური სარწმუნოების დოგმატების უარყოფას. ეს იყო დასავლეთში.

ჩვენმა კანონმდებლობამ ბიზანტიის სამართლიდან აითვისა სამივე რელიგიური დანაშაული. რელიგიური დევნა ისეთივე სასტიკი იყო, როგორც დასავლეთში. და როგორც პროტესტი ამ დევნის წინააღმდეგ — მასობრივი თვითდაწვა, რომელიც მე-13 საუკუნეში დაიწყო და რომელსაც განუსაზღვრელი მასშტაბები ჰქონდა".

შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი გადადის იმდროინდელ კანონებზე და აღნიშნავს, რომ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტმა გამოაცხადა რელიგიური რწმენის თავისუფლება, ხოლო 1906 წელს სისხლის სჯულდებიდან ამოღებულ იქნა მართლმადიდებელი ეკლესიიდან განდგომა და სხვა სარწმუნოებაში გადასვლა. ამავე დროს ანდრონიკაშვილმა მიუთითა კანონმდებლის არათანამიმდევრულობაზეც, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ კანონი თუმცა არ სჯის სჯულის გამოცვლას, მაგრამ სჯის იმ პირს, ვინც სხვას წააქეზებს განუდგეს მართლმადიდებლობას და სხვა სჯული იწამოს.

პროკურორი ამტკიცებდა, რომ ტოლსტოის მოქმედებაში არის ეს დანაშაული: მოწოდება მართლმადიდებლობისაგან განდგომისაკენ.

ანდრონიკაშვილი კატეგორიულად უარყოფდა ამ დანაშაულის არსებობას.

„ტოლსტოის, — ამბობდა იგი, — არავითარი სექტა ან რაიმე ახალი სარწმუნოება არ შეუქმნია. მის ბუნებას იმდენად ეწინააღმდეგება თავისი აზრის თავზე მოხვევა სხვისათვის, მისთვის იმდენად სულ ერთია, მართლმადიდებელია იგი თუ სხვა

ვინმე, რომ თვით აზრიც კი, რომ ტოლსტოი მოუწოდებს სხვებს განუდგნენ ეკლესიას, აბსურდია და გამორიცხულია.

მაშასადამე, თუ არა გვაქვს მოწოდება, რომ მართლმადიდებელი განუდგეს თავის რწმენას და სექტაში გადავიდეს, თავისთავად ისეთი ნაწარმოების გამოქვეყნება და გავრცელება, რომელიც მართლმადიდებლობის დოგმატებს აკრიტიკებს, დანაშაული არ არის".

მაგრამ პროკურორს რჩებოდა კიდევ ერთი ბრალდება — ღვთისგმობა. აქ ანდრონიკაშვილი იმეორებს იმავე მოსაზრებებს, რომელიც მან ბიტნერის საქმის გამო გამოთქვა 73-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარის შესახებ და შემდეგ საერთოდ ილაშქრებს ამ მუხლის წინააღმდეგ.

„როცა ბიზანტიურმა კანონმდებლობამ რელიგიური დანაშაულის ეს ახალი სახე შემოიღო, იგი შემდეგი საწყისიდან გამოდიოდა: თუ კანონი სჯის ადამიანს, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა მეორე ადამიანს, მით უფრო უნდა დასაჯოს მან ადამიანი, რომელიც ღმერთს აყენებს შეურაცხყოფას. ასე ფიქრობდა ძველი კანონმდებელი.

თანამედროვე ადამიანების აზრით, შეურაცხყოფა შეიძლება მხოლოდ ისეთი პიროვნებისა, რომელსაც აქვს ღირსება. მაგრამ განა შეიძლება ღმერთი გავუტოლოთ საშუალო საუკუნეების რაინდს ან მხედარს, რომელსაც თავისი პიროვნება პატივის ცნებაზე აქვს აგებული? ხოლო თუ პატივისა და ღირსების ცნება ღმერთის მიმართ უაზრობაა, მაშინ უაზრობაა ღვთისგმობის დანაშაულად აღიარება".

ამის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი გადადის იმ ცალკეულ დებულებებზე, რომლებიც ბრალდებას ღვთისგმობად მიაჩნია და ამტკიცებს, რომ მათ სხვა ადამიანების რელიგიური გრძნობის შეურაცხმყოფელი ხასიათი კი არა აქვთ, არამედ ისინი ლევ ტოლსტოის ფილოსოფიურ-რელიგიურ რწმენას გამოხატავენ და თვით რუსეთის კანონმდებლობითაც კი დანაშაულად ვერ ჩაითვლებიან.

ანდრონიკაშვილის სიტყვის დასასრული განმსჭვალულია უდიდესი თაყვანისცემით ლევ ტოლსტოისადმი:

„ჩვენს წინაშე დგას ტოლსტოი, ვეებერთელა, დიადი,

მთელს მსოფლიოზე ამაღლებული, მაგრამ იმავე დროს ღვიძ-ლი, ახლობელი, ბავშვობიდან ცნობილი. ჩვენ მას მივეჩვიეთ და უმისოდ სიცოცხლეც კი ვერ წარმოგვიდგენია. და აქვე, ამ ვეებერთელა ფიგურის გვერდით დგას ყველასათვის უცნობი პატარა გერციკი, ერთ-ერთი განსასჯელი, რომლის მსგავსი ათასობით მჯდარა ამ სკამზე... მან თქვენ გითხრათ: „ტოლსტოი მიყვარდა და მის წინაშე ქედს ვიხრიდი, მიყვარდა მისი პიროვ-ნება და ყველაფერი, რაც მას დაუწერია...“ გერციკის განზრახ-ვა იყო არა ღვთისგმობა, არამედ სურვილი, მიეცა რუსი მკითხ-ველისათვის ტოლსტოის ნაწარმოებთა სრული კრებული, ე. ი. ის, რაც აქვს ყოველ გერმანელს, ფრანგს, ინგლისელს, ამერი-კელს, ინდიელს, ავსტრალიელს და, ჩვენდა სამარცხვინოდ, არა აქვს მხოლოდ რუსს, თითქოს მას ეროვნული სიამაყის გრძნო-ბის უფლებაც არ ჰქონდეს“.

და შემდეგ:

„მსოფლიო ისტორიაში არსად და არასოდეს არ ყოფილა კაცობრიობის ასეთი საყოველთაოდ აღიარებული ბელადი, არასდროს არც ერთ მოაზროვნეს ასე ერთსულოვნად არ აფა-სებს მთელი მსოფლიო, არც ერთ დიდ ადამიანს ჯერ კიდევ სი-ცოცხლის განმავლობაში არ დაუმსახურებია ასეთი უდავო უკვდავება, როგორც ლევ ტოლსტოის. და მაინც ტოლსტოის რელიგიური სექტა არ დაუარსებია, ახალი რელიგია არ შეუქ-მნია, ახალი სარწმუნოებით თავისი თანამედროვენი არ შეუც-დენია. ლევ ტოლსტოი რელიგიური მქადაგებელი არ არის, იგი მორალური ავტორიტეტია. მადლიერი კაცობრიობა მას თაყ-ვანს სცემს იმის გამო, რომ ელექტრონის, მანქანების და ფაბ-რიკების ეპოქაში მან გაუღვიძა დედამიწის დამპყრობ ადამიანს მორალური გრძნობა, ლტოლვა ზნეობრივი იდეალებისაკენ. ეს არის ტოლსტოის დიადი საქმე და ამით დააფასებენ მას მომა-ვალი თაობები, ვინაიდან კაცობრიობა მორალური ჰეშმარიტე-ბის ძიებას არასდროს არ შეწყვეტს... მაგრამ არავის და არას-დროს არ უფიქრია, რომ ლევ ტოლსტოი ახშობს ჰეშმარიტე-ბას და რწმენას, რომ იგი საშიშია საზოგადოებისათვის.

იასნაია პოლიანაში ფეთქავს არა მარტო რუსი ხალხის, არა-მედ მთელი თანამედროვე კაცობრიობის სული. და თქვენ, ბ-ნო მოსამართლენო, მოგიწოდებენ თქვათ, რომ თქვენში ზიზღს

იწვევს ამ გულის ფეთქვა. ხოლო პატარა გერციკს კი ურჩევენ უთხრას ვეებერთელა ტოლსტოის, რუსი ხალხის დიდ მწერალს: „ტოლსტოი, შენ წერა არ იცი, ისე კი არ უნდა წერო, არამედ ასე“. პატარა გერციკმა უნდა უთხრას მთელი კაცობრიობის მოძღვარს: „ტოლსტოი, გაჩუმდი, მე არა მსურს გისმინო“.

მე არა მჯერა, რომ თქვენ იტყვით ამას, ბ-ნო მოსამართლეენო. მე მწამს, რომ „სინდისის მოსამართლენი“ პატივს სცემენ ტოლსტოიში უდიდესი სინდისის, თავისი ერის საუკეთესო სინდისის თავისუფლებას“.

მაგრამ „სინდისის მოსამართლეებმა“ „პატარა“ გერციკი დამნაშავედ ცნეს ღვთისგმობაში და მას ერთი წლით ციხეში პატიმრობა მიუსაჯეს. ამით „სინდისის მოსამართლეებმა“ ხელი აღმართეს დიდ ტოლსტოიზე.

§ 9. ადვოკატთა საქმეები

ადვოკატთა ჯგუფის საქმე. 1905 წლის რევოლუციაში მრავალი მემარცხენე ადვოკატი იღებდა უშუალო მონაწილეობას. ამასთან ერთად, როგორც უკვე აღინიშნა, 1905 წლის მარტში ჩამოყალიბდა სრულიად რუსეთის ადვოკატურის კავშირი, რომელმაც თავის პროგრამაში ძველ რეჟიმთან ბრძოლა შეიტანა. 1905 წლის 10 ოქტომბერს პეტერბურგის ფაბრიკა-ქარხნებში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაიწყო. გაფიცვამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმოშობასთან დაკავშირებით. გაფიცვას მხარი დაუჭირა ადვოკატთა კავშირმაც. 1905 წლის 14 ოქტომბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის შენობაში მოეწყო სრულიად რუსეთის ადვოკატთა კავშირის პეტერბურგის ჯგუფის მიტინგი. მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა ადვოკატურას მხარი დაეჭირა საყოველთაო გაფიცვისათვის. მაგრამ ვინაიდან მარტოოდენ ადვოკატების გაფიცვა უნაყოფო იქნებოდა, ამიტომ გადაწყდა ყოველგვარი ზომა მიეღოთ, რათა გაფიცვაში ჩაებათ პროკურატურა და სასამართლოც. გაფიცვა 15 ოქტომბრიდან გამოცხადდა. ამ დღეს

ადვოკატები დილითვე მივიდნენ პეტერბურგის სასამართლო დაწესებულებათა შენობაში. ისინი ჯგუფ-ჯგუფად შედიოდნენ სასამართლო სხდომათა დარბაზებში და სასამართლო დაწესებულებათა ოთახებში და მოითხოვდნენ ყოველგვარი საქმიანობის შეწყვეტას. როცა მოსამართლეებმა ამაზე უარი განაცხადეს, გაფიცულმა ადვოკატებმა და მათთან ერთად მისულმა სხვა პირებმა ფაქტიურად არ მისცეს მოსამართლეებს შესაძლებლობა მუშაობა გაეგრძელებინათ და ისინიც იძულებულნი იყვნენ საქმიანობა შეეწყვიტათ.

ადვოკატთა გაფიცვის ყველაზე აქტიური მონაწილენი და ორგანიზატორები — ა. ს. ზარუდნი, მ. ს. როზენტალი, ს. პ. ელისეევი და სხვ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცეს სასჯელთა სჯულდების 282-ე მუხლის პირველი ნაწილით (უპატივცემულობა სასამართლოსადმი, გამოხატული უწესო სიტყვით ან მოქმედებით).[1]

ლ. ანდრონიკაშვილი, რუსეთის სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ ადვოკატებთან ერთად (სოკოლოვი, სიდამონ-ერისთავი, პერევერზევი და სხვ.) მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში როგორც დამცველი. გაზეთ „პრავო"-ში მოტანილია ერთი ფრაგმენტი ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვისა. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ანდრონიკაშვილი თავს დაესხა სასამართლოს წევრებს, რომლებმაც არ მოისურვეს მხარი დაეჭირათ გაფიცვისათვის. მან აღნიშნა, რომ ეს სასამართლო საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან იზოლირებული დაწესებულებაა. მან ამ სასამართლოს მოხელენი შეადარა ტოლსტოის „ანა კარენინა"-ს პერსონაჟს— კარენინს, რომელიც მის გარშემო მყოფთ მეტად საჭირო, აუცილებელ პირონებად მიაჩნიათ და მხოლოდ ანა თვლის მას „განყენებულ" არსებად. „ჩვენი სასამართლოც ასეთი არსებაა. მაშინ, როცა ყოველგვარი წონასწორობა დარღვეულია, როდესაც არავინ არ შეიძლება იყოს დამშვიდებული, მხოლოდ მას, სასამართლოს სურს განაგრძოს თავისი, განსაკუთრებული, რაღაც განყენებული ცხოვრება". ამ მოკლე ფრაგმენტიდან

---

[1] საქმის გარემოებანი აღწერილია გაზეთ «Право»-ში, 1906 წლის 13 აგვისტოს № 32, სვ. 2590—2595.

ნათლად ჩანს ანდრონიკაშვილის მწარე, მამხილებელი სარკაზმი.

ადვოკატ გილერსონის საქმე. შავბნელმა რეაქციამ, რომელიც სულ უფრო და უფრო თელავდა ყოველივე პროგრესულს, იერიში მიიტანა სიტყვის თავისუფლების უკანასკნელ დასაყრდენზე, ადვოკატის სიტყვაზე სასამართლოს დარბაზში, სადაც სიტყვის თავისუფლება აქამდე თავს აფარებდა და პოლიციის „ფხიზელ თვალს“ ემალებოდა. დაიწყო სასამართლო პროცესები ადვოკატების წინააღმდეგ, რომლებიც სასამართლოში, ბრალდებულთა ან დაზარალებულთა წარმომადგენლების სახით ხმას იმაღლებდნენ ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ. პირველ ასეთ პროცესს პეტერბურგელი ადვოკატის გილერსონის პროცესი წარმოადგენდა.

საქმის შინაარსი ასეთი იყო:

1906 წლის 1-3 ივნისს ქ. ბელოსტოკში შავრაზმელებმა მოაწყვეს ებრაელთა ისეთი რბევა, რომ მასთან შედარებით ბართლომეს ღამეს კაცს ბავშვურ თამაშად მოეჩვენებოდა. 1908 წლის 26 მაისიდან 8 ივლისამდე რევოლუციური წრეების დაწოლით ქ. ბელოსტოკში გროდნის საოლქო სასამართლო წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით იხილავდა ამ რბევის მოწყობაში დამნაშავე პირთა საქმეს. საბრალდებო სკამზე ისხდნენ, როგორც ყოველთვის, „მეისრეები“, დარბევის მეორეხარისხოვანი მონაწილენი, ბნელი და ჭკუაჩლუნგი პირები, რომლებიც შავრაზმელებმა ბრმა იარაღად გამოიყენეს, ხოლო მთავარი დამნაშავენი, რბევის ორგანიზატორები, მეფის ოხრანკის წევრები და ერთგული ჩინოვნიკები, რა თქმა უნდა, პასუხისგებაში არავის მიუცია.

ადვოკატი გილერსონი ამ საქმეში სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლად გამოდიოდა. მან მიზნად დაისახა ემხილებინა რბევის ნამდვილი ორგანიზატორი — თვითმპყრობელური რეჟიმი და სასამართლოში მეტად გაბედული სიტყვა წარმოთქვა. პროკურატურა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რბევის ძირითადი მიზეზი იყო მტრული დამოკიდებულება ქრისტიან და ებრაელ მოსახლეობას შორის, განსაკუთრებით ქრისტიან მუშებსა და ებრაელ მუშებს შორის, თვით ებრაელთა პროვოკაციული საქმიანობა, რომელიც იმაში გამოიხატებოდა,

რომ რევოლუციურად განწყობილი ებრაელები ხოცავდნენ პოლიციელებს, ესროდნენ ქრისტიანებს და ა. შ.. გილერსონმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ რბევა არ იყო პროვოცირებული ებრაელი მოსახლეობის მიერ, რომ ბელოსტოკში ქრისტიან და ებრაელ მშრომელთა შორის არავითარი შუღლი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ვინაიდან მათ ერთი საერთო ლოზუნგი აქვთ — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ და არა „დასჭამეთ ერთმანეთი“, რაც ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიის ლოზუნგს შეადგენს. მან დაამტკიცა, რომ რბევის ძირითადი და უშუალო ორგანიზატორები იყვნენ მეფის მოხელენი, რომლებმაც ბელოსტოკში დაარსეს შავრაზმული კლუბი „დასვენება“. სწორედ მათ მიერ იყო პროვოცირებული პირველი გასროლები ებრაელთა სახლების სახურავებიდან, რათა შემდეგ ეს სროლა ებრაელებისათვის გადაებრალებინათ და ამით მათი გაჟლეტის საბაბი ეპოვნათ.

გილერსონმა ამ პროცესზე ის აზრი გამოთქვა, რომ შავრაზმელები ტყუილად „აბრალებენ“ რევოლუციურ სულისკვეთებას მხოლოდ ებრაელებს და იყენებენ ამას ებრაელთა ამოსაჟლეტად. „... მე ვამტკიცებ, — განაცხადა მან, — რომ ის, ვინც ამბობს, თითქოს განმათავისუფლებელი მოძრაობა მხოლოდ ებრაელებისა და სხვა არარუსების საქმე იყოს, უსინდისოდ ცილს წამებს რუსებს. მე ვამტკიცებ, რომ თავისუფლების სიყვარული რუსი ხალხის ოდინდელი საწყისია, რომ ეს ხალხი ყოველთვის მტერი იყო ყოველგვარი უსამართლობისა“. თავისი აზრის დასამტკიცებლად გილერსონმა გაიხსენა ნოვგოროდის რესპუბლიკის ვეჩე და გამოთქვა იმედი, რომ მოვა ის დროც, როცა რუსეთში გაიმარჯვებს რესპუბლიკა და თავისუფლებაო.[1]

ამ სიტყვისათვის გილერსონი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. მას სისხლის სჯულდების ყოვლისმომცველი და ყოვლისამტანი 129-ე მუხლი წაუყენეს. ადვოკატის პასუხისგებაში მიცემამ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვისათვის რუსეთის მოწინავე ადვოკატურაში უდიდესი აღშფო-

---

[1] იხ. გაზეთი «Право», 1908 წლის 12 ოქტომბერი, № 41, სვ. 2225—2233.

თება გამოიწვია. პროტესტი განაცხადა არა მარტო პეტერბურგის ადვოკატურამ, რომლის შემადგენლობაშიც გილერსონი შედიოდა, არამედ რუსეთის ყველა ქალაქის მოწინავე ადვოკატებმა, რომელთაც კარგად ესმოდათ, რომ გილერსონის საქმე მთელი ადვოკატურის საქმეა, რომ მას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს და საჭიროა ენერგიული ბრძოლა ამ ბრალდების წინააღმდეგ, ვინაიდან ხელისუფლებას სურს წალეკოს ყოველი ძალა, რომელიც თავდადებულად ემსახურება საზოგადოებას.

გილერსონის საქმეზე დამცველებად გამოდიოდნენ ისეთი გამოჩენილი ადვოკატები, როგორიც იყვნენ გრუზენბერგი, ალექსანდროვი, ანდრონიკაშვილი, რატნერი, ევსეევი და სხვ.[1]

ანდრონიკაშვილის სიტყვის პატარა ფრაგმენტიდან, რომელიც გაზეთ „პრავო"-შია მოთავსებული, ნათლად ჩანს, თუ რა პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა მან ეს პროცესი, როგორი პოლიტიკური ჟღერადობა მისცა მას.

„თემა ამოწურულია უკვე გამოსული ამხანაგების მიერ, — თქვა ლ. ანდრონიკაშვილმა, — ჩვენ, საბჭოს წარმომადგენლები, რომელნიც გამოგზავნილი ვართ გილერსონის დასაცავად, სავსებით ვეთანხმებით მათ და მათთან ერთად ვფიქრობთ, რომ დღეს სამართალში მიცემულია არა გილერსონი, არამედ სიტყვის თავისუფლება სასამართლოში. დღეს წყდება საკითხი მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საწყისის შესახებ. აქ თქვეს, თითქოს მეცნიერ იურისტთა შორის არ სუფევს ერთსულოვნება იმ საკითხში, შეიძლება თუ არა დამცველმა პასუხი აგოს სასამართლოში წარმოთქმული სიტყვისათვის. ეს ასე არ არის. ყოველ შემთხვევაში ყოველი ნათელი გონების ადამიანი ამ საკითხს მუდამ ისე წყვეტდა, რომ დამცველმა არ შეიძლება პასუხი აგოს სასამართლოში წარმოთქმული სიტყვისათვის და რომ სიტყვის თავისუფლება სასამართლოში შეუზღუდავია...

პალატის საგანგებო საკრებულო დღეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაწესებულების საკითხს წყვეტს — აგებს თუ არა დამცველი პასუხს სასამართლოს წი-

---

[1] იხ. გაზეთი «Право», 1909 წლის 1 ნოემბერი, № 45, სვ. 2435.

ნაშე წარმოთქმული სიტყვისათვის... დაცვის თვალსაზრისით ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა დამცველს უფლება კერძო მოვლენებიდან გადავიდეს ზოგად მოვლენებზე, ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულიდან — მის წარმომშობ სოციალურ თუ პოლიტიკურ მიზეზებზე. ასე უყურებდა ამ საკითხს სასამართლო წესდებათა შემქმნელი კანონმდებელი. იგი ითვალისწინებდა, რომ დამცველი შეეხება ზნეობას, სახელმწიფოს, რელიგიას და, ითვალისწინებდა რა ამას, არ დაუდგენია ადვოკატისათვის სასჯელი, მაშასადამე, აღიარა, რომ ადვოკატის ქმედობაში, როდესაც იგი „საფუძვლებს" შეეხება, არ არის დანაშაულის შემადგენლობა.

კანონმდებელი ამ საკითხში მთლიანად უფროსი მოსამართლის სინდისს მიენდო და უფლება მისცა მას შეაჩეროს დამცველი, თუკი იგი „საფუძვლებს" კონკრეტულ საქმესთან დაუკავშირებლად შეეხება.

ეს საწყისი, მიღებული კანონმდებლობის მიერ, უკვე 45 წელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ საფუძვლად გადაიქცა.

დაცვითი სიტყვის თავისუფლება — თვით სასამართლოს თავისუფლებაა.

დღეს ასამართლებენ თვით თავისუფლების წმინდა იდეას, რომელიც თავს ევლებოდა ჩვენს სასამართლოს.

საშინელი მომენტია!...

ერთი ან ორი საათის შემდეგ თქვენ შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანოთ დამცველს — და მაშინ სასამართლოს მისი წმინდა სული გასცილდება, სასამართლო მოკვდება. ამ შხამით სავსე ფიალას ნუ შეგვასმევთ."[1]

„სასამართლო წესდების" სული დიდი ხანია ჩამოსცილდა მეფის სასამართლოს. ამიტომ ადვოკატების ბრძოლა იმისათვის, რომ სასამართლოს თავისუფლების მინიმალური მოთხოვნა მაინც შეენარჩუნებინა და ადვოკატისათვის დაეტოვებინა უფლება დაცვითი სიტყვის დროს ემხილებინა მეფის რეჟიმი, ამაო

---

[1] გაზეთი «Право», 1909 წლის 21 ნოემბერი, № 47, სვ. 2566.

იყო: დამცველ გილერსონს ერთი წლით თავისუფლების აღ-
ქვეთა მიუსაჯეს.[1]

ცნობილმა პეტერბურგელმა პოლიტიკურმა დამცველმა
გრუზენბერგმა გილერსონის პროცესზე ადვოკატების სახელით
განაცხადა: „პოლიტიკური დაცვა ან უნდა იყოს თავისუფალი
ანდა იგი სულ არ უნდა იყოს. სასამართლოში არ გვჭირდება
მეწამული კუბოები, გარედან მოკაზმულნი, მაგრამ მკვდრების
ძვლებით სავსენი. რა მკაცრიც არ უნდა იყოს თქვენი განაჩე-
ნი, მე მტკიცედ მწამს, რომ რუსეთის ადვოკატურას იგი ვერ
დააშინებს. რომელ სასამართლოშიც არ უნდა გვიკრას თავი
ისტორიულმა ბედმა, ჩვენ ყველგან და ყოველთვის შევწირავთ
განსასჯელებს ჩვენს ზრახვებს, მთელ ჩვენს სულიერ ძალებს,
და ამ თავდავიწყებული მუშაობისას არც ერთი წუთით თავს
არ მივცემთ სულმდაბალ ძრწოლას ჩვენი ბედის გამო".[2]

ბ ე ი ლ ი ს ი ს პ რ ო ც ე ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი
ა დ ვ ო კ ა ტ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე.[3] რუსეთის პოლიტიკური ადვოკა-
ტურის საუკეთესო ნაწილმა ღირსეულად შეასრულა ეს მოვა-
ლეობა და არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა თავის ის-
ტორიაში. იმ მრავალრიცხოვან საქმეებს შორის, რომლებშიც
რუსეთის პოლიტიკურმა დამცველებმა თავისი მოღვაწეობა სა-
ზოგადოებრივი სამსახურის დიდ სიმაღლეზე აიყვანეს, შეიძ-
ლება გავიხსენოთ ბეილისის საქმე[4]. თვით ბეილისის საქმეში
ლ. ანდრონიკაშვილი მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ იგი

---

[1] გაზ. «Право», 1909 წლის 21 ნოემბერი, № 47, სვ. 2568.

[2] გაზ. «Право», 1909 წლის 15 ნოემბერი, № 46, სვ. 2504.

[3] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—70.

სასამართლო პროცესი, რომელიც 1913 წელს მოაწყო მეფის მთავ-
რობამ: ებრაელ ბეილისს ბრალდებოდა, ვითომდა რიტუალური მიზნით,
ქრისტიანი ბიჭის მკვლელობა. პროცესი ორგანიზებული იყო რეაქ-
ციული ხელისუფლების მიერ, რათა ხალხის მასები მოეწყვეტათ რევოლუ-
ციურ მოძრაობას, რომელიც თანდათან მატულობდა. ბეილისის პროცესის
წინააღმდეგ ხმა აიმაღლა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. რუსეთის
მოწინავე ინტელიგენციამ, მაქსიმ გორკისა და ვლადიმერ კოროლენკოს მე-
თაურობით, პეტერბურგში სპეციალური კომიტეტი შექმნა ცარიზმის ანტი-
სემიტურ პოლიტიკასთან საბრძოლველად (იხ. «БСЭ», изд. 3-е, т. 3), ბე-
ილისს იცავდნენ რუსეთის გამოჩენილი ადვოკატები — ზარუდნი, გრუზენ-
ბერგი, კარაბჩევსკი, ალექსანდროვი და სხვ.

გამოდიოდა, როგორც დაცვის ერთ-ერთი მეთაური და ორგანიზატორი 110 ადვოკატის საქმეზე, რომლებმაც საჯაროდ პროტესტი განაცხადეს ბეილისის პროცესის მოწყობის გამო.

1913 წლის 23 ოქტომბერს პეტერბურგის სასამართლო პალატის ნაფიც ვექილთა საერთო კრებამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „პეტერბურგის სასამართლო ოლქის ნაფიც მსაჯულთა საერთო კრება ადვოკატურის პროფესიულ და სამოქალაქო მოვალეობად თვლის განაცხადოს პროტესტი მართლმსაჯულების საფუძვლების დამახინჯების წინააღმდეგ, რომელიც იმით გამოვლინდა, რომ მოეწყო ბეილისის პროცესი, სადაც სასამართლოს წესით მთელ ებრაელ ხალხს დასწამეს ისეთი ცილი, რაც უარყოფილია მთელი კულტურული კაცობრიობის მიერ, და სადაც სასამართლოს დაეკისრა მისთვის უცხო ამოცანა — რასობრივი და ეროვნული შუღლის იდეების პროპაგანდა. ადამიანთა თანაცხოვრების წესების ასეთი შეიღწევა არცხვენს რუსეთს მთელი მსოფლიოს წინაშე და ჩვენ ხმას ვიმაღლებთ რუსი ხალხის პატივისა და ღირსების დასაცავად". ეს რეზოლუცია, რომელიც საერთო კრებამ დეპეშით აცნობა ბეილისის ადვოკატებს, მაშინვე გამოქვეყნდა რუსეთის მრავალ პროგრესულ გაზეთში („ნოვოე ვრემია", „რეჩ". „კიევსკაია მისლ" და სხვ.). ადვოკატები, რომელთაც ხელი მოაწერეს რეზოლუციას (ასეთი იყო თითქმის ყველა, ვინც კი კრებას ესწრებოდა), მიცემულ იყვნენ პასუხისგებაში სასჯელთა სჯულდების 279-ე მუხლით.

საქმე განიხილა პეტერბურგის საოლქო სასამართლომ 1914 წლის ივნისში.

როგორც იმდროინდელი ჟურნალი „ვესტნიკ პრავა" იუწყებოდა, „გარდა ზოგიერთი ბრალდებულისა, რომლებმაც დამცველებად აირჩიეს ცალკეული ადვოკატები, ბრალდებულთა უმრავლესობამ მიმართა პეტერბურგის ნაფიც ვექილებს — ანდრონიკოვს, გოლდშტეინს და მოსკოვის ადვოკატებს — ლედნიცკის, მურავიოვს და ტესლენკოს".[1] აქედან ჩანს, თუ რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი თავის კოლეგებში.

---

1 «Вестник права», 1914, № 22, стр. 700.

ადვოკატების პროცესში გამოვლინდა ლ. ანდრონიკაშვილის კიდევ ერთი თვისება. იგი არასდროს არ იყენებდა ადვოკატის ტრიბუნას საკუთარი თავის გამოსაჩენად, პირადი პრესტიჟის ამაღლებისათვის. ამიტომ, თუ დარწმუნდებოდა, რომ მასზე ადრე გამოსული ამხანაგების არგუმენტებს ახალს ვერაფერს დაუმატებდა, ყოველთვის უარს ამბობდა გამოსვლაზე. სწორედ ასე მოიქცა იგი ადვოკატების პროცესში. კოლეგებთან შეთანხმების საფუძველზე მას, როგორც დაცვის ხელმძღვანელს, შემაჯამებელი სიტყვა უნდა წარმოეთქვა. მაგრამ რადგან მისმა გამოჩენილმა კოლეგებმა ამომწურავად გააშუქეს საქმიხ ყველა მხარე, გამოსვლაზე მან უარი თქვა.

ამ თავმდაბლობასთან დაკავშირებული იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილის იშვიათი კოლეგიურობა. იგი დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურებოდა ხოლმე თავისი კოლეგების წარმატებას და სიტყვებს არ იშურებდა თავისი კეთილი გრძნობების გამოსახატავად. საინტერესო ცნობას ვხვდებით ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ამ თვისებაზე გამოჩენილი პოლიტიკური დამცველის ა. ალექსანდროვის წერილში ილია ფირცხალაიშვილისადმი. ალექსანდროვი იგონებს შემთხვევას, როდესაც ლ. ანდრონიკაშვილი რომელიღაც საქმის დამთავრების შემდეგ აღტაცებით გადაეხვია თავის კოლეგას და თვალცრემლიანმა შესძახა „გენიალურია“. ა. ალექსანდროვი დასძენს: „ძვირფასო ლუარსაბ! ყველა ჩვენთაგანისათვის უსაყვარლესო ადამიანო... შენ ისეთივე ენთუზიატი დარჩენილხარ, როგორიც ახალგაზრდობაში იყავი... მეგობრები ყოველთვის შესანიშნავ ადამიანებად გეჩვენებოდა... საკუთარი თავი კი მუდამ გავიწყდებოდა, რადგან ისეთივე ჯენტლმენი და რაინდი ხარ, როგორიც მთელი შენი ხალხია“.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებელი

ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა არ ამოიწურებოდა მხოლოდ რევოლუციონერთა და სხვა პროგრესულ მოღვაწეთა დაცვით. იგი საჭიროების შემთხვევაში გადაიქცეოდა ხოლმე გამომძიებლად ან ბრალმდებლადაც კი, რათა ემხილებინა მეფის მოხელეთა დანაშაულებრივი საქმიანობა.

ებრაელთა რბევის საქმეები. როგორც ცნობილია, 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებას რუსეთის მრავალ ქალაქში მოჰყვა ებრაელთა საშინელი რბევა. „ეს იყო შავი რეაქციის საქმე, — წერს ლ. ანდრონიკაშვილი, — მაგრამ საჭირო იყო ამის ჩვენება და დამტკიცება. პროლეტარული ორგანიზაციების ხელმძღვანელმა ორგანოებმა, აგრეთვე პოლიტიკური დაცვის კავშირმა საჭიროდ ჩათვალა დახმარებოდა ებრაელ მოსახლეობას, რომელიც დახმარებას მოითხოვდა და გამოეკვლია ეს საშინელი დანაშაულობა, აღმოეჩინა რბევის მომწყობი პირები. ეს საპატიო ამოცანა, სხვებთან ერთად, მეც დამეკისრა“.[1] კერძოდ, ლ. ანდრონიკაშვილს დავალებული ჰქონდა 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში მომხდარი კრემენჩუგის რბევის მიზეზების გამოკვლევა.[2] ეს სამუშაო, ცხადია, დიდ დაბრკოლებებთან და რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ლ. ანდრონიკაშვილი არ შეუშინდა ამ რისკს, კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი ამოცანა და გამოძიების მდიდარი მასალა წარუდგინა სასამართლო დაწესებულებებს.

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, დ—2ა.

[2] იქვე, დ—10.

მათ რბევის მთავარი მონაწილენი, რა თქმა უნდა, პასუხისგებაში არ მიუცია.

მეორე ანალოგიური საქმე იყო რევენის მაზრაში მომხდარი ებრაელთა რბევის საქმე. პოლიტიკურ დამცველთა ჯგუფმა, აგრეთვე პეტერბურგელ ებრაელთა საზოგადოებამ დაავალა ლ. ანდრონიკაშვილს გამოეკვლია რბევის მიზეზები. ლ. ანდრონიკაშვილი მთელი ნოემბრის განმავლობაში იკვლევდა ამ მიზეზებს და აღმოაჩინა, რომ რბევა მოაწყო პოლიციამ, შავრაზმელ მემამულეებთან და ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად. ლ. ანდრონიკაშვილმა შეგროვილი მასალა წარუდგინა იმ დაწესებულებებს, ვისგანაც დავალება მიიღო, ამავე დროს, როგორც მოქალაქე შტიროვის (დაზარალებულის) წარმომადგენელმა, განცხადება შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა დამნაშავეთა მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.[1]

ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲝᲕᲨᲘ იმავე წლის 22-24 ოქტომბერს მომხდარი რბევის გამო[2] ლ. ანდრონიკაშვილი გამოდიოდა სასამართლოში როგორც დაზარალებულის წარმომადგენელი და საჯაროდ ამხილებდა რბევის მთავარი ორგანიზატორების — თვით პოლიციისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ბოროტმოქმედებას. ლ. ანდრონიკაშვილის არქივში დაცულია მოგილიოვის საქმეზე წარმოთქმული საბრალდებო სიტყვის ფრაგმენტი, სადაც ანდრონიკაშვილი პარალელს ავლებს ბაქოში მომხდარ ამბებსა და მოგილიოვის ამბებს შორის და აქაც და იქაც ერთსა და იმავე მიზეზს ხედავს — ხელისუფლებას, რომელიც დანაშაულის ორგანიზატორად და სულისჩამდგმელად გადაიქცა. „ბ-ნო მოსამართლენო, — აღნიშნა მან, — მე ბედმა მარგუნა განმეცადა ბაქოში მომხდარი რბევის საშინელი დღეები. ამიტომ კარგად ვიცი მოახლოებული ქარიშხალის სიმპტომები. ჯერ ქალაქში დაყარეს ხმები, რომ თათრები ვერ მუშაობენ, რადგან სომხები მათგან გაფიცვას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბომბებით ემუქრებიანო. აი გარეშე მიზეზი, საფუძველი — და რბევა მზად არის. რბევას გამართლება სჭირდება. მას სჭირდება დევიზი მრბეველთა და ხუ-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, დ—2.

[2] იქვე, II—6.

ლიგნებისათვის. ყველასათვის, ვინც იცის ეს დევიზი, გასაგებია, რომ მას საშინელი ამბები მოჰყვება. ფრაზა: სომეხი რევოლუციონერები ააფეთქებენ ფაბრიკებს და მუშებს — დევიზი იყო. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი მხარეა, რომელსაც მიზნად ჰქონდა საზარელი საქმის გამართლება. მიზეზი კი სულ სხვაა. მიზეზი იყო ძალთა ორგანიზაცია სხვა მიზნისათვის... ასევე იყო მოგილიოვშიც, სადაც რბევის დევიზად გამოცხადდა მოგილიოვში დარხეული ხმები, თითქოს ებრაელები, რევოლუციონერების ზეგავლენით, ამერიკაში გარბიან და რუსეთს ღალატობენ. მიზეზი კი — მეფის ხელისუფალთა, პოლიციელთა და შავრაზმელთა შავბნელი საქმიანობაა".[1]

გერცენშტეინის მკვლელობის საქმე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის მემარცხენე პოლიტიკური ადვოკატურის წარმომადგენლები ზოგჯერ გამოდიოდნენ სასამართლოში არა როგორც დამცველნი, არამედ როგორც ბრალმდებელნი. ეს მაშინ ხდებოდა, როცა საბრალდებო სკამზე ისხდნენ შავრაზმელები, ეგრეთ წოდებული „რუსი ხალხის კავშორის" («Союз русского народа») წევრები, ჟანდარმერიისა და პოლიციის მოხელენი. ერთ-ერთი ასეთი პროცესი, რომელშიც ლ. ანდრონიკაშვილმა მიიღო მონაწილეობა, იყო „რუსი ხალხის კავშირის" საბრძოლო რაზმის მეთაურის იუსკევიჩ-კრასკოვსკის საქმე. იუსკევიჩ-კრასკოვსკის ბრალდებოდა პირველი სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრის მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის მ. გერცენშტეინის მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელობა.[2]

პირველი სახელმწიფო სათათბიროს დაშლისთანავე მეფის ხელისუფლება მიმართავდა ტერორისტულ აქტებს არა მარტო რევოლუციონერების, არამედ აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროს შედარებით ზომიერი წევრების მიმართაც, რომლებიც ვერ შესძლო ყურმოჭრილ მონებად გადაექცია და თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა. შავრაზმელთა ტერორისტული საქმიანობის პირველი მსხვერპლი პროფ. გერცენშტეინი გახდა. ეს იმით აიხსნება, რომ პროფ, გერცენშტე-

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი II—6.

[2] იქვე, 11—36.

ინმა სახელმწიფო სათათბიროს პირველ სესიაზე 1906 წლის 19 მაისს წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მოითხოვდა მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციას და მათი გლეხობისათვის გადაცემას. კერძოდ, მან თქვა: „მემამულეებმა კი არ უნდა დააკმაყოფილონ გლეხები, არამედ სახელმწიფომ. ჩვენ მას ვურდგენთ მოთხოვნას — დაკმაყოფილოს გლეხობა. თუ ვინმეს უნდა დაეკისროს მოვალეობა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, — ეს უნდა იყოს სახელმწიფო და მხოლოდ სახელმწიფო"! და შემდეგ: „რაღას ელოდებით? თქვენ გსურთ, რომ ხანძარი მოედოს მთელ რიგ გუბერნიებს?! იქნებ თქვენ გეცოტავებათ შარშანდელი მაისის ილუმინაციების გამოცდილება, როდესაც სარატოვის გუბერნიაში ერთი დღის განმავლობაში 150 მეურნეობა განადგურდა? შეუძლებელია ეხლა ისეთი ზომების გამოყენება, რომელთა შესრულებას ხანგრძლივი დრო უნდა. საჭიროა სასწრაფო ღონისძიება და ასეთი სასწრაფო ღონისძიება — იძულებითი გასხვისებაა..."[1]

გერცენშტეინი მოკლეს 1906 წლის 18 (31) ივლისს ფინეთის სოფელ ტერიოკში, სადაც იგი ცოლთან და ქალიშვილთან ერთად ისვენებდა.

მკვლელობა შემდეგ გარემოებებში მოხდა: საღამოს 8 საათზე გერცენშტეინი, თავის ცოლთან და ქალიშვილთან ერთად, გამოვიდა სასტუმრო „ბელვედერიდან" და ჩვეულებისამებრ ზღვის ნაპირისაკენ გასასეირნებლად გაემართა. უკან რომ ბრუნდებოდნენ, გაისმა სროლის ხმა. გაისროლეს ორჯერ. ერთი ტყვია მოხვდა გერცენშტეინს, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო მეორე ტყვიით მისი ქალიშვილი ხელში დაიჭრა.

პირველ აგვისტოს სასტუმრო „ბელვედერში" მოვიდა პაკეტი შემდეგი მისამართით: „აქვე. ახალი კურორტი. გერცენშტეინს". პაკეტი გამოგზავნილი იყო იმავე დღეს. მასში აღმოჩნდა ბარათი, რომელზედაც გამოსახული იყო თავის ქალა, მის ქვემოთ კი — წარწერა: «Спетербургская каморра народной расправы».

---

[1] ამონაწერი სახელმწიფო სათათბიროს მეთორმეტე სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშიდან დაცულია ლ. ანდრონიკაშვილის არქივში. იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი II—66.

საქმე ფინეთის (კიუვენეპის მაზრის) სასამართლოს უნდა გაერჩია.[1] საქმის გამოძიებას და განხილვას მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ის გარემოება, რომ მეფის ხელისუფლება ცდილობდა ხელი დაეფარებინა მკვლელობის მთავარი მონაწილეებისათვის და აეცდინა მათთვის პასუხისმგებლობა. იგი უგულებელყოფდა ფინეთის სასამართლოს მოთხოვნას გადაეცათ მისთვის მთავარი დამნაშავენი. ამიტომ საქმე რამდენიმე წლით გაჭიანურდა. მკვლელობის თანამონაწილეთა გამოვლინების კვალობაზე, ცალ-ცალკე, სამი პროცესი ჩატარდა. თავდაპირველად, 1907 წლის აპრილში შეიპყრეს და გაასამართლეს მეორეხარისხოვანი თანამონაწილე ალექსანდროვი. ფინეთის სასამართლომ ვერ შესძლო ზუსტად დაედგინა მისი როლი ამ დანაშაულის ჩადენაში და დამტკიცებულად ცნო მხოლოდ მკვლელობის განუცხადებლობა, რისთვისაც ალექსანდროვს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი თვის ვადით. 1908 წელს ფინეთის პროკურატურაში ნებაყოფლობით გამოცხადდა მკვლელობის ერთ-ერთი უშუალო მონაწილე პოლოვნევი. პოლოვნევის გამოცხადების მიზეზი ის იყო, რომ იგი ცდილობდა ხელიდან დასხლეტოდა „რუსი ხალხის კავშირის“ საბრძოლო რაზმეულს, რომელმაც ჯერ გამოიყენა რამდენიმე არამზადა ტერორისტული აქტის ჩასადენად, შემდეგ კი გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა საშიში მოწმეები. მართლაც გერცენშტეინის მოკვლის შემდეგ არ გასულა ერთი წელი, რომ იპოვნეს მისი ერთ-ერთი მკვლელის — ოხრანკის თანამშრომლის კაზანცევის გვამი.[2] მკვლელი პოლოვნევსაც მიუგზავნეს, მაგრამ იგი

---

[1] რუსეთის „ძირითადი სახელმწიფო კანონების კრებულის“ თანახმად, ფინეთის სამთავრო რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა, მაგრამ ამავე დროს თავის შინაგან საქმეებს განაგებდა განსაკუთრებული კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი საგანგებო წესის თანახმად.

[2] როგორც შემდგომ გამოირკვა, კაზანცევის მკვლელი იყო პროფესიული დამნაშავე ფედოროვი, რომელმაც „რუსი ხალხის კავშირის“ დავალებით, კაზანცევთან ერთად, მოკლა სახელმწიფო სათათბიროს მეორე დეპუტატი იოლესი, ხოლო შემდეგ—თითონ კაზანცევი. ფედოროვის შემდგომ ბედის შესახებ მოთხრობილია ფინკის მემუარებში, საიდანაც ვგებულობთ, რომ მკვლელი ფედოროვი შემდეგ საზღვარგარეთ აღმოჩნდა და 1917 წელს პარიზში თითონვე აღიარა იოლესისა და კაზანცევის მკვლელობა (იხ. Виктор финк, Литературные воспоминания, М., 1963, стр. 274—282).

როგორღაც დაუსხლტა მას და კიუვენეპის სასამართლოში გამოცხადდა: ამჯობინა ფინეთის ციხეში ჩამჯდარიყო, ვიდრე თავისივე თანამზრახველთა მსხვერპლი გამხდარიყო. პოლოვნევი 1908 წლის ოქტომბერში გაასამართლეს. მან ყველაფერი აღიარა და მკვლელობის სხვა თანამონაწილეებიც დაასახელა. კერძოდ, მიუთითა „საბრძოლო რაზმის“ უფროსზე იუსკევიჩ-კრასკოვსკიზე, როგორც მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელზე, რომელიც სხვა მკვლელებთან ერთად ჩავიდა გერცენშტეინის მოსაკლავად ტერიოკში; პოლოვნევმა გათქვა აგრეთვე დუბროვინიც — „რუსი ხალხის კავშირის“ თავმჯდომარე და შავრაზმული გაზეთის „რუსკოე ზნამია“-ს რედაქტორი, რომელიც შავრაზმელთა ტერორისტული აქტებისა და რბევათა მთავარი ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო. პოლოვნევს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით. 1909 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში რუსეთის მთავრობამ, როგორც იქნა, გადასცა ფინეთის სასამართლოს იუსკევიჩ-კრასკოვსკი, რადგან ვეღარ შესძლო დაემალა მისი მონაწილეობა მკვლელობაში. აგვისტოს დასაწყისშივე ფინეთის სასამართლოში გამოცხადდა ბრალის აღიარებით მკვლელობის კიდევ ერთი მონაწილე, ლარიჩკინი, რომელიც აგრეთვე ძლივს გადაურჩა სიკვდილს[1]. ვერ ჩაიგდეს ხელში მხოლოდ დუბროვინი. მეფის მთავრობა თავის ერთგულ მოხელეს ვერ ელეოდა.

საქმის განხილვა დანიშნული იყო 1909 წლის 12 აგვისტოს. დაზარალებულის — გერცენშტეინის ქვრივის ინტერესებს იცავდა გამოჩენილი პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი ზარუდნი. ზარუდნიმ სხდომაზე წარადგინა ახსნა-განმარტება, რომელიც უტყუარ საბუთებზე იყო აგებული. და მოითხოვა „რუსი ხალხის კავშირის“ თავმჯდომარის დუბროვინის მიცემა პასუხისგებაში გერცენშტეინის მკვლელობისათვის. ამავე სხდომაზე ბრალდებულმა ლარიჩკინმა და მოწმეებმა — „რუსი ხალხის კავშირის“ ყოფილმა წევრებმა დაადასტურეს დუბროვინის მონაწილეობა არა მარტო გერცენშტეინის მკვლელობაში, არამედ მთელ რიგ სხვა ტერორისტულ აქტებში. ამიტომ ფინე-

---

[1] В. Водовозов, финляндский суд и дело об убийстве Герценштейна, «Право» от 6 сентября 1909 г., № 36, стол. 1907—1908.

თის (კიუვენეპის მაზრის) სასამართლომ საქმის განხილვა გადადო და მოსთხოვა იუსტიციის მინისტრს ეპვმიტანილი დუბროვინის იძულებით მოყვანა ფინეთის სასამართლოში. სხდომა გადაიდო 9 ოქტომბრისათვის. იუსტიციის მინისტრმა კიუვენეპის მაზრის სასამართლოს ამ სამართლიან მოთხოვნას უარით უპასუხა. ამით მას უნდოდა სასამართლოსათვის შესაძლებლობა მოესპო ემხილებინა მკვლელობის ნამდვილი ინიციატორები და სულისჩამდგმელები, ე. ი. არა მარტო „რუსი ხალხის კავშირის" შავრაზმული ორგანიზაცია, არამედ პეტერბურგის ქალაქის მმართველი ლაუნიციც, პეტერბურგის პოლიტიკური პოლიცია (ჟანდარმერია) და ბოლოს თვით უმაღლესი მთავრობაც, რომლებსაც ხელი ჰქონდათ გასვრილი ამ ბინძურ საქმეში.

ამრიგად, 9 ოქტომბერს საქმე გაირჩა უდუბროვინოდ, თუმცა, როგორც დავინახავთ, ფართო საზოგადოებისათვის დუბროვინისა და სხვათა „მოღვაწეობა" მაინც აშკარა გახდა.

ამჟამად სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლად, ზარუდნის მაგივრად, ლ. ანდრონიკაშვილი გამოდიოდა. მემარცხენე ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმეში განპირობებული იყო, რა თქმა უნდა, არა დაზარალებულის ქონებრივი ინტერესების დაცვის სურვილით (სამოქალაქო სარჩელი წარდგენილი იყო 10 მანეთზე), არამედ მეფის მთავრობისა და მისი ერთგული მოხელეების შავბნელი საქმიანობის საქვეყნოდ გამომზეურების განზრახვით. და მართლაც, იუსკევიჩ-კრასკოვსკის პროცესი, ლ. ანდრონიკაშვილის გაბედული და თავდადებული ბრძოლის წყალობით, მეფის რეჟიმის ულმობელ მხილებად გადაიქცა. საბრალდებო სკამზე იჯდა არა ერთი გაკოტრებული და ფულის შოვნის მანიით შეპყრობილი აზნაური, ნაძირალა და ზნედაცემული იუსკევიჩ-კრასკოვსკი, არამედ თვითმპყრობელობის გახრწნილი რეჟიმი მთლიანად.

ლ. ანდრონიკაშვილის არქივში მდიდარი მასალა მოიპოვება ამ საქმეზე. აქ ვხვდებით ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის ხელნაწერს, პროცესის ანგარიშს სხვადასხვა მიმართულების გაზეთებში—«Новая Рус», «Речь», «Биржевые ведомости» და სხვ. ყოველივე ეს საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს

მთელ პროცესზე და მასში ლ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობაზე.[1] გარდა ამისა, პროცესის ზოგიერთი მხარე გაშუქებულია მოხსენებით ბარათში, რომელიც ანდრონიკაშვილს წარუდგენია ნაფიც ვექილთა საბჭოს სახელზე იუსკევიჩ-კრასკოვსკის დამცველის—ნიკიტინის მიერ ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ აღძრული დისციპლინური საქმის გამო.

კერძოდ, ამ მოხსენებით ბარათში ნათქვამია: „გასული წლის 9 ოქტომბერს სასამართლო სხდომა კიუვენეპის სასამართლოში შემდეგ გარემოებებში გაიხსნა: სასამართლოს შენობასთან იდგა პოლიციის გაძლიერებული რაზმი, რათა ხელი შეეშალათ „რუსი ხალხის კავშირის“ მხრივ მოსალოდნელი დემონსტრაციისათვის. სასამართლოს მოხსენდა, რომ იუსტიციის მინისტრმა უარი თქვა დუბროვინის იძულებით მიყვანაზე კიუვენეპის სასამართლოში. ეს უარი იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ წინასწარ იცოდა და ამიტომ იმედი მიეცა, რომ ფინეთის სასამართლო არც მას გაასამართლებდა. სასამართლო სხდომის გახსნისას მან წაიკითხა თავისი ახალი ჩვენება, რომელშიც იგი... პირდაპირ თავს ესხმოდა თავის ბრალმდებლებს. თუ მისი ძველი ჩვენება წარმოადგენდა დანაშაულში მონაწილეობის რამდენადმე შენიღბულ აღიარებას, თავის ახალ ჩვენებაში იგი უკვე მთელ ბრალდებას არაკეთილსინდისიერ ცილისწამებად აცხადებდა“.[2]

იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ და მისმა დამცველმა ნაფიცი ვექილის თანაშემწემ ნიკიტინმა სასამართლოში ისეთი პოზიცია აირჩიეს, თითქოს გერცენშტეინი მოკლეს სოციალ-დემოკრატებმა, რათა შემდეგ მკვლელობა „რუსი ხალხის კავშირისათვის“ გადაებრალებინათ და ამით მისი მოღვაწეობისათვის ჩირქი მოეცხოთ. აღსანიშნავია, რომ ამ პროვოკაციისათვის ნიადაგი მათ წინასწარ მოამზადეს. სახელდობრ, როცა მკვლელების ბანდა — კაზანცევი, პოლოვნევი, ლარიჩკინი, ალექსანდროვი და სხვ. ტერიოკში ჩავიდნენ, სასტუმროში ხმები გაავრცელეს, რევოლუციონერები ვართო. სასტუმროს თანამშრომელს ბრონისლავ იანოვიჩს ასე უთხრეს — სოციალ-დემოკრატები ვართ

---

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, II—36.

[2] იქვე. II—66.

და ფინეთში იმიტომ ჩამოვედით, რომ ჯაშუშებს ვუთვალთვალოთო. როგორც იანოვიჩმა სასამართლოში განაცხადა, იგი მაშინვე მიხვდა, რომ ეს პირები სტყუოდნენ, სოციალ-დემოკრატები კი არა, ჯაშუშები და „ოხრანკის“ წევრები იყვნენ. მათ ისიც კი არ იცოდნენ, — თქვა მოწმემ, — თუ ვინ იყო ლუნაჩარსკი. განა შეიძლება, სოციალ-დემოკრატებს ლუნაჩარსკის სახელი არ სცოდნოდათ? მით უმეტეს, რომ სწორედ იმ დღეებში ფინეთის სასამართლოში ლუნაჩარსკის პროცესი მიმდინარეობდა.

მაგრამ იუსკევიჩ-კრასკოვსკის წინააღმდეგ ფაქტები ღაღადებდნენ. უკვე წინა პროცესებიდან (ალექსანდროვის, პოლოვნევის) დადგენილი იყო, რომ გერცენშტეინის მკვლელობის წინა დღეებში სოფელ ტერიოკში ჩამოვიდა ბანდიტების დიდი ჯგუფი (პოლოვნევი, ლარიჩკინი, კაზანცევი და სხვ.), რომელიც თვალყურს ადევნებდა გერცენშტეინს. ეს ჯგუფი შეიარაღებული იყო ბრაუნინგებით, დანებით და ყუმბარებით; ტანზე ჯავშანი ეცვათ. სასტუმროში მაგიდაზე მათ უნახეს შავზოლიანი ბარათი, რომელზედაც ამობეჭდილი იყო თავის ქალა და ეწერა: Спетербургская каморра народной расправы». სწორედ ასეთივე ბარათი იპოვნეს გერცენშტეინის მკვლელობის ადგილას და ასეთივე ბარათი მიიღო გერცენშტეინის მეუღლემ მკვლელობის დღეს. აღსანიშნავია, რომ კაზანცევის მკვლელობის ადგილზედაც მკვლელებმა ეს „სადარბაზო ბარათი“ დატოვეს.

თვით ბრალდებულთა (პოლოვნევის, ლარიჩკინის) და მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა, რომ მკვლელობის წინა დღეს ტერიოკში ჩამოვიდა იუსკევიჩ-კრასკოვსკი, რომელიც იმავე სასტუმროში გაჩერდა, სადაც სხვა მკვლელები. მას დახვდნენ და დიდხანს ესაუბრნენ ბანდის წევრები, ხოლო მკვლელობის დღეს იუსკევიჩ-კრასკოვსკი მათ სადგურზე ელოდებოდა და პეტერბურგში მათთან ერთად დაბრუნდა. პოლოვნევმა და ლარიჩკინმა აჩვენეს აგრეთვე, რომ გერცენშტეინის მკვლელობისათვის ფული იუსკევიჩ-კრასკოვსკისაგან მიიღეს, მანვე უყიდა ტანისამოსი; თვითონაც დიდი თანხა ჩაიჯიბა. იუსკევიჩი ცდილობდა ყოველივე ამის უარყოფას, მაგრამ მას პირზე დაადგნენ ბრალდებული ლარიჩკინი და მოწმეები — „რუსი ხალ-

ხის კავშირის“ ყოფილი წევრები — პრუსაკოვი, იაკოვლევი და სხვები.

მიუხედავად უტყუარი საბუთებისა, იუსკევიჩი ჯიუტად განაგრძობდა მტკიცებას, რომ გერცენშტეინი მოკლა „სოციალ-დემოკრატმა“ კაზანცევმა, რომ კაზანცევს იგი არც იცნობდა და პირველად ნახა ტერიოკში, რომ მისი კაცები თვალყურს ადევნებდნენ კაზანცევს, მაგრამ კაზანცევმა ისინი მოატყუა და ა. შ.

იუსკევიჩი და მისი დამცველი განსაკუთრებით ცდილობდნენ ამ საქმიდან „კავშირის“ მთავარი საბჭოს თავმჯდომარე ღუბროვინი გამოეთიშათ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ „კავშირს“ საერთოდ არავითარი საბრძოლო რაზმები არა ჰყავს. მართალია, ფაბრიკა-ქარხნებში მეფის ერთგულმა პირებმა შექმნეს თავდაცვის ორგანიზაციები, რომლებსაც „კავშირის“ მტრები „საბრძოლო რაზმებს“ უწოდებდნენ, მაგრამ ამ ორგანიზაციებს მიზნად ჰქონდათ მხოლოდ ბრძოლა გაფიცვების წინააღმდეგ და რევოლუციონერთა თავდასხმის მოგერიება. იუსკევიჩ-კრასკოვსკი, უდავო მტკიცებულებათა ზეგავლენით, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ იარაღი და ჯავშნები მან პეტერბურგის ქალაქის მმართველის ლაუნიცისაგან მიიღო. მან ისიც ვერ უარჰყო, რომ გერცენშტეინის მკვლელობის შემდეგ დიდხანს იმალებოდა და დუბროვინისაგან ყოველთვიურად დახმარების სახით 100 მანეთს იღებდა. დაბოლოს აღიარა ისიც, რომ მას უფრო ადრე უნდოდა წამდგარიყო ფინეთის სასამართლოს წინაშე, ვითომდა თავის გამართლების მიზნით, მაგრამ დუბროვინმა ეს მას არ ურჩია. და მაინც იგი ჯიუტად უარჰყოფდა როგორც დუბროვინის, ისე თავის მონაწილეობას გერცენშტეინის მკვლელობაში.

გაზეთი «Новая русь» 1909 წლის 11 ნოემბერს ასე აღწერს ლ. ანდრონიკაშვილის გამოსვლას ფინეთის სასამართლოს წინაშე:

„ნაფიცი ვექილი ლ. ნ. ანდრონიკოვი აცხადებს, რომ მისი სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება: 1) ბრალდების ფორმულირება და 2) პროცესის დახასიათება.

ბრალდების ფორმულირება:

ფინეთის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სამოქალაქო

მოსარჩელე კითხულობს ბრალდების ფორმულირებას დაწერილი ქაღალდის მიხედვით. ლ. ნ. ანდრონიკოვი თავის სიტყვას იმით იწყებს, რომ განსასჯელი იუსკევიჩ-კრასკოვსკი და დუბროვინი ერთმანეთთან განუწყვეტლივ კავშირში არიან. ამას თვით იუსკევიჩ-კრასკოვსკის ჩვენებაც ადასტურებს. მან ხომ განაცხადა, როდესაც დავაპირე ფინეთის სასამართლოში გამოვცხადებულიყავი, დუბროვინმა მე ეს არ მირჩიაო.

რა გულამაჩუყებელი ერთსულოვნებაა და ამავე დროს როგორი მორჩილება საბრძოლო რაზმის მეთაურისა „კავშირის“ თავმჯდომარისადმი“.

პუნქტების მიხედვით ბრალდების ფორმულირება ასეთი იყო:

„1. დუბროვინმა მოაწყო საბრძოლო რაზმი, მოამარაგა იგი იარაღით და ჯავშნებით. დუბროვინი იყო ერთადერთი პატრონი „რუსი ხალხის კავშირის“ შენობისა, სადაც ინახებოდა ფეთქებადი ნივთიერებანი. და თუ საბრძოლო რაზმეული „ხალხი ანგარიშსწორების კამორაა“, რომლის მიზნები წერილობითი დოკუმენტებით სავსებით დადასტურებულია, სწორედ დუბროვინია მისი შემქმნელი...

გადადის რა მსჯავრდებულ ალექსანდროვისა და განსასჯელ ლარიჩკინის ახსნა-განმარტებაზე, — განაგრძობს გაზეთი, — ანდრონიკოვი იმ დასკვნამდე მიდის, რომ დუბროვინმა იცოდა დანაშაულის შესახებ, დაკავშირებული იყო დანაშაულთან როგორც თანამონაწილე და ამიტომ მალავდა მკვლელებს, რომლებიც დაიყოლია დანაშაულის ჩასადენად მატერიალური გამორჩენის დაპირებით“. შემდეგ იგი დაწვრილებით ჩერდება იუსკევიჩ-კრასკოვსკის ჩვენებაზე, რომელმაც განაცხადა, რომ დუბროვინმა წარმატება უსურვა თავის თანამზრახველებს, როდესაც ისინი ტერიოკში მიემგზავრებოდნენ. ხოლო რა საქმეში უნდა ყოფილიყო ეს წარმატება. ეს ეხლა ძალიან კარგად ვიცით. დუბროვინმა „დალოცა“ მოკავშირეები, რომლებიც დანაშაულის ჩასადენად მიდიოდნენ, მაშასადამე, იგი მონაწილეობას იღებდა დანაშაულში“.

ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც 15 ათასი მანეთისათვის გერცენშტეინის მკვლელობას იკისრებდა, — განა ეს საუკეთესო საბუთი არ არის იმისი, რომ დუბროვინს სურს დაფა-

როს თავისი დანაშაული გერცენშტეინის მკვლელობაში, დაფაროს საკუთარი უშიშროებისთვის.

ყოველივე აღნიშნულის გამო სამოქალაქო მოსარჩელემ ბრალი დასდო:

„იუსკევიჩ-კრასკოვსკის — „რუსი ხალხის კავშირის“ საბჭოლო რაზმის უფროსს, — რომ მან, სხვა პირებთან წინასწარი შეთანხმებით, მატერიალური გამორჩენისა და ფულის დაპირებით დაიყოლია სახელმწიფო სათათბიროს წევრის მ. გერცენშტეინის მოსაკლავად კაზანცევი, ლარიჩკინი, პოლოვნევი და სხვები, თანაც ხელმძღვანელობას უწევდა აღნიშნული პირების მოქმედებას;

დუბროვინს — „რუსი ხალხის კავშირის“ მთავარი საბჭოს თავმჯდომარეს, — რომ მან იუსკევიჩ-კრასკოვსკის მეშვეობით დაიყოლია ლარიჩკინი, პოლოვნევი და კაზანცევი მკვლელობის ჩასადენად, მისცა ამისათვის ფულადი თანხა, ხოლო მკვლელობის შემდეგ იღებდა ღონისძიებებს, რათა დაეფარა როგორც ჩადენილი დანაშაულის კვალი, ისე დამნაშავე პირები“.

გაზეთი გვამცნობს, რომ წერილობით წარდგენილი ბრალდების წაკითხვის შემდეგ სამოქალაქო მოსარჩელემ დაახასიათა გერცენშტეინის ყველა მკვლელი და „რუსი ხალხის კავშირი“ როგორც ტერორისტული ორგანიზაცია.

„— ვინ მოკლეს? — კითხულობს ანდრონიკოვი. —

— მოკლეს პირველი პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი წევრი, რომელზედაც თვით ლარიჩკინმაც კი თქვა, რომ იგი გლეხებსა და მიწას იცავდაო. და აი, ამ გლეხმა ლარიჩკინმა და მასთან ერთად სხვებმაც, იუსკევიჩ-კრასკოვსკის ზეგავლენით, მასზე ხელი აღმართეს“...

როცა იუსკევიჩს ახასიათებდა, ბრალმდებელმა აღნიშნა:

— ეს არის ადამიანი, რომელმაც ადრე დაკარგა თავისი კაპიტალი, ადამიანი, რომელსაც თავი მოაქვს თავისი აზნაურობით, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც მთელი სიცოცხლე ოცნებობს კაპიტალზე და მყუდრო მამულზე. რადაც არ უნდა დაუჯდეს მათი შოვნა. ასეთი ადამიანები მზად არიან თავისი მიზნის განსახორციელებლად დანაშაულიც კი ჩაიდინონ, მათ ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

პოლოვნევი — ეს შუშისთვალა კაცი? განა იგი სიმბოლო

არ ა.ეის „ოხრანკის ფხიზელი თვალისა“, რომელიც ფულისათვის ყველაფერს ჩაიდენს, მკვლელობასაც კი, როგორც ეს მან დაამტკიცა გერცენშტეინის მოკვლით.

დუბროვინი? — იგი თავს გვაჩვენებს, თითქოს ღვთისმოსავი წუნარი მოხუცი იყოს და ყოველ ნაბიჯზე ქრისტეს ახსენებს. მას პირზე აკერია მართლმადიდებლობა და ხალხურობა, თვითონ კი დასცინის ერთსაც და მეორესაც. შეხედეთ, ბატონებო, ამ ფიგურას, რომელიც ყოველ დღე ლოცულობს და ამავე დროს გზას ულოცავს მკვლელებს, როცა ისინი თავისი სისხლიანი საქმის ჩასადენად მიდიან.

აი, ამ კვარტეტისაგან შედგება დანაშაულებრივი „სახალხო ანგარიშსწორების კომრა“ ან სხვაგვარად — მკვლელების ბანდა.

ეს ბანდა საუკუნეების განმავლობაში ახრჩობს რუს ხალხს, ახრჩობს და ხმის ამოღების უფლებასაც არ აძლევს.

ეხლა კი, როცა ამ ბანდის ერთ-ერთი წევრი აქ არის, როცა, მიუხედავად ყოველგვარი მფარველობისა, იგი ვერ დაუძვრა სასამართლოს, მე უფლება მაქვს მოვთხოვო სასამართლოს ისეთი განაჩენი, რომელიც, როგორც მეხი, დასწვავს ყველას, ვის სინდისზედაც არის პროფესორ მ. ი. გერცენშტეინის ნათელი პიროვნების მოსპობა“.

ამის შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

„თავისი შესანიშნავად დასაბუთებული და მგზნებარე სიტყვა ლ. ანდრონიკოვმა იმით დაამთავრა, რომ მიუთითა იუსკევიჩის ორპოფობაზე სასამართლოში: ერთის მხრივ, მას ეშინია სასჯელისა და ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს ამ საქმეს თავისი თანამზრახველების, მფარველებისა და თანაშემწეების გაცემით. მეორე მხრივ, სურს შეინარჩუნოს კარგი დამოკიდებულება „მოკავშირეებთან“, რომლებისაც აგრეთვე ეშინია და ამიტომ მათ ქათინაურებით ამკობს. ოჰ! იუსკევიჩს რომ „მოკავშირეებისა“ არ ეშინოდეს, ბევრ რამეს იტყოდა“.

სტატიაში ნათქვამია იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვას ბრალდებულზე და მის დამცველ ნიკიტინზე მოუხდენია: „იუსკევიჩ-კრასკოვსკი და მისი დამცველი ნიკიტინი ისე იყვნენ დარეტიანებულნი იმ ბრალდებებით, რომლებიც ლ. ანდრონიკოვმა წამოაყენა რომ დიდხანს არ

იცოდნენ, რა ემოქმედნათ... ბოლოს ნახევარსაათიანი შესვენება ითხოვეს. თანაც ნიკიტინმა განაცხადა, რომ იგი არანაკლებ მკვერმეტყველურად ილაპარაკებს, ვიდრე ანდრონიკოვი, რომელიც ტაშით დააჯილდოვეს, მაგრამ ამისათვის მოსამზადებელი დროა საჭიროო".

თავის დამატებით გამოსვლაში, ანდრონიკაშვილმა, გარდა იმისა, რომ მოითხოვა მკაცრად დაეხასიათებინათ იუსკევიჩ-კრასკოვსკი, როგორც გერცენშტეინის მკვლელობის წამქეზებელი და უშუალო ორგანიზატორი, დასძინა შემდეგი:

„ვინაიდან საქმეში მოიპოვება მასალები, რომლებიც მიუთითებენ, რომ დუბროვინი იყო მკვლელობის წამქეზებელი, გთხოვთ საქმე ამ ნაწილში გადადოთ და შეადგინოთ განჩინება, რათა დუბროვინი დაპატიმრებულ იქნეს როგორც ბრალდებული".

იუსკევიჩ-კრასკოვსკიმ, დარწმუნებულმა, რომ ფინეთის სასამართლო მას გაამართლებს, თავის საბოლოო სიტყვაში მოითხოვა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებიათ, განაჩენის გამოტანისთანავე, როგორც ეს მიღებულია რუსეთის სასამართლოებში, ვინაიდან პატიმრობა ცუდად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. მაგრამ იუსკევიჩს მოლოდინი არ გაუმართლდა. ფინეთის სასამართლომ მას მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მოსარჯულებელ სახლში (смирительный дом). უნდა ითქვას, რომ იუსკევიჩი საპყრობილეში დიდხანს არ დარჩენილა: მეფემ თავის ერთგულ მსახურს დანაშაული აპატია და მალე გამოუშვა.

დუბროვინს, მიუხედავად ფინეთის სასამართლოს დადგენილებისა მისი პასუხისგებაში მიცემის შესახებ, გასამართლება ასცდა.

მძიმე იყო დამცველის მდგომარეობა პოლიტიკურ პროცესში, როცა იგი გაბედავდა და ამხილებდა მეფის მსახურთა შავბნელ საქმეებს. იგი მზად უნდა ყოფილიყო, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა გამხდარიყო ნაძირალა-შავრაზმელი დანაშავის ან მისი ადვოკატის უმსგავსო საქციელის ობიექტი. უფრო მეტიც: სასამართლოში გაბედული გამოსვლა ზოგჯერ ხაშიში იყო პოლიტიკური დამცველის სიცოცხლისათვისაც კი. ყოველივე ამის ილუსტრაციას წარმოადგენს ის ამბები, რასაც

იუსკევიჩის საქმის განხილვისას და მის შემდეგაც ჰქონდა ადგილი.

მთელი პროცესის განმავლობაში ბრალდებულს, იუსკევიჩ-კრასკოვსკის და მის დამცველს — ნიკიტინს თავი მეტად გამომწვევად და თავხედურად ეჭირათ. უკვე პირველსავე ახსნა-განმარტებაში, რომელიც იუსკევიჩმა 9 ოქტომბრის სხდომის გახსნისთანავე ფინეთის სასამართლოს წერილობით წარუდგინა, იგი თავს ესხმოდა სამოქალაქო მოსარჩელეს. ხოლო რადგან მანამდე სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლად ზარუდნი გამოდიოდა და იუსკევიჩი არ ელოდა მის შეცვლას, მისი წერილობითი წარდგინება ზარუდნის ლანძღვა-გინებით იყო სავსე. იგი ახასიათებდა ზარუდნის, როგორც ცალიერ ადამიანს, რომელიც „სპეკულანტობს მიცვალებული გენერალ-შტეინის სახელით", ადამიანს, „რომელმაც სინდისი და რწმენა ფინეთის საზღვარზე დატოვა". განსაკუთრებით გაცოფდნენ იუსკევიჩი და ნიკიტინი, როდესაც ზოგიერთმა მოწმემ — „რუსი ხალხის კავშირის" ყოფილმა წევრებმა: პრუსაკოვმა, იაკოვლევმა და სხვებმა — მისცეს ჩვენება იუსკევიჩისა და დუბროვინის წინააღმდეგ. პრუსაკოვის ჩვენების გასაბათილებლად ნიკიტინმა განაცხადა, რომ პრუსაკოვი ნაწყენია დუბროვინზე, რომელმაც იგი სამსახურიდან გაათავისუფლა, იგი მტერია „რუსი ხალხის კავშირისა", პირადი მტერია დუბროვინისა და ამიტომ მისი სიტყვები სანდო არ არისო. თანაც ნიკიტინმა მოითხოვა დაერთოთ საქმისათვის პრუსაკოვის კომედია — „დოქტორი ზუბროვინი", რომელიც დუბროვინზე ცილისწამებას წარმოადგენსო. მოსამართლემ ნიკიტინის თხოვნა არ დააკმაყოფილა. მან მიუთითა, რომ ამჟამად ირჩევა არა დუბროვინის, არამედ იუსკევიჩ-კრასკოვსკის საქმე და ამიტომ პრუსაკოვის წიგნს ამ საქმესთან კავშირი არა აქვსო.

ამის შემდეგ, როგორც იმდროინდელი გაზეთები იუწყებიან, ადგილი ჰქონია ასეთ ინციდენტს: როცა ნიკიტინმა პრუსაკოვი დაახასიათა როგორც უმადური ადამიანი, რომელმაც თავის მფარველს დუბროვინს ბოროტად გადაუხადა მისი ამაგი, სრულიად მოულოდნელად და უადგილოდ მან წარმოთქვა ზარუდნის შესახებ, როგორც ჩანს, წინასწარ მომზადებული სიტყვები: „თუმც ის, რაც აქ ხდება, არ უნდა გაგვიკვირდეს. რატომ არ უნდა ჩააფურთხოს პრუსაკოვმა იმ „ჭაში", რომე-

ლიც მას კვებავდა, როცა არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ადამიანებს მგლის ბილეთით პროკურატურიდან აგდებენ და ამის შემდეგ მათ ადვოკატურაში იღებენ“... ნიკიტინის ამ უმსგავსო განცხადებას მეტად აუღელვებია ანდრონიკაშვილი, რომელიც წამომხტარა ადგილიდან და განუცხადებია, რომ ის ნებას არ მისცემს ნიკიტინს ასეთი სიბინძურე ილაპარაკოს პეტერბურგის ნაფიც ვექილთა საბჭოზე და ნაფიც ვექილზე ზარუდნიზე, რომელიც, ვიდრე საპროკურორო ზედამხედველობაში მუშაობდა, პროკურატურის მშვენება იყო, ხოლო ამჟამად რუსეთის ადვოკატურის მშვენება და სიამაყე არისო. ანდრონიკაშვილმა მოითხოვა, ნიკიტინის სიტყვები ოქმში შეეტანათ. როდესაც მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ნიკიტინმა ანდრონიკაშვილს ირონიული ღიმილით გადახედა. ანდრონიკაშვილმა მოსთხოვა ნიკიტინს ან უარეყო თავისი სიტყვები, ან პირდაპირ ეთქვა, ზარუდნი ჰყავდა თუ არა მხედველობაში, როცა პროკურატურიდან გამოგდებულ ადამიანებზე ლაპარაკობდა. ნიკიტინი ისევ ირონიულად იღიმებოდა და სდუმდა. მაშინ ანდრონიკაშვილმა განაცხადა: „ასე იქცევიან მხოლოდ არამზადები და ლაჩრები, რომელთაც წესად აქვთ მიკიბულ-მოკიბული ცილისწამება, მაგრამ ვერ ბედავენ იმ ადამიანის დასახელებას, ვისაც ცილს წამებენ“. ნიკიტინმა თავხედურად უპასუხა, რომ ისეთი ადამიანის სიტყვას, როგორიც ანდრონიკაშვილია, ის შეურაცხყოფად ვერ მიიღებს.

სხდომის განახლების შემდეგ ნიკიტინმა მოულოდნელად განაცხადა, რომ მან იუსტიციის მინისტრს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „დღეს კიუვენეპის მაზრის სასამართლო სხდომაზე კერძო ბრალმდებელმა გერცენშტეინის საქმეზე, პეტერბურგის ოლქის სასამართლო პალატის ნაფიცმა ვექილმა ანდრონიკოვმა, პარტიული მტრობის ნიადაგზე „არამზადა“ (подлец) მიწოდა. გაცნობებთ ამას, თქვენო აღმატებულებავ, როგორც გენერალურ პროკურორს.“ ნაფიცმა ვექილმა ანდრონიკოვმა არ ჩათვალა საჭიროდ ამ დეპეშის თაობაზე რაიმე რეაგირება.[1]

[1] ეს ინციდენტი აღწერილია გაზეთში „ნოვაია რუს“, 1909 წლის 11 ნოემბერი, № 279.

როგორც გაზეთი „რეჩ“ იუწყებოდა, ნიკიტინმა ისევ მიაყენა შეურაცხყოფა სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენელს, მაგრამ ახლა უკვე ანდრონიკაშვილის სახით: „როცა იგი ანდრონიკოვს უპასუხებდა, მან ნება მისცა თავის თავს მის შესახებ ეთქვა: ანდრონიკოვს სასამართლოში ისე ეჭირა თავი, როგორც სამიკიტნოშიო“, რაზედაც ლ. ანდრონიკოვმა, დამატებითი ახსნა-განმარტების შემდეგ, ასე უპასუხა: „ბ-ნი ნიკიტინი თვლის, რომ მე ისე ვიქცევი, თითქოს სამიკიტნოში ვიყო. ნება მიბოძეთ, შევეკითხო მას: პატიოსან საქმედ მიაჩნია სასამართლო დარბაზიდან ადვოკატის შესახებ იუსტიციის მინისტრისათვის ბეზღის გაგზავნა? ასეთი ბეზღი ჩვეულებრივად რუსი ხალხის კავშირის სამიკიტნოებიდან იგზავნება“.[1]

ამ ინციდენტს გერცენშტეინის პროცესის დამთავრების შემდეგ თავისი გაგრძელება ჰქონდა.

1909 წლის 21 ოქტომბერს ნიკიტინმა გაუგზავნა ანდრონიკაშვილს შემდეგი შინაარსის წერილი:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

10 ოქტომბერს კიუვენეპის სასამართლოს სხდომაზე თქვენ შეეცადეთ ჩემთვის შეურაცხყოფა მოგეყენებინათ და მე ლაჩარი და არამზადა მიწოდეთ.

ვიმეორებ ისევ, რომ რადგან ეს სიტყვები თქვენს მიერ იყო ნათქვამი, მე მათ ჩემთვის შეურაცხყოფილად არა ვთვლი, რაც მაშინვე გაგიცხადეთ.

ვინაიდან ჩემი ასეთი განცხადება, აგრეთვე ჩემს მიერ თქვენი თანდასწრებით წაკითხული დეპეშა იუსტიციის მინისტრის სახელზე გამოხატავს უდიდეს უპატივცემლობას თქვენს მიმართ, მე მზადა ვარ, როდესაც გნებავთ და სადაც გნებავთ, მოგცეთ დაკმაყოფილება თქვენი პირველი მოთხოვნისთანავე, რომელსაც უკვე მეორე კვირაა ამაოდ ველი.[2]

ეეგენი ნიკიტინი“.

რადგან ანდრონიკაშვილმა ამ თავხედურ წერილზე პასუხი

---

[1] «Речь», 1909 წლის 13 ოქტომბერი, № 284.

[2] ნიკიტინს მხედველობაში ჰქონდა, რომ ანდრონიკაშვილს იგი დუელში უნდა გამოეწვია.

არ გასცა, გათამამებულმა ნიკიტინმა 30 ოქტომბერს მას მეორე წერილი მოსწერა:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

21 ოქტომბერს მე თქვენ გამოგიგზავნეთ ფორმითაც და შინაარსითაც სავსებით კორექტული წერილი, რომელზედაც პასუხი არ მიმიღია.

როგორც ჩანს, მე ზედმეტად პატივი გეცით, როდესაც ვიფიქრე, რომ რაინდული წესები შეიძლება ცნობილი იყოს კავკასიური მოდგმის ადამიანისათვის, რომელმაც სწორად და უაქცენტოდ რუსულად ლაპარაკიც კი ვერ ისწავლა და რომელსაც მხოლოდ ლანძღვა-გინების უნარი აქვს, როცა იცის, რომ ფინეთის ტერიტორია უზრუნველყოფს მისთვის ამ მხრივ „სიტყვის თავისუფლებას“.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, უფლებას მაძლევს არა მარტო მე, არამედ ყოველ ადამიანს, ვისაც შეუძლია შავი თეთრისაგან გაარჩიოს, გიწოდოთ თქვენ არამზადა და ლაჩარი.

ევგენი ალექსანდრეს ძე ნიკიტინი“.

ამ მეორე წერილზე ანდრონიკაშვილს უკვე პასუხი გაუგზავნია. აი, მისი პასუხიც:

„მოწყალეო ხელმწიფევ!

თქვენს მიერ 21 ოქტომბერს გამოგზავნილ წერილში ნათქვამია: „10 ოქტომბერს კიუვენეპის სასამართლოს სხდომაზე თქვენ შეეცადეთ ჩემთვის შეურაცხყოფა მოგეყენებინათ და მე არამზადა და ლაჩარი მიწოდეთ“. შემდეგ: „მე ამ სიტყვებს ჩემთვის შეურაცხმყოფელად არ ვთვლი, როგორც თქვენ მიერ ნათქვამს“.

კიუვენეპის სასამართლოს იმავე სხდომაზე ჩემი სიტყვის შემდეგ თქვენ განაცხადეთ: „მე შემეძლო მეთქვა ბ-ნ ანდრონიკოვზე უფრო ლამაზი სიტყვა, მაგრამ ვაცხადებ, რომ მე გავუგზავნე დეპეშა მის აღმატებულებას იუსტიციის მინისტრს, რომელსაც ვაცნობე, რომ ნაფიცმა ვექილმა ანდრონიკოვმა ჩემი მისამართით ისროლა სიტყვები „ლაჩარი და არამზადა“ და სასამართლომ მე არ დამიცვა“...

ზემოთმოტანილი სიტყვების გარდა თქვენ ჩემი მისამართით სხვა არაფერი გითქვამთ...

ამგვარად თქვენი რეაქცია ზარუდნის ინციდენტთან დაკავ-

შირებით ის იყო, რომ თქვენ მიმართეთ საჩივრით ჩემზე და სასამართლოზე იუსტიციის მინისტრს. აქედან ნათელია, რომ მე საბაბი არ მქონდა ჩემი ღირსება აღმედგინა.

ხოლო თუ თქვენ სერიოზულად გინდოდათ ჩემგან დაკმაყოფილება მიგეღოთ, ამისათვის:

პირველი, არ უნდა გაგეცხადებინათ, რომ ჩემისთანა ადამიანის მიერ ნათქვამ სიტყვებს თქვენ შეურაცხყოფად ვერ ჩათვლით; თანაც თუ საკითხს ასე დააყენებთ, მაშინ ისიც უნდა აღიაროთ, რომ არც მე შემიძლია ჩავთვალო შეურაცხყოფად თქვენისთანა ადამიანის მიერ ნათქვამი სიტყვები.

მეორე: ზემოთ მოტანილი ინციდენტის შემდეგ თქვენ არ უნდა მიგემართათ იუსტიციის მინისტრისათვის საჩივრით ჩემზე და სასამართლოზე. ასეთი გზის არჩევა თქვენ გიკარგავთ უფლებას მოითხოვოთ სხვა ფორმით დაკმაყოფილება.

მაგრამ მე მზადა ვარ შემოგთავაზოთ გამოსავალი: განაცხადეთ ან საჯაროდ ან ნაფიც ვექილთა საბჭოს სახელზე, თუნდაც თქვენი პატრონის[1] მეშვეობით, რომ სწორად არ მოიქეცით, როცა იუსტიციის მინისტრს საჩივრით მიმართეთ ჩემზე და სასამართლოზე და განუცხადეთ რომელიმე მესამე პირს, რომ ჩემს მიერ თქვენი მისამართით წარმოთქმულ სიტყვებს თქვენ შეურაცხმყოფლად თვლით. როცა შევიტყობ, რომ ეს ორი პირობა შესრულებულია, მაშინ თქვენს ორივე წერილს გამომწვევად ჩავთვლი და მზად ვიქნები დაკმაყოფილება მოგცეთ.

მაგრამ თუ თქვენ ამას არ გააკეთებთ ან იმიტომ, რომ ვერ გაიგეთ ჩემი წინადადება, ან იმიტომ, რომ არ მოისურვეთ ამის გაკეთება, მე თქვენ ჩაგთვლით მორალურად ჩლუნგ პიროვნებად (моральный тупица). რომელთანაც ღირსების შესახებ სერიოზული ლაპარაკი შეუძლებელია.

ნაფიცი ვექილი ლუარსაბ ანდრონიკოვი".

ამ ბარათის მიღების შემდეგ ნიკიტინი ამდგარა და ორივე თავისი წერილი გაზეთში გამოუქვეყნებია. მაშინ ლუარსაბ ანდრონიკაშვილსაც მიუმართავს გაზეთისათვის. ანდრონიკაშვი-

---

[1] იგულისხმება ნაფიცი ვექილი, რომელთანაც თანაშემწედ იყო მიმაგრებული ნიკიტინი.

ლის პასუხი, ისევე როგორც ნიკიტინის ორივე წერილი, დაცულია ანდრონიკაშვილის არქივში. აქვე დაცულია საინტერესო სტატია მოთავსებული გაზეთში „ორენბურგსკი კრაი“ (1909 წ. 14 ნოემბერი, № 356). მოგვყავს ფრაგმენტები ამ წერილიდან:

„რუსი ხალხის კავშირის წევრი ნაფიცი ვექილის თანაშემწე ევგენი ნიკიტინი, რომელმაც „სახელი გაითქვა“ გერცენშტეინის პროცესში, ამჟამად აგზნებულ მდგომარეობაშია და სხვადასხვა მიმართულების გაზეთებში სალანძღავ წერილებს გზავნის. ამ თანაშემწის „ლიტერატურული“ მოღვაწეობა ორი ფორმით ვლინდება — თავდაცვითით და თავდასხმითით.

„იურისტ“ ნიკიტინს წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნია, რომ ყოველი სხვაგვარად მოაზროვნე პოლიციაში წაათრიოს. მაგრამ რადგან უხერხული იქნება პოლიციაში გაზეთი „ბირჟევიე ვედომოსტი“ წაეთრია, ამიტომ ნიკიტინმა მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს მიმართა და სთხოვა დაიცვან იგი შინაური და გარეშე მტრებისაგან. კომიტეტმა ნიკიტინს თხოვნა შეუსრულა და დაავალა ამ გაზეთს „აუცილებლად დაებეჭდა უახლოეს ნომერში ნიკიტინის წერილი“.

რაღას იზამდა გაზეთი. იგი იძულებული გახდა მოეთავსებინა „უფასო კორესპონდენტის“ ნიკიტინის წერილი, სადაც ეწერა: „რუსკიე ვედომოსტი“-ს 13 ოქტომბრის ნომრის ცნობაში გერცენშტეინის პროცესის შესახებ მე მომაწერეს ასეთი სიტყვები: „რევოლუციასთან ბრძოლა და მეძიებლობა (сыск) ყოველი პატიოსანი რუსი ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა“. ეს სიტყვები მე არასოდეს არ მითქვამს და არც შემეძლო მეთქვა. აი ჩემი ფრაზა: „რევოლუციასთან ბრძოლა ყოველი პატიოსანი რუსი ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა“. ეს ვერ გაუგიათ მხოლოდ კავკასიელ სეპარატისტებს და მათ დამქაშებს, რომლებიც მზად არიან მეძიებლობის (сыск-ის) სახელით მონათლონ ყოველგვარი საქმიანობა, რაც მათთვის სასარგებლო არ არის“.

ასეთია „პატივცემული“ ნაფიცი ვექილის თანაშემწის თავდაცვითი საქმიანობა ლიტერატურული მოღვაწეობის სფეროში.

რაც შეეხება ამ სუბიექტის თავდასხმით საგმირო საქმეებს, ეს იმით გამოიხატა, რომ მან გაზეთებში „სვეტ“ და „რუსსკოე ზნამია“ გაგზავნა ორი სალანძღავი წერილი ნაფიცი ვექილის ანდრონიკოვის მისამართით.

ამ წერილებს ჩვენ არ მოვიყვანთ, ვინაიდან ისინი დაწერილია იმ მონოპოლისტური სტილით, რომელიც ახასიათებს რუსი ხალხის კავშირის სამეკიტნოების გალაღებულ შეზარხოშებულ სტუმრებს.

ამ წერილების საპასუხოდ ანდრონიკაშვილმა ურჩია ნიკიტინს შეესრულებინა ლოგიკისა და პატიოსნების ზოგიერთი ელემენტარული წესი“.

ამის შემდეგ გაზეთში სიტყვასიტყვითაა მოყვანილი ლ. ანდრონიკაშვილის პასუხი ნიკიტინის წერილზე და ბოლოს ნათქვამია:

„განა ღირს პასუხის გაცემა ისეთი პირისათვის, ვის მოღვაწეობასაც თან ახლავს „მოკავშირეების გარმოშკის“ დარდიმანდული აკომპანიმენტი: „«ай, дербень, дербень, Калуга»...

გერცენშტეინის პროცესს ლ. ანდრონიკაშვილისათვის მრავალი სხვა უსიამოვნებაც მოყვა. როგორც თვით ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და მისი ახლობლებისაგან გამიგონია, როდესაც პროცესის დამთავრების შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი ჰელგსინფორსიდან პეტერბურგში დაბრუნებას აპირებდა, მის მანქანას ესროლეს, თუმცა უშედეგოდ. პეტერბურგში დაბრუნებისას შავრაზმელებმა ღამით შეამტვრიეს ანდრონიკაშვილის ბინა, მაგრამ ანდრონიკაშვილი მეორე გასასვლელით გავიდა და თავი შეაფარა ცოლის ნათესავებს, რომლებიც იმავე სახლში ცხოვრობდნენ. ამის შემდეგ იგი რამდენიმე ხნის განმავლობაში რიაზანში ცხოვრობდა. გავიდა რვა წელი. და აი 1917 წლის 27 თებერვალს, თებერვლის რევოლუციის პირველ დღეს, როდესაც ანდრონიკაშვილის უმცროსი ვაჟი, ექვსი წლის ელეფთერი ეზოში თამაშობდა, გაისმა სროლის ხმა და დაეცა ბავშვის გვერდით მდგარი მეეზოვე. ისროლა თურმე გენერალმა იელიტა ფონ ვოლსკიმ, რომელიც გამოდიოდა იუსკევიჩ-კრასკოვსკის მოწმედ გერცენშტეინის პროცესზე. რო-

გორც იგი შემდეგ გამოტყდა, მას უნდოდა სამაგიერო გადაეხადა მამისათვის და შვილს ესროლა.[1]

გერცენშტეინის პროცესი საუკეთესო დამადასტურებელია, თუ რა პროგრესულ პოზიციებს იცავდა რუსეთის „პოლიტიკური დაცვის ჯგუფის" ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ლ. ანდრონიკაშვილი, რა გაბედულად ამხილებდა იგი მეფის ხელისუფლებას.

— : —

ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ მთავარი პროცესები, რომლებსაც გვერდს ვერ აუხვევს ისტორიკოსი 1905-1907 წწ. რევოლუციის შესწავლის დროს. იმ პოლიტიკური საქმეების რიცხვი, რომლებზედაც გამოსულა ლ. ანდრონიკაშვილი, სინამდვილეში, ცხადია, გაცილებით მეტია. მაგრამ ნახსენები საქმეებიც, ვფიქრობ, საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რაოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს დიდ თანამემამულეს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. 1905-1907 წლის რევოლუციისდროინდელი მეფის სამხედრო სასამართლოების მკვლევარი პროფ. ნ. ნ. პოლიანსკი წერს, რომ ის დახმარება, რომელიც ცალკეულმა პოლიტიკურმა ადვოკატებმა გაერთიანებული ძალღონით აღმოუჩინეს რევოლუციის უშუალო მონაწილეებს, არ უნდა იქნეს დავიწყებული, ხოლო თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ისტორიაში „ჩაწერილი უნდა იყოს ფურცლები იმ წინააღმდეგობის შესახებაც, რომელსაც თვითმპყრობელობას უწევდა ამ ბრძოლაში პოლიტიკური ადვოკატურა".[2] ლ. ანდრონიკაშვილი ამ ადვოკატურის პირველ რიგებში იდგა. თავდავიწყებით, პირადი ინტერესების სრული უგულებელყოფით, თავდადებით და ენერგიულად იბრძოდა იგი იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც სურდათ მშრომელებისათვის ახალი, უკეთესი ცხოვრება აეშენებინათ, ამ მომავალს შესწირა მან თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები,

---

[1] ეს ამბავი აღწერილია ირაკლი ანდრონიკაშვილის მოგონებებში ლ. ანდრონიკაშვილზე, რომელიც მან გასაცნობად გადმომცა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

[2] Н. Н. Полянский, Царские военные суды в борьбе с революцией 1905—1907 гг., М., 1958, стр. 238.

თავისი განუმეორებელი ტალანტი, მგზნებარე ენერგია და მჭევრმეტყველება. და ბედნიერი იყო იმით, რომ ამ უკეთეს მომავალს მოესწრო.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილის საადვოკატო მოღვაწეობა დამთავრდა. თუმცა ფორმალურად იგი ჯერ კიდევ ირიცხებოდა ადვოკატურაში, მაგრამ ფაქტიურად სასამართლოში არ გამოდიოდა. ლ. ანდრონიკაშვილი შეიყვანეს საკანონმდებლო კომისიაში, რომელიც შეიქმნა 1903 წლის სისხლის სჯულდების გადასამუშავებლად. კომისიაში მასთან ერთად იყვნენ რუსეთის გამოჩენილი კრიმინალისტები ნ. ტაგანცევი, ე. კონი, ა. ჟოჟილენკო, ი. ლუბლინსკი და სხვ. როგორც პოლიტიკური და რელიგიური დანაშაულის საკითხების ღრმა მცოდნეს ლ. ანდრონიკაშვილს დაევალა ამ სჯულდების ორი თავის გადამუშავება.

1917 წლის აპრილში ანდრონიკაშვილი დაინიშნა სენატორად. მასთან ერთად სენატში შეყვანილ იქნენ გამოჩენილი მეცნიერები პეტრაჟიცკი, გამბაროვი, არსენიევი, დიაკონოვი, გრიმი და სხვ. იური გამბაროვი, ანდრონიკაშვილისათვის სამეცნიერო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, რამდენიმე წლის შემდეგ წერდა: „მე, როგორც დამსწრემ, შემიძლია დავადასტურო, რომ მთელი სენატი, ყველა თავისი დეპარტამენტის საერთო კრებებზე, განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდა ანდრონიკაშვილის გამოსვლებს და, როგორც წესი, ეთანხმებოდა მათ“.[1]

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ დაამხო ძველი ხელისუფლება და დაამსხვრია ძველი სახელმწიფო აპარატი ყველა თავისი დაწესებულებითურთ. წარმოიშვა კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მიზნად დაისახა მთელი საზოგადოებრივი წყობის ძირფესვიანად გარდაქმნა, ესაჭიროებოდა ისეთი მუშაკები, რომლებიც გაიგებდნენ მის ამოცანებს და მოისურვებდნენ მონაწილეობის მიღებას ამ ამოცანათა განხორციელებაში. ინტელიგენციის ერთი ნაწილი, როგორც ვიცით, იმ დროს მტრულად იყო განწყობილი ახალ-

[1] იხ. ლ. ანდრონიკაშვილის ფონდი, დ—8.

გაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ან აშკარა წინააღმდეგობას უწევდა მას, ან ფარულ საბოტაჟს მიმართავდა: ბევრი მათგანი ემიგრაციაში წავიდა იმ იმედით, რომ მალე „უკეთესი დრო“ დადგება და უკანვე დაბრუნდებიო. ინტელიგენციის მეორე, უფრო მოწინავე ნაწილმა შეიგნო ოქტომბრის რევოლუციის არსი და მნიშვნელობა, შეიგნო კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების შექმნის კანონზომიერება. არ იყო ერთსულოვნება პოლიტიკურ დამცველთა შორისაც. მხოლოდ ერთმა ნაწილმა მიიღო ოქტომბრის რევოლუცია და გულწრფელად დაიწყო თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან. „... ოქტომბრის რევოლუცია, — წერს ყოფილი ნაფიცი ვექილი, შემდგომ კი ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ბ. უტევსკი მოგონებებში ლ. ანდრონიკაშვილის შესახებ, — ის სასინჯი ქვა აღმოჩნდა, რომელშიც გამოცდა დაიჭირა ყოფილ პოლიტიკურ დამცველთა მხოლოდ მცირე ნაწილმა, მათ შორის ანდრონიკაშვილიც იყო“.[1]

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილის ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. მან ღირსეულად შეასრულა თავისი ვალი რევოლუციონერთა და პროგრესულ მოღვაწეთა დაცვის საქმეში და სამუდამოდ მიატოვა ადვოკატურა. ამიერიდან ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა ორი — მეცნიერულ-პედაგოგიური და საკონსულტაციო მიმართულებით გაიშალა.

1921 წელს ლ. ანდრონიკაშვილს იწვევენ თბილისის უნივერსიტეტში იურიდიული განათლების ფუძის ასაშენებლად. ლ. ანდრონიკაშვილი მხურვალედ გამოეხმაურა ამ მოწვევას და იმავე წელს ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა.

აქედან იწყება სრულიად ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობისა. მაგრამ ეს უკვე ცალკე გამოკვლევის საგანია.

---

[1] მოგონებები ლ. ანდრონიკაშვილის შესახებ დაწერა და გამოგვიგზავნა ვლადიმერ მაყაშვილსა და მე პროფ. ბ. უტევსკიმ ლ. ანდრონიკაშვილის დაბადებიდან 90 წლის შესრულების თავზე. ეს მოგონებები წაკითხული იყო ლ. ანდრონიკაშვილისათვის მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე, ამჟამად კი ჩვენთან ინახება. — თ. წ.

ФОНД Л. И. АНДРОНИКАШВИЛИ В ИНСТИТУТЕ РУКОПИСЕЙ им. ак. КОРНЕЛИЯ КЕКЕЛИДЗЕ АН ГССР

ПОЛИТИЧЕСКИЕ ПРОЦЕССЫ[1]

1. Батумское дело — по обвинению рабочего завода Теофила Гогоберидзе и др (числом более 20 человек) в вооруженном сопротивлении властям во время подавления демонстрации.

   Дело начато в феврале 1902 г., окончено в 1903 г., 42 листа, машинопись.

2. Саратовское дело — крестьянское движение антипомещичьего характера. При подавлении шествия толпы власти наткнулись на вооруженное сопротивление.

   Дело начато и окончено в 1902 г., 16 л машинопись.

3. Дело Эсфири Вирской и др. об участии в Бакинской демонстрации.

   Дело начато в 1903 г., 8 листов, машинопись.

4. Дело Фейгиных — обвиняются в содержании на дому тайной типографии Гомельской социал-демократической организации комитета «Бунда».

   Дело начато в 1904 г., 3 листа, машинопись.

---

[1] ლ. ანდრონიკაშვილის ფონდში დაცული პოლიტიკური საქმეების სია შეადგინა ელენე მისკარიანმა. ბუნებრივია, ამ სიაში შეტანილი არ არის ის საქმეები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით ანდრონიკაშვილის არქივში არ აღმოჩნდა. საერთო სია პოლიტიკური საქმეებისა გაცილებით მეტი უნდა იყოს. თვით ანდრონიკაშვილი თვლიდა, რომ ამ საქმეების რიცხვი ასს აღემატებოდა.

5. Дело супругов Либерман — содержание на дому тайной типографии Польского комитета российской социал-демократической рабочей партии.

Дело начато в 1904 г., 6 листов, машинопись.

6. Могилевский погром евреев состоялся в ночь с 24 на 25 октября 1904 г. Отличался жестокостью.

Дело начато в 1904 г., окончено в 1907 г., 177 рукописных и машинописных листов.

7. Кронштадское дело — подпольные кружки и противоправительственная пропаганда на флоте.

Дело начато и окончено в 1905 г., 19 листов, машинопись.

8. Дело матросов Черноморского флота, восставших со Шмидтом, в деле обвинительный акт и список обвиняемых.

Дело начато в 1905 г., окончено в 1906 г., 42 листа, напечатанных в типографии и на стеклографе.

9. Дело Махатария, Сахокия и др. — на митингах призывали народ к вооруженному восстанию, имели в своем распоряжении склад оружия и боеприпасов, которые перевозили морем и прятали в Гудаутах.

Дело начато в 1905 г., окончено в 1907 г., 150 листов, автограф и машинопись. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили (черновик).

10. Кременчугский погром евреев — разразился в ночь на 20 октября 1905 г., отличался особой жестокостью и необычным количеством жертв, следствие замяло дело.

Дело начато и окончено в 1905 г., 193 листа, автограф, вырезки из газеты «Одесские новости» № 6786 от 15/XI-1905 г. и «Полтавщина» № 283 от 16/XI-1905 г. и № 290 от 8/XII-1905 г.

11. Дело Алексеевой Е. М. Обвиняется в том, что 22/XI-1905 г. в СПб вышла в свет брошюра К. Каутского под заглавием «Еврейские погромы и еврейский вопрос», перевод с немецкого, отпечатанная по заказу владелицы книгоиздательства «Новый мир» Е. М. Алексеевой в количестве 30000 экземпляров.

Дело начато в 1905 г., окончено в 1909 г., 14 листов, машинопись.

12. Дело П. Б. Струве и П. Н. Милюкова, обвинялись в связи со статьями, опубликованными ими по поводу действия властей после декабрьского восстания 1905 г., в участии и выступлении на митингах и собраниях в ноябре-декабре месяцах 1905 г.

Дело начато в 1905 г., 18 листов.

13. Дело фон-Руктешеля и др. — забастовка на Николаевской железной дороге 7/XII-1905 г.

Дело начато в 1905 г., окончено в 1906 г., 10 машинописных и рукописных листов.

14. Дело Бородина — обвиняется в выступлениях на сходках и собраниях в железнодорожных мастерских ст. Козлов I Рязанско-Уральской железной дороги.

Дело начато в 1905 г., окончено в 1908 г., 28 машинописных и рукописных листов.

15. Ростовское дело — организация в Ростове-на-Дону общей забастовки в декабре 1905 г. (обвиняются 43 человека).

Дело начато в 1905 г., окончено в 1906 г., 22 листа, машинопись.

16. Дело Романа Куллунде и др., — обвиняются в организации на станции Елизаветполь социал-демократической организации для открытой борьбы с правительством.

Дело начато в 1905 г., окончено в 1907 г., 152 листа, машинопись.

17. Дело Казарова и др. — о забастовке в декабре 1905 г. на станции Дербент Владикавказской железной дороги.

Дело начато в 1905 г., окончено в 1906 г., 110 машинописных и рукописных листов.

18. Дело о забастовке рабочих на станции Чусовая в декабре 1905 г.

Дело начато в 1905 г., 42 листа, автограф.

19. Пятигорское дело — о восстании в г. Пятигорске в декабре 1905 г.

Дело начато в 1905 г., окончено в 1906 г., 15 листов, в основном, газета «Народная правда» за декабрь 1905 г.

20. Дело о членах сообщества, присвоивших себе наименование «СПб-ий общегородской совет рабочих депутатов» — 52 подсудимых.

Дело начато в 1905 г., окончено в 1906 г., 208 листов, спецбланки, автограф, типограф. шрифт, газеты «Речь» № 188 от 12/V-1906 г., «Черноморское побережье» 1906 г. №№ 814, 815, 829 от 13/X, 15/XII, 3/XII. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

21. Дело 36 (Захарова и др.) — участники группы боевой организации революционеров гор. Риги, члены сообщества социалистов-революционеров. Обвиняются в насильственных посягательствах на изменение в России установленного законами основы образа правления. 24 обвиняемых.

Дело начато в 1905 г., окончено в 1906 г., 72 листа, автограф. В деле имеются записи Л. Н. Андроникашвили.

22. Дело Маруашвили и др. — обвиняются в убийстве, с целью освобождения от вредных для дела социал-демократической организации людей. 23 подсудимых.

Дело начато в 1905 г., 22 листа, автограф.

23. Дело «44-х»—обвиняются в том, что в конце 1905 года в СПб вступили в различные организации преступного сообщества, присвоевшего себе название «Петербургской группы Российской социал-демократической рабочей партии», заведомо для них поставившего целью своей деятельности ниспровержение существующего в Российском государстве общественного строя и имевшего в своем распоряжении взрывчатые вещества и разрывные снаряды.

Дело начато в 1905 г., 33 листа, напечатано в типографии.

24. Дело о бывшем ректоре Новороссийского университета И. М. Зайчевском и о проректоре того же университета Е. В. Васьковском — обвиняются в том, что в 1905 году лично поддержали и внесли на обсуждение совета предложения о предоставлении студентам всех средств для выработки их политических убеждений и для организации их партии.

Дело начато в 1905 г., окончено в 1909 г., 683 листа, напечатано в типографии и на машинке.

25. Дело Баклюкова и др. — о забастовке 5/X-1905 г. на станции Минеральные Воды, Владикавказской железной дороги.

Дело начато в 1905 г., 369 листов, напечатано в типографии и на машинке, в деле есть записи (речь) Л. Н. Андроникашвили.

26. Дело о боевой организации эсеров по обвинению студента Яковлева (Перекатова) и др. в террористических актах—обвиняются в том, что принадлежали к боевой организации эсеров, а Яковлев также в том, что переодевшись в офицерскую форму, проник в квартиру полковника Римана, с целью его убить, но был обезоружен.

Дело начато в 1905 г., окончено в 1909 г., 190 листов, напечатано в типографии, на машинке, есть и рукописные тексты. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

27. Дело Годлевского — об участии в социал-революционной партии и об убийстве (признан невменяемым).

Дело начато в 1906 г., окончено в 1913 г., 14 листов, машинопись.

28. Дело Э. Студеницкой — обвиняется в хранении запрещенной литературы.

Дело начато в 1906 г., окончено в 1907 г., 8 листов, машинопись.

29. Новороссийское дело — демонстрация в городе Новороссийске 18/X-1905 г. с политическими лозунгами—окончилось вооруженным восстанием. Обв. Бодянский и др.

Дело начато в 1906 г., окончено в 1909 г., 230 листов, машинопись и автограф. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

30. Петербургское дело — обвиняются члены сообщества СПб комитета партии социалистов-революционеров, цель которых ниспровержение существующего в Российской империи гос. строя и учреждение демократической республики. (Процесс 12-ти). Обвиняемые — Евгения Ратнер и др.

Дело начато в 1906 г., окончено в 1907 г., 111 листов, машинопись и автограф. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

31. Дело Д. Тоба — хранение запрещенной литературы.

Дело начато в 1906 г., окончено в 1907 г., 14 листов, напечатано в типографии и на машинке.

32. Дело Берберова — обвиняется в том, что входил в сообщество, поставившее себе целью путем вооруженного восстания насильственно ниспровергнуть существующий общественный строй.

Без даты, 61 лист, автограф.

33. Дело Шлиома Прусакова, — обвиняется в том, что он выписывал газету «Новая жизнь», собирал солдат, читал им ее и разъяснял; читал в роте прокламации; принес в роту и прочел книжку Георгия Гапона «Послание к русскому крестьянству и рабочему народу от Георгия Гапона», изд. 1905; резко осуждал правительство и особу государя, то есть в систематической пропаганде.

Дело начато и окончено в 1906 г., 29 листов, машинопись и автограф. В деле есть вышеназванная книга Георгия Гапона, изданная в 1905 году.

34. Дело Соломко (член Государственной Думы) — обвиняется в выступлении в газете «Мысль» со статьями политического содержания.

Дело начато в 1906 г. окончено в 1907 г., 44 листа, автограф и машинопись.

35. Дело Косоротова (член Государственной Думы) — обвиняется в том, что произнес перед рабочими речь, призывая их сменить старое правительство на новое.

Дело начато в 1906., окончено в 1908 г., 47 листов, автограф и машинопись.

36. Дело об убийстве члена Государственной Думы проф. Герценштейна. Суть дела: в середине июня 1906 года в ст. Терриоках Финляндской железной дороги был убит член Государственной Думы профессор Герценштейн, произнесший в Думе речь о необходимости экспроприации помещичьих имений.

Дело начато в 1906 г., окончено в 1909 г., состоит из шести томов, 528 листов, напечатано типографским шрифтом и на машинке, есть автограф. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

37. Дело Абалова и др. — обвиняются в том, что входили в сообщество, поставившее себе целью путем вооруженного восстания насильственно ниспровергнуть существующий строй.

Дело начато и окончено в 1906 г. 100 листов, автографом и машинописью.

38. Дело Кузьмина — обвиняется в том, что, состоя на ответственной должности, сочувствовал членам социал-демократической организации, посягающей на гос. строй.

Дело начато в 1906 г., 78 листов, автограф. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

39. Дело Сухонина — ответственного редактора—издателя журнала «Всемирный вестник» Обвиняется в том, что в № 10 названного журнала напечатал сочинения Л. Н. Толстого «Николай Палкин» и «Две войны».

Дело начато в 1906 г., окончено в 1907 г., 17 листов. автограф. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

40. Дело Битнера—издателя газеты «Неделя». Обвиняется в том, что издав, распространил сочинения Л. Н. Толстого «Евангелие» и др., порочащие религию.

Дело начато в 1906 г., окончено в 1907 г.. 95 листов, автограф и машинопись.

41. Дело В. Г. Короленко—обвиняется в том, что, будучи редактором журнала «Русское богатство», поместил там воззвание Стачечного комитета с призывом к ниспровержению царского режима.

Дело начато в 1906 г., 98 листов, автограф и машинопись. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

42. Дело Гроиского и Штифтара—об убийстве петербургского градоначальника генерала Лауница.

Дело начато в 1906 г., 4 листа, автограф.

43. Севастопольское дело—по обвинению Макарова и др. в том, что они состояли членами боевой организации социалистов-революционеров, вынесшей смертный приговор коменданту крепости г. Севастополь генерал-лейтенанту Неплюеву. 14 мая 1906 г. в г. Севастополе на площади собора св. Владимира во время парада войск Макаров бросил бомбу в Неплюева, бомба Макарова не разорвалась, но бомба пришедшего с ним матроса убила и ранила несколько человек.

Дело началось в мае 1906 г., окончилось в октябре 1906 г., 114 листов, машинопись и автограф. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили.

44. Дело об убийстве члена Государственного Совета графа Игнатьева. Обвиняются: Сергей Ильинский, Александр Цявловский и Федор Серебрянников в принадлежности к партии социалистов-революционеров, а Сергей Ильинский и в том, что во время земского собрания в Твери он проник в зал заседаний и во время перерыва, из револьвера убил графа Игнатьева. После убийства С. Ильинский покушался на самоубийство, но только тяжело себя ранил.

Дело началось в 1906 г., окончено в 1907 г., 72 листа, машинопись и автограф.

45. Дело Гуковского, — обвиняется в том, что он состоял секретарем ежедневной газеты «Новая жизнь», органа большевиков. При обыске у него оказалась нелегальная литература, печать ЦК социал-демократической рабочей партии, протоколы конференции фракции большевиков и другие документы.

Дело начато в 1906 г., окончено в 1909 г., 28 листов, машинопись и автограф.

46. Дело Писарева, Стембо и др. обвиняются в том, что, состоя членами социаль-революционной рабочей организации, призывали к вооруженному восстанию, изготовляли и хранили взрывчатые вещества.

Дело начато в 1906 г., окончено в 1910 г., 81 лист, машинопись.

47. Дело «Дашнакцутюн» — обвиняются армяне-революционеры Бабаджанянц, Акопов, Бадельянов и др. в том, что они входили в сообщество, поставившее себе целью путем вооруженного восстания насильственно ниспровергнуть существующий строй, в совершении террористических актов и т. п.; имели склады оружия, взрывчатых веществ, оказывали сопротивление властям и т. д.

Дело начато в 1906 г., окончено в 1913 г., 313 листов, автограф и машинопись.

48. Дело Яновицкого и др.—обвиняются в том, что в ночь на 1/I-1907 г. устроили собрание, были вооружены, вступили с пришедшей для обыска и арестов полицией в перестрелку, в результате которой с обоих сторон были убитые и раненные.

Дело начато и окончено в 1907 г., 114 листов, машинопись и автограф, в деле имеются черновики речи Л. Н. Андроникашвили в суде, в двух вариантах.

49. Дело депутатов II Государственной Думы — обвиняются члены Государственной Думы II созыва соц.-демократической фракции в том, что составили сообщество, которое поставило себе целью путем вооруженного восстания ниспровергнуть установленный в России государственный строй, вели агитацию в войсках, устраивали митинги, приобретали оружие и т. п. Правительство потребовало от думы выдачи депутатов. Дума отказалась выдать их и была распущена, а члены Думы соц.-дем. фракции преданы суду.

Дело начато в 1907 г., 9 листов, автограф.

50. Дело Никитенко и др. — о приготовлении к убийству Николая II и великого князя Николая Николаевича.

Дело начато в 1907 г., 228 листов, машинопись и автограф, в деле имеется речь Л. Н. Андроникашвили (черновые записи).

51. Дело студентов Новороссийского университета обвиняются в ведении политической деятельности и в конфликте с профессором Федоровым.

Дело начато в 1907 г., 101 лист, машинопись.

52. Дело Иохельсона — обвиняется в том, что, принадлежа к партии эсеров, вступил в сообщество, поставившее себе целью ниспровержение существующего строя, и в хранении бомб, екстра динамита и бездымного пороха.

Дело начато в 1907 г., 6 листов, машинопись и автограф.

53. Дело Маргулиса — обвиняется в участии в летучем отряде партии социал-революционеров.

Дело начато в 1907 г. и окончено в 1909 г., 57 листов, машинопись и автограф.

54. Финляндская военная организация, подсудимые—Ш. Хейфиц, А. Сухарьков, М. Галаганов, Д. Трилиссер, Л. Воробьев. Обвиняются в том, что, принадлежа к социал-демократической фракции большевиков, вступили в сообщество, поставившее себе целью насильственное ниспровержение установленного строя путем вооруженного восстания, и что они с этой целью вели активную пропаганду в войсках и т. п.

Дело начато в 1907 г., окончено в 1909 г., 45 листов, машинопись и автограф.

55. Дело В. С. Елпатьевского — обвиняется в том, что поместил в журнале «Русское богатство», № 6 за 1907 г., статьи, проводящие мысль, что православие как отжившая религия рушится.

Дело начато в 1907 г., окончено в 1907 г., 27 листов, машинопись и автограф, в деле имеются тезисы выступления Л. И. Андроникашвили.

56. Дело Иоффе и Когана — обвиняются в составлении с целью распространения брошюры «О городском самоуправлении».

Дело начато в 1908 г., 18 листов, автограф.

57. Дело Шишкова — обвиняется в хранении и продаже запрещенных книг и брошюр.

Дело начато в 1908 г., окончено в 1909 г. 17 листов, автограф.

58. Дело Сергея Ильинского и др. — обвиняются в побеге из Иркутской Александровской тюрьмы, убийстве надзирателя во время побега и т. д.

Дело начато в 1908 г., окончено в 1909 г., 115 листов, машинопись и автограф, в деле имеется план выступления Л. И. Андроникашвили.

59. Дело доктора Месровича — обвиняется в том, что являлся членом группы анархистов-экспроприаторов и активно в ней работал.

Дело начато в 1908 г., окончено в 1910 г., 119 листов, машинопись и автограф.

60. Дело Чеслава Свирского, Чеслава Закржжского и др. — обвиняются в том, что, состоя членами сообщества «Польской социалистической партии», задались целью путем вооруженного восстания изменить правительственный строй в России.

Дело начато в 1909 г., 64 листа, машинопись и автограф.

61. Дело доктора Генриха Нусбаума — об уничтожении его сочинения под заглавием «Лекции и эскизы», т. II, на основании ст. 6 IV Временного положения о неповр. печати Высочайшего утверждения от 20/IV-1906 г.

Дело начато и окончено в 1909 г., 5 листов, автограф.

62. Дело Семена Кордзая — обвиняется в оскорблении начальника 4-го батальона.

Дело начато в 1909 г., 4 листа, автограф.

63. Дело Ватина и др. — обвиняются в том, что в 1909 г. в СПб приняли участие в преступном сообществе, положившем в основу своей деятельности программу Российской социал-демократической партии. Цель — замена существующего строя демократической республикой.

Дело начато в 1909 г., окончено в 1910 г., 25 листов, машинопись и автограф.

64. Дело Нила Богдановского — обвиняется в том, что в 1909 г. составил, издал и распространил в гор. Новгороде брошюру под заглавием «Бесовское новождение» (из монастырской жизни).

Дело начато в 1909 г., окончено в 1910 г., 9 листов, автограф.

65. Дело Герцика — обвиняется в издании и распространении полного собрания сочинений Л. Н. Толстого, в которое было включено сочинение «Догматическое Богословие» — представляющее собой разбор основ православной церкви.

Дело начато в 1909 г., окончено в 1910 г., 79 листов, автограф и машинопись. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили в судебном заседании.

66. Дело Л. И. Андроникашвили с Никитиным (дисциплинарное — после процесса по делу об убийстве Герценштейна).

Дело началось в 1909 г., окончено в 1910 г., 52 листа, машинопись и автограф.

67. Дело Курицина — обвиняется в хранении запрещенной нелегальной литературы.

Дело начато в 1910 г., окончено в 1911 г., 84 листа, машинопись и автограф.

68. Дело Адамовой—тетрадь с черновыми записями о сообществе, имеющем цель ниспровергнуть гос. строй.

Дело начато в 1912 г., 42 листа.

69. Дело Квашали, — обвиняется в небдительном хранении и пересылке секретных документов.

Дело начато в 1912 г., 42 листа.

70. Дело адвокатов — обвинялись в том, что будучи участниками собрания адвокатов, они вместе с другими адвокатами послали приветственную телеграмму защитникам по процессу Бейлиса, квалифицируя весь процесс как клевету на евреев и позор для русской культуры.

Дело началось в 1913 г., окончилось в 1914 г., 498 листов, машинопись и автограф. Дело состоит из двух томов.

71. Дело Атабекова и др. — обвиняются в том, что входили в сообщество социал-демократов, поставившее себе целью путем вооруженного восстания насильственно ниспровергнуть существующий строй, а также в хранении запрещённой литературы.

Дело начато и окончено в 1907 г., 23 листа, машинопись и автограф.

72. Дело Малхасяица и др. — обвиняются в том, что входили в сообщество социал-демократов, посягающее на государственный строй, хранили оружие и нелегальную литературу.

Дело начато и окончено в 1907 г., 21 лист, автограф.

73. Дело о Выборгском воззвании — обвиняемые — Лунин и др. — обвиняются в составлении воззвания, призывающего население к неисполнению воинской повинности, неплатежу налогов и т. д.

Дело начато в 1906 г., окончено в 1907 г., машинопись и автограф. В деле имеется речь Л. Н. Андроникашвили в Сенате.

74. Дело Онифанта Гугушвили об экспроприации денег из почтового вагона.

Дело начато в 1904 г., окончено в 1908 г., 31 лист, машинопись и автограф.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
შესავალი 5
თავი პირველი. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი როგორც დამცველი პოლიტიკურ საქმეებზე 19
თავი მეორე. ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციამდე 39
თავი მესამე. ლ. ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა 1905 წლის რევოლუციიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე . 59
§ 1. შეიარაღებული აჯანყების საქმეები 59
§ 2. პოლიტიკური პროცესები მიმართული სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ 109
§ 3. ტერორისტების საქმეები 115
§ 4. ექსპროპრიატორთა საქმეები 150
§ 5. რევოლუციური ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის პასუხისგებაში მიცემულთა საქმეები 151
§ 6. ბრძოლა სიტყვისა და პრესის თავისუფლებისათვის . . 159
§ 7. საქმეები აკრძალული ლიტერატურის შენახვა-გავრცელების შესახებ 170
§ 8. ბრძოლა რწმენის თავისუფლებისათვის 172
§ 9. ადვოკატთა საქმეები 183
თავი მეოთხე. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებელი 192
დანართი 216

რედაქტორი უ. ბახტაძე
მხატვარი ჯ. ჯაბანიშვილი
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექნიკური რედაქტორი მ. ანუაშვილი
კორექტორი ე. ქვანია
გამომშვები ნ. მაკარაშვილი

გადაეცა წარმოებას 20/V-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XII-75 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1 ზომა 84×108 1/32. პირ. ნაბეჭდი თაბახი 12,18+ჩაკერა 0.31 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,93 უე 13650. ტირაჟი 2000. შეკვ. № 2312, ფასი 1 მან. 12 კაპ.

გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო»,
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7

Тбилисская книжная фабрика Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7